

ქართული მწიგნობები

სალიტერატურო შურნალი

დაარსებულია
1926 წელს

აღდგენილია
1990 წელს

განახლებულია
2008 წელს

12

დეკემბერი
2010

რედაქტორი

ლევან ბრეგაძე

რედაქტორის მოადგილე

ზვიად კვარაცხელია

სარედაქციო ჯგუფი

მაია კუდავა
ნინო მინიშვილი
მეგი ობოლაშვილი
ოლიკო ჟღენტი
ნინო სადღობელაშვილი
გვანცა ჯობაგა

კონცეფცია და დიზაინი:
© პაატა ნაცვლიშვილი, 2008.



გამომცემლობა ინტელექტი

0179, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ
25-05-22, 91-22-83, 8(99) 55-66-54
ფაქსი: 25-05-22, 91-22-83
www.intelekti.ge info@intelekti.ge
რედაქტორი: 8(99) 90-37-22

ISSN 1512 - 4444

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2008.

ბამოსათსოვარი

გრივერ ფარულავა. ფესვეული კაცის განშორება 5

პოეზია

ვახტანგ ჯავახიძე. მხოლოდ ერთი 10

ნოშრევან ჯიშკარიანი. ლექსები 11

სოსო მეშველიანი. შენ დაბრუნდები 13

მსატკრული პროზა

ჯემალ მეხრიშვილი. ნამიერი შური 15

რუსა ამირეჯიბი. ნოველები 18

დრამატურგია

ირაკლი სოლომანაშვილი. მარილი 21

(ეპიზოდი იგივენის ცხოვრებიდან)

ესეისტიკა/დოკუმენტური პროზა

როსტომ ჩხეიძე. რეკვიემი სინანულისა 29
(ირაკლი წერეთლის ბედისწერა)

გიორგი გოგოლაშვილი. ჩანაწერები 43
(რაც თვალს უნახავს ან სმენას სხვისაგან გაუგონია)

იოსებ ჭუმბურიძე. ლიტერატურულ-პუბლიცისტური 47
პარალელები

უკვდავი სახელები

ნოდარ ტაბიძე. მას არც წარსულის, არც მომავლის არ ეშინია 49

ერთი ფოტოს ისტორია

გურნის სკოლის რელიკვია 50

ენა

გიზო ზარნაძე. ვინც ამ წერილს არ წაიკითხავს... 53

კრიტიკა

- 56 ბონდო არველაძე. ტკივილიანი წიგნი
61 ბარბარე ბიძინაშვილი. „ბამბაზიის სამოთხე“ –
„ოცნება, რომელიც არასოდეს არ უნდა დაემსაგავსოს სინამდვილეს“

ორი ფინჯანი

- 62 ჩვენ ფრაგმენტული თაობა ვართ
(კატო ჯავახიშვილს ესაუბრება გიორგი კეკელიძე)

ქართველები შინ და გარეთ

- 64 რუსუდან დაუშვილი. პავლე კვარაცხელია –
ამერიკაში ქართული სათვისტომოს დამაარსებელი

ახალი თარგმანები

- 67 პითაგორას ოქროს ლექსები
(ძველბერძნული და ფრანგული პარალელური ტექსტებიდან
თარგმნა დათო აკრიანმა)
69 კლოდ სიმონი. ფლანდრიის გზა /ნაწყვეტი რომანიდან/
(ფრანგულიდან თარგმნა ილია გასვიანმა)

პრეზენტაციები

- 75 გვანცა ჯობავა. „ცისკარი“ გრძელდება
76 ზაზა ბიბილაშვილის „სასთუმლის ლექსები“
77 ემხვარ კახაძე. პოეტური პერფომანსი „სიზმრების (გ)ახსნა“
79 „მერანის“ წლევანდელი ლაურეატები

ნომრის თემა: თარგმანში დაკარგულნი

- 17 ირმა ტაველიძე. სურათის აღწერა
23 ანი კოპალიანი. თარგმანში ნაპოვნი
31 ქარდა ქარდუხი. თარგმნა – თავშესაფარი შემოქმედებითი
კრიზისისას
35 ნანა გასვიანი. ერთი რომანის თარგმანის გამო
39 ოქტაი ქაზუმოვი. სანამ დუღილი არ გაივლიდეს
55 ნინო დოლიძე. Traduttore traditore
59 სალომე ბენიძე. როგორ თარგმნის საჯარო მოხელე
63 თამარ კოტრიკაძე. მარადიულ ლექსებს რა ვუყოთ?
71 ილია გასვიანი. ახალი მიწების ასათვისებლად
80 „ქართული მწერლობა“ – 2010
წლის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალების სრული სია

გამოსათხოვარი

გრივერ ფარულავა
ფსევდული კაცის განმორება

თამაზ ჩხენკელი განგვემორა. „შეი-
კრა ენაჲ ოქრო-სიტყუაჲ“. რაინდული
თავმოდრეკილობითა და სიამაყით
ემსახურებოდა მიჯნურს 64 წლის სიგ-
რძეზე (1946 წელს გამოაქვეყნა პირ-
ველი ლექსი).

იგი იმ თაობის დამამშვენებელი და
ღვიძლი იყო, რომელსაც სულმეხუ-
თული ქართული მწერლობის, კი-
დევე უფრო დაბეჩავებული ლიტერა-
ტურათმცოდნეობისა და ეროვნული
კულტურის გამოცოცხლების მისია
დაეკისრა გასული საუკუნის ორმოც-
დაათიანი წლების მიწურულიდან. სა-
ბედნიეროდ, მათ საამისო ძალა, ნიჭი
და რწმენა აღმოაჩნდათ.

რათა ქართულ მწერლობას და
ლიტერატურულ აზროვნებას პრო-
ვინციული კარჩაკეტილობისა და სუ-
ლიერი სიბეჩავისაგან დაეხსნა თავი,
თამაზ ჩხენკელმა მთარგმნელობით
საქმიანობას მოჰკიდა ხელი. იგი,
ვითარცა დიდი ერუდიტი და მხატ-
ვრული სიტყვის დახვეწილი ოსტატი,
ორბის ფრთებით მოძრაობს ევრო-
პული, აღმოსავლური და ამერიკული,
არა მხოლოდ ახალი, არამედ ანტი-
კური და შუა საუკუნეების კულტუ-
რის სივრცეში და შინაგანი სმენისა
და ჭვრეტის შესაშური სიმახვილით
მოხილეთებს იმ მარგალიტებს, რომ-
ლებიც გამოაცოცხლებს მშობლიური
კულტურის მოდუნებულ მაჯისცემას.
თუ დასავლური კულტურისაკენ ასე
თუ ისე გაგვეხედებოდა, ინდური და
ჩინური პოეზიისაკენ ბატონმა თამაზ-
მა გაჭრა სარკმელი. თანაც მის თარგ-
მანებს სრულიად არ ემჩნევა ჩრდილი,
რომ ეს ნაწარმოები სხვა, უცხო ენაზეა
დანერილი, იგი დედნის სიმაღლეზე
დგას. ბო ძიუ-ის, თავორის, უიტმენის
თუ ჰომეროსის თხზულებათა მისეუ-
ლი თარგმანი ქართული სულიერი
კულტურის ღვიძლია.


გვამდიდრებდა და გვაძლიერებდა,
რადგან თვითონ იყო მდიდარი კეთილ-
შობილთათვის ნიშნული განძით; რაც
შეეხება ძლიერებას, თვითფლობის

ძალაც გამოარჩევდა და ასხივებდა
მისგან. თამაზ ჩხენკელის სიყრმის
მეგობარი ოტია პაჭკორია იტყვის:
„ჰედონისტური მასში მძლავრია და
თამაზი თრგუნავს მას, ამ დათრგუნ-
ვაშივე ჰპოვებს ძალას სულიერ ღი-
რებულებათა შესაქმნელად. მის პი-
როვნებას ღრმა, პირველყოფილ
საწყისთა ნალექიც ატყვია, მაგრამ
თუ ვინმეზე ითქმის – საკუთარი თა-
ვის განვრთნა შესძლოო, საკუთარ
ვნებათა მოთოკვა ხელენიფებისო –
ისევე და ისევე მასზე“.

ჩვენი თაობა (და არა მხოლოდ იგი)
საღვთო შურით ემსჭვალვოდა ამ
მდიდარ და ძლიერ კაცს, და თუმცა
იგი არ იყო ადვილად საურთიერთო
პიროვნება, ღირსეულთ არ ამადლიდა
თავის სულიერ სიუხვებს. ცხარე ცრემ-
ლებით გამოეთხოვა ჩვენი თაობის
გამორჩეულთ: ზაალ ჟვანიას, თეიმუ-
რაზ მალლაფერიძეს (მშვენიერი წერ-
ილით), გიორგი ჯაფარიძეს...

ტკივილიანია იმის წარმოდგენა,
რომ ველარ ვიხილავთ ჩიტაძის ქუჩაზე
ცოტა აჩქარებული ნაბიჯით დაშე-
ბულ თამაზ ჩხენკელის იმპოზანტურ
ფიგურას, თავანუელს, მიმინოს მზ-
ერას რომ მოავლებდა გარემოს; უახ-
ლოეს მეგობრებში ჩამდგარი, მოლუ-
შულ ამინდშიც გაამზიანებდა ხოლმე
რუსთველის გამზირს... იგი მხნე,
ხმაურიანი (ნამოძახილებიც უყვარდა)
მოაბიჯებს, ქართველის ჯიმი ზეიმობს
მის გარეგნობაში და თავისკენ იკრებს
ნაცნობთა და უცნობთა მზერას...

ქართული სიტყვის მშვენიერების
ხიბლმა მიიყვანა თამაზ ჩხენკელი ქა-
რთული ანბანის არსის თვგადაკლული
მჩხრეკელის ღვანლამდე. ჩვენი ანბა-
ნის გენეზისის, გრაფიკული იერ-სახის
და მასში აკუმულირებული ინტელექ-
ტუალური ენერჯის და ესთეტიკური
ხედვის ძიებისას მას გზას უკვლევს
არა მხოლოდ მეცნიერული ალლო და
ერუდიცია, არამედ შესაშური ძალის
ინტუიცია და წარმოსახვა. „წარმო-
სახვა ცოდნაზე უფრო მნიშვნელოვა-





ნია, – ამბობდა ალბერტ აინშტაინი, – რადგანაც ცოდნა ზღვარდადებულია, წარმოსახვა – ყოვლისმომცველი. ის მეცნიერული კვლევის რეალური ფაქტორია“.

ასე საიმედოდ აღჭურვილი შედის თამაზ ჩხენკელი ძველი ქართული ფოლიანტების ბინდნაკრავ ქვეყანაში, იდუმალების ტვიფარით აღბეჭდილი გრაფემებისა და ჭვირნიშნების საუფლოში და იქ თავის ახოვან სულში მოპარპალე სანთლის შუქს აყენებს. იმ თვალსაზრისს, რომ ასომთავრულის გრაფიკული სისტემის „ამოსავალი პრინციპი“ კვადრატია (ელენე მაჭავარიანი), თამაზ ჩხენკელი ამდიდრებს, მიუთითებს, რომ „რეალურად არსებულ წარწერებში ასოებს ზოგჯერ კვადრატის ეტალონიდან გადახრის ტენდენცია აქვთ“. რატომ? ამ კითხვას პოეტისა და ესეისტის ერთობ საგულისხმო წარმოსახვა ეპასუხება: „ემპირიული ასონიშანი იდეალური მოდელის ასლია და ამიტომ ყოველთვის უპირისპირდება პირნიშნად ზუსტ, ზედმიწევნით პროპორციულ და სიმეტრიულ მოდელს, რომელიც **შიშველი აბსტრაქტულობით** ამხელს გეომეტრიულ სტრუქტურას... მოდელის აბსტრაქტულ გეომეტრიზმს და აბსოლუტურ სიზუსტეს ყოველთვის უპირისპირდება ესთეტიკური ასლის ბუნებრიობა და ცხოველმყოფელობა... ქართული ანბანის შემოქმედი, – გვარწმუნებს თამაზ ჩხენკელი, – მარტო დიდი მოაზროვნე და ანალიტიკოსი კი არ არის, არამედ დიდი ხელოვანიც“. დიდ ანალიტიკოსს და ხელოვანს საუკუნეების მერე ხვდება ნიჭიერი მეცნიერი და ხელოვანი. ბედნიერი შეხვედრაა.

და მერე, როცა თამაზ ჩხენკელს შემოქმედებითი შრომისათვის უფრო შესატყვისი სივრცე მიეცა, მდინარე ვერეს მარცხენა ნაპირზე მოზრდილი ბინის კედლებზე ასომთავრული ანბანის ასო-ნიშნებს მოზრდილი ადგილი მიუჩინა. ეს არის გეომეტრიული სიზუსტითა და ცალკეული ნაკვთის სხვა ნაკვთებთან სათანადო პროპორციებით შეთანადებული ასო-ნიშნების ფერადი სურათები, კვადრატში ჩახაზული წრეების, რკალების, ნახევარრკალების, სწორი და დიაგონალური ხაზების პოლიფონია: თითოეული ასო-ნიშანი თითოეულ სურათზე

გრაფიკული ფიგურაა. „ფიგურების მოხაზულობა, – განგვიმარტავს სურათების პატრონი, – იმდენად განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ თვალი მკაფიოდ და თავისუფლად აღიქვამს მათ ურთიერთსხვაობას. მაგრამ ამავე დროს, ეს ფიგურები ანუ ასონიშნები ერთმანეთთან გარკვეულ მსგავსებას და ერთიანობასაც ამჟღავნებენ, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ თვითეული ასოს მოხაზულობა ანბანის ერთიან გრაფიკულ სისტემას ექვემდებარება... ანბანი ესთეტიკური ფენომენიცაა, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მხატვრული სტილით არის აღბეჭდილი. ქართული ანბანის მხატვრული სტილის საფუძველია ე. წ. გეომეტრიზმი“.

ამ უცნაური ბინის და იშვიათი სურათების ბატონ-პატრონი „ფესვეული კაცია“ („ფესვეული“ ხშირად შეგხვდებით მის წარწერებში) და ჯანსაღი რწმენით სჯერა, რომ ამ ასო-ნიშნებში ქართული კულტურის მესაძირკვლეთა, მის დიდ წინაპართა სული, ხედვა და ძალა დაღეპილი, აკუმულირებული; ძვირფას წინაპართა ძვირფას სურათებს გათვალისწინებს მასპინძელი და თუ მონოლოგი უგრძელდება, მხოლოდ იმიტომ, რომ ფესვეთან შენი სიახლოვის ნიჭი და მაღლი უგრძვნია, გაგნდობია; გახსოვდეს – თამაზ ჩხენკელი არავისგან არ საჭიროებს რაიმე წყალობას (მათ შორის – ყურადღებას). ვფიქრობ, იმისაც სჯეროდა, რომ მისი პირადი ადამიანური მისია ეროვნული კულტურის ძეგლებში დაღეპილი ინტელექტუალური და ესთეტიკური სულის გაცხადება იყო. ამის შეგნება რწმენის სადარი ძალით ავსებდა სიცოცხლის ბოლომდე. ალბათ ამიტომ იტყოდნენ ხოლმე მასზე: თამაზი სხვაზე ნაკლებად დასცილდა სიჭაბუკის სახესა და ხატსო, სხვებზე ნაკლებად ჩანს დაქანცულიო.

ეს ფესვეული კაცი, კოსმოგონიური და მითოლოგიური წარმოდგენების ქვეყანაში გადასახლებული, ამ წარმოდგენების ყავლგაუსვლელ ფეთქვას ქართული ენის წიაღში იყო მიყურადებული, ჩვენი ისტორიის წიაღში ჩხრეკდა. ამის კვალობაზე, ოქროს ზოდებს არა მხოლოდ ვაჟა-ფშაველას ნაწერებიდან ამზეურებდა, არამედ ქართული მოდერნისტული პოეზიის, გალაკტიონის შემოქმედებიდანაც. „სიმბოლიზ-

მის, ამ უზარმაზარი ძლიერებით მორჩმული პოეტური სკოლის, გამსრესი ზეგავლენისაგან მას (გალაკტიონს) იფარავდა თვითონ ქართული ენა, როგორც ტრადიციული, ნაციონალური მსოფლშეგრძნებისა და შემოქმედების ფორმის განმსაზღვრელი ფენომენი, რომელსაც გალაკტიონი, „ყანწელებისაგან“ განსხვავებით, პირველქმნილი, ინტუიციური უშუალოებით ფლობდა“, - იტყვის თამაზ ჩხენკელი. ტრადიციულ-ნაციონალურ-კულტურულ მსოფლშეგრძნებასთან სისხლხორცეული წილნაყარობა, ენაში რომ გამჟღავნდება, უპირველეს ყოვლისა, მიაჩნდა ამ სტრიქონების ავტორს ყოველი მოდერნისტული მიმართულების სიჯანსაღის და დღეგრძელობის ბალავერად. ამ სამყაროს იდუმალი მეტყველების „პირველქმნილი, ინტუიციური უშუალოებით ფლობა“ რომ გალაკტიონს საპროგრამო თვალთახედვად დაესახა, ამის დასტურად მოიხმობდა იგი პოეტის ლექსს - „ვით არ მიყვარდეს სამშობლო ჩემი“. ამ გრძელი შედეგის ოთხი სტროფი:

მე არ გავცვლი გზას, რომლის წარსული თვალუნვდენელი წელინადთ ტყეა. უხსოვარ ხნიდან დროგადასული, აქ დარჩენილი მისი სახეა. ამბობენ, თითქო ამ გზების წინა ან დანგრეული ზღუდე და ბინა უფრო ძველია, ვიდრე ათინა და უფრო ძველი, ვიდრე თვით რომი... იქ ძველის-ძველი, უხსოვარ ხნობის, რაც კი ბილიკი და ნანგრევია, მას ჩემი ყრმობის, საოცარ ყრმობის უნელებელი სევდა ჰხვევია... ნანგრევი... როგორ მიყვარდა მე ის, რამდენი სევდის, რამდენ სიამის - მე დაფიქრებულს, ვინ უწყს, რა წვაში მღელვარე ღამე იქ მითევია...

არქაული მსოფლგანცდის ერთობ საგულისხმო ზოდებს თამაზ ჩხენკელი, ბუნებრივია, ვაჟას ნაწერებში პოულობდა. კარგა ხნის აღიარებულ თვალსაზრისს გამოვხატავ და ვიტყვი, რომ ვაჟა-ფშაველას ფენომენი შესაშური სიღრმითა და შარავანდედით სწორედ თამაზ ჩხენკელმა წარმოაჩინა, გვარანმუნა, რომ არქაულ მითოსურობასთან ორგანული სიახლოვის მიუხედავად, „გენიალური ინტუიციისა და ღრმა თვითცნობიერების“ კვალობაზე, იგი „დიდი ნიჭით ცხებუ-ლი თანამედროვე ხელოვანი და მომა-

ვლის პოეტი იყო“. „მეცნიერულ პროზას“ უნოდებენ მხატვრული ნაწარმოების იმგვარ ანალიზს, რაგვარიც თამაზ ჩხენკელმა შემოგვთავაზა ვაჟას პოემებისა და ლირიკული შედეგების განხილვისას (ვეროპაში - ე. აუერბახის „მიმესისი“, რუსეთში - ს. ავერინცევის წერილები). აი, ერთი ნიმუში: „ღვთაებრივი მსხვერპლთშენიერვით იგი (ალუდა ქეთელაური), ფაქტიურად, ნათლავს „მოუნათლავ გმირს“ და მით განსხვავების, განცალკევებისა თუ გათიშულობის უკანასკნელ ზღვარს შლის თავის თავსა და მუცალს შორის... მზისებრ ამომხდარი მახვილით ქეთელაური ანგრევს შატილის თავზე დამხობილ ტომობრივად შეზღუდული სარწმუნოების „კლდის ცას“, რათა დაანახოს თვისტომთ უასასრულო, მარადიული ცა ქრისტიანული ღმერთისა... უერთდება მტრობით გათიშულ თავის „ლამაზ ძმას“, ღვთის ხატად შექმნილ კაცობრიობას, მის უსასრულო და მარადიულ ღმერთს“.

მეორე ნიმუშად მოვიხმობთ სჯას ნიკო სამადაშვილის ლექსის მხატვრულ სამყაროზე, ფორმასა და სტილზე: „მისი სიტყვა ხაოიანია, ხეიფლიანი და ფეროვანი, მაგრამ მოკლებული კლასიკურ დაკრისტალეზასა და რაფინირებას. ეს ყველაზე კარგად მის რალაცნაირად შეშფოთებულ, დისონანსურად ალუფხულ რითმებში ხდება საცნაური. არის რალაც ხასიათისმიერი ანგრეულობა, რალაც შინაგანი მოუნესრიგებლობა მის ლექსებში, რაც ზოგჯერ უცნაურ სიცოცხლისუნარიანობად თუ იმპულსურ ძალმოსილებად განიცდება. მისი ბევრი ლექსი მე მაგონებს გაუცრელი თიხისაგან გამომწვარ, ასიმეტრიულ დოქებს, რომელთაც ამწნევიათ კოჭრები და ზოგჯერ მომტვრეული აქვთ ტუჩი ან ყური, მაგრამ რომელშიაც შეურყენელი, მაგარი, ძელგი ღვინოა ჩასხმული“. პოეტი და მკვლევარი დადგა ჩვენსა და ამ უცნაურ ლექსებსა და უცნაურ ავტორს შორის.


2002 წლის მარტის მიწურულია. ბატონ თამაზთან ვსტუმრობ. ვერეს „რეზიდენციის“ აივანზე მსხდომი ნიკო სამადაშვილის ლექსებსა და თავკვერის ალისფერ ღვინოს ვუსინჯავთ ჭაშნიკს. გაზაფხული ძალუმად მოსდგომია ვერეს ხეობას, ატმებზე



თამაზ ჩხენკელის უკანასკნელი წიგნის გარეკანი



ანა კალანდაძე



ვახუშტი კოტეტიშვილი



რევაზ თვარაძე

ცეცხლი დაუნთია. ამ განწყობილებას კი ცხადად ამღვრევს სიცოცხლის მომნიჭებელი სანყისის უჩინარობის, სულაც ჩაქრობის განცდა, სამადაშვილის ლექსებიდან რომ მოდის. ვნვალობ და მასპინძელსაც ვანვალეპ ამგვარი სახეების სიღრმეში გზის გასაგნებად. ღმერთი რომ არ ჩანს მისგანვე შობილში, – ადრე ნათქვამს შემახსენებს ბატონი თამაზი, – აქედან წარმოდგება სამყაროს ფუტურობის, სიცოცხლის უაზრობის განცდა. ნახევარსიცოცხლედ, სიკვდილისმაგვარ სიცოცხლედ წარმოდგება ჩვენი ყოფნაო, – ხმის შემალღებით მოკვეთა სათქმელი, გადაშალა წიგნი და პოეტის ეს სტრიქონები წაიკითხა:

ბოღმა კვამლივით მედება ყელზე,
ირგვლივ რიყეა, უდაბნოს ქვები.
ისე დავდივარ ამ ქვეყანაზე,
თითქოს საკუთარ ცხედარს მიყვები.

ეს მხატვრული სახე, – ვეუბნები მასპინძელს, – შეიძლება იოანე საბანისძის გავლენით იყოს შექმნილი. ეჭვნეულად გადმომხედა, სასწრაფოდ გამოიტანა „აბო თბილელის წამების“ ტექსტი. გადაუშალა და წაუფუკითხე: „იგი (აბო) ისე მივიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკუდარსა, ეგრე ჰხედვიდა თვისსა მას გუამსა. და სულითა თვისითა მოგზაურ ქმნული თვით იტყოდა ფსალმუნსა ამას ას და მეთრვამეტესა“. საოცარია, – ბრძანა, – წიგნი გამომართვა, თვითონვე ჩაიკითხა, – მსგავსი კი არა, თითქმის იგივეა, მსოფლმეგრძნების საფუძველი კი, რა თქმა უნდა, სხვადასხვაა... და მაინც...

მრავალთაგან ერთ ღირსსახსოვარ მოგონებას გავაცოცხლებ. 1989 წლის ივნისი იდგა. კავთისხევეში შევიყარეთ: თამაზ ჩხენკელი, რეზი თვარაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი და მე – მასპინძელი. კარგა მოსალამებულზე მივუსხედით სუფრას, რადგან ვახუშტიმ დაიგვიანა. დაიგვიანა, მაგრამ მხარდამშვენებული მოვიდა, თან მოჰყვინენ: გერისო კელაპტრიშვილი, რაიონის კულტურის მესვეური და მისებრ ტკბილად მგალობელი კიდევ ერთი კაცი. სიმალღესა და სივრცეში გვარიანად წასული კაკლის ძირში გაშლილ სუფრას ბედაური, ხორციანი სიტყვა და სიმღერა ამკობდა, საკაიდ-

ლეო, სამოყვრო ამინდი დაეყენებინათ სტუმრებს მასპინძლის ეზოში. იმ სადღეგრძელოთაგან, რომელთაც ის ღამე გაგვიმზიანეს, ერთი გამორჩევით მოხვდა სტუმრებისა და მასპინძლის გულს. სულნათელი ნიკო ცხვედაძე, უნივერსიტეტის შენობის ამგები, კავთისხეველი კაცი იყო. ვახუშტის მამას, თავად კავთისხეველ ვახტანგ კოტეტიშვილს, თანასოფლელებთან ერთი პურობის ჟამს მათთვის უამბუნია: ნიკო ცხვედაძე კავთისხეველ გლეხებს გარიგებია, მშენებლობისათვის კირი სასხორიდან გვიზიდეთო. ისინიც დათანხმებია, უზიდნიათ. შემონირულობის გზით შეგროვილი სახსრებიდან ფული მხოლოდ სანახევროდ გასწვდენია მეურმეების გარჯას. ვალდებული ნიკო ცხვედაძე ერთობ წუხდა თურმე. საუნივერსიტეტო შენობის გახსნაზე მას თანასოფლელი მეურმეებიც დაუპატიჟებია. ამ ზეიმზე ნახულს და გაგონილს მეურმეებზე ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ ნიკო ცხვედაძისათვის უთქვამთ: შენ ისეთი საქმე გიქნია, სირცხვილ-ნამუსი როგორ გვიზამს, ფული გამოგართვათო. ჩვენთან და ღმერთთან ალალი ხარო.

მე კი ახლა, – მიუმართავს ვახტანგს თანამეინახე თანასოფლელებისათვის, – იმ კავთისხეველი მეურმეების სადღეგრძელოს გთავაზობთო.

ეს გვიამბო ვახუშტიმ და დაუმატა: ეს სადღეგრძელო ჩვენს ოჯახში ხშირად დაღეულა, ახლა აქ იმ მეურმეთა შთამომავლებს, სტუმრებს და ჩვენს მასპინძელს, ნორჩ კავთისხეველს, მე გთავაზობთ იმ მეურმეებისა და ქვეყნისთვის ალაღად ნამსახური ქართველების სადღეგრძელოსო.

ღამის ორ საათზე გაგვეყარნენ უებროდ მომღერალი კავთისხეველნი, სუფრა ლიტერატორებს გადაულოცეს. ახლა ლექსი დაწინაურდა. მოკრძალებულ სიმღერას მეზობლის შემალღებულ ბექობზე გაშენებულ ბაღს შემოჩვეული ბულბული ექომაგებოდა. ნაკითხულთაგან ზოგიერთი მახსოვს: რეზი თვარაძის მიერ გახმოვანებული გალაკტიონისეული „შადრევნების ვედრება“, „ჩამავალ მზეს, ჩამავალს...“; ნიკო სამადაშვილისეულ – „ნიკო სამადაშვილს“ ვახუშტი რომ შეუდგა თავისი ხაფი ხმით, ღობესთან ალანძული ჭერმის ხიდან რომელიღაც

ჩიტმა სასწრაფოდ უშველა თავს; მე სამადაშვილის „ატენის სიონი“ ნავიკითხე; ბატონმა თამაზმა გალაკტიონის ლექსის „ვით არ მიყვარდეს სამშობლო ჩემი“ რამდენიმე სტროფს, წუთიერი შედგომის, მერე ანა კალანდაძის ეს შედეგური მოაყოლა:

შენ მე ყოველთვის მომცემ წყნარ სადგურს
სულთ დასამკვიდრებს
და მშვიდთა ცაათა ამოენთება
ვარსკვლავი კიდეთ,
დაუბრუნდებათ თავისი ფერი
დიდებულ ნაძვებს
და კვლავ სიჩუმე მოიცავს ყოველს,
ვითარცა ტაძრებს...
განძად გპოვებდი: მექმნები შიშად
და არა ლხენად...
თუ ჩაქრე, მეცა მივდრკები ქრობად,
ფოთოლთა ცვენად...
თუ არა – მუდამ დამიბრუნდება
ჩემივე რწმენა,
მზე დიდებული – ვით ლამაზ მინდვრებს...
შენ მე ყოველთვის მომცემ წყნარ სადგურს
სულთ დასამკვიდრებს.

კითხულობდა მისთვის უჩვეულო დაბალი ტონალობით, შემდოვრებული რიტმით, თითქოს საკუთარ ხმას თვითონ იყო მიყურადებული. მერე კი სულ რამდენიმე ფრაზა თქვა ამ შედეგზე. ერთობ ცოტა და ერთობ ბევრი კი იყო ნათქვამი. დასავლეთისაკენ გადახრილი სავსე მთვარის სხივებით ამოვსებულ სივრცეში საოცნებო მყუდროება დასადგურებელიყო, თითქოს ყველა ქმნილება შეერთხმებულიყო. შორიდან, თვალადის მისადგომებიდან თუ ქსილისის ფერდობიდან, წამოსული სევდიანი კივილი ჭოტისა დროდადრო თუ გაკანრავდა ამ მყუდროებას.

„ცისკარ ოდენ იყო“, ეს დაუვიწყარი სერობა რომ დამთავრდა. გამომშვიდობებისას ახალგამოცემული „მშვენიერი მძლევალი“ გადმომცა. წიგნის თავფურცელზე წაუწერია: „გრივერს – მეცნაურს და „გეორგოსს“, ძმური სიყვარულით – თამაზისაგან“. 1989. VI“. წიგნის ბოლოს იმ დღეს და იქვე

შეთხზული ლექსია იისფერი მეღნიტ მოხაზული:

აქ, კავთისხევში –
გრ. ფარულავას

შრიალი გააქვთ ხეებს ასწლოვანს,
სმენას გიამებს სიტყვა ჯანმრთელი,
და შენ თბილისის დედინაცვლობა
გულს აღარ გიკლავს: კი ხარ ქართველი.

და როგორც სანთლით მბრწყინავი ნიში
(არც მყრალი ქუჩა, არც სამმართველო) –
აქ, კავთისხევში, ამ კაკლის ძირში
სულ სხვანაირი ჩანს საქართველო.

1989. 18/VI
გრივერის ეზოკარში
კავთისხევი


ქართული სიტყვის უებრო მიჯნური განგვეშორა. ოტია პაჭკორია ასე იტყვის ამ მიჯნურობის შესახებ: „სიტყვა მისთვის გაცილებით მეტია, ვიდრე ურთიერთობათა საშუალება, მეტიც, ვიდრე პოეტური მეტყველების იარაღი, მისთვის სიტყვა არის იდეა, ფეტიში, ღვთაება... იგი თავგამოდებით იბრძვის ამ სიტყვის თავისთავადობის და შეურყვნელობისთვის, რადგან მას ერთადერთი სიმდიდრე გააჩნია – სიტყვა, ქართულად თქმული“.

მოგონებას იმით დავამთავრებ, რაც მაშინ, 1989 წლის ივნისის იმ ღამეს, როცა ბატონი თამაზ ჩხენკელი ანას შედეგზე ორიოდ ფრაზას გვიზიარებდა, ვიფიქრე, მაგრამ ვერ გავბედე მეთქვა (მჩატე პათეტიკა არ იყოს-მეთქი): თამაზ ჩხენკელს რომ მეთორმეტე საუკუნეში ეცხოვრა, ჩემი წარმოდგენით, სულის არისტოკრატთა იმ მცირერიცხოვან დასს დაამშვენებდა, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს რომ რუსთავში თუ ხერთვისის დედისეულ მამულში სწვეოდნენ, მასპინძელი კი მათ ავთანდილისგან შვიდთა მნათობთადმი აღვლენილი საგალობლის მეღანმეუმშრალ ტექსტს უკითხავდა.

გრივერს –
მეცნაურს და „გეორგოსს“,
ძმური სიყვარულით –
თამაზს
1989. VI.

აქ, კავთისხევში –
გრ. ფარულავას
შრიალი გააქვთ ხეებს ასწლოვანს,
სმენას გიამებს სიტყვა ჯანმრთელი,
და შენ თბილისის დედინაცვლობა
გულს აღარ გიკლავს: კი ხარ ქართველი.
და როგორც სანთლით მბრწყინავი ნიში
(არც მყრალი ქუჩა, არც სამმართველო) –
აქ, კავთისხევში, ამ კაკლის ძირში
სულ სხვანაირი ჩანს საქართველო.
1989. 18/VI
გრივერის ეზოკარში
კავთისხევი

პოეზია




ვახტანგ ჯავახიაძე
მხოლოდ ერთი

სადაც პოეტი დაეცა, იქ აგვიშენეს საქვაბე,
შემოგვაპარეს ფარული აბრუნდები და ზაკვები.
ძეგლის მაგიერ საქვაბე! – არ გაგვიცივდეთ, ჯიგრებო!..
ჩვენ თუნდაც ელექტორატის არმია შემოვიკრიბოთ,
ვერ გავაძევებთ ქვანახშირს დიაბაზით და ამარტით,
თბილი სკამი და ბუხარი ძალიან უყვართ, ამათი...
მისკენ მიქნია პირი და ცოცხლებს გვჭირდება ძეგლები,
ვიდრემდის კომპიუტერის საიტზე ავირეკლებით.
და ვიდრე ტემპერატურა პულსივით მესინჯებოდა,
მე თვითონ ამოვიკითხე ანდერძის მესიჯებიდან:
– რაკილა ვერ ააშენეთ საქვაბე სათადარიგო,
ნესი და ძეგლი, ძამიკო, ზაფხულში უნდა ამიგოთ.

„ინტელექტი“ გთავაზობთ

შოთა ჩანტლაძე
„100 ლექსი“



გამომცემლობა „ინტელექტმა“ სერიით „ასი ლექსი“ საიუბილეო 50-ე ტომი გამოსცა.

წიგნში შოთა ჩანტლაძის ლექსებმა მოიყარა თავი.

კრებული შეადგინა **ჯარჯი ფხოველი**. წინასიტყვაობაში პოეტი წერს პოეტზე: „შოთა ჩანტლაძე სიცოცხლეშივე ბევრს „სიმარტოვის რაინდი“, განზე გამდგარი და ამოუხსნელი ყარიბი ეგონა, ამის საბაბს იძლეოდა კიდევ იგი თავისი ცხოვრებით“...

თუმცა, ამ სიმარტოვის და გარიყულობის სანაცვლოდ, მის შემოქმედებაში გამოაშუქა სამშობლოზე, კაცობრიობაზე შეყვარებული პოეტის დარდმა და სიხარულმა, ტკივილმა და ბედნიერებამ. სწორედ ეს შემოქმედება იქცა პოეტის უკვდავების სანინდრად და, ამიტომაცაა, რომ თავის ეპოქაში, თანამედროვეთათვის თითქმის უცნობი სახელი დღითიდღე იხვეჭს პოპულარობას.

„ინტელექტი“ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გეგმავს პოეტურ აქციას – „ასი ლექსის ქვეყანა“. ამ სერიის ფარგლებში გამოსული კრებულები მთელ საქართველოში იმოგზაურებენ პოეტური სიტყვის ფართო მკითხველამდე მისატანად და პოეზიის საყოველთაოდ გასავრცელებლად.

ნოშრევან ჯიშკარიანი
ლექსები

„ქართლად ფრიადი ქუეყანა
აღირაცხების“

გიორგი მერჩულე

ის, რაც წინათ ქართლი იყო,
არ აღირაცხების ქართლად.
შენი შავშეთ-ერშეთი,
ტაოსკარი სხვას ჩაბარდა.
ჩვენი ძველი სამშობლოს
ვდგავარ ზედ დაგმანულ კართან,
დაგვიკინიდა ძველი ქართლი
და ახალიც გადაგვარდა.
შორით ელავს სიზმარეულ
შენი შატბერდი და ხანძთა,
რაც ვერ დანვეს, დაანგრის
და რაც გადაურჩა ხანძარს,
მქონებელი დიდებულთა
სულიერთა ძველთა განძთა.
ჭოროხს იქით თქვენი მოთქმა,
ძმებო, ნეტავ სანამ გასტანს.
იქით მიხმობს მე ხანძთელის
სული და ძვალთშესალაგი,
წინაპართა ბილიკები,
მათი სადგომი ალაგი.
მინდა, რომ იქ დავიჩოქო,
ვეამბორო მიწას ზაგით,
ვაი, როგორ დაგვიკინიდა
„ქუეყანა იგი ფრიადი“ ...
ის, რაც წინათ ქართლი იყო,
არ აღირაცხების ქართლად...

ტერენტი გრანელს

სიყრმის ჟამს მკლავზე ანაცერივით
ვერ მოიშორე ლექსი და სევდა,
ლექსი მსუბუქი – ანას წერილი
შენ აჩრდილივით ფეხდაფეხ გდევდა.
დაგენია და ლექსმა მოგაშთო,
მანამდე – სევდამ, დარდმა, ლოთობამ,
ქარმა მოტეხა ოცნების ის შტო,
ზედ რომ ეკიდა შენი ობლობა.
გეზმანებოდა „Memento Mori“,
ლურჯი დაისი, ზეცის სარკმელი...
ცრემლებმა ლექსი გადაგითქორეს
და ახლაც ცრემლის სურნელს აკმევენ.
ყველა მიზანი – ნაცარნაყრილი,
ყველა ოცნება – გადაბელილი,
მინასთანა და ცასთან გაყრილი
სული ლექსებად გადაწერილი.
სიყრმის ჟამს მკლავზე ანაცერივით
ვერ მოიშორე ლექსი და სევდა,
ლექსი მსუბუქი – ანას წერილი
შენ აჩრდილივით ფეხდაფეხ გდევდა.

ფიქრები

დარუბანდით, ნიკოფსით,
ტრაპეზუნტით, ერუშეთით,
ქართლ-კახეთით, იმერეთით,
ეგრისით და მთა-თუშეთით...
ზოგი სხვაზე გავასხვისეთ,
რაზეც დავრჩით, ვერ ავშენდით.

ათასწლობით ხმაღს ვიქნევდით,
დაგვიჩლუნგდა პირი რომლის,
ირან-თურქეთს რაღას ეტყვი,
ერთმორწმუნე გვჭამდა რომი,
ჩვენს ზედს ხშირად ისე წყვეტდნენ,
ჰგავდა გაგორებას რამლის.

რუსთხელმწიფე თეთრ რუსეთის,
საბერძნეთის კეისარი,
სამშობლოს რომ წაგვართმევდნენ,
ის ხდებოდა საფიცარი.
სომხებიც რომ მტერს ნახავდნენ,
კარს უღებდნენ ჰაი-ჰარად.
ნეტავ სანამ ვიყურყუტებთ,
ნუთუ არ ჩანს საყუდარი?
სამშობლოში უსამშობლო
ცოცხალიცა არის მკვდარი.
ვინემ ასე, ვინემ ასე,
სამშობლოო საწუკვარო?!

ა-ს

სიტყვაც არ გითქვამს, დამშორდი ისე,
კოცნის მზითვევი ვერ გისაგზალე,
დღეს სიყვარულის კოშკი დამივსე
და გამირიე ქუჩის სანყალებს.
ახლა ლამეა, დაეშვა ფარდა,
ქარის ხავილი და შრიალია,
ვხედავ ყოველი წარსულს ჩაბარდა,
ნუღარ ვიკითხავთ, ვისი ბრალია.
სიზმარეული დარჩა ზმანება,
ალარც ადრეა, არც გვიანია,
გული მომიკლეს მინანქარებმა,
ცრემლით ხელები დამიბანია.

მამულს

შენ ვენახივით როცა ირთვები,
სიჩუმე მიაქვთ ზეცისკენ ქორებს,
ღმერთო, ო, ერთხელ
ქართლის მინდვრები
გამიდიდგორე, გამიშამქორე.
მე შენს მზის სხივზე
თავს ჩამოვიხრჩობ,



ნოშრევან ჯიშკარიანი დაიბადა
1953 წლის 29 დეკემბერს, მარტვი-
ლის რაიონის სოფელ ნაგვაზაოში,
დაამთავრა ნაგვაზაოს საშუალო
სკოლა წარჩინებით. ჩაირიცხა ივანე
ჯავახიშვილის სახელობის სახელმ-
წიფო უნივერსიტეტის აღმოსავ-
ლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე,
სპარსული ენისა და ლიტერატურის
სპეციალობით. იყო საქართველოს
მეცნიერებათა აკადემიის რუსთავე-
ლის სახელობის ქართული ლიტ-
ერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-
თანამშრომელი, ფილოლოგიის მეც-
ნიერებათა კანდიდატი. წერდა და
თარგმნიდა ლექსებს. ახალგაზრდა
პოეტის ლექსები სევედთა და პა-
ტრიოტიზმითაა გაჟღერებული. რო-
გორც პოეტი, იგი უცნობია ფართო
საზოგადოებისთვის, მაგრამ საქმა-
რისია ნავიკითხოთ და დავრწმუნ-
დებით, რომ მისი შემოქმედება გა-
ჯერებულია პოეტური ოსტატობით.
ჩვენს შორის მყოფი, სიცოცხ-
ლეში ჯერ კიდევ სათანადოდ არ-
დაფასებული კაცის საზომი ერთე-
ული ადამიანობა გამხდარა. შო-
თასმთიერი ჩაგონებით, „სჯობს სა-
ხელისა მოხვეჭა, ყოველისა მოსახ-
ვეჭელსა“ – უცხოვრია და უღალა,
უკეთებია კარგი, დახმარების
ხელი გაუწვდენია ყველასთვის –
ვისაც იცნობდა და ვისაც არ იც-
ნობდა. მისთვის უცხო იყო ღალა-
ტი, მჯიღისცემა, დასმენა, შური...
დღესაც მოწინებით იხსენებენ ნი-
ჭიერ, მეგობრისა და ვაჟკაცობის
დამფასებელ ქართველ კაცს. ამ
მრწამსით იცხოვრა. მოულოდნე-
ლად გარდაიცვალა 1988 წლის 9
თებერვალს, 34 წლის ასაკში.



ნოსრევან ჯიშკარიანის სტუდენტობამ და ასპირანტობამ ჩვენს თვალწინ გაიარა, შემდეგ კი იგი ჩვენი კოლეგა გახდა. გამორჩეული იყო, როგორც სტუდენტი, ასპირანტი თუ კოლეგა. სტუდენტობის წლებში მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, სადაც სწავლობდა, შეიძლება ითქვას, სიცოცხლე შეიტანა. სიცოცხლით სავსე ეს ახალგაზრდა მუდამ ახალი და საინტერესო ღონისძიებების წამომწყები იყო. განსაკუთრებით უყვარდა ექსკურსიების ორგანიზება და სამშობლოს წარსულითა და სილამაზით ტკბობა. ამავე დროს ნოსრევანი წარჩინებული სტუდენტი და ასპირანტი იყო, სამეცნიერო ხარისხიც მალევე დაცვა წარმატებით.

ამ ახალგაზრდა კაცს ურთიერთობების დიდი ნიჭი ჰქონდა მომადლებული. იგი ერთნაირად იკრებდა თავის ირგვლივ სხვადასხვა ასაკის ადამიანებს და სიყვარულით ათბობდა მათ გულებს.

ნოსრევან ჯიშკარიანს სიცოცხლეში იცნობდნენ როგორც მეცნიერს, გარდაცვალების შემდგომ კი იგი გამოგვეცხადა, როგორც კარგი პოეტი და მთარგმნელი.

**მაგალი თოდუა
ნომადი ბართაია**

პუბლიკაცია მოამზადა
ბესიკ გვაზავამ

ერთხელ განმზანე სისხლით ნათელით,
შენს ანანიას, ქიტესას, ღვთისოს
მეც რომ ავუნთო ერთი სანთელი...
შენს ოღროჩოლო გზებზე მატარე,
მინა მაზილე, თიხა აყალო,
ბედნიერებად ისიც მაკმარე,
რომ შენი მინა მკერდს დამაყარონ...
შენ ვენახივით როცა ირთვები,
სიჩუმე მიაქვთ ზეცისკენ ქორებს,
ღმერთო, ო, ერთხელ
ქართლის მინდვრები
გამიდიდგორე, გამიშამქორე.

თიხასავით სული ვძერწე,
რომ გამეგო ხმა ღმერთისა,
მერე მოდგნენ, ამინენს,
რადგან ბოროტს ვერ ეთვისა.

არ აყვავდა ჩემი ვარდი,
არ შემოჯდა მაფშალია,
გულს ლოდივით მანვეს დარდი,
სულის წყარო დამშრალია.

მე ვარ დარდის გუთნისდედა
და სულს თიხასავით ვძერწავ,
საამქვეყნო ოცნებანი
საიმქვეყნოდ გამიბერნდა.

მარტვილის მიდამოები

ტეხურით დაკნაკნილი
კვამლი ადის ზეცად წამლის,
სიყვარული შენი წილი
ვერ ვიშოვე ვერსად წამლად.
სევდიანი შენი მთები,
როგორც ძველი ნასახლარი,
აქ სულ თვალწინ დაგიდგება
შენი ტკბილი წინაპარი.
და აქ სალი პატრიანოს,
დილა დგება ისე მშვიდი,
თითქოს ცოტნე დადიანი

ძმათ სახსნელად ანის მიდის...
„ჩეგოლა“ და „წკირიშ გოლა“
დაუთეთრავს თოვლის ფანტელს,
იმდენ სევდას აღძრავს გული,
სტრიქონებში ველარ ვატევე.

ველი შენს ნახვას სიზმარში
ვით ქრისტეს გამოცხადებას,
უარვეყვ ყველა სახატე,
ვინამე შენი ხატება.

სამშობლოს ნისლი მახურავს
ტანზე მე ჯაჭვის პერანგად,
მხოლოდ მაგ შენმა ღიმილმა
სიცოცხლე გამიფერადა...

გაზაფხული. ჭყონდიდი

მე ჭყონდიდის შარაზე წინ
მხვდებიან ძენები,
ის სუნით დამშვრალი
სადმე გადვიხვენები,
აკაციის ზენარში, თითქოს
ჩვილის აკვანში,
ირნევიან ლანდები ხეთა
მაგან-მაგანის.
წინაპართა ლანდები მე
გზად გადამელობა,
ახლა ჭიქა ღვინო და ეს
დარდები მეყოფა...

ნეტა ერთი, ცხოვრება
დამანყებინა თავიდან,
თავიდან შეგიყვარებდი,
თავს განაცვლებდი თავიდან,
შენს ღმერთთან მსხვერპლად ვიდოდი
წინაპართ სალოცავითა...

„სიტყვით ვერ გამომიტყვამს ჩემი სიმძიმელი. დიდად ნიჭიერი, ყველასათვის საყვარელი, შესანიშნავი მომავლის მქონე ახალგაზრდა ვაჟი, დაუფინყარი ნოსრევანი გამოგვეცალა ხელიდან. მეგონა ის აიღებდა ჩემს კუბოს, ბუნებამ კი სხვაგვარად, საზარლად იზრუნა მის ბედზე. განუზომელია ჩემი მწუხარება მომხიბლავი ნოსრევანისადმი, უახლესი მეცნიერების თაობის შესანიშნავი წარმომადგენლისადმი... როგორი ერთგული, პატიოსანი, ყოველმხრივ დამშვენებული უმცროსი მეგობარი დაკვარე!“ /1988 წელი/

აკაკი განერულია

სოსო მეშველიანი
ლექსეზი

მონადირის უკანასკნელი ღამე

ხომ შეგიძლია, ამ განცდისგან უფალო მიხსნა,
თუ საშველია, მისაშველე, სანამ ვიზღავლებ!
ამ კარაბინის სამიზნეში ალებულ ჯიხვს გავს
ვინრო ნაპრალში გაჭედული ჩემი იღბალი.

ვიცი, ზედმეტი მომივიდა, სამი მოვკალი
(ალბათ იმ სიზმარს, დედაჩემი ტყუილად დანვავს),
ვუმზერ, ჩემს გასწვრივ ვარსკვლავები როგორ როკავენ,
აკეცავს დალიც ჯურღმულებში ჩაშვებულ ნაწნავს.

თვალეში ელავს ლამარიას მაცხოვრის ფრესკა,
საკმეველის სუნი მომაფრქვიეს მშრალმა ნისლებმა.
აქ ყველაფერი, ამ სამყაროს გაჩენის დღეს გავს...
შიშით კი არა, სინანულით, სევდით ივსება

ეს ჩემი გული, რომ იცოდე ღმერთო მაღალო!
ვკვდები, ეს ღამე თან გამყვება გრძნეულ სიზმრებად.
ცოდვებს სულ უფრო დავიმძიმებ, ვიცი ახლა, რომ
ასეთ ღამეში, ავტირდე და ცრემლი დავღვარო.

დედაჩემს

მინაშემხმარი, ჩაგიღრმავდა კანის ხნულები,
ღვივდება მუჭის სიბნელეში თესლი ჯადვარის.
აგიყვავდება, დედაჩემო, ხელისგულები,
კანის შიგნიდან ანათებ და, მათ კი ჩათვალეს,
ამ სინათლისგან გაჩენილი, ვავსებ უკუნეთს.
დახვალ, მგონია, შენ კი არა, არე ირხევა,
ხოლო სუსტ მხრებზე, დროის სივრცე განევს იმხელა,
მიკვირს, მინამდე თავდახრილი როგორ უყურებ
თვალეში ღმერთებს.

მიტოვებული წისქვილი

*„დავეხეტები საგოდებელივით გადაშლილ
ჩემს სამშობლოში...
ტურა გაპკივის ჭირისუფლის სიმღერას
და ზმანებას მიფრთხობს“
ფრიდრიხ შოლდერლინი*

ამ ხვატში,
ჩიტი ფრთას უნიავებს,
ცას მიშტერებულ პირლია ბარტყებს.
ჩაქრა სიცოცხლე, ნა(რ)სული არის
სოფელი, სადაც ფინიაც არ ყფეს.
უკვე ქვევრების ჯაგრისებისთვის
არ ატყავებენ გლეხები არყებს.



დავიბადე 1974 წელს სოფელ
ნანარში (ქვემო სვანეთი). სკოლის
დამთავრების შემდეგ ჩავაბარე
ქუთაისის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტში, ისტორია-ფილოსოფიის
ფაკულტეტზე, მაგრამ ოჯახური
პირობების გამო იძულებული
გავხდი სწავლისთვის თავი დამენე-
ბებინა და საზღვარგარეთ წავსუ-
ლიყავი. ამის შემდეგ შორეული
სტუმარივით ვსტუმრობ ჩემს
სამშობლოს. ვცხოვრობდი რუ-
სეთის სხვადასხვა ქალაქში. ათი
წელია ესპანეთში ვცხოვრობ.
ლექსების წერა უნივერსიტეტში
დავინწყე, თხუთმეტ წელზე მეტია
ვწერ, თუმცა გამოქვეყნებით ეს
ბოლო წლებია, რაც ვაქვეყნებ. ამ
მხრივ ჩემს იქ არ ყოფნას ხელი არ
შეუშლია. პირველად ჩემი ლექსე-
ბი ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა,
შემდეგ სხვადასხვა ლიტერატუ-
რულ ჟურნალ-გაზეთში, მათ შო-
რის „ჩვენს მწერლობაში“, რომლის
პრემიის ლაურეატიც გავხდი. ამ-
ჟამად ვცხოვრობ ბილბაოში. მყავს
მეუღლე და ვაჟიშვილი გიორგი.



თხმელის უგრილეს ტანს ვეხუტები,
რომლის ძირიდან ცივი წყარო დის,
არც მესამედი, არც მეხუთედი
არ ვარ პოეტი, უფრო პაროდისტს

ვგავარ ლექსების. წყალში ბაყაყი
მოფარებია მომწვანო ქვირითს,
მკვდარ სოფელს ვკითხე – „მაგვარდ მაყახი?“
– ხსოვნას მტვერიც კი ამძიმებს ფქვილის.

მწიფე ძახველი გახსოვს, კვირიკე?
ხსოვნას შემხმარი, მჭავე სისხლივით.
კვეთს, ლოკოკინის მბრწყინავ ბილიკებს,
ობობას ქსელში გაცრილი სხივი.

არშემდგარი დიალოგი კუნძულზე

თქვენ მგონი ახსენეთ მონმარტრი,
დონ-მარტინ!
ასე უადგილოდ და ასე უბრალოდ.
(თქვენ ხართ წარმოშობით აზიატი)
რა თქვენი ბრალი არის, რომ მარტის
დაგყვით უხეირო ხასიათი,
არ გიყვართ ყველასთან საუბარი.

ვენევიტ. ლიმონის ბალთან ვზივართ.
თქვენ გაქვთ შესაშური ფანტაზია,
ამიტომ თავიდანვე გაფასებდით.
ვერთობით თავბრუდამხვევ ნაფაზებით,
არ გიყვართ არც მხატვრობა, არც მუსიკა,
გიყვართ უნამუნო (ფანჯრის რაფაზე კი
ქოთნით პატარა კაქტუსი დგას).

თქვენ უკვე შეეშვით გალაქტიკებს,
მინაზე დაეშვით. ჭარხლის და ბოლოკის
მოყვანა დაიწყეთ.
და ეს არც ეპილოგია და არც პროლოგი.
ზოგჯერ უცნაურად მაკვირდებით
ეს ძველი, ცნობილი ასტროლოგი.

ვზივართ და ქარმა ოკეანის
უსასრულობიდან დაგვიბერა,
ისევ შეარხია ლიმონები.
თქვენი თუთიყუში „მარიბელა“
კენკავს, მაგრამ ველარ იმეორებს
სიტყვებს. და ჩიჩახვი ებერება
როგორც თქვენ, დონ-მარტინ-ებერელა.

* „მაგვარდ მაყახი“ – სვან. როგორ მყავხართ ან როგორ გიკითხოთ.

მხატვრული პროზა

ჯემალ მებრიშვილი
ნამიერი შური

შპს „ახალი ქსელების“ დიდუბე-ჩულურეთის რაიონის ერთ-ერთი საანგარიშსწორებო ჯგუფის დარბაზი აბონენტებს ისე გამოუჭედავთ, ნემსი არსად ჩავარდება. მართალია, შიგნით დილიდანვე მხოლოდ თაბუნ-თაბუნ უშვებდნენ, მაგრამ ახალბედა, ტუჩებზე ჯერ რძეშეუმშრალმა ყმანვილმა პოლიციელმა თავისი გამოუცდელი ბითა და სიმორცხვით ერთ-ერთი მორიგი შეშვებისას ველარ მოიარშია დედისოდენა ქალებისა და მხარბეჭა მამაკაცების მუნჯური მონოლა და დარბაზში ღვარავით შევარდა ერთ ჯერზე დადგენილ ნორმაზე გაცილებით მეტი გადამხდელთა რაოდენობა.

– რა ამბავია, სუნთქვა აღარ გვინდა?! – იწვილა ტურენბანამანმა ოპერატორმა ქალმა, – გოჩა, მანდ რისთვის დგახარ – რატო უშვებ ამდენ ხალხს?

– ჩაკეტე კარი და სანამ ჩვენ არ გეტყვი – აღარ გაალო! – გამოსძახა აჭარხლებულ უწვერულ პოლიციელს მეორე, ჭყეტელა ოპერატორმა, – „პერერივამდე“ ნეტა ესენი გაგვასტუმრებინა!.. წყნარად, წყნარად!.. შემდეგ! ნომერი? გვარი?..

ყველა ადგილზე მოუსვენრობს, ყველა შფოთავს. ოპერატორების ბარიერთან და სალაროსკენ ბევრი ურიგოდ გაძრომასაც ლამობს. შელავათის იმედით ზოგ დედიკოსა და ბებუას კი ბავშვი აუტატებია და მოთმინებით უცდის თანამომხეთა გულმონყალებას. არც არავის გაემტყუნება: დეკემბრის ბოლო დღეებია და მიწურვაზეა როგორც ძველი წელი, ისე XX საუკუნეც! ამიტომ არავის სურს თავცოცხალი ვალიანი შეეგებოს როგორც ახალ წელს, ისე ახალ, XXI საუკუნეს, რომელსაც, თავის ფიქრებსა და ოცნებაში, ვინ იცის, ვინ რას უკავშირებს!!!

სქლადჩაცმული მოქალაქეებით გამოჭედილი მომცრო დარბაზი აღელვებულ საფუტკრესავით გუგუნებს. მღელვარება მას აქეთ უფრო გასამაგდა, რაც ვილაც ენადაუღლემა ქალმა ხმა გაავრცელა: ნავთულის ბა-

ზრობაზე მარნეულელ თათრებს ორი სატვირთო მანქანა ინდაური ამოუყვანიათ და ჩალის ფასად უძღვევნიათ!

ვინც პირდაპირ აქედანვე აპირებს ბაზარში გავარდნას, ფულს შტერული ჩაფიქრებით ითვლის და საგონებელში ვარდება: ნეტავი, რამდენს წაიღებს ეს სატელეფონო გადასახადი და რამდენილა დარჩება საბაზროდ?! ამიტომ უკიდურესად ნერვებდაჭიმულები, ერთმანეთს ეჭვით ათვალეერებენ და წარამარა წესრიგთანობისკენ მოუწოდებენ.

– ქალბატონო, თქვენ ვის შემდეგ დგახართ?.. როგორ თუ „ვის შემდეგ?!“ ვის შემდეგ ვდგევარ და ვის შემდეგაც მხედავთ! აი, ამ კაცის შემდეგ!.. როგორ გეკადრებათ – მაგ კაცის შემდეგ აი, ეს ბიჭი დგას, თქვენ კი მერე მოხვედით და მოუდექით!.. გასაკვირი! აი, თუგინდ ამ მამაკაცს ჰკითხეთ – ხომ ვიდექი, ბატონო ჩემო?.. იდგა, იდგა!.. არ იდგა, არ იდგა!.. აჰ, ტყუილს რატომ კადრულობთ – ეს ქალბატონი აქ არ მდგარა!.. აბა, სად ვიდექი?.. არ ვიცი, ეგ თქვენ თვითონ გაარკვიეთ, სად იდექით!.. გეყოფათ!.. კარგი!.. ჩააყენეთ!.. – არ ნელდება გულშესანუხებელი კამათ-ტიტყინი.

მხოლოდ ერთი, ორმოცდათხუთმეტოდე წლის მამაკაცი დგას უბრად და აუღელვებლად. ფეთქებადსაშიში ვნებათა ღელვით დატენილ აბონენტთა შორის მისი ეს თვალში საცემი აუმღვრევლობა დანარჩენებს იმდენად არაბუნებრივი ეჩვენებათ, რომ მას ანგარიშში ჩასაგდებად არც კი მიიჩნევენ და ვილაც თავის უბედური ჰგონიათ. მათ ამგვარ ნაუცბათევე შეხედულებას ისიც ამყარებს, რომ ამ ტვიდისკეპიან, სუფთად წვერგაპარსულ მამაკაცს პალტოს ანდა მეორადი ევროპული ტანსაცმლის მაღაზიაში რამდენიმე ლარად ნაყიდი, ასერიგად მოდებული მოდური ქუთთუკი კი არ აცვია, არამედ უცნაურზე უცნაური რამ: უხეში ბრეზენტის მწყემსის გრძელი, წყალგაუმტარი ხავსისფერი სანვიმარი, ორმწკრივი მომსხო ლილვითა და გარედან მკვიდრად მიკერე-





**ნომრის თემა:
მთარგმანში დაკარგულნი**

„თარგმანში დაკარგულნი“ სოფია კოპოლას ერთ ფილმს ჰქვია. ეს სათაური „უთარგმნელად“ ავიღეთ და ნომრის თემად ჩვენს მთარგმნელებს შევთავაზეთ.

უთარგმნელი – ნიშნავს, სიტყვა-სიტყვით გაიმეორო, მაგრამ ათასი რამ იგულისხმო. მკითხველსაც ათასგვარად განაცდევინო.

ყველა თარგმანის და მთარგმნელის პრინციპია – იყოს იმაზე უფრო ზუსტი, ვიდრე ეს სიზუსტე საკუთარ ენაშია შესაძლებელი. იმოგზაუროს უცხო ენის, უცხო ტექსტის ხვეულებში და შექმნას ამ მოგზაურობის ღირსეული ანაბეჭდი.

ადამიანი ხომ ისედაც მგზავრია, მოგზაურია. ენის ნიაღში მოგზაურობა კი ერთი ყველაზე დიდი ფუფუნებათაგანია, ერთი დიდი დღესასწაულთაგანი, ჩვენს ისედაც ამდენი ფსევდო-ზეიმით ჩანაცვლებულ ადამიანურ დღესასწაულში.

მით უფრო, თუ ყველა გზა ბოლოს მაინც ერთ დიდ სახლში ბოლოვდება. მით უფრო, თუ ყველა ენა ბოლოს ერთ დიდ სიჩუმემდე მიდის. ყველა ტექსტი კი ერთი დიდი ნიგნის აბზაცებია, რომელშიც ადამიანის ბედი და ილბალი მისივე გზებით იწერება.

მთარგმნელები ამ გზებსა და მოგზაურობებს იხსენებენ.



ბული ნიჩბისოდენა თავსახურავიანი ჯიბეებით! ღმერთმა იცის, რა არის ამგვარი სანვიმრის ტარების მიზეზი – სილატაკე-ბეჩავობა, გემოვნების უქონლობა თუ გადაპრანჭული საზოგადოების კადნიერი გამოწვევა.

გალიზიანებული ოპერატორები, ფიქრით საახალწლო სამზადისს რომ უტრიალებენ, კომპიუტერების მონიტორებს წარბშეკვრით მიშტერებიან და ძლივს აუდიან ქვითრების გამოწერას.

– ნომერი!.. გვარი?.. – მოჭრით გაიძახის ბუდეშურთვალეებიანი ოპერატორი, მოთვალმარგალიტებული ბროში რომ უსვენია ყავისფერსვიტერიან მკერდზე, – ოთხმოცდარვა ლარი და სამოცი თეთრი! გამოვწერო?.. შემდეგი! ტელეფონის ნომერი!.. გვარი, გვარი!

– ლამითაშვილი!
– ორმოცდაცხრა ლარი და... რას ჰქვია „მაგდენი საიდან?“ საიდან და თქვენი ნალაპარაკებიდან!.. არ ვიცი, არ ვიცი!.. არა, პრეტენზიებს არ ვღებულობთ!.. ქალბატონო, დროს ნუ მაკარგვინებთ – მიბრძანდით წინამძღვრიშვილის ოთხმოცდათხუთმეტში და იქ გაარკვიეთ!..

– არსადაც არ წავალ – ჯერ გამიშიფრეთ!

მოთმინებადაკარგულ ხალხს უკმაყოფილების შრიალმა გადაურბინა.

– კაჭაროზიშვილი, კაჭაროზიშვილი! – ნიოკობს მეორე, ჭროლა ოპერატორი, – სად გარბიხართ, რომ გარბიხართ, ბატონო, ქვითარი არ გინდათ?! შემდეგი! ნომერი! გვარი?.. ას ათი ლარი და სამოცი თეთრი! გამოვწერო?..

ჭროლათვალეებიანის სალაროს ახლა ერთი შუახნის ჯიჯგვი კაცი მიადგა. ჭალარა თმა ისე გასჩეჩია შუბლზე, თითქოს ეს-ესაა თოვლის გუნდა გაურტყამთო.

– ნომერი?.. გვარი?.. ოცდარვა ლარი და.. რა იყო, არ გამოვწერო?

გაჩეჩილქორიანმა დასტური არ მისცა – ერთი ამოიხვნეშა და თავი გააქნია. მერე ბარიერს კუდამოძუებული მოშორდა და პოლიციელს ხვეწნა დაუნყო: ერთი ნუთით გამიღეთ კარი, გავიდეთ.

აღლევებულმა ქალებმა გაჩეჩილთმანი მაშინვე პირში გაიჩარეს.

– საწყალი!.. აბა, ოცდარვა ლარიც რო არ ექნება!.. დაინახეთ, არც შეჰკამათებია! ახლა ხომ წარმოგიდგენიათ,

როგორი ახალი წელი ექნებათ! დედა, დედა!

ყბამოულღელი ოპერატორები კი ერთმანეთის მიყოლებით ისე მკვეთრად გაიძახიან, თითქოს აუქციონს უძღვებიანო.

– ოცდაცხრამეტი ლარი და... მაგდენი არა გაქვთ?! არადა, როცა გექნებათ, მაშინ გადაიხადე... კეთილი, მაშინ ნახევარი დაფარეთ!.. შემდეგი!.. გვარი! ორას ოცი და ათი თეთრი!..

ვისაც უფრო მეტი დანახარჯი გამოსდის და უყოყმანოდ იხდის, მას გამორჩეული კრძალვა-რიდით შესცქერიან. თვითონ ისინიც კრივის ჩემპიონებივით მედიდურობენ: აბა, რა გგონიათ, ბიძია – ჩვენ ბევრი საქმე და სალაპარაკო გვაქვსო!

– გაგვანყალა ამ გადასახადმა, – ენუნუნება ერთი გულგრილსახიანი მადილოსანი მეორე, ცხვირისკარტა ქალს, – ჩემი რძალი დღე და ღამე სულ ტელეფონზე ჰკიდა!

– ეჰ, რას იზამთ, ასეა! – საუბარში ჩაერია სქელტუჩა კაცი, – კარის მეზობლებმა თავ-თავიანთი ტელეფონები გადაიჭრეს, ძვირიაო და სულ ჩემთან შემორბიან!.. აბა, ტელეფონზე უარს როგორ ეტყვი?! არადა, ეგე – ას თვრამეტი ლარი!..

ბარიერთან ისევ რალაც ჩოჩქოლი ატყდა და ოპერატორმა ქალებმაც ხმას აუწიეს.

– ორმოცდაშვიდი ლარი და ოცდახუთი თეთრი!.. გამოვწერო?.. შემდეგი!.. ტელეფონი!.. ააა, ეს თქვენ ხართ, ბატონო ნიკო?! ოთხას ათი ლარი და... აღარც გეკითხებით, გამოვწერო თუ არა-მეთქი!

ყველანი ახალ რეკორდსმენს, ოქროსკბილიან მოტრეტილ შუახნის მამაკაცს შეაშტერდნენ და თვალს აღარ აშორებდნენ მის ყოველ მოძრაობას.

ოქროსკბილიანმა, თითქოს ირგვლივ ვერაფერს ვამჩნევო, მედიდურად ამოიღო დოლარების, ლარების და ევროების მსხვილ-მსხვილი კუპიურებით გამოტენილი გალიშული საფულე, პატარა პორტფელს რომ ჩამოჰგავდა და ახლა სალაროს რიგში ჩადგა.

ერთმა შუახნის სახემოტეხილმა ქალბატონმა ვეღარ მოითმინა და ოქროსკბილიანს გაკვირვებით შესცივნა, თუმცა მისი ეს გაკვირვება აღტაცებას უფრო შეიცავდა.

- მაგდენს რას ლაპარაკობთ, ბატონო?

ოქროსკბილიანმა არაფერი უპასუხა, ოღონდ ორაზროვნად გაიღიმა და შემოჩერებულ მსმენელებს ყოყოჩურად გადმოავლო მზერა: ეჰ, გინდა აგისხნათ, თქვენ ამას მაინც ვერ გაიგებთო.

ამხელა გადასახადმა და ოქროსკბილიანის ნავარჯიშევა თავდაჭერილობამ გახეტებულ აბონენტთა თვალში უფრო ამოუხსნელი იდუმალების ბურუსში გაახვია მისი პიროვნება, საქმიანობა და ოჯახური ყოფაცხოვრების ყაიდა.

ეს თვით ოქროსკბილიანმაც იგრძნო და ჩვეულმა პატივმოყვარეობამ ახლაც ბავშვივით დაიმორჩილა. რალაცნაირ ხეპრულსა და უაზრო, მაგრამ მაინც დაუძლეველ სიამოვნებას განიცდიდა, ყველანი კეთილი შურითა და მწველი ინტერესით რომ შემოსცქეროდნენ! უცებ უკადრისი, ცხოველური შიში დაეუფლა - ვაითუ მისთვის ეს პირველობა ანაზღაურად ვინმეს ჩამოერთმია! მან ვითომდა გულგრილად გადაავლო თვალი ბარიერთან დარჩენილ აბონენტებს, მაგრამ იქ სულ ცოცხით მოგვილი ხალხი შემჭიდროვებულიყო: მათგან ისეთს არავის უჩანდა პირი, რომელიც არამცთუ ჩემპიონის ტახტიდან გადმოაგდებდა ან თუგინდ იმდენივე თანხას გაიმეორებდა, არამედ ახლო მანძილზე მაინც მიუახლოვდებოდა!

რიგი - ოპერატორებთანაც და სალაროსთანაც - თანდათან მიცოცავდა წინ. ვინც გადაიხადა, გარეთ მაინც არ უშვებდნენ და აცდევინებდნენ - კარი რომ გავალოთ, კიდევე შემოგვიცივებდნენ, შესვენებამდე კი მეტს ვეღარ გავისტუმრებთო.

ბრეზენტისსანვიმრიანი მამაკაცის რიგმაც მოატანა.

- ნომერი!
- 52-17-43
- გვარი?
- მეგუთნიშვილი.

- სამი ლარი და შვიდი თეთრი! გამოვენრო.

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა და უცებ დავინყებას მიეცა ოქროსკბილიანი. ყველანი ერთხმად შემოტრიალდნენ და უცნაურ აბონენტს ისე მიაჩერდნენ, როგორც საიდანაც გამომტყვრალ უცხოპლანეტელს.

- მაშ, მე რაღაზე ვყრიდი ამოდენა ფულებს?! - სასინანულო კილოზე მოიჩივლა თავდამცირებულმა, სალაროს ამბრაზურას მიახლოებულმა ოქროსკბილიანმა და ბრეზენტისსანვიმრიანს დამცინავად შემოეკითხა, - თუ საიდუმლო არ არის, ჩვენც გვასწავლეთ, ბატონო, მაგისთვის რა არის საჭირო, ოთხ-ხუთ ლარს რომ არ ავცილდეთ ხოლმე?

ბრეზენტისსანვიმრიანმა იგრძნო, ობივატელური სამყარო საჯაროდ ინვევდა მკლავჭიდაში და უკან დასახვევი გზა აღარ ჰქონდა.

- ამისთვის საჭიროა, იყოთ მწერალი!.. სულ მუდამ გამორთული ტელეფონი ჩართოთ და მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში!.. ვერმახტის ფელდმარშალივით ყველას ელაპარაკოთ მოკლედ, მტკიცედ და ნათლად!.. და რაც მთავარია, მეორე მხარეს არასოდეს მისცეთ უფლება და საშუალება, რომ საქმიანი მოკლე საუბარი ადამიანის გამომთავყვანებელ უსაგნო ართილულურ-ჩართილულად გადააქციოს!

თვალეზად და ყურებადქცეულმა აბონენტებმა უცებ მანამდე გაუგონარი და არნახული სამყარო დალანდეს და უმალ მოიხიბლნენ - მათ ფართოდ გახელილ თვალეზში დაუფარავი შური და მიბაძვის წყურვილი ოკეანის მკერდივით შეტორტმანდა! მაგრამ მწერალი იმასაც მიხვდა, რომ საახალწლო ფორიაქით აღძრული მათი ეს შური და მომჭირნეობისადმი მხედრული მზადყოფნა მხოლოდ ნამიერი აღმაფრენა იყო და თავ-თავიანთი სახლის კარამდეც ვერ მიჰყვებოდათ! პირდაპირ სახეზე ენერათ: ვერც ერთი მათგანი ერთ კვირასაც ვერ გაუძლებდა ტელეფონგამორთულ ასკეტურ ცხოვრებას და ტვინში სისხლი ჩაექცეოდა ანდა მეშჩანის დაუკმაყოფილებელი ცნობისნადილისგან შეიშლებოდა!

არა, წილი დიდი ხნის წინ იყო ნაყარი: ობივატელებს თავგასართობი ბოლომოუდებელი სატელეფონო ლაყაფით უნდა გაელაყებინათ ტვინი და გაეცვითათ პირ-ტუჩი, თვითონ კი ტელეფონგამორთულ ერთოთახიან ხრუშჩოვულა სოროში სანერმაგიდასთან ძალღვივთ მიჯაჭვული გდებულები და თავისი რაღაცეები ეჯლაბნა!



სურათის აღწერა

ჩვენი ენები ერთმანეთს ეხება. მე გამტარი ვარ, რომელიც არაბუნებრივად დიდ ძაბვას უძლებს. ეს მეტაფიზიკაა: კომუნიკაციის შესაძლებლობა უსასრულოდ ფართოვდება. თარგმნის პროცესი ძალიან ინტიმურია და არათანაბარი ინტენსივობით ხასიათდება. მის ყველა ეტაპზე ჩვენი ენები ერთმანეთს ეხება და მე ვიცი, რომ ყველა აზრი, რომელიც მეორე თავში მომნიფდა, სასურველ ნაყოფს ჩემს თავშიც გამოიღებს. საჭიროა ლოდინი, დაყოვნება. სიტყვების სიმძიმეს ხელისგულზე ვწინი. იმისთვის, რომ ისინი ჩემი გახდეს, რაღაც უნდა გავილო (ყველაფერს თავისი ფასი აქვს). აი, აქ მადგება წლობით ნაგროვები ცოდნა და გამოცდილება, გრამატიკის წესები, როგორც ალქიმიური ექსპერიმენტისთვის საჭირო ინსტრუმენტები. ვალუტის ნაცვლად სიტყვებში საკუთარ თავს ვიხდი. მთლიანად მისი ვხდები, სხვა ადამიანის. ავტორი, რომლის თავშიც ტკბილი ნაყოფი დამნიფდა, ახლა ჩემს თავში ამნიფებს თავის აზრებს. მე ცარიელი ვარ საკუთარი იდენტობისგან, ცოდნისგან, წესებისგან. მთარგმნელი, როგორც მედიუმი, ტრანსის სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულ გამოცდილებას იძენს. მთარგმნელმა იცის, რომ მის გარეშე ენების კომუნიკაცია შეუძლებელი იქნებოდა. ეს ისეთი რამაა, რასაც ვერაფერს შეადარებ. ცხოვრების დიდ ნაწილს საკუთარ ოთახში ვატარებ, მაგრამ კარგად ვიცი, რა არის გამუდმებით ექსტრემალურ მდგომარეობაში ყოფნა: მთარგმნელს ყოველ წამს პირდაღებულ უფსკრულში გადავარდნის საფრთხე ემუქრება. ჩაშლილი ექსპერიმენტის შავი კვამლი და მოსაწყენი სინამდვილე: ერთი და იგივე ხედი ფანჯრიდან. როდესაც აზრები უწყვეტ ნაკადად მოედინება, უცხო გრამატიკული კონსტრუქციები ღღვება და ნაცნობ ფორმას იღებს, ვხვდები,

დასასრული მე-19 გვერდზე



მე რუსა ვარ.

სად აღარ ვეძებ ჩემი თავი, ხელოვნებათმცოდნეობაში, ინგლისური ენის ფაკულტეტზე, სარეჟისოროზე, ცეკვაში, მუსიკალურ სკოლაში, სიმღერაში და საქსაფონოზეც კი დავდიოდი ერთხანს. და მერე აღარსად... თავი დავანებე ძებნას და ეს იყო დიდი ორმო, რომლის უშინაარსო შინაარსი დღესაც კარგად მახსოვს, ის სიბნელე... და მერე შემოპარული სხივი – ჩემი შვილი.

ბავშვობიდან ვწერ. ლექსებით დავიწყე, ჩანახატებზე გადავედი, სარეკლამო რგოლების და ვიდეო კლიპების სინოფსისებზე და ბოლოს სატელევიზიო გადაცემებზე. მაქვს კიდევ რამდენიმე საავტორო გადაცემის იდეა.

და მაინც ვგრძნობდი, რომ ჩემს გზაზე არ ვიდექი. მერე უცებ დედაჩემის მიერ შემოგდებული იდეა: „მოთხრობები დანერე, ჩხუბი გეხერხება, იჩხუბე და იყავი შენს მოთხრობებში“. დავუჯერე, გულმაც მიგრძნო...

თურმე რაც ყოველთვის შემეძლო, ის ყოფილა ჩემი გზა.

ჩემთვის ყველაზე საინტერესოა – ადამიანი ყველანაირი თვისებით.

საყვარელი ფრაზა: „შეცდომა ადამიანის თვისებაა, გამეორება – ტლუების“, თუმცა ხანდახან მაინც ვარღვევ.

მიყვარს პეპლები, შოკმანყე, ზღვა და მზე ერთად.

ვაფასებ პირდაპირობას, როგორი მწარეც არ უნდა იყოს იგი.

ვერ ვიტან სიყალბეს, უსამართლობას, ტყუილსა და გამცემლებს.

დასასრული მე-20 ვკვრდები

რუსა ამირეჯიბი

ნოველები

ეკაჩო

მოკლედ, „მონოდებით“ „ზაჭიგალკების“ ქურდი ვარ. ეს გავრცელებული მანიაა, ამიტომ სინდისი დიდად არ მანუხებს ხოლმე და შემთხვევით წამოყოლილი სანთებელა არავისთვის დამიბრუნებია. იმიტომ კი არა, რომ სინდისი არ მაქვს, უბრალოდ ჩვეულებრივი კლექტომანი ვარ, ოღონდ სანთებელების ამბავში.

მონოდებით იმიტომ ვთქვი, რომ ერთი ჩემთვის დამაფიქრებელი ფაქტის მერე ეკაჩოსთან ურთიერთობაში, „ზაჭიგალკები“ აღარ მიმაქვს. თუმცა, ეს მანია სულში ჯერ კიდევ ეკალივითაა ამოსული. ამის კონტროლი არ არსებობს, ამიტომ, როცა სადმე ვარ, ყველას ვაფრთხილებ, სანთებელებს ვიპარავ კლექტომანიურად და თუ შემამაჩნიეთ, რომ ჯიბისკენ მიმაქვს, მითხარით-მეთქი. წამოსვლის წინაც ყოველთვის ჯიბეებს ვიმონმებ. ახლავე გეტყვით ვინაა ეკაჩო.

ოჯახური მდგომარეობა: ქმარი თხუთმეტი წელია ციხეში უზის. ჰყავს 2 ბიჭი.

ასაკი: 33.

ჰობი: ერთადერთი ვნება – ფული.

უყვარს: ისევ ფული, მერე ჩაცმა და ზაგარი, სმა, და თუ სვამს, კაცივით სვამს. სიმთვრალეს მაზალო, უკომპლექსო ცეკვით და მოსიყვარულე ბუნებით გამოხატავს... წიგნი მგონი არასოდეს წაუკითხავს, ჟურნალით ხელშიც კი არავის უნახავს.

გარეგნობა: ყოველთვის ულამაზესია, ახალგაღვიძებული და ღამენათივით კი. ქერა, მოცისფრო-მონაცრისფრო თვალები, ულამაზესი ცხვირ-პირით, კანი და ფეხებით, სექსუალური უკანალით.

ხმა: ყურს თუ მოკრავთ და არ შეხედავთ, კაცი გეგონებათ. ალბათ ამიტომაც უხდება საშინელი პირით გინება.

ხასიათი: თავმდაბალი, კეთილი. იმის მაგივრად, დამალოს, საკუთარ თავზე ყველაფერს ღრიალებს. გიჟდება ტაქსის შოფრებისთვის, რა თქმა უნდა ნასვამი. მხარზე ხელგადახვეული აქლიავეებს და გადმოსვლისას ეტყვის ხოლმე, არაუშავს, ძმაო, ჩვენი დროც მოვაო.

აქვს: მანქანა, უნაკლო გემოვნება ჩაცმადახურვაში, ნივთებში, მოდაში.

პროფესია: ვერ მოასწრო, 16-სას უკვე შვილი ჰყავდა. მეთერთმეტე კლასში –

ჭადრაკში პირველთანრიგოსანი იყო.

მანქანა: ყოფილმა საყვარელმა აჩუქა დაშორებისას.

В сердечных делах: აბა რა გითხრათ...

ჰოდა, ერთ საღამოს, ეკაჩოსგან რომ დავბრუნდი, მისი შავი, უცნაური სანთებელა ამოვიღე. ამ ფაქტს, რომ ისევ სანთებელა ამომყვა ჯიბიდან, მობეზრებულად შევხედე, მაგრამ მისადმი სიმპათიას აშკარად ვგრძნობდი.

მეორე დღეს მე და ეკაჩო კლასელების შეხვედრაზე წავედით ერთ მოდურ რესტორანში. გადასარეცად გავერთეთ, ამან უამრავი დალია, იცეკვა, იცინა, გვეფერა და სახლში წასვლის დრო რომ მოვიდა, აცქმუტდა. არ უნდოდა, ახლა იყო გართობის ემში მოსული. თითქოს ვიღაც ბიძინას გულმა უგრძნო, ეკაჩოს მობილურზე დაურეკა და სადღაც დაპატიჟა. ეკაჩოს მეგობრებს ერთიორს თუ ვიცნობ, ამიტომ მისვლისას გავარკვიე, რომ ბიძინა ეკაჩოს ერთი ჩვეულებრივი მეგობარია და ასაკით ჩვენზე უმცროსი. სად მივედივართმეთქი, უიმედოდ ვიკითხე. უიმედოდ იმიტომ, რომ ეკაჩოს ნორმაგადასული სიმთვრალე უპასუხოებაშიც გამოიხატება. მხოლოდ თვითონ ლაპარაკობს, პასუხის გაცემა კი უბრალოდ ეზარება.

მივედით. ბიძინა გარეთ გველოდებოდა. „საროჩკა“ გაეღელა და ყანყალებდა. კლუბიო – ენერა, მაგრამ შევედი თუ არა, მივხედი, რომ სტრიპტიზ-კლუბში მოვხვდით. მერე რა, გავიფიქრე, ჯერ არ ვყოფილვარ, საინტერესოა, აქაურობას დავაკვირდები, იქნებ მოთხრობისთვის გამომადგეს-მეთქი.

ხალხი არ იყო, მხოლოდ ერთი თითქმის შიშველი გოგო ცეკვავდა, თუ იმას ცეკვა ერქვა. ბიძინა ერთ-ერთ კუბეში შეგვიძღვა. შევედით და ადგილზე გავიყინეთ: დაახლოებით ხუთი ბიჭი ტახტებზე მიწოლილიყო და ზედ ტანგიანი ტიტველი ქალები ესხდნენ, რომლებიც იკლავებოდნენ. პირი დავაღეთ. პირველად ვხედავდი შიშველ მინი-სექსს. გაცეცებისგან ზიზლის

გრძნობაც კი არ გამჩენია. იმნუსვე, იქვე კუთხეში ჩამოვჯექი და გულ-მოდგინედ დავუნყე ცქერა. ქალებს ვაკვირდებოდი, თორემ კაცები რაში მაინტერესებდა. ქალებს იმიტომ ვუყურებდი, რომ პირველად ვხედავდი ტიტველ სტრიპტიზიორებს და მითუმეტეს, შეთავსებით „პუტანკებს“. რა კარგი კანები აქვთ-მეთქი, გავიფიქრე კიდევ და დიდ თვალიერებაში ვიყავი, რომ ეკაჩოს გინება მეხვივით გავარდა. თურმე შესვლისთანავე გინება დაუნყია, მაგრამ, მე, გართულს, არ მესმოდა.

„ფუ, თქვე ავადმყოფებო, ფუუუუუუუ, თქვენი დედის, რა იყო, გიჭირთ? ბიძინა, შენი დედაც, ეს სად მომიყვანე?! ფუ, თქვე გოიმებო, ხამებო, ეს რა მარაზშია, ეს რა არის! ფუუუუუუუ!“ თან ბიძინას გამეტებით ურტყამდა, ბიძინა სიცილით კვდებოდა და არც კი ცდილობდა, რომ ეკაჩოსთვის თავი არ ეცემინებინა. ეკაჩო დაჯდა და ისე გააგრძელა ლანძღვა-გინება. მერე უცებ გაჩერდა, შემომხედა, ჩემს გვერდით დაჯექიო, მითხრა და გააგრძელა. ვითომ მფარველობა გამოიჩინა. არა, არა უშავს-მეთქი, ვუთხარი. მერე გავიფიქრე, ამით არ ეგონოთ, რომ სიტუაცია მომწონდა და პროტესტის ნიშნად ეკაჩოსთან მივჩოჩდი. ბიჭები გამოფნილდნენ, ეკაჩოს გაბრაზებულებმა შეხედეს, „დევოჩკი ნა ხუიო“ და ის ტიტვლებიც მწკრივში წყობით გაბუნძულდნენ. თუ არ მოგწონს, წადი რაააო, ჩაიბურტყუნა ერთმა. აი, არ წავალ, აი აქ უნდა ვიჯდეო, დაიფინა ეკაჩომ და გინება გააგრძელა.

დღემდე მიკვირს, რატომ ერთხელ მაინც არ შეუტრიალეს, ალბათ სილამაზემ და გულწრფელობამ გადაარჩინა. მოკლედ რომ ვთქვა, რაც ტიტვლები წავიდნენ, მოვიწყინე, სანახაობა აღარ იყო. ეკაჩოს დიდაქტიკური „რეჩების“ და გინების მოსმენაც მომბეზრდა, ის კი იჯდა და ჯინზე ფეხს არ იცვლიდა. ბიჭებსაც რომ მობეზრდათ მთვრალ ეკაჩოსთან კამათი, გოგოები შემოგვყავსო გამოაცხადეს და ბიჭი გაგზავნეს მათ დასაძახებლად. ეკაჩო ამყადა და გინებ-გინებით წამოდგა, ხელი მომკიდა, ფუ, თქვე ავადმყოფებო, მიაძახა და წამოვედით.

ეკაჩოსთან პატარა არაყი და „რედ ბული“ ავიტანეთ. სად გამიშვებდა, სანამ ემოციებისგან არ დაიცვლებოდა? მე ვიჯექი და ვუსმენდი და ვუსმენდი,

თავს ვუქნევდი, კომენტარებს ვაკეთებდი და თან დავცინოდი, კაცებს როგორ აგინე, არ შეგეშინდა-მეთქი? რაააო? ამხელა ქალი ვარ, ასეთი რამ ჯერ არ მინახავსო, ღრიალებდა ეკაჩო.

უცებ შევამჩნიე, რომ მაგიდაზე ის სანთებელა ეგდო, წინადაღეს შემთხვევით ეკაჩოსგან რომ წამოვიღე. ასევე შემთხვევით ამომიღია ჯიბიდან და მაგიდაზე დამიგდია. ეკაჩო ამ სანთებელადან უკიდებდა სიგარეტს. ალბათ თვალში მოხვდებოდა კიდევ საკუთარი „ზაჟიგალკა“, მაგრამ დარწმუნებული ვარ, არც უფიქრია რამე. ხომ არ იფიქრებდა, ჩემი სანთებელააო? რატომ იფიქრებდა, როცა მისი იყო. როდის ვფიქრობთ ხოლმე ჭიქიდან წყალს რომ ვსვამთ, ჩემი ჭიქააო, ანდაც როცა შარვალს ვიცმევთ, ჩემი შარვალიაო.

ვატყობდი, ამ სანთებელაზე რაღაც უცნაური გრძნობა მეუფლებოდა. ჯერ შემრცხვა, მაგრამ ამის გარდა იყო კიდევ რაღაც, რაც მანუხებდა და ვერ ვხვდებოდი, ალბათ ალკოჰოლის გამო დავიბენი გრძნობებში. ეკაჩომ კიდევ ერთხელ რომ მოუკიდა, უცბად მივხვდი, მესაკუთრის გრძნობა გამჩენოდა მოპარულისადმი. არადა, წესით უნდა გამხარებოდა, რომ სანთებელა უკან მოვიტანე, დავტოვებდი და სინდისიც სუფთა მექნებოდა, მაგრამ ვერ ვისვენებდი, თითქოს ეშმაკი შემჩინდა, სანთებელას თვალს ვეღარ ვაშორებდი. ალბათ იმიტომაც, რომ მომწონდა. მერე იმაზე ფიქრი დავიწყე, ვინ გამოვდივარ-მეთქი... წამოსვლის დრო რომ დადგა, ვეღარ მოვიტმინე და სანთებელა ჩუმად ჩანთაში ჩავუძახე.

ქუჩაში დამძიმებული მოვდიოდი, ჩემი ფეხის ხმა გამალებით მომდევდა. თუ რაიმე ბოლმა მქონია საკუთარ თავზე, ბაყაყებივით ყველამ ერთად ამოყვინთა მეხსიერებაში და აყიყინდა. ეს ნამდვილი, გაუმართლებელი ქურდობა იყო, რა საზიზლარი გამომეტყველება მექნებოდა... დავაპირე, სანთებელას ნიხლით შევდგომოდი, ამოვიღე კიდევაც, მაგრამ ჯანდაბა! ვერ გავიმეტე! რაღა მეფიქრა ჩემზე, აღარ ვიცოდი, საკუთარ თავში გავიხლართე, მივხვდი, რომ ჩემნაირ მესაკუთრეს ჯერ არ შევხვედრივარ. ვიდექი ქუჩაზე და ვიხსენებდი, ბოლოს როდის დამადგა თავზე პირადი მცველივით ჩემი სინდისი... და უცებ ის გამახსენდა, სწორედ რომ დროულად...



რომ ზღვარი წაშლილია. ვხვდები, რომ ეს სიყვარულია. ორ ადამიანს შორის ამაზე დიდი სიახლოვე წარმოუდგენელი მგონია. წიგნები კომუნიკაციის სურვილით ინერება (იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ავტორები საპირისპიროს ამტკიცებენ), სრულყოფილი კომუნიკაცია კი სხვა რა უნდა იყოს? იმ ზღვარზე სიარული, რომელიც დრო და დრო ქრება და უწონობის სასიამოვნო მდგომარეობაში გტოვებს, ყველაზე შორეული მანძილების წამიერად დაძლევა, სხვისი თვლებით დანახული სხვა სამყარო – ეს მთარგმნელის გამოცდილებებია. ამასთანავე, რუტინულ პროშაში დაღამებული დღეებიც ბევრია: ყველა საეჭო სიტყვის გადამოწმება, ნარუმატებელი ექსპერიმენტების შედეგად არეული ოთახის დალაგება.

ყოველ ჯერზე ყველაფერი თავიდან იწყება. ყოველ ჯერზე თავიდან უნდა შეიყვარო.

ვიცი, რომ ვაზვიადებ. ზედმეტად პოეტური აღწერა გამომივიდა. სხვაგვარად არ შემეძლო. სხვა შემთხვევაში, სურათს სიმკვეთრე დააკლდებოდა, აზრებს კი – სიზუსტე. მე დღეს საკუთარი თავის, საკუთარი გამოცდილების თარგმნა ვცაადე – ზუსტად ისე, როგორც, საერთოდ, ლიტერატურულ ტექსტებს ვთარგმნი ხოლმე. გეტანხმებით, ეს უპეკ აუტოროტიზმია.

ირმა ტაველიძე



და ამის გამო, მთელი გულით, ძალიან ცოტა ადამიანი მიყვარს. თუმცა პატივს ვცემ და მომწონს ბევრი, მაგრამ სიყვარულის დამსახურებას ჩემგან მხოლოდ გულწრფელი ადამიანები ახერხებენ.

რა თქმა უნდა, ჭორებისთვის გემრიელი მასალა ვარ და სულაც არ მანუხებს ეს.

ვცდილობ ისე ვიცხოვრო, ტყუილი არ დამჭირდეს, ამიტომ არაფერს ვნანობ-ხოლმე, შეცდომებს ვგულისხმობ. ვთვლი, რომ მხოლოდ „ამტანია“ ერთადერთი დიდი შეცდომა, რომელიც სულ თან მდევს.

და, აი, როგორი ვარ ყველაზე ობიექტური და პირდაპირი ადამიანის, დედის – მანანა ამირეჯიბისთვის:

„ქაქანა, ნიჭიერი, მაგრამ არასტაბილური მუშაობაში, ერთგული მეგობარი, ისე რა დედა და ნათესავი, ზარმაცი, კარგი შვილი, ფიცხი, უნებისყოფო, გამუდმებით დიეტაზეა და 5 კილო ვერ მოუკლია. პატიება ეხერხება, ჯიუტი, თავნება, მაგრამ საბოლოო ჯამში ერთადერთ ადამიანს უჯერებს – დედას“.

ვამაყობ და ბედნიერი ვარ, რომ ჭაბუა ამირეჯიბის შვილიშვილი ვარ და დიდი სურვილი მაქვს მანაც იამაყოს ჩემით.

პაუზა

გაოგნებისთვის თვით გაოგნებაც კი არ მყოფნის. გვერდით ხელჩაკიდებულმა ოცნებებმა ჩამიარეს და წარსულისკენ მიმავალ გზას გაუყვინენ. გონებამ გულს გადახედა და უფრო გაუკვირდა: ის აჭრელბულიყო, ბუყბუყებდა, იკუმშებოდა. რომელიღაც გრძნობა ვულკანურ ამოფრქვევას აპირებდა. შავი ნერვები ცად იკლაკნებოდნენ.

არ ვიცი: რატომ მახსენდება ახლა ღმერთი, როცა უნდა ვბრაზობდე მასზე, რომ ასე გამიმეტა...

რატომ უნდა იყოს გარეთ მზე, როდესაც ჩემში კუნაპეტი სიბნელე წევს.

როგორ გავაგრძელო ცხოვრება ისე, თითქოს არაფერი მომხდარა.

როგორ გავიჩერო ჩხვლეტა, რომელსაც გულში არ ვგრძნობ.

რატომ მახსენდება, რომ ძალიან კმაყოფილი მეგონა თავი.

უნდა მებრალებოდეს საკუთარი თავი, ვბრაზდებოდე თუ ორივე ერთად? რა გავაკეთო, ანდაც გავაფუჭო, რომ ზომბს აღარ ვგავდე?

რა ვუთხრა ხოლმე ჩემს თავს, როცა ეს ფაქტი გამახსენდება? ვანუგეშო? შემრცხვებს? თუ რაა?

მხოლოდ ის ვიცი, რომ:

სატარებლად არაფერი უფრო მძიმე ყოფილა, ვიდრე რამე: სიყვარული, სიძულვილი, სინანული, ანდაც სიბრაღე...

გარეთ სულ იქნება მზე და მე ვიქნები ნახატივით, მუზეუმში რომ ჰკიდია და სულიერით ვერასოდეს შეიყვარებენ, ვერც შეიძულებენ და ვერც მიატოვებენ. უბრალოდ, დაათვალიერებენ, მოეწონებათ და გზას გააგრძელებენ.

მე არ დავინყებ თევზების რეცხვას, სახლის ისტერიკულ ლაგებას, „შოპინგებზე“ სიარულს ამის გადასატანად... და მე დავრჩი:

პატივყარილი...

გამტერებული...

თვალედასიებული...

მარტო...

ვერ ვხოცავ ოცნებებს და ყვეყნივით მაინც მჯერა სიყვარულის, რომელიც ფაქტია, რომ ჯერ არ შემხვედრია.

გული მეჭმუჭნება...

პატივმოყვარეობის ლავები ჯიუტად მოედინებიან და გზადაგზა ყველაფერს ფერფლავენ.

მე მიმატოვენ!

ლალატი

დიდი ნითელი სისხლის ტალღები მოვარდნენ, მთელ სამყაროს გადაუარეს, ყველა და ყველაფერი ქვეშ მოიქცეის და ჩაიხვიეს, ირგვლივ მხოლოდ ის ბგერები ისმოდა, რომელიც ჟღერიალ-ჩხრიალ-ღრიალ-წკრიალს ჰგავდა. თავში წნევასავით ავარდა გაცემა: ჩემს თანამშრომელთან, ჩემს ახლობელთან!

ის: ოთხივეჯერ მთვრალმა.. ფუ, ისედაც მეზიზღება თავი, მაგასთან როგორ... და შენ კიდევ ეჭვიანობ და მიმატებ? ყოჩაღ რაა, მეგონა მეგობრებიც ვიყავით.

ქალი: მაპატიე, ძალიან დავთვერი, შენ ჩემზე უკეთესი ადამიანი ხარ...

ცხოველური ინსტიქტები... პრინციპების და გემოვნების აღრევა. მე ხომ ჩემს მიწაზე ვდგავარ და ზემოდან დავეცერი ადამიანებს, რომლებიც საკუთარ ნარწყევში სახით დაეცნენ და ამის გამო მე უნდა ვინერვიულო თუ მათ? თუ წამოვაცენო და პირი მოვ-

ბანო? სანიტარი კი არ ვარ?! თეთრხალათიანი და გულმონყალე! იქ იყვნენ, სადაც არიან. რა მნიშვნელობა აქვს, ჩემ წინ გაადინეს ბრაგვანი თუ სხვასთან! (უკვე მეცინება)

პირველი დიდი ტკივილის და გაცეების შემდეგ გთავაზობთ რეცეპტს, პატარა, დამცირებულ ადამიანად რომ არ ვიგრძნოთ თავი, ლოცვასავით უნდა ვიმეოროთ გონებაში:

საკუთარ წყენას თუ ისე შეხედავ, როგორც სხვისას, და შეიგნებ, რომ ყველა იქცევა ისე, როგორც თავისი ბუნება აძლევს უფლებას, კიდევაც გაიხარებ იმით, რომ გილალატეს და არა ულალატე, შეურაცხყოფასაც ნაკლებ მტკივნეულად გადაიტან.

ნითელი ტალღები აღარ ღრიალებდნენ, უბრალოდ იდგნენ. სიყვარული ქვასავით დაშვებულიყო ფსკერზე.. და ჩემი ტკივილი წყნარ ტალღებზე ნეხვივით ტივტივებდა.

P.S. გამოგიცდიათ ნითელი ლალატი?

დრამატურგია

ირაკლი სოლომანაშვილი

მარილი

(ეპიზოდი იგივენის ცხოვრებიდან)

მოქმედი პირნი:

იგი
ვენი
მათი ვაჟი – ვაჟიკა

მანამ ისვრიან

ერთოთახიანი ბინა. ოთახში სკამები, მაგიდა და ტახტი დვას. ტახტის თავზე ხალიჩაა გაკრული, ხალიჩაზე სანადირო თოფი კიდია. ოთახის უკანა კედელში შემოსასვლელი კარია. მაგიდასთან ვენი ზის და მაგიდაზე გაშლილ სამკურნალო მცენარეებს ახარისხებს. ტახტზე წამოწოლილი იგი გაზეთს კითხულობს.

იზი – არა, დალუპავენ ესენი ქვეყანას!

ვენი – ისევ?..

იზი – ეს ორმაგი თამაშები გადაგვიყოლებს! რა უბედურებაა, ან ერთი ამოირჩიონ ან მეორე!

ვენი – ორივესთან არ შეიძლება?

იზი – ორივესთან რას ჰქვია? – ერთი ქმარი იყოს და მეორე საყვარელი? იცი, მაგას რა ჰქვია?

ვენი – რა მოხდა მერე... სამშობლოს გამო... თუ სხვა გამოსავალი არ არის... ომს კი ჯობია.

იზი – ომს ვერ ავცდებით. აი, ხომ ხედავ, რა შემოუთვლიათ, რუსეთთან კავშირი განწყვიტე და მე გიპატრონებო, საქართველოს სამეფოს გავაერთიანებო! თუ არა და – ომიო...

ვენი – თუ სპარსეთი დაკარგული ტერიტორიების აღდგენას გვპირდება, გავწყვიტოთ კავშირი რუსეთთან, არ მოვანეროთ ხელი ტრაქტატს და ეგ იქნება...

იზი – რას ამბობ! ძლივს რუსეთმა ჩვენკენ გამოიხედა და ზურგი შევაქციოთ? შეიგნეთ ხალხო, ჩვენი გადარჩენა, მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთს შეუძლია! მოვლენ ბატონო, ჩააყენებენ აქ თავის ჯარს და ვიქნებით მშვიდად და ბედნიერად. ფეხებს ვერ მოგვჭამს აღა-მაჰმად-ხანი.

ვენი – რა ვიცი, იმ დღეს ამბობდი, ეს მთავრობა სულ გაგიჟდა, რუსების ნდობა როგორ შეიძლებაო...

იზი – მე მაგას არ ვიტყვოდი.

ვენი – ზუსტად მახსოვს, ამას წინათ შენ ზუსტად მანდ იწევი და მე ზუსტად აქ ვიჯექი და მაშინ თქვი.

იზი – მე სულ აქ ვწევარ და შენ სულ მანდ ზიხარ...

ვენი – ვაჟიკის თავი მენახოს კუბოში, თუ ვიტყუებოდე.

იზი (პირფეხარს გამოისახავს) – რას ამბობ ქალო, რა სიტყვები ამოგდის პირიდან!..

ვენი – ეეჰ, რა ვიცი, რა ვიცი, ოღონდაც ომი არ იყოს და...

იზი – თუ საჭიროა, (კედლიდან თოფს ჩამოხსნის) ომიც უნდა იყოს და სისხლიც უნდა დაიღვაროს!

ვენი – თუ კაცი ხარ, განიე ეგ თოფი.

იზი (კედელზე თოფს კიდებს) – თუ ქალი ხარ, გაანებე მაგ ბალახებს თავი და მაჭამე რამე.

ვენი – მოითმინე, ისეთი ზამთარი მოდის, შეიძლება ამ ბალახების მეტი საჭმელად არაფერი გვქონდეს.

იზი – ეგ ვინ გითხრა?

ვენი – იმ დღეს მაგ შენს გაზეთებში არ წაიკითხე?.. მსოფლიო კრიზისიო, შიმშილობაო...

იზი – სისულელეებს წერენ ამ გაზეთებში. აი, ნახე... ჯერ იყო და იმას წერდნენ, მარილი ჯანმრთელობისთვის საზიანოაო. ეხლა იგივე გაზეთში წერენ, საკვებში აუცილებლად უნდა იხმართ იოდირებული მარილი, თორემ ჩიყვი დაგემართებათო. რა უნდა იოდში მარილს?! მე იოდი ჭრილობების დასამუშავებლად გამიგია, კაცს მარილი რომ მოაყარო ჭრილობაზე, რა დაემართება?

ვენი – ჭრილობების დასამუშავებლად სულაც არ არის საჭირო იოდი, მრავალძარღვას დანაყილი ფოთოლი მშვენივრად ახორცებს ყველანაირ ჭრილობას. აი ჩიყვს კი შავნამალას ფესვები უხდება.

იზი – ჩიყვის ამბავი მხოლოდ იმი-



1991 წელს იაკობ ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს ინსტიტუტში, დრამატურგის ხელოვნების ფაკულტეტზე ბატონ თამაზ ჭილაძის ხელმძღვანელობით განაგრძო სწავლა. პირველი თეატრალური პიესები და კინოსცენარები სწორედ თეატრალურ ინსტიტუტში დაწერა. იყო ბიჭვინთა-ქობულეთის ახალგაზრდა დრამატურგთა სემინარის წევრი.

მისი თანაავტორობით შეიქმნა კინოსცენარები ფილმებისთვის: „ოცნებების სასაფლაო“, „დაბადების დღე“, „სისხლიანი სცენარი“, „მოგზაურობა ყარაბაღში“, „ოცნების ქალაქი“, „თბილისი-თბილისი“, „კომენდანტის საათი“, „კონფლიქტის ზონა“.

საქართველოს პერიოდულ ლიტერატურულ გამოცემებში დაიბეჭდა ირაკლი სოლომანაშვილის რამდენიმე თეატრალური პიესა: „ქალაქის ფრინველი“, „იყო ერთი სოფელი“, „ენერგოკრიზისი“.

ეს პიესები პერიოდულად იდგმებოდა საქართველოს რამდენიმე თეატრის სცენაზე.

ირაკლი სოლომანაშვილის ბოლო გამოქვეყნებული პიესაა „მაჰატიე, დედიკო!“ („ლიტერატურული პალიტრა“, 2010, №12). ეს პიესა პირველია ციკლიდან „ეპიზოდები იგივენის ცხოვრებიდან“.

„ქართული მწერლობა“ გთავაზობთ ციკლის მეორე პიესას – „მარილი“.



მრავალპერსონაჟიანი პიესების რემარკებში არცთუ იშვიათად ამოიკითხავთ დაახლოებით ასეთ წინადადებას: „სცენაზე არიან იგივენი“ ანუ ის მეთაურებისთვისაა პერსონაჟები, რომელთათვისაც სახელების დარქმევაც კი დაენანა ავტორს. არადა, ისინიც ხომ ადამიანები არიან... მიუხედავად მათდამი ჩემი დიდი სიმპათიისა, რაიმე ახალ სახელებს არც მე ვარქმევ ამ პერსონაჟებს, თუნდაც იმიტომ, რომ მკითხველი ადვილად გაერკვეს, ვის მოვიკარებ ჩემი პიესების მთავარ გმირებად.

ერთმოქმედებიანი პიესების ციკლი, საერთო ქვესათაურით „პიზოდები იგივენის ცხოვრებიდან“ გულისხმობს რამდენიმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ პიესას, განსხვავებული შინაარსითა და ფანრიით. ამ პიესების სათაურებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან, მუდმივია მხოლოდ ორი პერსონაჟი, ერთს იგი ჰქვია, მეორეს – ვენი. იგი კაცია, ვენი კი ქალი, თუმცა ციკლის ზოგიერთ პიესაში ასაკთან ერთად შესაძლოა მათი სქესის შეცვლაც. იგი და ვენი ამ ციკლის მუდმივი მთავარი გმირები არიან, მაგრამ მათ გარდა ზოგიერთ პიესაში მეორეხარისხოვანი გმირებიც გაიღვებენ.

ტომ მოიგონეს, ხალხში პანიკა რომ დაეთესონ. ხომ ვიცი, ახლა აფთიაქებში მარტილი განყდება, მაღაზიებში – იოდი, მერე ორივეს ერთმანეთში აურევენ და შავ ბაზარზე ორმაგ ფასად გაყიდიან.

ჰენი – ყველგან მაფიაა, შეჭამეს ქვეყანა!

იზი – ჰო შეჭამეს... ისე, მომშივდა, ხო იცი...

ჰენი – ვაჟიკას გარეშე ვერ ვისადილებთ.

იზი – რატომ?

ჰენი – მარილზეა წასული.

იზი – მარილი რა შუაშია?

ჰენი – სადლი უმარილოა.

იზი – რაა?!

ჰენი – გათავდა, ბატონო, და აღარ არის. იმ დღეს იმდენი იძახე, უმარილოა, უმარილოაო, რომ სანამ მთელი კოლოფი არ ჩავყარე ქვაბში და არ დავამლაშე, არ მოსვენე.

იზი – მუდამ ასეა, ან ისეთი უმარილოა, გული აგერევა, ანდა იმდენად მლაშე, პირს ვერ დააკარებ.

ჰენი – ალბათ, ამიტომ არის, სანამ სარკესავით არ მოაპრიალე, ხელიდან ვერ გაგლიჯავთ ქვას.

იზი – რას მაყვედრი?! ჩემს მოტანილს ვჭამ.

ჰენი – შენც ყოველ დღე ნანადირევით არ ბრუნდებოდე.

იზი – აღარ გახსოვს, ძალი რომ მოვიყვანე?

ჰენი – იმ უდღეურ ლეკვს შეჭმას უპირებდი?

იზი – საბრალო ლეკვი სახლიდან გამიგდე. რწყილები ჰყავსო, მერე იატაკს სვრისო, საჭმელში ძალის ბენვი არ შეგვეყვოსო, რომ გაცოფდესო. ბოლოს ისიც მოიგონე, ბავშვი ეჭვიანობს, მამაჩემს ჩემზე მეტად ძალი უყვარსო. არადა, მართლაც რა ლეკვი იყო, კუდზე ეტყობოდა, დიდებული მონადირე დადგებოდა.

ჰენი – ერთი შენ გეტყობა კუდზე და მეორე იმას. ისე დაგიყვანდა თოფი, ერთხელაც არ გისვრია.

იზი – ვაჟიკა რომ დაიბადა, მაშინ ხომ ვისროლე?

ჰენი – ჩვილ ბავშვს ისე გაუხეთქე გული, დღემდე შიშები გამოყვა.

იზი – ეტყობა, როგორი შეშინებული იცი არის. დილიდან საღამომდე მიტინგებზე დარბის, ახლაც ალბათ იქ არის და ფეხებზე კიდეა მშვიერი მამამისი უმარილოდ რომ ვერ სადილობს.

ჰენი – მთელი ქვეყანა გარეთ არის

გამოსული, ხალხი დამოუკიდებლობის მოთხოვნით შიმშილობს და შენ კიდევ უმარილოდ ვერ გიჭამია სადლი!

იზი – ხოდა მაგ მიტინგების და შიმშილობის გამო ტანკებით რომ მოგადგებათ რუსის ჯარი, მერე ნახავთ დამოუკიდებლობას. ამათ საბჭოთა კავშირის დანგრევა ხუმრობა ჰგონით?

ჰენი – აბა, რა ქნან, დაიშალონ და სახლებში წავიდნენ?...

იზი – სახლში კი არ უნდა წავიდნენ, იარაღი უნდა აიღონ ხელში (კედლიდან თოფს ჩამოსხსნის) სისხლით უნდა მოიპოვონ თავისუფლება! სისხლით!

ჰენი – მოაშორე ეგ თოფი სახლიდან! ბიჭმა რამე არ აიტეხოს! გადააგდე სადმე, ან გაყიდე!

იზი – ძალი ხომ გამიგდე და ახლა მამაჩემის თოფიც გინდა გამიყიდე?

ჰენი – დაკიდე ეგ თოფი ადგილზე, შემთხვევით არ გაგივარდეს, თორემ დაგადგება პატრული და დამრჩები სადილის გარეშე!

იგი თოფს კედელზე კიდებს და ტახტზე წამოწოლილი ისევ გაზეთებს მიუბრუნდება.

იზი – ოხ ამათი დედა ვატირე! ნახე რას წერენ, მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლები დაუნყიათ და რუსებს შემოსვლას სთხოვენ.

ჰენი – რუსები რას ამბობენ?

იზი – არაფერსაც არ ამბობენ, ყველა მხრიდან მომდგრები არიან, აფხაზეთში ხომ ეგენი არიან, მამისონის უღელტეხილიც აულით და აზერბაიჯანის და სომხეთის მხრიდანაც მოადგნენ საზღვარს.

ჰენი – მთავრობა რას ამბობს?

იზი – ევროპის იმედი აქვთ. ტყუილია, ჩვენს გამო ევროპა რუსეთს არ დაიმტერებს.

ჰენი – მაშინ, დავნებდეთ!..

იზი – რას ამბობ! ეტყობა, ლენინს არ იცნობ, ბოლშევიკები არ იცი ვინ არიან... მაგათ საკუთარი მეფე არ დაინდეს, ღმერთი მაგათ არ სწამთ და არაფერი!..

ჰენი – აბა, ისევ ომი?.. ხომ ვიცი, მთავრობა ემიგრაციაში გაიქცევია და ვაჟიკასნაირ ბიჭებს შეაკლავენ ამ ქვეყანას.

იზი – დიხაც ომი! (კედლიდან თოფს ჩამოსხსნის) მე თბილისის თავზე ნითელ დროშას ვერ ავიტან!

ჰენი – კარგი, მოეშვი მაგ თოფს!

ნუ მიხეტეჯ გულს! ეს ბიჭიც როგორ აგვიანებს, სად არის აქამდე?

იბი – შენ არ თქვი, მარილის მოსატანად წავიდაო?.. (კედელზე თოფს კიდებს)

მედი – ნეტა ემიგრაციაში წასულიყო და სულ არ დავეძებ მაგ მარილს.

იბი – სანამ ემიგრაციიდან დაბრუნდება, უმარილოდ ვჭამო? თანაც ჩემი კოსტუმით არის წასული.

მედი – ახალი უყიდე და აღარ ჩაიცვამს შენსას...

იბი – მე რატომ უნდა ვუყიდეო? იმუშაოს და თვითონ იყიდოს! ბავშვი ხომ აღარ არის, საცაა ცოლს მომაცენებს კარზე!

მედი – აქამდეც უნდა მოეყენებინა, მაგრამ შენ წინო არ მოგწონს.

იბი – სამაგიეროდ ქეთი მომწონს.

მედი – ქეთი რა სახლში შემოსაშვებია...

იბი – ბოლოს და ბოლოს რა დროს მაგის ცოლია! კაცი მანამ დამოუკიდებლად არ შეძლებს ცოლ-შვილის რჩენას, არ უნდა დაოჯახდეს.

მედი – რომ დაგრჩება უცოლშვილოდ, შთამომავლობის გარეშე, გვიანი იქნება. ყველაფერზე მე უნდა ვიხეტეჯო გული, ღამეები არ მძინავს, ყოველ საღამოს ჩუმ-ჩუმად ჩაიში ვურევ ღვიის ქერქის ნახარშს.

იბი – რა ღვიის ნახარშს?!

მედი – გრძელწინწოვანი ღვიის – პოტენციას უწევს.

იბი – იქნება ისეთი რამე დააღვიინო, საერთოდ დააკარგვინო კაცობა.

მედი – ჯერ სხვაზე გამოვცადე ღვიის ნახარში და მერე ისე შევაპარე ბავშვს. აბა, რა გეგონა, ამ ორი კვირის წინ, თავლობის თვე რომ მომინყე.

იბი – მეც არა ვთქვი... ახლა არ მითხრა, ხუთი დღის წინ კუჭის გამხსნელი ბალახებიც შენზე გამოვცადეო, თორემ ამ თევას ერთიანად დაგინვაჟ! სახლია თუ საჯინიბო? ცოლი თურმე ექსპერიმენტებს ატარებს ჩემზე, შვილი კიდე ჩემი პიჯაკით დარბის.

მედი – გადააყოლა ბიჭი თავის დაგლეჯილ პიჯაკს.

იბი – თუ დაგლეჯილია, უკეთესი შეუკერე.

მედი – რითი შეუკერო? ძლივს შევაგროვე საკერავი მანქანის ფული და შენ კი საბურავები იყიდე. ახია შენზე, მეორე დღესვე ოთხივე ერთად რომ მოგპარეს.

იბი – კი არ მომპარეს, შენ მოხსენი

და გაყიდე, საკერავი მანქანის ყიდვა გინდოდა, მაგრამ ფული მალაზიამდე ვერ მიიტანე, ვაჟიკამ ამოგაცალა ჩანთიდან.

მედი – არც კი გრცხვენია, რეებს მამრალეზ ან მე, ან შენს შვილს! მამა მაინც არ იყო!

იბი – ეგ კიდეც გასარკვევია, ვინ არის მამა.

მედი – რაა?!

იბი – ჰო, ჰო, რა...

მედი – რა-რა?

იბი – რა, არა?!

მედი – რა, არა?

იბი – რა და ის!..

მედი – შენ კაცი არ ყოფილხარ! სხვამ რომ თქვას, შენი შვილი შენი არ არისო, თავმოყვარე კაცი შენს ადგილზე იმ სხვას შუბლს გაუხვრეტდა, შენ კი...

იბი – რაო? აბა, გაბედოს და მითხრას ვინმემ. მითხარი, ვინ თქვა, ახლავე მითხარი, ვინ გაბედა?!

იგი კედლიდან თოფს ჩამოხსნის და ფანჯარასთან მიდის. გარეთ ისვრია. შეშინებული იგი ფანჯარას მოცილდება, თოფს ისევ კედელზე კიდებს.

მედი – რა ხდება?

იბი – მგონი დაინყო... მოვიდნენ...

მედი – ვაიიმე, შვილო!

იბი – ჩააქრე, სინათლე!

სინათლე ქრება.

ვენის დედური ზმანება

ოთახი ნელ-ნელა ნათდება. იგი ტახტზე წევს, გაზეთს ათვალეიერებს. ვენი მაგიდასთან ზის, ბალახებს ახარისხებს. ერთ ხანს ორივენი ჩუმად არიან. პაუზა მანამ გასტანს, სანამ გარედან სროლა არ გაისმება. იგი და ვენი ფანჯარასთან მიიჭრებიან.

მედი – გაიგონე?

იბი – ჰო, ისვრია.

მედი – მაგას არ გეუბნები, კარზე აკაკუნებენ...

იბი – გეჩვენება.

მედი – რომელი ხარ?

მედი – ვაჟიკა (კარს მიღმა) – კარი გამიღეთ!

იბი – არ გაულო, რა იცი, ვინ არის.

მედი – გული მიგრძნობს, ვაჟიკაა.

იბი – სხვა რომ იყოს?



თარგმანში ნაპოვნო

დილაობით სტუდენტებს ვესაუბრები თარგმანის სირთულეებზე, ძილისას – ჩემი გონება ყველაზე აქტიურად წყვეტს წინა დღეს წარმოქმნილ მთარგმნელობით პრობლემებს, საღამოობით მეგობრებს ვწუნუნები, რა ძნელია თარგმნა, ღამლაობით ერთი ერთზე ვრჩებით მე და ფოლკნერი ან მე და ბესიკ ხარანაული ან მე და, ბოლოს და ბოლოს, ენ სექსტონი – მოკლედ, რა მნიშვნელობა აქვს – მე და ვინმე ისეთი, ვინც ხელს უშლის ჩემს ამქვეყნად უსაყვარლეს საქმიანობას, ძილს.

კი მაგრამ, აბა, რატომ ვთარგმნი? ჰონორ... აჰ, თვითონაც ხომ მიხვდით, რა სისულელე გაიფიქრეთ?! სანამ მე მთელი საათები იმას ვფიქრობ, რატომ დაწერა „ოხერმა ბერიკაცმა ფოლკნერმა“ (ფიქრების სტილი დაცულია! – არა, შერბილებულია!) ამა თუ იმ ადგილას სრულიად შეუსაბამო და ყოველგვარი ლექსიკონის ლოგიკისათვის ჩაუნვლომელი სიტყვა, მსოფლიო ინდუსტრიაში ჩართული ტექნიკური მთარგმნელების გასამრჯელოს ნულეები ემატება, მე კი საეჭვოდ მეკვიატება ჩემი საყვარელი ლექტორის, ლეილა კაჭარავას, საყვარელი ლანძღვით-მოფერებითი სიტყვა „ფრაერი“.

კი მაგრამ, მაინც რატომ ვთარგმნი? ჰონორ (ონორ – ინგ. პატივი, სახელი)? – ჰო, ეს უფრო ლოგიკურია, სანამ ერთი შემთხვევა არ გამახსენდება, რომელსაც ძველი უბნის ძველი სახლის ძველ სავარძელზე მიყუყული ვადევნებდი თვალს: ჩვენი დროის ორი უდიდესი მთარგმნელი საუბრისას მიაღდა საკითხს, ვინ თარგმნა ქართულად ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ და ეს საუბარი ასე დასრულდა: „რა ვიცი, კაცო, არასოდეს ვუყურებ, ვისი თარგმნილია წიგნიო!“ მაშინ მივხვდი, რომ თუ ამბიციები შემანუხებდა, უმჯობესი იქნებოდა არტემიდეს ტაძრის გადაწვავაზე მე-

დასასრული 25-ე გვერდზე



ვაჟიკა (კარს მიღმა) – დედა, კარი გამიღე!

ვენი – აი, ხომ ვამბობდი – დედაო.

იზი – მერე რა მოხდა, დედა ვის არ ყოლია.

ვაჟიკა (კარს მიღმა) – დედა, კარი გამიღე, ვაჟიკა ვარ, არ გესმის? შენი შვილი დაბრუნდა!

ვენი კარს ალებს, ვაჟიკა შინ შემოდის. ვენი ვაჟიკას ეხვევა.

ვენი – დედა გენაცვალოს!

ვაჟიკა – აი, დედი, რა მოგართვი. კუნელი შესანიშნავი სამკურნალო მცენარეა.

იზი – რა კუნელი?!

ვაჟიკა – კუნელი შეიცავს ფლავონოიდებს და სხვა ნივთიერებებს.

ვენი – ნაყოფისა და ყვავილის პრეპარატებს გიპოტენზიური და დამანყნარებელი თვისებები აქვთ.

ვაჟიკა – ნაყოფში ბევრია შაქარი, სახამებელი, ორგანული მჟავები, პექტინები.

ვენი – რის გამოც მათი გემო ფრიად სასიამოვნოა.

ვაჟიკა – განსაკუთრებით მოყინვის შემდეგ.

ვენი – კუნელის ნაყენს იღებენ, თავბრუსხვევის, „თავში სისხლის ავადრდის“...

ვაჟიკა – გულის უძლურობით გამონწვეული სულისხუთვის, გულის ნევროზის...

ვენი – და კლიმაქტერიის დასაწყისს სტადიაშიც.

იზი – აკი, მარილის მოსატანად არის წასულიო?

ვაჟიკა – ეეჰ, მამი, მამი, შენი გამოსწორება არ იქნება. გამომართვი შენი მარილი.

იგი ვაჟიკას მარილს ართმევს და ქვაბში მთელ კოლოფს ყრის. ქვაბიდანვე შეექცევა სადილს.

ვენი – ფერი არ მომწონს შენი.

ვაჟიკა – არ მინდოდა მეტქვა, თუმცა ვიცოდი, თავად მიხვდებოდი.

ვაჟიკას ფეხი ეკვეთება, ძირს ეცემა. იგი მშვიდად სადილობს.

ვენი – რა მოგივიდა, შვილო? ეს რა სისხლია?

ვაჟიკა – შინ რომ ვბრუნდებოდი,

გზაში ცუდი ბიჭები შემომხვდნენ, ამ მცენარით ხელში რომ დამინახეს, დამცინეს, ქალაჩუნა ხარო. რას ამბობთ, ნამდვილი ვაჟიკა ვარ, დედაჩემი ჩუმ-ჩუმად ღვიის ნაყენს მასმევს-მეთქი. ეს კი კუნელის თაიგული გახლავთ, დედაჩემს უნდა მივართვა-მეთქი. შენი დედაცაო – დედა შემაგინეს. აბა, მაგას როგორღა მოვითმენდი, ხელი შემოვარტყი. მეორემ კი თოფი ამოიღო და შიგ გულში მესროლა.

იზი – მაგ ბალახების გამო ჩხუბის ატეხა არ ღირდა.

ვაჟიკა – ეეჰ, მამი, შენ ხალხური მედიცინის არაფერი გაგეგება.

ვენი – ვაიმე! მე რალა ჯანდაბა მეტაკა, დროზე გინამლო.

ვენი მაგიდიდან რალაც ბალახს იღებს და იგის ქვაბში უყრის.

იზი – ეს რალაა?

ვენი – ჯერ შენ გასინჯე, ბავშვს შეუმონებულად ხომ არ მიცემ.

იზი – მოიცა, იმ ჩხუბში პიჯაკი ხომ არ დახიე?

ვაჟიკა – ძალღმა დამიგლიჯა. შენ რომ ლეკვის მოყვანა გინდოდა, ის ლეკვი გაზრდილა, რწყილები დახვევია, ცოფი შეჰყრია, დაჭრილი რომ დამინახა, კბილი მაძგერა.

ვენი (იგის) – ეგვე შენი ლეკვი, ნახე რა დღეში ჩაუგდია ბავშვი.

იზი – ვაიმე, ჩემი პიჯაკი!

ვაჟიკა – გამომართვი, მამი, პიჯაკი. აბა, მე რალაში გამომადგება. ნურც იმაზე იდარდებ, დაგლეჯილი რომ არის. ადვილად გაიკერება.

იზი – რითი გაკერო, საკერავი მანქანა ოცნებად გადამექცა.

ვაჟიკა – მამი, ბოლო თხოვნა შემიხსრულე. გაყიდე ეგ თოფი და ჩემს სახელზე საკერავი მანქანა უყიდე დედას.

იზი – დაფიქრდი, შვილო, იქნებ საბურავების ყიდვა ჯობდეს.

ვაჟიკა – ჰო, კარგი გამახსენე, არ მინდა, ჯავრი გამყვეს. დედაზე ტყუილად ნუ გექნება ეჭვი, ფული მჭირდება და ის საბურავები მე გაყიდე.

ვენი (იგის) – აი, ხომ გაიგე, მე არაფერ შუაში ვარ.

იზი – არ მჯერა!

ვენი – არც კი გრცხვენია! მომაკვდავი შვილის არ გჯერა.

ვაჟიკა – გემუდარებით, ოღონდ ახლა, ამ მძიმე წუთებში ნუ იჩხუბებთ. თქვენი მომღიმარე სახეები დამანახ-

ეთ. (მშობლები იღიბებიან) მამი, მომეცი პირობა, რომ დედას საკერავ მანქანას უყიდი.

იბი – რა გაეწყობა, თანახმა ვარ.

მენი – ისე, კაცმა რომ თქვას, ამ პიჯაკს დაგლეჯილისა არაფერი ეტყობა, გასაკერს ვერაფერს ვხედავ.

მეჩიკა – არა, დედი, შენ ნუ გაირჯები, ნინო დააკერებს. ჩემი ნინო, განათლებით ბოტანიკოსია. დღე-დღეზე ცოლად მოყვანას ვაპირებდი. მალე ბავშვიც შეგვეძინება. მიიღეთ რძალი საკუთარი შვილივით, გაზარდეთ შვილიშვილი. თუ გოგო გაჩნდა, შენი სახელი დაარქვი, დედი. მერე ჩაიგორე კალთაში შვილიშვილი და უამბე, მამამისს როგორ უყვარდა ბებიათსი. თუ რძალი გამოგადგა და ქონების გაყოფა არ მოინდომა, მეორედ ნუ გაათხოვებთ, დაე იყოს შინ, აუთოოს, კეროს, მამას სადილი მოუმზადოს. თუ არა და, ნუ დააკავებთ, ბავშვი დატოვოს და წავიდეს.

მენი – როგორც შენ იტყვი, შვილო!..

მეჩიკა – ნუ ტირი, დედი!

მენი – უკეთესს ვის დავიტოვებ.

მეჩიკა – გახსოვს, დედი?

მენი – როგორ არა.

მეჩიკა – ის თუ გახსოვს?

მენი – აბა, მაგას რა დამავინწყებს.

მეჩიკა – ჰოდა, ნუ დაივინწყებ.

იბი – ვაიმე, სული მეხუთება, ვიხრობი, მიშველეთ!

მენი – შენ რალა გემართება?

იბი – ეს რა ბალახი ჩამიყარე?

მენი – აბა, მანახე. უი, ისე დავიბენი, შხამბალახა მომიცია.

იბი – ვკვდები! (ტახტზე გულაღმა გადავარდება)

მენი – შენ ხომ ყველაფერი უდროოდ იცი. (ვაჟიკას) თავს მოვიკლავ შენ რომ რამე დაგემართოს! (ქვაბში დარჩენილ საჭმელს ჭამს)

მეჩიკა – სამაგიეროდ, ყველას ეცოდინება, რომ შენი შვილი დედის გინებას არავის შეარჩენს!

ვაჟიკა თავს გადაადებს. სცენა ბნელდება, სიბნელეში ისმის ვენის კივილი.

მენი – არა!!!

მანამ სროლა განახლდება.

ოთახი ნელ-ნელა ნათდება. იგი ტახტზე წევს, გაზეთს ათვალეირებს.

ვენი მაგიდასთან გაქვავებული ზის.

მენი – არ მინდა! არ მინდა, შვილო, კუნელი!

უეცრად ვენი სკამიდან წამოხტება და ფანჯარასთან მიიჭრება.

იბი – მოხდა რამე?!

ვენი მაგიდაზე დალაგებულ ბალახებს კიდებს ხელს.

მენი – დროზე, ბალახის საფენები უნდა მივუტანო, იქნებ მივუსწრო.

იბი – ვის უნდა მივუსწრო?

მენი – ვერ გაიგე, ლეკვი გაზრდილა, დედა შეუგინებია, თოფი უსვრია.

იბი – სად გარბიხარ, რას ბედავ? ვერაფერი გავიგე.

მენი – ხელი გამიშვი, ბიჭი გულშია დაჭრილი!

იბი – გამაგებინე, რა გული, რომელი ძალლი, ვინ გითხრა?

მენი – რა უნდა გელაპარაკო, შვილის ხმა ვერ იცანი.

იბი – როდის?

მენი – წელან.

იბი – სად?

მენი – აქ.

იბი – სად აქ?

მენი – გამიშვი!

იბი – სად?

მენი – იქ.

იბი – სად იქ?

მენი – რა ვიცი, სადაც ვაჟიკაა!

იბი – სად, მარილზე?

მენი – აი, შენ ისევ შენსას გაიძახი!

იბი – შენ არ მითხარი, ვაჟიკა მარლის მოსატანად წავიდაო?..

მენი – ესეიგი, მომეჩვენა?

იბი – კარგი, ნუ ტირი, მოდი, სკამზე ჩამოჯექი, სული მოითქვი.

მენი – გული მიგრძნობს, ბიჭს რალაც უჭირს, ბალახის ნაყენს მაინც მივუტან, ჭრილობებს მოვუშუშებ.

იბი – გირჩევნია, თვითონ შეჭამო რამე ბალახი, იქნებ დამშვიდდეს. რომელია დამამშვიდებელი?

მენი – აი, ეს – შქერი.

იბი – აბა, პირი გააღე და შეჭამე. ნუ იქცევი ბავშვივით, გამიღე პირი. თუ გინდა, ჯერ მე გავსინჯავ. აი, უყურე. იფ, იფ, იფ. რა გემრიელი ბალახია!..

აბა, ახლა შენ, ჰოო, ჩემი გოგო, აი, ყოჩად. აი, მალადეც!.. აბა, ერთი მეც გავსინჯო...



ფიქრა! მთარგმნელის ვინაობით მხოლოდ მაშინ თუ ინტერესდებიან, როცა ტექსტში რამე მსუყვე ლაფსუსს ნაწყენდებიან.

ჰო, ცუდ საკითხს მივადექით, მთარგმნელის პასუხისმგებლობას – ამის გახსენებაც კი არ მინდა – ხანდახან ვერც ფიქრში გატარებული საათები, ვერც ჩაი და შოკოლადი და ვერც თვით „გუგლი“ ვერ გვისხნის ყოვლად სამარცხვინო, ყოვლად დამლუპველი შეცდომისაგან...

ჰოდა, რატომ ვთარგმნი-მეთქი?!

...ეს არცთუ ხშირად ხდება, მით უმეტეს – კომპიუტერთან; ეს უმეტესად ხდება შხაპქვეშ ანდა საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მაგრამ ყველაზე კარგია თუ – ძილისწინ... გაღვიძების შემდეგ რა მოხდა, პირველად არც მახსოვს, მაგრამ ვგრძნობ, რომ თვითშეფასება საოცრად მაღალია, იმდენად მაღალი, რომ კარაოკეს ვრთავ და ხმა მაღლა სიმღერას ვბედავ – დღეს მე ყველაფერი მეპატიება! რადგან ძილის წინ სწორედ ის ფრაზა, სიტყვა, რითმა ვიპოვე, რომელსაც ამდენ ხანს ვეძებდი, ზუსტად ისეთი, როგორიც საჭირო იყო, არც ერთი მისხლით მეტი და არც ერთი მისხლით სხვანაირი – თითქოს ეს სიტყვა, ფრაზა, რითმა თუ რაცაა, მე კი არ მოვიფიქრე – ყოველთვის არსებობდა, სადაღაც დაფრინავდა, სადაღაც წყალქვეშ ეგდო და ჩემმა დაჟინებულმა ფიქრმა მოიყვანა ჩემთან „ამ ღამეში“.

მაგრამ ეს იშვიათად ხდება, ძალიან იშვიათად, ათასში ერთხელ და ყველა სხვა სიტყვა, ფრაზა თუ რითმა თუ რაცაა, დამარცხებული მცდელობაა – მაგრამ დამარცხებული უღებზე ხომ არ ლაპარაკობენ.

„იმას კი ნუ ფიქრობთ, თარგმანს რას სწირავთ თქვენ, იფიქრეთ, რას გაძლევთ თარგმანი!“ – თქვა ჯონ კენედიმ. აჰ, ასე არ უთქვამს?! ჰო, მაგრამ მე მთარგმნელი ვარ და თუ მინდა, ასე ვათქმევინებ.

ანი კოპალიანი



ვენი – შენ ოღონდ რამე ჭამო! სულ შენი ბრალია! აიჩემე, მშია, მშიაო...

იზი – კარგი, დამშვიდდი, ოღონდ არ ინერვიულო და ამ შაბათ-კვირას კუნელი და ის რალაც შავა, თუ თავა...

ვენი – თავშავა.

იზი – ჰოო, თავშავა დავკრიფოთ. ამ ბალახსაც ეტყობა გემრიელი უნდა იყოს, ამას რალა ჰქვია?

ვენი – ეგ არ შეჭამო, შხამბალახაა!

იზი – ფუ, დროზე ვერ მითხარი?!

ვენი – ყველაფრის გაუგებრად ჭამა კი არ შეიძლება. (იცინის. იგიც ღიმილით პასუხობს) შე მსუნაგო, შენა.

იზი – მისმინე, რალაც მინდა გკითხო, არა, უფრო სწორად, რალაც უნდა გითხრა. ისა კაცო, რა ჰქვია იმ მცენარეს? გრძელ წიწვოვანი რომ არი? ღვია, ხო?

ვენი – ჰო, პოტენციას ამაღლებს.

იზი – სანამ ვაჟიკა დაბრუნდება, ერთი-ორი წვეთი ჩაიში ხომ არ გაგვერია, ჰა?..

ვენი – არც კი გრცხვენია?! რა დროს ეგ არის!

იზი – კარგი, რა მოგივიდა? ორი წვეთი ჩაიში.

ვენი – ჯანდაბას შენი თავი, დაადგი ჩაიდან. ოღონდ მერე საჭმელი არ მომთხოვო!

იზი – რატო?

ვენი – ბევრი მოგივა!

იზი – ჩააქრე შუქი!

ვენი – ჯერ ღვიის ნახარში დალიე!

იზი – ღვიის ნახარში კი არა, ისევ ისვრიან, ჩააქრე შუქი.

შუქი ქრება

იგის მამური ზმანება

ოთახი ნელ-ნელა ნათდება. იგი გაზეთს ნერვიულად ათვალთვლებს. ვენი მაგიდასთან ზის, მცენარეებს ახარისხებს. ერთ ხანს ორივენი ჩუმად არიან.

იზი – ამათმა ხომ გაანყალეს გული, ისევ ისვრიან!

ვენი – მგონი, კარზეც აკაკუნებენ.

იზი – ვნახავ, ვინ არის!

ვენი – არ გინდა. (წინ გადაუდგება იგის)

იზი – რა გემართება? გამიშვი, გავალო კარი. იქნებ ვაჟიკაა.

ვენი – არავინ არის, მომეჩვენა.

იზი – რისი გეშინია? ვინც არ უნდა

იყოს, მე აქ არ ვარ?

კარს მიღმა ისმის ქართული ხალხური სიმღერა – „ურმული“.

იზი – სადაური ხარ, ბიჭო?

ვაჟიკა (კარს მიღმა) – მე ვარ, მამი, მე!

იზი – შე მამაძაღლო, შენა!

ისმის სროლისა და ნგრევის ხმა. იგი კედლიდან თოფს ჩამოხსნის.

იზი – ოხ, თქვენი დედა ვატირე!

იგი ვენის გზიდან ჩამოიშორებს და კარს ალებს. შინ შემოდის აქოშინებული ვაჟიკა.

ვაჟიკა – მამი, მიშველე, მომდევენ! (კარს რაზავს)

იზი – ვინ მოგდევეს, შვილო? რა მოხდა?

ვაჟიკა – გვიღალატეს! გვიღალატეს!

იზი – ვინ?

ვაჟიკა – თავიდან, ვძლიეთ, ალამაჰმად ხანი უკან გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ღამით მოღალატემ აცნობა, ერეკლე მეფეს მეზარბაზნეები არ ყავსო და უკან მობრუნდა მტერი.

იზი – აკი რუსის ჯარი დაგვეხმარებაო?

ვაჟიკა – მაგათაც გვიღალატეს, ჯერ ქალაქი ააოხრებინეს ურჯულოებს და მერე შემოვიდნენ.

იზი – ჩვენი მთავრობა სად წავიდა?

ვაჟიკა – სხვა რა გზა ჰქონდათ, დაუთმეს რუსებს ქვეყანა. მაგრამ რუსეთში ატყდა არეულობა, ჩვენთვის აღარ ეცალათ.

იზი – ვერ დავიჯერებ, თავისით წავიდნენ რუსები?

ვაჟიკა – მერე ისევ უკან მობრუნდნენ. ჩვენებურები მოუძღვოდნენ, ისევ ღალატმა გაგვტყუა.

იზი – ევროპამ არაფერი იღონა?

ვაჟიკა – ევროპამაც გვიღალატა. ჩვენი მთავრობა ემიგრაციაში გაიქცა!

ვენი – ხომ ვამბობდი, პირტიტველი ბიჭების იმედად დატოვებენ მეთქი ქვეყანას.

ვაჟიკა – მერე ყელში რომ ამოვიდა ეს რუსული ჯარი, ქუჩაში გამოვედით, მაგრამ უაიარალო ხალხს ტანკებით დაგვერივნენ. მაინც არ შევუშინდით. უაიარალოებს რომ ვერ მოგვერივნენ,

მერე იარაღი მოგვცეს, დაგიჭამიათ ერთმანეთით.

იზი – თქვენ რა ქენით?

ვაჭიკა – დავჭამეთ ერთმანეთი.

ვაჭიკა – ამათი დატოვება ხო მარტო არ შეიძლება...

ვაჭიკა – ერთმანეთში ამერიკელე-ბმა შეგვარიგეს. ეს რომ გაიგეს რუსებმა, მაგათ ვინღა კითხავთო და ისევ წამოვიდნენ.

იზი – და ევროპამ ისევ გვიღალატა, არა?

ვაჭიკა – ეგ კიდეც არაფერი. შენი პიჯაკი დავხიე.

იზი – რაა?!

ვაჭიკა – შინ რომ ვბრუნდებოდი, გზად მოლაღატეები შემომხვდნენ. ლეკვი შეეპყროთ, გაეკოჭათ და აწვალეზდნენ. მე ლეკვს გამოვესარჩლე, მოლაღატეებმა კი პიჯაკის წართმევა მომინდომეს. მამაჩემის პიჯაკს არ დანებებოთ-მეთქი. ცალკე შენი და ცალკე მამაშენის დედაცაო, შემაგინეს. დამელოდეთ, მამაჩემის თოფს მოვიტან და შავ დღეს დავაყრიოთ მეთქი. აქეთ გამოვიქეცი და ისინი უკან დამედევნენ.

ვაჭიკა – აბა, მაგ დაგლეჯილი პიჯაკის გამო ჩხუბის ატეხა ღირდა?

ვაჭიკა – ეეჰ, დედი, შენ საგვარეულო ტრადიციებისა არაფერი გაგეგება.

იზი – ვაჟკაცი ყოფილხარ, მამა გენაცვალოს, ნურაფრის გეშინია, შენს თავს არავის დაეაჩაგვრინებ.

კარზე ბრახუნია.

ვაჭიკა – აი, მოვიდნენ, მამი, სადაცაა კარს შემოამტვრევენ.

იზი – შვილო, დედაშენს მიხედ, ამათ მე ვასწავლი ჭკუას!

კარს მიღმა ისმის იარაღის სროლა. იგის ტყვია ხვდება, ძირს ეცემა. კარს მიღმა ხმაური და კარზე ბრახუნი წყდება.

ვაჭიკა – მამი, სად მოგხვდა?

იზი – არაფერი, შვილო, უმნიშვნელო ნაკანრია. უბრალოდ, ფეხი დამიცდა და წავიქეცი.

ვაჭიკა – მაშ, წამოდექი, მარილი მოგიტანე, ვისადილოთ.

იზი – მამა გენაცვალოს, რა ხანია, შენთან ერთად პურის გატეხა მომენატრა. (წამოიწევა, მაგრამ ისევ იქცევა).

ვაჭიკა – დედი, მამას ტყვიამ გულ-ისფიცარი შეუნგრია.

ვაჭიკა – არა უშავს, ქორწილამდე მოურჩება.

იზი – რომელ ქორწილამდე?

ვაჭიკა – აქამდე ვერ გავზედე მეთქვა. ცოლი მომყავს. ქეთი ჰქვია. შვილი რომ გვეყოლება, შენს სახელს დავარქმევ.

იზი – ეს თოფი გაყიდე და ჯვრისწერისთვის ახალი პიჯაკი იყიდე.

ვაჭიკა – მაგას რად ამბობ, მამი? რად მინდა ოჯახი, თუ თოფი გაყიდე, შვილი რომ შემეძინება, რითი ვისროლო?

ვაჭიკა – ახლა იმ ბავშვს გაუხეთქეთ გული... უმჯობესია, თოფი გაყიდო და მამაშენის სახელზე საკერავი მანქანა ვიყიდოთ.

ვაჭიკა – ჰო, მართლა, კარგი გამახსენდა. დედი, მამაზე ეჭვი ნუ გექნება. დამჭირდა და იმ საკერავი მანქანის ფული მე ავიღე.

ვაჭიკა – არ მჯერა!

იზი – შვილო, დედაშენის ამბავი რომ ვიცი, საკერავ მანქანას ვერ მოინელებს. გაყიდე თოფი და უყიდე საკერავი მანქანა.

ვაჭიკა – ახლავე მოვიტან ბალახებს და გინამლებ.

იზი – შვილო, შენს ცოლს სთხოვე, ჩემი პიჯაკისგან პატარა პიჯაკი შეეყროს. ჩააცვი მერე ჩემ შვილიშვილს, ჩაჰკიდე ხელი, გაასეირნე ზოოპარკში და უამბე, როგორ კვდებიან გმირი მამები.

ვაჭიკა – აი, ლიკოპოდიუმი, მკერდზე დაიფინე, გეამება.

იზი – არ მინდა, მოაშორე ეგ ბალახები, ხომ იცი, ბიჭს ალერგია აქვს მცენარეების მტვერზე.

ვაჭიკა – თუ ბალახი არ გინდა, ამას მაინც დავაყრი.

ვაჭიკა – რას შვრები, დედი?! ეგ ხომ მარილია!

ვაჭიკა – იოდის შემცველობა აქვს.

იზი – თავი გაანებე, შვილო, დამაყაროს. კაცი ტკვილებისთვის გაჩენილა.

ვაჭიკა – მაშინ მეც დამაყარე.

იზი – შენთვის ჯერ ადრეა. შენი წილი მარილიც მოიძებნება.

ვაჭიკა – „რა დროს სიკვდილია, რას ბრძანებ, მეფე ბატონო?!“

იზი – „არა, ჩემი დღენი დათვლილია უკვე... მე მივდივარ ამ სოფლიდან.“

სცენა ბნელდება.





როცა სხვები არ ისვრიან

ოთახი ნელ-ნელა ნათდება. ვენისა და იგის ჩვეული ადგილები გაუცვლიათ. ვენი ტახტზე წევს. გაზეთს ათვალთქვებს. იგი მაგიდასთან ზის. მცენარეებს ახარისხებს. ერთ ხანს ისინი ჩუმად არიან. პაუზა ჩვეულებრივზე ხანგრძლივია. მოულოდნელად ტახტიდან წამოხტება და თოფს ჩამოხსნის ლუარსაბი.

იზი – ვის უბედავენ სახლში შემოვარდნას, მე მაგათი დედა ვატირე! მაგათი დასაჩაგრი შვილი სადა მყავს!.. გამიშვი, უნდა მოვკლა!

ვენი – თოფით სად გარბიხარ, პატრული დაგიჭერს, არ დამლუპო!

იზი – სროლა როგორ გამიბედეს? თან პირდაპირ გულში გამარტყეს. აი, აქ. კარებიდან პირდაპირ მკერდში.

ვენი – მანდ არაფერი გეტყობა და...

იზი – არ მეტყობა? აბა, მე მაგის კაცი ვარ, რომ მაგათი ნასროლი დამტყობოდა?! კარის გაფუჭებას მაინც არ შევარჩენ!

ვენი – კარსაც არაფერი ეტყობა. კარგი ახლა, დამშვიდდი. ამდენი ნერვიულობა სად გაგონილა. აბა, ახლა ეს ფოთოლი მოკვნიტე, რომ მოგეწონა, სწორედ ის არის. ჩემი თიკანი, ჩემი ბეკეკო...

იზი – რომ მცოდნოდა, ასე დაავიანებდა, უმარილოდ ვისადილებდი, ერთხელ მისადილია თუ რა.. არა, მაინც სად არის აქამდე!

ვენი – მოდი, ეგ თოფი ადგილზე დაკიდე და თუ გინდა, ბიჭის მოსვლამდე ჩაიდანი დავადგათ.

ვენი – რა ვიცი, შენ თუ გინდა...

კარზე კაკუნია.

იზი – აი, მობრძანდა ბატონიშვილი.

ვენი – ელირსა, როგორც იქნა.

იზი – მიდი, ეახელ, გაუღე.

ვენი – ოლონდ ცხვირჩამოშვებული ნუ დახვდება.

დარეჯანი კარს უღებს ვაჟიკას.

იზი – სად ხარ, ბიჭო, აქამდე?

ვენი – სადაც გამგზავნეთ.

ვენი (ვაჟიკას) – ნორმალურად უპასუხე, გაგვისკდა გულები.

ვენი – რატომ, მოხდა რამე?

ვენი – ისეთი არაფერი, უბანში ცოფიანი ძალლი გამოჩნდა და... შენ ხომ არ შეგხვედრია.

ვენი – ვაჟიკა (ლუარსაბს) – ეგ თოფი მაგიტომ გადმოიღე, ამ სიბერეში ძაღლებზე დაინყე ნადირობა? (იცინის)

იზი – ასე დიდ გულზე რომ ხარ, ჩემი პიჯაკი რა უყავი? დაგხვდა ვინმე ქუჩაში და გაგაძრეს?

ვენი – რომელი პიჯაკი? აა, იის?.. ნაფტალინით გაჟღენთილი ტახტში რომ გდია, ვინ არის მაგის ჩამცემელი, გადაადგედ, ან დანვით.

ვენი – ნინოს როდის გაგვაცნობ?

იზი – რა იყო, ქეთი უკვე მიატოვე?

ვენი – იცოდე, ორსული გოგოს მიატოვება დიდი ცოდვია!

ვენი – ვინ არის ორსულად?

ვენი – მოდი, დედა შემოგვევლოს, მოსვი, კომპოტივით არის, მეხსიერებას ალგიდგენს.

ვენი – ფუ, განიე ჭიქა, ამერია გული!

იზი – ვინ მოგცა შენ ფურთხების უფლება?

ვენი – რა გინდათ ჩემგან?

იზი – ვის მიყიდე მანქანის საბურავები?

ვენი – რაში დახარჯე საკერავი მანქანის ფული?

იზი – ნახე, რა უცოდველი კრავივით აფახუნებს თვალებს.

ვენი – ვე, თქვენ ხომ არ გაგიჟებულხართ?

იზი – მშობლებს როგორ ელაპარაკები, შე ლანირაკო?!

ვენი – განიე აქედან ეგ ჟანგიანი თოფი, გამომართვი ეს და დამანებეთ თავი!

იზი – ეს რაღაა?

ვენი – ნაიკითხე კოლოფზე, მარილია, რა უნდა იყოს.

იზი – რაო, რა წერია?! ეს მარილი იოდიზირებული არ არის?

ვენი – როგორ გაბედე ამ შხამის სახლში შემოთრევა!

იზი – ჩიყვი გინდა დამემართოს, შე მამის მკვლელი, შენა?!

იგის თოფი იგრილებს, ვაჟიკა უსულოდ ეცემა. სცენა საბოლოოდ ბნელდება.

ესეისტიკა / დოკუმენტური პროზა

როსტომ ჩხეიძე

რეპრეზენტაციის სინაქსისა

(ირაკლი წერეთლის ბედისწერა)

დასასრული. დასაწყისი იხ. №10, 11

IV

„ქართველები ნუ ეჩივიან რუსების საქმეში“

ნოე ჟორდანიას კეთილ სიტყვას ვერავისზე დააცდენინებდი.

თვითონ თავი მოჰქონდა, როგორც მარქსიზმის საუკეთესო მცოდნეს, და სხვანიც ასევე აფასებდნენ – ვისაც ენება ამ დოქტრინაში გარკვევა, ნოე ჟორდანიას საჯარო გამოსვლების მოსმენას ესწრაფოდა. სოციალ-დემოკრატიული პარტიაც მისი ხელმძღვანელობით მომძლავრდა საქართველოში, რუსეთის პოლიტიკურ წრეებშიც დიდი სახელი და გავლენა მოეხვეჭა და 1917-18 წლებში საბოლოოდ მაინც მისი გადასაწყვეტი თუ დასადასტურებელი აღმოჩნდა საქართველოს სახელმწიფოს აღდგენაც...

ამ ყოველივეს არავინ უარყოფდა, მაგრამ იგი ნაკლებად გახლდათ იდეის კაცი და ფანატიკოსი და დიდად არ ანაღვლებდა პოლიტიკური შეხედულებანი და დოქტრინები, თუკი მის პირველკაცობას არაფერში წაადგებოდა.

იოლად შეეძლო განდგომოდა გუშინდელ თანამებრძოლებს, თუკი მის ძალაუფლებას ანდა გავლენას რაიმე საფრთხე შეექმნებოდა – ყოფით რეალობასა თუ საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

მემუარების წიგნში „ჩემი წარსული“ ამიტომაცაა მოვლენათა შუაგულში წარმოსახული ერთადერთი კაცი – თვითონ ავტორი, თითქოს სხვა ყველა და ყველაფერი ისეთი წვრილმანი იყოს, მოხსენიებადაც არა ღირდეს.

დამოუკიდებლობის გამოცხადება ვითომ მხოლოდ მისი ნებით მოხდა და ემიგრაციაში მოღვაწე საქართველოს

დამოუკიდებლობის კომიტეტი – რომელმაც სინამდვილეში მოამზადა ეს ოფიციალური აქტი გერმანიისა და თურქეთის ხელისუფლებასთან დიპლომატიური ურთიერთობის წყალობითა და მათი დაყაბულებით – არც არსებულებს.

მთავრობაც ვითომ მარტოდენ თვითონ ყოფილიყოს.

აბა, საქართველოს ხელისუფლებას დასავლეთში რატომ იხსენიებდნენ ჩხეიძე-წერეთლის მთავრობად და ეგებ სულაც ჩხეიძე-წერეთლის რესპუბლიკად?

ნოე ჟორდანიას ვითომ არც სმენოდეს ამგვარი განსაზღვრება და საერთოდ ყურშიც არაფერი ჩანვეთებოდეს კარლო ჩხეიძისა და ირაკლი წერეთლის გამორჩეულ გავლენასა და ავტორიტეტზე.

არადა, ძალიან რომ აღიზიანებდა ეს გავლენა, განსაკუთრებით მაინც ირაკლი წერეთლისა, ხელშესახებად ცნაურდება მისი მოგონებების იმ მონაკვეთიდან, რომელშიც დაკნინებულადაა წარმოსახული ამ პიროვნების სილუეტი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ გარემოებას, ირაკლი წერეთლის ავტორიტეტის დამადასტურებელს, ნოე ჟორდანიაც კი ვერ უარყოფს.

იგი შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, მწარედ არ წაკბინოს ინტელიგენციას, როგორც დამორებულს ხალხისაგან და გაუსაქმურებულს, ამჯერადაც თავისი უუნარობისა და უმოქმედობის გამამართლებელ საბუთებს რომ ეძიებდა – ეს არამარტო საქართველოში, არამედ იმპერიის მთელს ტერიტორიაზე. თვითონ ნოე კი არ აპირებდა დინებას დანდობილად მიჰყოლოდა და პირველ



ნოე ჟორდანია



ირაკლი წერეთელი



კარლო ჩხეიძე



ვლადიმერ ლენინი

ყოველისა პეტერბურგში პირდაპირი მავთულით დაუკავშირდებოდა კარლო ჩხეიძესა და ირაკლი წერეთელს, გააცნობდა პარტიისა და საბჭოს აზრს, მოითხოვდა რეფორმებს, ზავის ჩამოსაგდებად გადამჭრელ ნაბიჯებს...

იქიდან კი:

– ვერავითარი პასუხი, გარდა ნუგეშისა და ჩვენი დამშვიდებისა: ჩვენ ვემზადებით, ყოველივე კარგად წავა და სხ.

„ამ ოპტიმიზმის შემქმნელთაო“, ირონიას გამოუჩვენა მემუარისტი, „გამოიგონეს საიმპერიო დემოკრატიული თათბირი, რომელიც შექმნის „ნინა-პარლამენტს“. ეს იქნება ის ავტორიტეტული ორგანო, რომელიც დაამყარებს წესიერებას და მიიყვანს ხალხს დამფუძნებელ კრებამდე“.

მაშინვე არ სჯეროდა ამ დაპირებების?

ყოველ შემთხვევაში მათ მონოდებას დაემორჩილებოდა, აირჩევდა დელეგატებს და გასწავდა პეტერბურგისაკენ საკუთარი ვაგონით. სადგურზე დახვდებოდათ ირაკლი წერეთელი და პირდაპირ მიიყვანდათ მენშევიკური ფრაქციის კრებაზე.

მართალია იგი გამხდარიყო „სწრაფი ლიდერი რუსი მენშევიკებისა“, მაგრამ ამ ფრაქციას, ნოე ჟორდანიას მტკიცებით, მასებისაგან მოწყვეტილად ემოქმედა, როდესაც – წინააღმდეგ საქართველოს სოციალ-დემოკრატთა შეხედულებისა – გადაეწყვიტა თავისი ორი წევრის შეყვანა მთავრობაში.

მემუარისტი სრულ ქაოსს წარმოსახავს, როდესაც ადამიანებმა არ იციან, რა აკეთონ ან საით წავიდნენ („ყველა ის პროპაგანდისტები, რომელნიც მიწახავს რუსეთში და პარტიის კონგრესებზე და რომელთაც არასოდეს არ ქონებიათ გარკვეული ხაზი რთული პირობებიდან გამოსასვლელათ, ყველა აქ იყვენ შეკრებილი“).

აი, გამოჩნდება ირაკლი წერეთელი და:

– მას რიგ გარეშე სიტყვა მიეცა. ეტყობოდა, ირაკლი იყო ამ ხალხის შეუმცდარი მეთაური და გზის მაჩვენებელი. ყველა ორატორები შემდეგ ირაკლი გიორგევიჩს ემყარებოდნენ,

როგორც უდიდეს ავტორიტეტს და მის აზრებს იმეორებდნენ.

რაოდენ სამძიმოც უნდა იყოს ნოე ჟორდანიასათვის ამის აღიარება, მაინც ამჟღავნებს თხრობისას, რაკილა დარწმუნებულია, რომ ისეთი კოზირი აქვს შემონახული, თანაპარტიელის ამ შეუმცდარ მეთაურობასა და უდიდეს ავტორიტეტს ერთბაშად გააცამტვერებს:

– ეს ცხვრის ფარა იყო, მისი საკუთარი ფარა...

და თუ მენშევიკები ჩამოშორდნენ მასას, ცხადია, მეთაურს და მხოლოდ მეთაურს უნდა დაბრალდებოდა.

აჰა, აირჩევდნენ იმ ნინა-პარლამენტს.

მათ შორის მოხვდებოდა ნოე ჟორდანიაც:

– მაგრამ ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ეს არის წყლის ნაყვა, ასეთი ფოკუსით მასა არ შეჩერდებოდა. მენშევიკები და სოციალ-რევოლუციონერები ერთნაირათ გარიყულნი არიან, როგორც ხალხისაგან, ისე მხედრობისაგან და ჩემი დარჩენა უნაყოფო იქნებოდა.

ერთ მიტიჩს რომ დაესწრებოდა – იქ ირაკლი წერეთელი არ იმყოფებოდა – მოეჩვენებოდა, ეს კრება კი არა, დამმარხველი პროცესიააო.

ამ განწყობილებას ინვევდა ბოლშევიკთა სულ უფრო და უფრო მომძლავრება, და თვალსაჩინო მენშევიკი ორატორები მათ წინსვლას თითქოს მოთქმას აყოლებდნენ: მოდის ბოლშევიზმი, ყოველივეს შემუსრავს, რა გვეშველება, ხსნა არსაიდანააო...

– ერთი სიტყვით, გასაშტერებელი პესიმისიზმი და გულგატეხილობა. უეჭველია, ასეთი გამოსვლების შემდეგ დამსწრეთა დიდი უმრავლესობა მეორე დღესვე გადავიდა ბოლშევიკებისაკენ, ამ ამომავალი მზისაკენ.

პესიმისიზმი ძალიან არ მოსწონს, მაგრამ არც ირაკლი წერეთლის ოპტიმიზმით რომ არ დარჩა მაინცდამაინც ალფრთოვანებული?!

ეჰ, ჩემს ხელთ უნდა ყოფილიყო ეს ყველაფერი, – უთუოდ ფიქრობდა.

თავისი პროექტიც ჰქონდა: დემოკრატიული მთავრობა უნდა შემდგარიყო.



ლევ ტროცკი



გრიგოლ რობაქიძე

დემოკრატიულ თათბირზე ერთი ჯგუფი, ირაკლი წერეთლის მეთაურობით, ემხრობოდა კოალიციური სამინისტროს შედგენას, მეორე ჯგუფი კი, **ლევ ტროცკის** მოთავეობით მოსული მუშათა საბჭოს წარმომადგენელნი, მოითხოვდა მთელი ძალაუფლების გადაცემას საბჭოებისათვის.

– შუა კომბინაცია – დემოკრატიული მთავრობა კი გაქრა წერეთელ-ტროცკის სიტყვების დუელში.

მემუარისტს ამ გარემოების აღნიშვნა სულ სხვა მოსაზრებით სჭირდება ანუ ორივე მხარის გასაკილად, ოქროს შუალედს რომ ვერ მიაგნეს, ნოე ჟორდანიასათვის ასე ცხადლივს, მაგრამ ამ ფრაზაში მკაფიოდ გამოსჭვივის, ეს ორი ლიდერი ტოლს რომ არ უდებს ერთიმეორეს მჭევრმეტყველებით.

გრიგოლ რობაქიძე კი ტროცკის გაცილებით უკეთეს ორატორად გვაცნობდა.

ეს ისედაც ძნელი დასაჯერებელი გახლდათ, რამდენადაც მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა გვაქვს შექმნილი ირაკლი წერეთლის ოქროპირობაზე.

აგერ, კიდევ ერთი დასტურიც თვითმხილველისა – ისინი ტოლს არ უდებენ ერთმანეთს.

ირაკლი წერეთელი კამათისას თუნდ ძნელად, მაგრამ მაინც დასაჯაბნი რომ ყოფილიყო, არც **ლენინი** იქნებოდა შეშფოთებული მისი არსებობით – ისიც და ტროცკიც ტრიბუნიდანვე იოლად გაუსწორდებოდნენ... მაგრამ გადაულახავი კედელივით მოჩანდა ისედაც მონამის შარავანდით შემკული ეს პიროვნება და ლენინი ხან მასთან დაახლოებას რომ ცდილობდა – „აპრილის თეზისებსაც“ გააცნობდა და საჯაროდაც დაიტრაბახებდა, ირაკლი გიორგევიჩს ნავაკითხეო – ხან კვალში ჩაუდგებოდა მის შეხედულებებს და მათ უარყოფას ლამობდა... ვისაც ამ მხრივ შეუსწავლია ლენინის მაშინდელი გამოსვლები და პუბლიცისტური სტატიები, ირწმუნებიან, ყველაზე ხშირად ირაკლი წერეთელს ახსენებსო.

მაშინ ხსენებით არ უხსენებია, მაგრამ პირველ ყოვლისა უეჭველად მას

გულისხმობდა – და მასთან ერთად კარლო ჩხეიძესაც...

მაშინ – ნოე ჟორდანიას რომ შეაჩერებდა ქუჩაში და შეემუდარებოდა: ქართველები ნუ ერევით რუსების საქმეში, თქვენ არ იცნობთ ჩვენს ხალხს, მის ფსიქოლოგიასა და ყოფა-ცხოვრებას და რატომ გვიშლით ხელს ჩვენი საქმეები ჩვენებურად, რუსულად მოვაგვართო?

მსურვალე დაპირებასაც არ დაიშურებდა:

– მიიღეთ ავტონომია, აკეთეთ საქართველოში, რაც და როგორც გსურთ, ჩვენ არ ჩაგერევით, ნურც თქვენ ჩაგვერევით.

„ჩემი წარსულის“ ამ პასაჟისათვის ყველას მიგვიტყვიყვია ყურადღება და დამონშებითაც დაგვიმონშებია. ოლონდ კარგი იქნება, თუ დავაზუსტებთ ხოლმე: თხრობის მიხედვით ისე მოჩანს, თითქოს ლენინი უპირველესად ჟორდანიას უფრთხის, მისი ჩამოცილება სწადია, მაგრამ ჟორდანიას არ ყოფილა იმხელა ავტორიტეტისა და გავლენის პოლიტიკური მოღვაწე რუსულ სივრცეში, რომ მისი ლენინს შეშინებოდა და, ჩამოშორების სანაცვლოდ, საქართველოს შეპირებოდა.

გინდ ჩარეულიყო რუსულ საქმეებში ნოე ჟორდანიას და გინდ არა!..

რალაც გავლენას ისიც მოახდენდა პოლიტიკურ პროცესებზე, ანგარიშშიც ჩააგდებდნენ მის პიროვნებასა და პოლიტიკურ არჩევანს, მაგრამ ასე ძალიანაც არა.

ამიტომ ლენინის იმ მუდარის ქვეტექსტი ასე იზიფრება: ნუ ერევიათ კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი რუსების საქმეში, ნუ გვიშლიან ხელს, საქართველო იკმარონ და შეგვეშვანო.

იმათ აღუთქვამდა:

ჩვენ არ ჩავერევითო...

ლენინს როდის რა უთქვამს მართალი, მაინცდამაინც ახლა რომ ყოფილიყო სანდო მისი სიტყვა.

მთავარი ისაა, გზებს რომ ეძიებდა მათ ჩამოსაცილებლად.

აკი კიდევ ჩამოიცილა ბოლშევიკური გადატრიალების მეოხებით, თორემ მანამდე მათი გაპირველკაცების შემყურე უნდა ყოფილიყო...



თარგმანა – თავშესაფარი შვეიცარიაში პირიზისისას

თარგმანას ჩემთვის ყოველთვის მასველი რგოლის დატვირთვა ჰქონდა და აქვს: როცა შემოქმედებითად პასიური ვიყავი და ვერ ვახერხებდი წერას, მაშინ ვთარგმნიდი ძირითადად. თუმცა ეტყობა მერე გიჯდება ძვალ-რბილში. ახლა უკვე დიდხანს რომ არ ვთარგმნი რამეს, თითქოს მთხოვს სხეული თუ სული, და ვეძებ ხოლმე ადრე მონიშნულ ლექსებს.

ჩემი მთარგმნელობა ინგლისურენოვანი ლექსებით შემოიფარგლება, ძირითადად ამერიკელი პოეტებით. თავიდან უოლტ უიტმენით დავიწყე, თითქოს საჯილდაო ქვა იყოს, თითქმის ყველა მთარგმნელს აქვს მოსინჯული მგონი უიტმენის პოეზიის გადმოქართულება.

ჩემი აზრით, აუცილებელია გაიმიჯნოს მოყვარული და პროფესიონალი მთარგმნელი. მე პირადად, რა თქმა უნდა, მოყვარული მთარგმნელი ვარ. თარგმანა არაა ჩემი პროფესია. მთარგმნელისათვის აუცილებელია რამდენიმე თვისება თუ უნარი: პირველი – ალბათ დაბადებით უნდა დაყვეს მთარგმნელის ნიჭი და ალლო, მეორე – პოეტი უნდა იყოს (როცა ლექსებს თარგმნი – სულ სხვაა პროზის თარგმანა, არასოდეს მიცდია და არც ვისაუბრებ ამის თაობაზე) და მესამე – აუცილებლად უნდა ფლობდეს რამდენიმე უცხო ენას, თანაც კარგად.

თარგმანა მაშინ დავიწყე, როცა ინგლისურს ვსწავლობდი, და ამდენი ჯახირის შემდეგაც ვერ ვიტყვი, რომ კარგად ვფლობ ამ ენას. ამიტომაც თარგმნისას სათარგმნ ტექსტს ისე დავტრიალებდი, როგორც მეცნიერი თიხის ფირფიტებზე გამოყვანილ სოლისებრ დამწერლობას; მთავარი იყო ამომეკითხა ტექსტი და გამეგო შინაარსი. ყველაზე რთული, სახეებს, მეტაფორებს, იდიომებს, ჟარგონებსა და ფრაზებს შორის ნაგულისხმევი აზრის ჩანვდომა იყო, იყო და არის. ტექსტის „გამოფრვი-

დასასრული 33-ე გვერდზე



კათოლიკოს-პატრიარქი
ამბროსი ხელაია

ნოე ჟორდანიას კი ვერ აეხსნა, რატომ უნდა შერქმეოდა საქართველოს სახელმწიფოს ხელისუფალთ დასავლეთის პოლიტიკურ ენაზე ჩხეიძე-წერეთლის მთავრობა (იქნებ სულაც რესპუბლიკა), და თავს იმით ინუგეშებდა: არც გამიგონიაო...

დრო კი გადიოდა – გულგრილად და საბედისწეროდ ახალდაბადებული რესპუბლიკისათვის...

V

„რა გსურთ – საფრანგეთიც დაძღუაო?“

არც აქამდე დასცლოდა დიდხანს საქართველოში ყოფნა და თურმე არც ამიერიდან მოუწევდა თავის სამკვიდროში დარჩენა.

ცხადია, სულ სხვა რეზონანსი მოჰყვა თავის დროზე და დღესაც და ხვალაც განსაკუთრებული მნიშვნელობა, დიდი ზნეობრივი ზეგავლენა ექნება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას წერილს – გაგზავნილს გენუის კონფერენციაზე, თავისი სამშობლოს დაპყრობას რომ აუნყებდა მთელს ევროპას, და არა მარტოდენ პოლიტიკურ წრეებს; გამორჩეული იმიტომაც, რომ გველეშაპის შიგანში მოქცეულმა გაბედა პროტესტის საქვეყნოდ გაცხადება, მაგრამ ნურც ირაკლი წერეთლის იმ საჯარო გამოსვლას დავივინყებთ, 1921 წლის 30 ოქტომბერს საფრანგეთის სოციალისტური პარტიის კონგრესზე პარიზში დაწვრილებით რომ წარმოსახა ხელახლა დაკარგული დამოუკიდებლობის ტრაგედია – ბოლშევიკთა მიერ ფეხქვეშ გათელვა ერთა თვითგამორკვევის პრინციპისა და ხიშტებისა და საშინელი ტერორის მეშვეობით დათრგუნვა ქართველი ხალხის ნებისა.

მაინც სოციალისტი გახლდათ და ბოლშევიკური ხელისუფლების მონინააღმდეგედ მთელ ქართველს ხალხს რომ მოიხსენიებდა, ისე როგორ იქნებოდა, საგანგებოდ არ გამოეცალკევებინა მუშათა კლასის ერთსულოვანი სურვილიც, როგორც მთელი ერის გულისტქმის დამადასტურებელი.

დამაფიქრებელია, რომ ირაკლი წერეთლის გონება უკვე ასე შემოტრიალებულა – რამდენიმე წლის წინანდელი ირაკლი წერეთელი, ცხადია, ასე მძაფრად არ განიცდიდა საქართველოს ხელახალ ოკუპაციას, მარტოდენის შეიძლება ედარდა, ხელისუფლება რომ გამოაცალეს იდეურმა ძმებმა, მაგრამ ამ სამი წლის მანძილზე თავისი სამშობლოსათვის რომ გაისარჯა და ცალკეული კეთილი საქმენიც აღასრულა, ენანება თავისი ამაგი, რაღაც სხვა სითბო გაუჩნდა იმ ახალდაბადებული რესპუბლიკის მიმართ, რომელიც ბავშვივით ელოდა ძლიერ მარჯვენასა და მხურვალე გულს დასაცავად და ფეხზე წამოსაყენებლად; და ახლა ისე გრძნობდა თავს ირაკლი წერეთელი, თითქოს მიბარებული ბავშვი ხელიდან გაუსხლტა და ძირს ისე დაენარცხა, მისი გადამორჩენი და სიცოცხლისაკენ შემომბარუნებელი თვითონ აღარ იყო – რუსეთის ბედის გამრიგე უმწეო აღმოჩნდა გაცილებით მცირერიცხოვანი ქვეყნის მოვლისას და აღარც ეგლოვა და გაბოლშევიკებული რუსეთის ძალმომრეობაც აღარ ემხილებინა?!

არც იმ შემთხვევას გაუშვებდა ხელიდან, 1922 წლის 2 აპრილს ბერლინში სამი ინტერნაციონალის დელეგატთა კონფერენციაზე კომინტერნის ერთ-ერთი დელეგატი ბოლშევიკთა შორის პირველი რომ აღიარებდა საჯაროდ: ჩვენ დავარღვიეთ საზავო ხელშეკრულება საქართველოსთან და მის მიწას წყალს ომით დავეპატრონეთ, – და სამხედრო ინტერვენციის „გასამართლებელ“ საბუთსაც წარმოადგენდა: აბა, სხვა რა გვეღონა, საბჭოთა რუსეთს ნავთი სჭირდებაო, – საპასუხოდ ირაკლი წერეთელი მოითხოვდა: ეს განცხადება ხაზგასმით აღინიშნოს წერილობით ოქმშიო.

და 1922 წლის 18-20 ივნისს ლონდონში რომ შეიკრიბებოდა მეორე ინტერნაციონალის კონფერენცია, რომელზეც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია მოხსენებას წარადგენდა, დაწვრილებით რომ მიმოიხილავდა საქართველოში ბოლშევიკთა შემოჭრის

შემდეგ 14 თვის მანძილზე მომხდარ დრამატულ ამბებს, ახალ მონესეთა ტერორსა და ძალმომრეობას და ამის საინალმდეგოდ ქართველი ხალხისა და მისი მეთაურის, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ წარმართულ ბრძოლას, ამ მოხსენებას დამცველად კვლავ ირაკლი წერეთელი დაუდგებოდა და საამაყოდაც მიითვლიდა ქართველთა მეთაურად სოციალ-დემოკრატთა გამოცხადებას – არა მინცდამინც ოფიციალურ ხელისუფლებად, რომელიც დამხობის შემდეგ საკუთარი უფლებების დასაბრუნებლად ირჯებოდა, არამედ იდეურ წინამძღოლად.

აქ საგულისხმო ისაა, ირაკლი წერეთელი თვისტომთა ერთ-ერთ მეთაურად დადგენას რომ მოწადინებულა, აღარ ეთაკილება ქართველთა მცირერიცხოვნება და აღარც მათი სახელმწიფოებრიობის აღდგენა ესახებოდა მსოფლიო რევოლუციური გარდაქმნის ღალატად, სეპარატიზმად გრანდიოზული მოვლენების აღსრულების გზაზე.

სულ უფრო იზარებოდა მისი რევოლუციური მრწამსი.

სულ უფრო ეჭვდებოდა განვლილი ცხოვრების შეუმცდარობაში.

სულ უფრო ეკიდებოდა სევდა და დარდი და განულებს იმედი აღარც ჰქონდა.

გარეგნულად ჯერაც ძველი ირაკლი წერეთელი გახლდათ, დიდი ორატორული გზნებითა და დაუმცხრალი ენერგიით და, დიდების შარავანდიც კვლავ რომ მოჰყვებოდა, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელები ამიტომაც მიიჩნევდნენ აუცილებლად, თავიანთ ყრილობაზე მის მიწვევას საპატიო სტუმრად.

თავმჯდომარე სიამაყით გამოაცხადებდა:

– გვესწრება ჩვენი მეგობარი, ცნობილი რუსი და ქართველი სოციალისტი ირაკლი წერეთელი, ვისაც ვთხოვთ, რომ სიტყვით მიმართოს ყრილობას.

რუსი და ქართველი სოციალისტიო...

ყურს გჭრის ამგვარი მოხსენიება – განა როგორ შეიძლება ერთდრო-

ულად რუსიც იყო და ქართველიც... მაგრამ იმ გარემოში სავსებით ბუნებრივად გაისმის, რადგანაც სოციალისტებს ეროვნება არ გააჩნიათ. და თუ რომელიმე პოლიტიკოსი ორ ქვეყანაში კი არა, გაცილებით ბევრში გამოიჩენდა თავის მარქსისტული დოქტრინის დასამკვიდრებლად, ყველა იმ ქვეყანას შემატებდნენ მის ეთნიკურ წარმოშობას... და შესაძლოა ერთდროულად ყოფილიყავი გერმანელიც, ფრანგიც, ინგლისელიც, იტალიელიც, ბერძენიც, პოლონელიც და ვინ აღარ – რა მნიშვნელობა აქვს, ხვალ ეს ყოველივე მაინც ერთმანეთს შეერწყმოდა და ერთ ხალხად და ერთ ენად გარდაიქმნებოდა.

ამ ჭკუის ადამიანებს უნდა გადაეწყვიტათ სამყაროს ბედი!..

აბა, მაშ როგორ – თავიანთზე გონიერი არც არავინ ეგულებოდათ მთელს დუნიაზე.

სტუმარი წინასწარ არ გაეფრთხილებინათ, სიტყვის თქმა მოგინევსო, თუმც ასეთ ოქროპირს რა გაფრთხილება სჭირდებოდა – ცეცხლს ასე სახელდახელოდაც ვერ დაანთებდა თუ რა!.. მითუმეტეს, გამოცდილების გაზიარებას მოელოდნენ მისგან, ამხელა პოლიტიკური მოვლენების შუაგულიდან მოსული კაცი ისეთი კუთხიდან შეახედებდათ იმ ყოველივეს, ისეთ დეტალებსა თუ ნიუანსებზე მიაქცევინებდათ ყურადღებას, სხვაგვარად მათთვის დაფარული რომ დარჩებოდა.

და გაისმოდა თუ არა მისი სახელი, აღტაცებული დარბაზი აპლოდისმენტებით აჰყვებოდა თავმჯდომარის თხოვნას.

თუმც ეს რა ხდება – ირაკლი წერეთელი სიტყვის თქმას არ აპირებს?

თავპატიჟს არასოდეს იდებდა, არაფრისდიდებით არ იუარებდა, ის კი არა, ტრიბუნას რომ დაინახავდა, ისე აუთრთოლდებოდა მთელი სხეული, ეგაა და ველარ მოითმენს, ვიდრე სიტყვის სათქმელად მიიწვევენო. რაღა ხარის წინ აფრიალებული წითელი ნაჭერი და რაღა ირაკლი წერეთლის თვალსახილველზე ამომართული



სა“ და ამოხსნის შემდეგ იწყებოდა მეორე მძიმე სამუშაო, გადმოქართულება, ყოველი სახისა თუ მეტაფორისათვის ქართული შესატყვისის გამოძენა. იყო შემთხვევა, როცა მოხდენილი შესაბამისობის გამოჩნევისას სიხარულით ავფონინებულვარ და პირიქით, ძალიან უბრალო და მარტივ სახეს გაუფინარებვიარ. აბა რა გითხრათ... ამიტომაც ვეთანხმები იმ ადამიანებს, ვინც თვლის, რომ თარგმნა ჯოჯოხეთური საქმეა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ დაუფასებელი; საქართველოში ყოველთვის პატივს სცემდნენ მთარგმნელებს, უძველესი დროიდან მოყოლებული ვიდრე დღევანდლობამდე, შეიძლება ეს პატივისცემა მატერიალურად ნაკლებად ვლინდებოდა ხოლმე, მაგრამ კარგი მთარგმნელები ყოველთვის აღიარებულნი იყვნენ. არ მეგულება საქართველოში ადამიანი, ვისაც მეტნაკლებად წიგნიერი ეთქმის და მაღლიერი არ დარჩენილიყოს ისეთი დიდებული მთარგმნელების მიმართ, როგორებიც არიან ბაჩანა ბრეგვაძე, ზურაბ კიკნაძე, დალი ფანჯიკიძე, თამაზ ჩხენკელი, დავით წერეთელი, პაატა და როსტომ ჩხეიძეები და უამრავი სხვა.

პროფესიონალი მთარგმნელები მხოლოდ მკითხველს კი არ ანებივრებენ უცხოენოვანი ლიტერატურის ხელმისაწვდომობით, არამედ ძალიან ხშირად განსაზღვრავენ კიდევ ეროვნული ლიტერატურის განვითარებისა და ზრდის, კულტურის მართლზომიერი პროგრესის გეზებს.

ამადაა მნიშვნელოვანი გავმინჯნოთ მოყვარული და პროფესიონალი მთარგმნელი.

მე, როგორც მოყვარული, თარგმანით საკუთარ შემოქმედებით კრიზისს ვებრძვი ხოლმე და, რა თქმა უნდა, მიხარია, ცოტათი სხვასაც თუ ნაადგება, მოენონება ხოლმე ჩემიული თარგმანები.

ძარდა ქარღუხი



რომან გული



ბორის ნიკოლავესკი

ტრიბუნა... ყოველი შემადღებელი ადგილი ისედაც ტრიბუნად წარმოუდგებოდა და ახლა, როდესაც ფრანგი სოციალისტები ამგვარი აღფრთოვანებით ეგებებოდნენ, წამიც აღარ უნდა დაეხანებინა.

ის კი... თითქოს არც არაფერი გაუგონიაო.

და თავმჯდომარე ახლა ხელითაც რომ ანიშნებდა, ისეთი წელმონყევითი წამოდგებოდა, თითქოს პირველად უნევეს საჯარო გამოსვლა და, ერთი სული აქვს, ვიდრე აქედან თავქუდმოგლეჯილი გაიქცეოდესო.

და, აი, ტრიბუნასთან დგას.

ტაში სულ უფრო და უფრო ძლიერდება.

თავმჯდომარე ოდნავადაც არ ცდილობს დაანყნაროს დარბაზი. დაე ოვაციით იჯერონ გული, ყოველთვის კი არ მიეცემათ ლამის ლეგენდადქვეული კაცის ხილვის საშუალება – საამაყოდ და სატრაბახოდ რომ დარჩეთ.

– ძვირფასო მეგობრებო, მეტად გამახარა თქვენმა მომართვამო, – ამ სიტყვებით დაიწყო თავის გამოსვლას და – ეტიკეტის გათვალისწინებით – მადლიერებისა და ქათინაურების ნაკადს ჩვეული ენაწყლიანობით გადმოაფრქვევდა, ვიდრე იმ უმთავრესს განაცხადებდა, თურმე ასეთი სიმნვავით რომ უფორიაქებდა გულსა და გონებას:

– მე უკვე მოვასწარი ორი ქვეყნის – რუსეთისა და საქართველოს – დალუპვა. განა თქვენ გსურთ, რომ მესამეც – საფრანგეთიც – დავლუპო?

დარბაზი სიცილ-ხარხარად გადაიქცეოდა.

მხურვალე ოვაცია კინალამ დაანგრევდა იქაურობას.

გამხიარულებულ ხალხში გაისმოდა ხმები: ეს რამხელა იუმორი ჰქონია!.. როგორი გონებამახვილი ყოფილა!..

და ორატორი აშკარად კმაყოფილი ჩამოვიდოდა ტრიბუნიდან, რაკილა ეს ვეება დარბაზი ასე გაახალისა.

იუმორი მართლაც არ აკლდა, გონებამახვილობით ყოველთვის გამოირჩეოდა, მაგრამ **რომან გული** იმ-

ნამსვე მიხვდებოდა, რომ წამებულის შარავანდით მოსილი და რევოლუციის რაინდად შერაცხილი კაცი ამჯერად ღრმა ტკივილს გამოთქვამდა და სულაც არ იყო მხიარულების გუნებაზე. გულისტკივილს, რაკილა რევოლუციისა და რევოლუციონერთა მიმართ იმედი გაცრუებოდა და საკუთარ თავსა და მოღვაწეობასაც ყვედრებით თუ გახედავდა, როგორც ფუჭად გამოვლილ ცხოვრებას.

ნეტა მართლა ეს ტკივილი დაუფლებოდა თუ მემუარისტი მის იუმორისტულ გამონათქვამს რაღაც გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს?

ასე რომ ყოფილიყო, მამ პირადი საუბრისას იმ ფრაზას ხომ არ ეტყოდა, თანაც სხვისი – სახელდობრ, თვალსაჩინო მენშევიკის **ბორის ნიკოლავესკის** – თანდასწრებით:

– რომან ბორისოვიჩ, ღვთის გულისათვის, ნუ უსმენთ ამ მენშევიკებს, ისინი ხომ პატარაობისას ძიძებს ხელიდან გაუცვივდნენ, დაეცნენ და თავი დაარტყეს...

სიცილით იმ წამს ორივე გაიცინებდა. ოღონდ ეგეცაა – ბორის ნიკოლავესკისა რა იცის, მაგრამ თვითონ რომან გულმა ამ ხუმრობაში რაღაც მეტად არასახუმარო იგრძნო და თანაც ძალდაუტანებლად წამოაგონდა, რომ ირაკლი წერეთელი არ თანამშრომლობდა მენშევიკურ „სოციალისტიჩესკი ვესტნიკთან“, ზოგიერთ მენშევიკზე კი აშკარად უარყოფით აზრსაც გამოთქვამდა. მემუარისტი ამჩნევს, რომ ეს გაკილვა იმიტომ კი არ ხდება, რომ ისინი სოციალისტურ დოქტრინას აღარ ან ვედარ ერთგულობენ, არამედ თვით ეს დოქტრინა აღარ იწვევს მის აღტაცებას... და ამიტომ კიდევ ეხალისებოდა ირაკლი წერეთელს, საკუთარ თავს „უმუშევარ სოციალისტად“ რომ იხსენიებდა.

ეს არ ყოფილა ყვედრება ბედის მიმართ – ამხელა პოლიტიკოსი ასპარეზიდან როგორ გამრიყეო!

არც გარშემო ადანაშაულებდა არავის, შესაფერისი პატივით არ მეპყრობით და ჩემი გამოცდილების გაზიარება არა გნებავთო.

აგერ, რჩევა-დარიგება რომ სთხოვეს, რა სარკასტული პასუხი (საკუთარი თავის მიმართ!) შეაგებათ: ორი ქვეყანა დავლუპე და ზედ მესამეს ნულა მიმაცოლებინებთო.

და როდესაც აგონდებოდა ოდესღაც გიორგი პლესანოვის მიერ მასზე ნათქვამი: მარქსიზმისა არა გაეგება რაო, – კი არ ბრაზობდა, ეს როგორ მკადრა, როდესაც მასზე უკეთესადაც ვერკვეოდი ამ მოძღვრებაშიო, კიდეც ხალისდებოდა და სახეზე ღიმილი მოეფინებოდა ხოლმე: ძალიანაც კარგი, თუ ვერ ვერკვეოდიო!..

ნეტა კი მართლა!..

არადა, მაშინ თუ ვინმეს მოჰქონდა თავი მარქსისტად, მათ შორის ერთ უპირველესს ირაკლი წერეთელსაც, თორემ სხვაგვარად ამდენწლიანი კატორღისათვის თავს რატომ გაიმეტებდა?!.

ახლა რევოლუციების მიმართ იმედგაცრუებას მიეყვანა პოლიტიკისადმი გაგულგრილებამდეც.

– საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნა არის განხორციელება ერის თავისუფალ თვით-გამორკვევის უფლებისა, რომელიც მთელ კულტურულ კაცობრიობაში უდავოთ ითვლება. ქართველი ხალხი დამოუკიდებლობის გზაზე შეაყენა არა პარტიათა გეგმამ და გავლენამ, არამედ მის გარშემო მომხდარმა უდიდესმა ისტორიულმა ფაქტებმა. საბჭოთა რუსეთის ჩვენში შემოჭრამ და მისმა სულშემხუთავმა ბატონობამ რასაკვირველია არა თუ არ ჩააქრო ჩვენი ხალხის ლტოლვა დამოუკიდებლობისადმი, არამედ ის კიდეც უფრო გააღრმავა და გააძლიერა.

და კიდეც:

– ქართველ ხალხს თავის ეროვნულ ბრძოლის მიზანი – დამოუკიდებლობის აღდგენა – ნათლათ წინ უდგას. მაგრამ მიზნის ნათლათ დასახვა მებრძოლ ხალხისთვის საკმარისი არ არის. ასევე ნათლათ უნდა გაერკვას თავის ბრძოლის გზასა და საშუალებაში. ყოველ ეროვნულ პოლიტიკის არსებით მხარეს შეადგენს მისი მეთოდი.

ულრმესი ეროვნული შეგნებით, ლამის ფანატიკურ რწმენით გაჯერებული სტრიქონებია და ეს სტრიქონები 1927 წელსაა გამოქვეყნებული პარიზში.

და ქართულ ემიგრაციას თვალს რომ მიმოავლებ, მის ავტორს ეროვნულ-დემოკრატთა თუ სოციალისტ-ფედერალისტთა წრეში დაუნწყებ ძებნას, „თეთრი გიორგი“ წევრებზე მიიტან გუმანს.

ეს ფრაზები არაა – თეზისები, ეროვნული პროგრამის მონახაზია, რომელსაც გაშლალა სჭირდება.

არა პარტიათა გეგმამ თუ გავლენამო...

იმ პარტიათა წევრი თუ არის და არა მათ მიღმა მდგარი, უპირველესად მაინც შინაგანად დამოუკიდებელი პიროვნება უნდა იყოს, რომელიც ალბათ ფორმალურად ირიცხება ამა თუ იმ პოლიტიკურ გაერთიანებაში, თორემ მისი გული და გონება საერთოქართული მისწრაფებებითა და ინტერესებით ბორგავს, და იქვე, ზურგსუკან, აგვისტო-სექტემბერში წამოქოჩრილი სისხლის ტბა რომ არ ასვენებს, ახალ გზებს ეძიებს რუსული უღლის გადასაგდებად... ოღონდ ის კი დაბეჯითებით მოეხსენება, რომ ეროვნული სული შეუძლებელია გატეხოს და დააბეჩავოს თვით უსასტიკესმა რეპრესიებმა და ქართველობა კვლავაც ისევე მონადინებულია სახელმწიფოებრიობის აღდგენას, როგორც აგვისტოს მოახლოებისას დრტინავდა და თავგანწირული აწყდებოდა დახშულ კედლებს.

ილია ჭავჭავაძის თავგადაკლულ მიმდევრად წარმოგვიდგება ამ რწმენისა და გზების პიროვნება, რომელიც თითქოს პირისპირ შეჰყურებს მისთვის ძვირფას აჩრდილს.

შეჰყურებს და უშუალოდ მის წინაშეც გრძნობს პასუხისმგებლობას, თუ როგორი შეუპოვრობითა და თავგანწირვით შეეცდება მისი ანდერძის აღსრულებას.

დამოუკიდებლობის გზის ძიება ნიგნაკის სახელწოდებაშიც ასახულია:

„ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხი“.



ნათი რომანის თარგმანის გამო

თურმე ემერსონი სულ ოცნებობდა, ისეთი ნიგნი დაენერა, როგორსაც მოწიგნი წერდა – „ლალი, პოეტური, საქმიანი, ჰუმანური, ფილოსოფიური, იუმორისტული, სავესე ანექლოტებითა და ქუჩის მტვერით“ – გასაღებავითაა, მთარგმნელს მაშინაც რომ უნდა გეჭიროს ხელში, რომანის შუაგულში სულის შემძვრელი ადამიანური დრამები რომ გათამაშდება, ევროპისათვის დღემდე მტკივნეული პოლიტიკური დრამებიც რომ ამოუდგება მათ გვერდში. მაშინაც ცოცხალი, მოძრავი, პოეტური და კომიკური რჩება ყველაფერი, ქუჩის მტვერითა და ანექლოტებით სავესე. ფრთხილად, ნანა, იუმორმა და ანექლოტებმა არ გაგაბრიყვოს! აქ არც ქუთაისის ცნობილი ბულვარია და არც ყბადაღებული „ბალისკიდე“, არც კვიმატი იმერლები ჰგვანან „ამ უცნაური, უზომოდ კულტურული და საერთოდ, მზაკვრული ქვეყნის ჩია ინტელექტუალებს“. ეს ცივილიზებული და კულტივირებული ლიტერატურაა. მწერლის სილალე, ანექლოტებიცა და ქუჩის მტვერიც წერის სტილივით რაფინირებულია. მისი ნატიფი ფანტაზია გამოცანის, თამაშის თემებს მიემართება. მისი გმირების პარანოია მისივე მოქნილმა ინტონაციამ შეიძლება პოეზიამდე აამაღლოს. ზოგჯერ – ვაითუ, საკუთარი სტილის ხიბლში მოქცეულს თვალსა და ხელსშუა გაეპაროს მთავარი! არამც და არამც! მთავარიც ხელთ უპყრია და სულ არამთავარიც. არაფერი გამოეპარება. ოღონდ შენ, შენ არაფერი გამოეპაროს, ფეხდაფეხ მისდიე! კადრის უკან დაბრუნების – რეტროსპექციის ტექნიკას მიმართავს – მთელი ორი საუკუნით ბრუნდება უკან. მე-18 საუკუნის ფრანგი მწერლის მოთხრობის გმირები შემოჰყავს რომანში. მოთხრობა მოთხრობასასრული 37-ე გვერდზე

ავტორად კი... ირაკლი წერეთლის გვარ-სახელი წარწერი.

იმ ირაკლი წერეთლის: წარსული მეჯავრება – ჭირივითო.

ახლა იმ წარსულს მობლაუჭებია, მისით ითქვამს სულს, იქიდან ისრუტავს სასიცოცხლო ძალას და თავისთვისაც ძერწავს ეროვნული დოქტრინის ზოგად ქარგას და გარკვეულ პროგრამადაც სთავაზობს ყველას, ვინც ამ იდეალის გარშემო დაირაზმება.

საბჭოური პრესა წამდაუნუმ ლაპარაკობდა ქართული ემიგრაციის დაშლასა თუ გახრწნაზე, პოლიტიკურ ბროშურათა ამ ყაიდის წყებაც სულ უფრო და უფრო ივსებოდა და უპირველესად ნოე ჟორდანიასა თუ **ნოე რამიშვილს, კარლო ჩხეიძესა** თუ **ირაკლი წერეთელს** უტრიალებდნენ, მათი სახელები გადადამოდიოდა გაზეთიდან წიგნაკში და წიგნაკიდან გაზეთში. კარლო ჩხეიძის თვითმკვლელობა ალაფრთოვანებდათ ბოლშევიკებს და მიიჩნევდნენ სასიკეთო მინიშნებად, ემიგრანტთა პოლიტიკური აქტიურობა მალე მოთავდებოდა. ახარებდათ ყოველგვარი უთანხმოება მათ შორის და, იგდებდნენ თუ არა ხელთ მათ ცალკეულ სტატიებსა თუ კერძო წერილებს, მაშინვე ამზეურებდნენ სათანადო კომენტარების დართვით.

ჰოი, რას ასტეხოდნენ ირაკლი წერეთელს.

აჯანყების იდეას რომ არ იზიარებ-

და, მაგრამ საჯაროდაც არ მოუნოდებია ქართველი ხალხისათვის: ნუ გადადგამთ ამ უგნურ ნაბიჯს, რადგანაც ევროპის ქვეყნები არავითარ შემწეობას არ აღმოგიჩენენ, უამისოდ კი შეუძლებელია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაო, – ხელზე დაიხვედნენ საბჭოთა პუბლიცისტები და პოლიტიკოსები: მისთვის ნიშანდობლივი ზნეობრივი გაორება გამოამჟღავნა, ორ სკამზე ჯდომის სურვილს ვერც ამჯერად მოერიაო.

აინუნშიც არ აგდებდნენ მის მტკიცებას: ჩემი ყურის დამგდები არავინ იყო, პარტიული ბიუროს შეკრებებზე ამ შეხედულებას რომ გამოვთქვამდი, უმეტესობა მომესეოდა და მიკიჟინებდა, საჯაროდ მოვრიდებოდი ამგვარი თვალსაზრისების გავრცელებას, ქართველ ხალხს ეს დააძაბუნებს და ბრძოლის ჟინს წაართმევსო, და მეც შევფიქრიანდი, საქართველოს მოღალატედ არავის შევერაცხე, და დუმილი ამიტომაც ვამჯობინეო.

საქართველოში თავის მოხსენებას რომ გაგზავნიდა, სოციალ-დემოკრატთა ცენტრალურ კომიტეტს ამასაც მისწერდა, რომ მთავრობის წევრების ყოფნა საზღვარგარეთულ ბიუროში ხელს უშლიდა მუშაობას და აუცილებელი იყო არსებული სისტემის შეცვლა: მე, კარლო ჩხეიძე და **მიხეილ არსენიძე** ერთად ვართ, დანარჩენები კი ჩვენს წინააღმდეგ განწყობილან და, რაკილა უმრავლესობას ქმნიან, ყოველთვის გვეჯობნიან, და ვერაფერს მივალწევთ, თუ ბიუროში წარმომადგენლობის სისტემა არ გამოიცვლებაო.

ერთა ლიგა და მეორე ინტერნაციონალი თუნდაც ფრთხილ რეზოლუციებს რომ მიიღებდნენ, ერთგვარი თანაგრძნობით გამსჭვალულს საქართველოს უბედობით, მაგრამ რუსეთის სამხედრო ინტერვენციის დაგმობას მოერიდებოდნენ, ირაკლი წერეთელიც დიდი მორალური მნიშვნელობისად შეაფასებდა ამ დოკუმენტებს, მაგრამ... მაგრამ რეალობის სიმკაცრე თავის შეულამაზებელ სახეს აჩენდა (ყოველ შემთხვევაში მათთვის, ვისაც

ელიკო წერეთელი-დომოლონი, ბორის ნიკოლაევსკი, ირაკლი წერეთელი და ანა ბურგინა



ამის დანახვა ენება) და ირაკლი წერეთელსაც არა სურდა თავის მოტყუება თუ ნაჩქარევი განსჯა:

– ევროპის სახელმწიფოების საზოგადოებრივი აზრი იმდენათ ანგარიშს უწევს რუსეთს და იმდენათ აფასებს ურთიერთობის აღდგენას მასთან, რომ ამ სახელმწიფოების ხელმძღვანელები, თითქმის ისეთებიც კი, რომლებიც მტრულ განწყობილებაში არიან საბჭოთა მთავრობასთან და სცნობენ ჩვენს იურიდიულ უფლებებს, შეუძლებლათ სთვლიან არამც-თუ ომს საქართველოს გულისათვის, არამედ მწვავე დიპლომატიურ კონფლიქტსაც კი.

საქართველოს მოლაღატედ არავის შევერაცხეთო...

დუმილი ვამჯობინეთო...

თითქოს ირაკლი წერეთლის დუმილსაც უნდა მინიჭებოდა პოლიტიკური აქტის მნიშვნელობა.

არ უნდა იყოს, სულ ცოტა, ანგარიშგასანევი, სხვა თუ არაფერი, დასაფიქრებელი მაინც, თუ რატომაა გაყურებული ამ რანგის პოლიტიკური მოღვაწე?..

დგება ხოლმე ასეთი ხანაც, როდესაც თვალსაჩინო პიროვნების დუმილი სწორედაც პოლიტიკური აქტია, არამცთუ შესტი.

მაგრამ ეს ხანა ამგვარი ნამდვილად არა ყოფილა.

ირაკლი წერეთლის დუმილი კი არა, მოუწყინარი ღალატის ვერაფერს გააწყობდა.

ოპოზიციაში რომ ჩაუდგებოდა ნოე ჟორდანიას მთავრობას (დამხობილს, განდევნილს, მაგრამ ოფიციალურად კვლავაც კანონიერს!), ამჯერადაც მოერიდებოდა მკვეთრ დაპირისპირებას, ის კი არა, როდესაც სოციალ-დემოკრატ ემიგრანტთა ერთი ტალღა დაიძვროდა საქართველოსაკენ ბოლშევიკური დაპირებებით გაბრუებული და სხვებსაც ურჩევდა, რომ მათთვის მიებაძათ, ირაკლი წერეთელი შეეცდებოდა შეეკავებინა ისინი და მოეგვარებინა მათი ურთიერთობაც ემიგრანტულ მთავრობასთან.

ბოლშევიკური პრესა, ცხადია, ამ

მოქმედებასაც დანაშაულად ჩაუთვლიდა: რა უფლებით ერევა მუშების ცხოვრების არჩევანში, რატომ ლამობს მათ გადაბირებას და დაახლოებას მენშევიკურ ზედაფენსთანო.

ირაკლი წერეთელს თავისი გასაჭირი დასდგომოდა, ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილის საცეცების გარღვევა რომ ვერა და ვერ მოეხერხებინა, აღარც მენშევიკთა ცენტრალური კომიტეტისა ეიმედებოდა, მაინცდამაინც მას რომ ამოუდგებოდნენ მხარში, და „ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხი“ სწორედ ამიტომ შეითხზებოდა, დაეყოველმხრივ გაცხადებულიყო მისი პოლიტიკური მრწამსი – სტრატეგიასთან ერთად ტაქტიკაც, თანადროული საზოგადოებრივი ვითარების ყოველმხრივი გათვალისწინებით, რათა არც ბრძოლის ჟინი შენელებულიყო, არც იმედოვნება დაშრეტილიყო, მაგრამ აღარც უნიადაგო და საზიანო ილუზიებს აპყობოდა საქართველო.

„უნიდაგო“, „საზიანო“ – განაწამდაუნუმ არ ჩააგონებდნენ დასავლელი პოლიტიკოსები?

რეალობის კვალობაზე ორი გზა, ორი მეთოდი იკვეთებოდა ირაკლი წერეთლის მხერაში.

ერთი – დემოკრატიული, დაყრდნობილი ერის დემოკრატიული შეგნების, ნებისყოფის და თვითმოქმედების განვითარებაზე. მისი კავშირის განმტკიცებაზე თავისუფლებისათვის მებრძოლ ძალებთან მსოფლიო ასპარეზზე და თვით მისი მჩაგვრელი სახელმწიფოს საზღვრებშიც. ეს კი ნიშნავდა ეროვნული ბრძოლის გადაბმას მთელი ქვეყნის დემოკრატიული წინამსვლელობის საქმესთან, ხალხის ბედის შეკავშირებას იმ საერთაშორისო ძალთა განვითარებასთან, რომლებიც ხალხთა თავისუფლების დაცვას მსოფლიო პოლიტიკის რეალურ ფაქტორად ხდიდნენ.

მეორე – ნაციონალური წესით ანუ ერის დაპირისპირება მასზე გაბატონებული სახელმწიფოს ერთან, როგორც მთლიან მტრულ ბანაკთან, ხალხის სამხედრო დარაზმვა სულიერად და, რამდენადაც შესაძლებელია, მატერიალურადაც, და სამხედრო მო-



ბაში იმის სათქმელად სჭირდება, რომ ჩვენს საუკუნეს რაღაც დემართა, რომ ის სიჩქარის დემონს დაწვება. ანტროფის მეტაფორა – სამყაროს თანდათანობითი ქანცის განყვეტის მეტაფორა მე-18 საუკუნის ნეტარი აუჩქარებლობის წინააღმდეგ.

მეც ამ თანდათანობითი ქანცის განყვეტის მეტაფორით ვბრუნდები 2001 წლის სუსხიან ზამთარში. ოთახში, სადაც მიღან კუნდერას „აუჩქარებლობას“ ვთარგმნი, ტემპერატურა ნულს ქვემოთაა. ქრონიკულად არ არის შუქი, გაზის პატარა ბალონის ქურას ხუთიოდე წუთით მაშინ თუ ავანთებ, როცა გალურჯებული და მოკრუნჩხული თითებიდან ავტოკალამი მივარდება. ცხადია, ვიცო, თარგმანში გრომსაც არავინ გადამიხდის, ლიტერატურისთვის ცოტას თუ სცხელა. ასეთი ჟინით, ასეთი აზარტით იმიტომ ვთარგმნი, რომ შედეგებული დრო „შეგარბიო“. ეს ჩემთვის მობეზრებული და უპასუხისმგებლო თავისუფლებიდან საამურ ტყვეობაში, თარგმანის ტყვეობაში გაქცევისა და დაკარგვის ილუზიაა, რაღაც წყალგამყოფი ჯებირია, უჭარმონიო და მეტიც, უღმობელ ყოფაში ჰარმონიულობის მეტაფორაა.

ძილ-ღვიძილში დაუსრულებელი ხეტილის დასასრულს, მისი ექსპანსიით დაღლილი და კმაყოფილი, დამარცხებული თუ გამარჯვებული (ვინ იცის?) ვბრუნდები თარგმანში დაკარგული და ყველას პირადულის გამხელის დღესასწაულზე გინვევთ...

ნანა გასპიანი



ილია ჭავჭავაძე



ირაკლი წერეთელი

კავშირეთა ძებნა გაბატონებული სა-ხელმწიფოს მეტოქეთა შორის. ეს კი ნიშნავდა ეროვნული ბრძოლის გადაბ-მას იმპერიალისტურ კონფლიქტთა პოლიტიკასთან, ხალხის ბედის შეკავ-შირებას ამა თუ იმ სამხედრო კომბი-ნაციის შესაძლებლობასა და ბედისწე-რის ბრუნვა-ტრიალთან.

მნიშვნელოვნად მიაჩნდა ის მორა-ლური გარემოება, რომ ხალხისათვის რეალური ვითარება, თუნდაც ძალზე არასახარბიელო, დაფარული არ უნდა ყოფილიყო და მხოლოდ ყოველივეს გასიგრძეგანების შემდეგ არჩეულიყო საერთო-სახალხო გზა, თუ რომელი მეთოდი უჯობდათ: დემოკრატიული თუ ნაციონალური.

ირაკლი წერეთელს მათ შორის შე-მაერთებელი ძაფები მოეძებნა, საერ-თო ნიშან-თვისებათა წარმოჩენასა და გაღრმავებას ესწრაფოდა და ყველაზე დამაიმედებლად და რეალურად ესა-ხებოდა ეროვნულ-გამათავისუფლე-ბელი ბრძოლის გადაბმა საერთაშო-რისო დემოკრატიის გაერთიანებულ მოძრაობასთან და იმისი პრინციპე-ბით ხელმძღვანელობა, მათი გადმო-ტანა ჩვენი ხალხის იდეოლოგიასა და ორგანიზაციაში და მათი განმტკიცება ჩვენი პოლიტიკური მოღვაწეობის ყო-ველ დარგში.

ვერ ეშვებოდა, ანკი ასე ერთბაშად როგორ მოეშვებოდა დემოკრატიის რწმენას.

ესეც ხომ რევოლუცია არ იყო, ხე-ლაღებით რომ გამიჯვნოდა და თავზე-დი ეწყევლა – ნეტა რამ გამადემოკრა-ტაო.

ჯერაც სჯეროდა – და დაბეჯითები-თაც სჯეროდა – რომ რევოლუცია დე-მოკრატიული განვითარების გამრუ-დება გახლდათ, ხელოვნური დაჩქარე-ბისაგან გამონეული მავნე შედეგი...

ღიას, გამრუდება და არა მისი უშუ-ალო დაგვირგვინება – ბუნებრივი და თანმიმდევრული.

საერთაშორისო დემოკრატიულ მოძრაობასაც ამიტომ მიაპყრობდა იმედიან მზერას.

ამ დასკვნით უკვე დაშორებია ილია ჭავჭავაძეს – ნიგნაკის დასაწყისიც და

სხვა არაერთი ადგილიც ილიას ერთ-გული მოწაფის დანერგის თუ ჰგავს, ამ შემთხვევაში უნებლიეთ დაპირის-პირებია გვიანდელი (და არა ადრინ-დელი!) ილიას რწმენას.

იგი ხომ თვით ტაქტიკური მოსაზ-რებითაც არ გაიზიარებდა ეროვნული და დემოკრატიული იდეების გადაჯაჭ-ვის სასიკეთობას და ისე მკვეთრად განუდგებოდა, თუ ვითარება კვლავაც უკიდურესად გამწვავდებოდა, მეორე-დაც წარბმუხრელად გადაეშვებოდა ნინამურის მისტერიაში.

...თუმც ნეტა რასა ვთხოვთ – ირაკ-ლი წერეთელია, ვაჟ-ფშაველა ან ქა-ქუცა ჩოლოყაშვილი ხომ არა, ილიას ალი-კვალი ყოფილიყო.

ორი ქვეყანა კი დაეღუპა, მაგრამ ამ ნამონწყების გაგრძელებასა და მესამე ქვეყნის ზედ მიყოლებასაც აღარ აპი-რებდა.

ეგებ გრძნობდა, რომ მაინც არაფე-რი გამოუვიდოდა?

აღარც 1789 წელი იდგა და აღარც 1871 წელი?

მცდელობას წინ რა ედგა, მითუ-მეტეს, რევოლუციებისაკენ სწრაფვა ისეთი დაუმცხრალი ჟინია, მაინცდა-მაინც არად დაგიდევს მოსალოდნელ შედეგს და თვითონ პროცესიც ისეთი ძალით გზიბლავს და გითრევს, თავშე-კავება გაგიძნელდება.

მხოლოდ მაშინ განუდგები, თუკი მტკიცედ ირწმუნებ ამ პოლიტიკური მეთოდის უვარგისობას საზოგადოე-ბრივი ცხოვრების წინსვლისათვის.

ირაკლი წერეთელს რა განცდაც და შეხედულებაც გასჩენოდა!..

ახლა რევოლუციების მიმართ იმედ-გაცრუებას მიეყვანა პოლიტიკისადმი გაგულგრილებამდეცო...

თავგადაკლული პოლიტიკოსი ძვე-ლებურ ინტერესს აღარ ამჟღავნებ-და ამ ასპარეზისადმი და კმარობდა მღელვარე მოვლენებისათვის შორი-დან თვალის მიდევნებას.

მაინც რამდენ ხანს გასტანა მისმა ამგვარმა ყოფამ, რომელიც აღარ შეც-ვლილა თუ შემობრუნებულა?

30 წელიწადს.

ცხოვრების მეტად ხანგრძლივი და შთამბეჭდავი მონაკვეთია.

ის კი არა, ტრიბუნებისკენაც აღარ მიგინევს გული, რათა ოქროპირობით მაინც დაიშოშმინო სულიერი მღელვარება, „უმუშევრობით“ გამოწვეული.

„უმუშევრობა“ რომ აწუხებდეს, ამ გზას მაინც ადვილად გამოძებნიდა – სამჭევრმეტყველოს; რადგანაც ყოველთვის ძალდაუტანებლად შეიკრიბებოდა მისი მოსმენის მსურველი აუდიტორია – გნებავთ ჭრელი საზოგადოება ყოფილიყო და გნებავთ ინტელექტუალთა შეკრება. მაგრამ უხარია, ძალიანაც უხარია, რომ ორი ქვეყნის გარდა სხვას აღარ აღუპინებენ და დიდი პოლიტიკური თამაშების მიღმა დარჩენილი – სამუდამოდ და საიმედოდ, ფეხიც რომ აღარ შემოუსხტეს იმ ასპარეზზე, ორი ქვეყნის დამღუპველად რომ აქცია.

ადვილად გაუგებდნენ ერთმანეთს ადრეული ილია ჭავჭავაძე და ადრეული ირაკლი წერეთელი. თანამზრახველებიც იქნებოდნენ, თანამებრძოლებიც, ეგებ გულითადი მეგობრებიც შექმნილიყვნენ, თუკი ვიღაც-ვიღაცები არ შეეცდებოდნენ მათ გადაკიდებას. ყოველ შემთხვევაში იდეურად შეურყეველად იდგებოდნენ რევოლუციური გარდაქმნის აუცილებლობის მტკიცებაზე.

პარიზის კომუნართა ამბოხის გაგრძელება ახალ გარემოში შინაგან მოვალეობად და თავისებურ სიმბოლოდ და მოწოდებად დარჩებოდა ორივესთვის.

ადვილად გაუგებდნენ ერთმანეთს გვიანდელი ილია ჭავჭავაძეც და გვიანდელი ირაკლი წერეთელიც. ამჯერადაც თანამზრახველებიც იქნებოდნენ, თანამებრძოლებიც, ეგებ გულითადი მეგობრებიც შექმნილიყვნენ, თუკი ვიღაც-ვიღაცები არ შეეცდებოდნენ მათ გადაკიდებას. ყოველ შემთხვევაში იდეურად შეურყეველად იდგებოდნენ ევოლუციური გარდაქმნის აუცილებლობის მტკიცებაზე.

და პარიზის კომუნართა ამბოხისაგან განზე გადაგომა შინაგან მოვალეობად და თავისებურ სიმბოლოდ და მოწოდებად დარჩებოდა ორივესათვის.

მოსანანიებელი გახდომოდა ილიას თავისი ლიბერალური წარსული.

მოსანანიებელი ირაკლი წერეთელს გახდომოდა თუ გახდომოდა თავისი სოციალისტური წარსული, საკმაოდ გვიან რომ გამოერკვევოდა მარქსისტული ბურანიდან და ერთს – თუნდაც ამაოდ – გაიბრძოლებდა, რათა ისტორიის მსვლელობის მართებული გეზი წარმოჩენილიყო ისე, როგორც სინამდვილეში იყო, და არა ისე, როგორც აბსტრაქტული დოქტრინა სახავდა.

სულ სხვაგან დაღვრილიყო წმინდა სისხლი წამებულის და არა რევოლუციურ აჯანყებებში.

სულ სხვაგან მოვლენილიყო ქვეყნის ხსნად საყოველთაო სიყვარულის მცნება.

სულ სხვაგან ტანჯულიყო და ჯვარცმულიყო მაცხოვარი.

იქ და მხოლოდ იქ, სადაც ევოლუციური მოძღვრება მიჰკვალავდა გზას და ამ გადასახედიდან აღარც ვერსაღეობა მოჩანდა ისტორიის შეფერხებად და განახლების ძალთა დათრგუნვად. და აღარც ამ სახელის მოკერება გეთაკილებოდა, რაკილა რევოლუციური გარდაქმნის შუაგულში დგომას დაედასტურებინა სოციალისტური სამოთხის არამცთუ მოჩვენებითობა, არამედ სულაც დანაშაულებრივი არსი, რაკილა დაუსრულებელ ზვარაკს მოითხოვდა ამაო იდეების ვითომდა ხორცშესახებელად.

გონების თვალი გახსნოდა ირაკლი წერეთელს და უნებურად მიახლოებოდა ილიას სულის ცხრაკლიტულს.

ანმყო მეზიზღება – გველივითო!..
წარსული ჭირივით მეჯავრებაო!..
მთელი, მთელი წარსულიო!..

აბა, ახალი ეპოქის ერთი წინამორბედთაგანი მის რომელიმე მხარეს ხომ არ იმყოფინებდა დასაგმობად თუ განსაქიქებლად.

ახლა?

ამ გადასახედიდან, როდესაც პოლიტიკური მწვერვალიც უკან მოტოვებულიყო და მონანიების აღმართს შედგომოდა ისეთი ტვირთმძიმე და



სანამ დულიძე არ გაივლიდას

როცა თარგმნას ვაპირებ, სამი-ოთხი დღე ვწრიალებ ხოლმე. ხან უიმედობა მეძალება, ხანაც იმედოცემით დავიარები და ეს გრძელდება მანამ, სანამ ასეთი ორჭოფობა თავად მე არ გამაბრახებს და ლექსთან თუ მოთხრობასთან არ მიმაგდება. თუ ლექსს ვთარგმნი, პირველივე სტრიქონზე შეეცემა ხოლმე როგორი იქნება, თუკი მოთხრობას – მაშინ, სანამ გვარიანად არ შევტოვებ, მანამდე ვერც ავს ვიტყვი, ვერც კარგს. როცა ერთ მონაკვეთს ჩავათავებ, მერე ვდგები და ოთახიდან გავდივარ სულის მოსათქმელად, ვმშვიდდები და ისევ ვაგრძელებ. ლექსიკონები ხელისგანვდენაზე უნდა მქონდეს. როცა საჭირო სიტყვას მათში ამოვიკითხავ, მიხარია. თუ ლექსიკონი არ მაკმაყოფილებს, ე. ი. ვგრძნობ, რომ დედანში ამოკითხული სიტყვა უფრო მეტს გულისხმობს, ან თუ ცოტათი სხვა ელფერი დაჰკრავს, მაშინ „ტყემაღლე მჯდომს“ ვემსგავსები, თვალებს ვწკურავ და „აი, ენაზე მადგას, მარამ ვერაფრით გამოითქვამსო“ – მდგომარეობას ვიღებ. ამ ვითარებამ შეიძლება რამდენიმე დღეს გასტანოს, სანამ მის მონოტონურობას არ გაფანტავს შეძახილი „ვერიკა“, ანდა სანამ ძალაგამოცლილი, მისავათებული, კისერდადრეკილი არ მივლასლადები ისევ მაგიდასთან და არ დავმორჩილდები ლექსიკონის მიერ ჯიუტად შემოჩენიულს.

რამდენიმე დღის შემდეგ, მაგალითად, თუ მეორე თავზე გადავედი (ტექსტი შეიძლება პირობითადაც დავეყო თავებად), მაინტერესებს, როგორ ვთარგმნი, ამიტომ ვინყებ კითხვას. მაშინვე თვალში მეცემა ზოგან უზუსტობები, ზოგან სიტყვაა ჩასანაცვლებელი და ა. შ. მაგრამ ეს დიდად არ მანაღვლებს, რადგან ამ შემთხვევაში ჯერ მაინტერესებს „გარანდვისას“ ხელთ შემრჩება რამე თუ არა. თუ შე-

დასასრული 41-ე გვერდზე



მიხაკო წერეთელი

მაშვრალი, მონის ყოფა ბევრად რომ ერჩინა თავისას?

ახლა უკვე თვითონაც... ლუარსაბ თათქარიძის სათვალე ხომ არ ნამოცვა უნებურად?

ან რალა უნებურად – როდესაც გამოსატირებელი გაგიხდება საკუთარი წარსული, ქვეყნის წარსულს სულ სხვაგვარი მზერით გახედავ და ბევრ რაიმეს იპოვნი იქ ისეთს, მოსაჭიდებლად და გულის მოსაოხებლად რომ გამოგადგება ამ უმთენარო წუთისოფელში, რომლის დიდი ღამე შენი გამოჭედილიცაა.

და უკვე გენანება, გენანება ყველაფერი, რაც თავისითაც იღევა, ქრება, ხსოვნაშია კრთის ან იქაც აღარ.

ჯერ წუთისოფელიც რაოდენ გაუტანელია და კიდევ შენი ხელის შემველება უნდა რევოლუციურ გარდაქმნათა დამკვიდრებისაკენ სწრაფვით?..

...ილიას სულის ცხრაკლიტულის სიახლოვეც რალაცას გამცნობდა, რალაცას მიგახვედრებდა... რალაცას მაინც... რალაცას...

როდესაც გურამ შარბუის ნარკვევში ამოვიკითხავდით ამონარიდს ჟურნალ „კავკასიონის“ (პარიზი, 1971, XV) ფურცლებიდან, რომ ირაკლი წერეთელს მოხუცებულობისას დიდი მწუხარება დასტეხია თავს საყვარელი დის – ელენეს – დაღუპვის გამო საავტომობილო კატასტროფაში, და პარიზიდან ნიუ-იორკში გადასახლებულს კი თან წაუღია მისი საყვარელი მწერლის ილია ჭავჭავაძის თხზულებანი იმ განზრახვით, რომ მისთვის რეცენზია მიეძღვნა, ცოტა არ იყოს შევეფიქრიანდებოდით.

იმ ირაკლი წერეთელს, რომელსაც ვიცნობდით და თუნდ ეს ნარკვევიც ამასვე გვიდასტურებდა, მაინცდამაინც კეთილი ჩანაფიქრი არ უნდა ჰქონოდა ილიას ნაწერების მიმართ: უკიდურესი სოციალისტი და მარქსისტი სრულიად საპირისპირო პოლუსზე უნდა მდგარიყო თავგადადებული ნაციონალისტისაგან. ერთადერთი, რასაც ისინი შეიძლება დაეახლოვებინა,

რადიკალიზმი თუ იქნებოდა. მკვეთრი პოლიტიკური ნაბიჯების მომხრე ირაკლი წერეთელს შესაძლოა გულში ჩაბეჭდვოდა ილია ჭავჭავაძის მოქმედების სიმკვეთრე – დაე გეზი მისთვის მიუღებელი ყოფილიყო, რადიკალიზმს მაინც დაუფასებდა.

მაგრამ სადღა დარჩენილიყო ილიას რადიკალიზმი?

მკვეთრად გამიჯვნოდა საკუთარ თავს და რევოლუციურად აღტკინებულ მოღვაწეთა თვალში ვეღარც გამოიწვევდა სიმპათიას.

აბა, მამ მისი საყვარელი მწერალიო?..

აღბათ ილიას ადრეული ნაწერების შეფასება ეწადა, ლიბერალური მრწამსით შთაგონებულისა რევოლუციური განწყობილებების გამღვივებლის, რათა მოეხდინა ილიას რეაბილიტაცია სოციალისტურ თუ მარქსისტურ წრეებში. ეტყობა, ნოსტალგია გასჩენოდა თავისი სიყმაწვილის მიმართ, როდესაც ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი – ერთ დროს მამამისის მეგობრები და თანამოღვაწენი – ძალიანაც უყვარდა და თავიც მოსწონდა, მათი ერთგული მკითხველი რომ იყო და მათი ბევრი ლექსიც იცოდა ზეპირად.

გვიანდელი ილია ჭავჭავაძის განსჯას უსათუოდ მოერიდებოდა, რათა მაშინ კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმა დასჭირდებოდა და მის თხზულებათა გაბიაბრუება.

ისე რეცენზიის დაწერამდე უთუოდ გამოხატავდა კრიტიკულ განწყობილებას ნაცნობ წრეში, თუკი ამ განზრახვით აელო კალამი ხელში.

მაგრამ რაკილა ის საგულისხმო ცნობა გვატყობინებს, რომ ილიას მიმართ სიყვარული შენარჩუნებოდა და ესეისაც ამ სულისკვეთებით განმსჭვალავდა, მამ ლიბერალ ილიას შეასხამდა ხოტბას და თვალს აარიდებდა მისი მსოფლმხედველობის მკვეთრ შემობრუნებას, ყოველგვარ რევოლუციას ბარიერად რომ დაუდგა წინ ლიბერლობას გამოთხოვებული და სოციალური მოტივიც უკან გადასწია, რათა ოდნავადაც არ შემლოდა ხელი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

იმ ირაკლი წერეთელს, რომელსაც ვიცნობდითო...

მაგრამ ეს ირაკლი წერეთელი, რომელიც რომან გულმა აღმოგვაჩინა, ალბათ სწორედაც გვიანდელი ილიათი უფრო დაინტერესდებოდა, ყოველ შემთხვევაში თვალს არ აარიდებდა მისი მოღვაწეობის ამ ხანას და იქნებ ფონის კონტრასტულობისათვის ილიას ადრეული ნაწარმებიც მოეშველიებინა.

და მთლიანობაში გაეაზრებინა და განესაჯა მისი მონუმენტური ფიგურა.

სამკითხოდ გაგვხდომია საქმე, რადგანაც ის რეცენზია დაუნერული დარჩა.

არადა, დასანანია, რაოდენ დასანანი –

რომ არ შემოგვრჩენია კეთილი განზრახვით ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-პოლიტიკური მემკვიდრეობის შეფასება იმ ირაკლი წერეთლის მიერ, რომელიც ბურანიდან გამოფხიზლდა და კაცობრიობის განვითარების ბუნებრივ და ერთადერთ გზად ევოლუციური გეზი იწამა, თავზე კი ნაცარი დაიყარა თავისი რევოლუციური წარსულის გამო.

კიბო მოუჭერდა თავის მსახვრალ კლანჭებს. დარდთან, სინანულთან, თვითყვედრებასთან ერთად ისიც შეეპარებოდა სხეულში და გასაქანს აღარ მისცემდა.

რჩებოდა დაუმთავრებელი „მოგონებანი თებერვლის რევოლუციაზე“.

დაუნერული რჩებოდა ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული პორტრეტი.

დამწვითო, – ანდერძად იბარებდა.

როდესაც ქაქუცა ჩოლოყაშვილი დატოვებდა ამ ანდერძს, საქართველოში დაბრუნების გზას ეძიებდა და, რაკილა მის ნეშტს აქ დაკრძალვას არ დაანებებდნენ ბოლშევიკები, ფერფლად შემოღწევის იმედადლა იყო.

მიხაკო წერეთელი მას მიბაძავდა და სწორედ იმავე მოტივით – ეგებ ასე მაინც ველირსო საქართველოს მიწაზე მიმოხვევასო.

ირაკლი წერეთელი ნეტა რაღას აეყოლიებინა საამისოდ?

მასაც ნოსტალგია ხრავდა და სხვა აღარაფერი ეოცნებებოდა, თუ არა

სამშობლოში მიმოფანტვა, თუკი მის ცხედარს გზას შეუკრავდნენ?

ვინ ჩაიხედავს ადამიანის სულის უძირო სიღრმეში?!

ვინ ამოხსნის იმ გამოუცნობ გამოცანას, რაც იქნებ თვით ამ პიროვნებისთვისაც არ იყოს ბოლომდე მკაფიო და გაცნობიერებული?!

ჯაილოზი

რას დარდობდა, რას ნანობდა, რა თვითგვემას მისცემოდაო...

უმკაცრესი განაჩენი გამოეტანა ოდესღაც კარლო ჩხეიძეს საკუთარი თავისათვის.

თვითმკვლელობას გაემიჯნებოდა ირაკლი წერეთელი და ვეღარც ეროვნულ მონამეთა დასში აღმოჩნდებოდა, რაკილა სისხლით არ გამოესყიდა მძიმე შეცოდება, მაგრამ მაინცდამაინც ლმობიერად არც ის მოპყრობია საკუთარ თავს, რადგანაც უჩინარი ხვედრი ამჯობინა ძველ დამსახურებათა გამოყენებას მერკატილურად და ამ გზით მატერიალური და მორალური კაპიტალის დაგროვებას. სხვა თუ არაფერი, ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაესროლა ბედს, იმ გიგანტ სახელმწიფოში, რომელიც დემოკრატიზმის უზენაესობას აღიარებდა და მის უპირველეს დამცველობას იჩემებდა.

და აგერ მის სივრცეში თვალსაჩინო და პოპულარული დემოკრატის მოვლინება.

ფარზე აზიდავდნენ, თუკი ირაკლი წერეთელი მოინდომებდა საჯარო ლექციების ნაკითხვას.

ვინ გაუხსენებდა დაძრახვის მიზნით, ბოლშევიკთა გამოსვლების ჩახშობას რომ მოითხოვდა შეიარაღებული გზით.

ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება ან სრულიად ჩაიკარგებოდა მისი მონამებრივი დემოკრატიზმის ფონზე, ანდა სულაც გამჭრიახობად და გაბედულებად მიეთვლებოდა.

ოღონდაც თვითონ გატოკებულიყო. ოღონდაც თვითონ შემდგარიყო ტრიბუნაზე.



ვატყვე, რომ შემრჩება, მაშინ ხალხისით ვაგრძელებ საქმიანობას.

სადაც ამოვიკითხე, რომ ქართულ მონასტრებში თარგმანი სამეტაპად ჰქონდათ დაყოფილი:

1. ჯერ ტექსტი უნდა გადმოიღო.
 2. უკვე გადმოღებული ტექსტი შეუდარო დედანს და შეამოწმო, ხომ არ გამოგრაჩა და არაზუსტი გამოგეპარა რამე.
 3. ტექსტს ასწორებ უკვე ნათარგმნი ენის მოთხოვნილებათა შესაბამისად, ე. ი. „აშალაშინებ“.
- ზოგჯერ ხდება, რომ თარგმნისას „გავივავებ“, ლაღად ვთარგმნი, დაუბრკოლებლად. მაშინვე ეჭვი მიპყრობს – ვაითუ ვაბაბრუებდე? და ამ განაფიქრის კვალდაკვალ, კვლავ გარეთ გავდივარ, მერე ვბრუნდები და ახლახან ნათარგმნი ნაწილს წინმსწრებთ ვუდარებ: თუ სუნთქვა არაა დარღვეული, მაშინ უზომოდ მიხარია.

მოთხრობის გადმოთარგმნა სამუშაოს მხოლოდ პირველი ეტაპის დასრულებაა. ამის შემდეგ იწყება, რაც იწყება. ამიტომ თავს „შვებულების“ უფლებას ვაძლევ და ერთი კვირით ტექსტს არ ვეკარები. დასვენების შემდეგ ჩასწორება-დაზუსტება-გადათეთრების საკმაოდ შრომატევადი საქმე იწყება, რასაც სვენებ-სვენებით ვაკეთებ. როცა არის, ესეც მთავრდება და მცირეხინიანი შესვენების მერე, თავადვე ვკრეფ კომპიუტერში. ამ საქმეს არავის ვანდობ, რადგან შეიძლება ახალ-ახალი „რადიკების“ ჩამატება-შესწორება-გამოკლება მომიხდეს. როცა ვასრულებ ანუ ნათარგმნი უკვე კომპიუტერში მაქვს დაგულბული, ჭირის ოფის ვინმედ და ჭირნახულის დამბინავებელი კაცის იერთი ვილიმი.

ამის შემდეგ ნათარგმნის დაღვინების პროცესი იწყება მანამ, სანამ „დულილი“ არ გაივლის და სამი თვის შემდეგ არ დავაჭაშნიკებ, ანუ არ ვნახავ, დასაბეჭდად მზად არის თუ არა. თუ მზადაა, მაშინ კიდევ ერთს „გემოიანად გავჩაღხავ“ და ეგ არის და ეგ.

ოქტაი ქაუშოვი



ირაკლი წერეთელი და
ნიკო ნიკოლაძე

ერთხელ, ერთადერთხელ... მერე ამერიკის პოლიტიკური წრეები თვითონვე აღარ მოეშვებოდნენ.

მაგრამ ცთუნებას წამითაც არ აუყოლიებია.

და რომელიმე პოლიტიკურ თავყრილობაზე რომ მიეწვიათ და სიტყვის წარმოთქმაც ეთხოვათ, შეგონებებსა და მოწოდებებს კი არ მოჰყვებოდა, ტაშის გრიალში შეენუკვოდა დარბაზს: ის ვერ მიპატიებია საკუთარი თავისათვის, ორი ქვეყანა რომ დავლუპე და ახლა მესამეს ნულა მიმამატებინებთო.

დაე ეცინათ და კიდევ ერთხელ მოხიბლულიყვნენ მისი იუმორითა და გონებამახვილობით.

მთავარია, რომ ირაკლი წერეთელი იქიდან თავქუდმოგლეჯილი გამოვარდებოდა.

და კვლავაც ჩაიძირებოდა თავის დარდში, თავის სინანულსა და თვითგვემაში.

ისე რომან გული მაინც რა ბედად გამოუჩნდა.

თორემ უიმისოდ ვის გაახსენდებოდა სადღაც გადაკარგული და დავინწყების ბურუსით დაფარული პოლიტიკოსის სახება, გრანდიოზული ტრაგედიის ერთ-ერთი შემოქმედის.

ისტორიას გამოეტანა მის მიმართ მკაცრი განაჩენი და ამ განაჩენის გადასინჯვას ვინ მოინდომებდა.

და მაინც –

მწერლობა შეეშველებოდა.

მემუარისტი დაიხსნიდა რევოლუციის აპოლოგეტის პროკრუსტეს სარეცლიდან და მის მონანიე პორტრეტს მაგალითადაც შემოუნახავდა შთამომავლობას და გაფრთხილებადაც – გლობალიზმის გამოდევნება, დემოკრატიის ამ კიდევ ერთი პირმშოსი, ან ცოდვაში ჩაგფლავთ თავით ფეხამდე ანდა სინანული გაგინამებთ სიცოცხლეს და ერთადერთ ნუგეშს თქვენი პოლიტიკური გზის დაგმობაში იპოვნიო.

ეგაა, რაღა დროს... ან რა ნუგეში ესაა...

ორი ქვეყნის დალუპვა მეკმაროს, მეტს ნულა დამალუპინებთო, – ივედრებოდა ირაკლი წერეთელი.

ვისთვის – შეგონებად.

ვისთვის – ამაო ძახილად.

და კვლავაც ერთმანეთს ასკდებოდა მძაფრი ვნებები საკაცობრიო ცხოვრების დიდი შემოტრიალების კარიბჭესთან.

2010
ივნისი-ივლისი

**გიორგი გოგოლაშვილი
ჩანაწერები**

რაც თვალს უნახავს ან სმენას სხვისაგან გაუგონია

„ინტელიგენტი ვიდი“...

გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში საკავშირო გაზეთ „პრავდაში“ საენათმეცნიერო დისკუსია გაიმართა – „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“. დისკუსია აკადემიკოს **არნოლდ ჩიქობავას** სტატიით გაიხსნა, **იოსებ სტალინის** წერილით დაიხურა. გაიმარჯვა არნოლდ ჩიქობავამ. ქართველი მეცნიერის სახელი დიდად პოპულარული გახდა. მისი „ენათმეცნიერების შესავალი“ ითარგმნა და გამოიცა რუსულად, ჩინურად, ევროპის მრავალ ენაზე. მძიმედისკუსიაგადატანილი არნოლდ ჩიქობავა თბილისში ბრუნდებოდა. აეროპორტში ტაქსი აიყვანა. მძლოლი დაინტერესდა ბატონი არნოლდის ახალი ლაბადით.

– ძიაჯან, პლაში სად გიყიდიო, – ჰკითხა.

– მოსკოვში, – მშვიდად უპასუხა ბატონმა არნოლდმა.

– რა მიეცი? – ამის პასუხიც მიიღო. მძლოლმა რამდენჯერმე აათვალიერა ბატონი არნოლდი და ბოლოს კომპლიმენტი უთხრა:

– ინტელიგენტი ვიდი გაძლემს, ხო იცი!..

როგორ ანანილებს

ბედს ანგელოზი

(მიხეილ ალავიძის ნაამბობი)

აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს ქუთაისიდან. წესი იყო ასეთი და ბატონი არნოლდი ამომრჩევლებს შეხვდა პედაგოგიურ ინსტიტუტში. მეუღლე **თამარ ყიასაშვილიც** ახლდა თურმე. შეხვედრის შემდეგ მასპინძლებმა სუფრაზე მიიპატიჟეს საპატიო სტუმარი. ბატონი არნოლდი სუფრაზე ჩვეულებრივ უარს ამბობდა, მაგრამ როცა გაიგო, რომ **პეტრე ჭა-**

ბუკიანის ოჯახში ეპატიჟებოდნენ, დათანხმებულა. მოგეხსენებათ, პეტრე ჭაბუკიანი უაღრესად საინტერესო, კოლორიტული პიროვნება იყო. ბატონი არნოლდი დიდ პატივს სცემდა მას.

სუფრას თავად პეტრე ჭაბუკიანი თამადაობდა. ბატონი არნოლდის სადღეგრძელოს ჯერიც მოვიდა; თამადა ლამაზსიტყვაობს:

– ანგელოზი ადამიანის ბედს ასე ანანილებს: ამ კაი კაცს – ცუდი ცოლი, ამ ცუდ კაცს – კაი ცოლი; ზოგჯერ ჩათვლემს ანგელოზი და წამოცდება: ამ ცუდ კაცს – ცუდი ცოლი, ამ კაი კაცს – კაი ცოლი... ჰოდა, თვლემდა ანგელოზი, ბატონო არნოლდ, როცა თქვენს ბედს ანანილებდა და ამიტომაც ხართ ორივენი, თქვენც და ქალბატონი თამარიც, ასე კარგებიო!..


– როცა თქვენს ბედს ანანილებდა, მაშინ რა მდგომარეობაში იყო ანგელოზი? – ჩაჰკითხვია ბატონი არნოლდი მასპინძელ თამადას.

– არასოდეს ყოფილა ისეთი ფხიზელი!..

ჯაჭვზე გამოგზული

საათის ამბავი


მეოთხეკურსელები ვართ. აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა გვიკითხავდა „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალს“. ბატონ არნოლდს წესი ჰქონდა ასეთი: რამდენიმე წელი კითხულობდა ახალ კურსს; ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სალექციო ჩანაწერებს მოკრებდა და რამდენიმე წლის შემდეგ სახელმძღვანელოსაც გამოსცემდა. შემდეგ ამ კურსს სხვას გადაულოცავდა და თვითონ იწყებდა ახალ სახელმძღვანელოზე მუშაობას. იმჟამად სწორედ „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალზე“ მუშაობდა. ორსაათიანი ლექციები იყო. პირველ



არნოლდ ჩიქობავა



ივანე გიგინიშვილი



ლაშა გახარია

საათზე ბატონი არნოლდი წინა ლექციაზე მოწოდებული მასალის შესახებ გვესაუბრებოდა; შეკითხვებითა და მსჯელობით მივყავდით ახალ მასალამდე და მეორე საათზე იწყებდა საუბარს ახალ თემაზე, თითქმის გვეკარნახობდა.

ერთხელაც ლექციის ბოლოს დაიხედა საათზე და თქვა:

– ხუთი წუთი რჩება, თორემ შეიძლება ერთ თემაზეც საუბარიო...

ბატონ არნოლდს პატარა მრგვალი საათი („პოზედა“) ჰქონდა, გაცვეთილი სამაჯური. იმუამად „მოდამი“ იყო ძენკვზე გამობმული ჯიბის საათები; წინა მერხზე ვიჯექი. ამოვიღე ჯიბიდან საათი, დავაჭირე ღილაკს თითი, აიხადა ხუფი, დავხედე და ვთქვი:

– ათი წუთი დარჩა ზარამდე-მეთქი.

– ბატონმა არნოლდმა ეს ყოველივე დაინახა, მაგრამ არაფერი უთქვამს და განაგრძო საუბარი. სტუდენტური ნესისამებრ, საათს უნივერსიტეტის ზარზე ვასწორებდი... დაირეკა ზარი. მე „ჩავატარე იგივე პროცედურა“: ამოვიღე საათი, დავაჭირე ღილაკს თითი, აიხადა ხუფი... ბატონი არნოლდი მიყურებს. მეყო სითამამე და ღიმილით ვთქვი:

– ჩემი საათი ყოფილა-მეთქი სწორი... – ბატონმა არნოლდმა უღვაშებში ჩაიღიმა, როგორც იცოდა და მომაგება:

– არც ჩემი საათი წავიდოდა წინ, მაგხელა ჯაჭვით რომ იყოს დაბმულიო...

იცის ახალმა ტყემალმა...

სტუდენტულაქმი ვცხოვრობდით. სალამო იყო. **თამაზ ხმალაძე**, **თამაზ ტყემალაძე** და მე ვიყავით ოთახში. **ლაშა გახარია** მოვიდა; შეწუხებული იყო: სამეგრელოდან დამირეკეს, მამა ყოფილად ცუდად და სოფელში უნდა წავიდეთ. ლაშას მამა ათი წელი ციმბირში იყო გადასახლებული და ავადმყოფობდა; ამიტომაც იყო შეშინებული ლაშა. გადავწყვიტეთ, მე და თამაზ ხმალაძე გავყოლოდით. თამაზ ტყემალაძეს დაფუტოვეთ ამაღ და წავედით. მეორე დღით ჩავედით ჩხორონყუში, მუხურში. საბედნიეროდ, ლაშას მამა გამოკეთებული

დაგვხვდა და ჩვენთვის უცნობი სამეგრელო ერთი კვირა გვმასპინძლობდა. დიდებული ლუგელას ხეობა ფეხითა თუ ცხენით მოვიარეთ...

უნივერსიტეტში ლექციები გვიცდებოდა. თამაზ ტყემალაძემ „იცელქა“ და არ ვიცი სად არიანო... კვირაში ორჯერ ბატონი არნოლდ ჩიქობავას ლექცია მქონდა. სამშაბათს რომ არ ვიყავი ლექციაზე, უკითხავს, რატომ არ არისო. როცა ვინმე აცდენდა, ბატონი არნოლდი ყოველთვის იკითხავდა, რა ხდებოდა; ხომ არ უჭირს რამეო... პარასკევსაც რომ არ მივედი და უთხრეს, არ ვიცით სად არისო, შეწუხებულა ბატონი არნოლდი და კათედრაზე უთქვამს, გაიგეთ, რა ხდებოა...

ერთი კვირის შემდეგ დავბრუნდით თბილისში. სამშაბათს ბატონი არნოლდის ლექციაზე უკანა მერხზე დავჯექი. მომიკითხა, როგორ ხარ, რატომ არ დადიოდით (ესეც მისთვის ჩვეული ამბავი იყო). უხერხულ დღეში ვიყავი: სიმართლის თქმას ვერ გავბედავდი; და, ჩემი აზრით, უმტკივნეულო ტყუილი ვთქვი: ქუთაისში ვიყავი, დისშვილი შემეძინა და ავად გავხდი-მეთქი (იმუამად დისშვილი მართლა შემეძინა). ბატონმა არნოლდმა შემომხედა, მიხვდა რა უხერხულ დღეშიც ვიყავი – ერთკვირიანი მეგრული ლხინი სახეზე მეხატა – და ღიმილით „დამამშვიდა“:

– იცის ახალმა ტყემალმა...

როგორ იძცა კიტა აკატარინად

გასული საუკუნის სამოციან წლებში ენათმეცნიერების ინსტიტუტში სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ცნობილმა მეცნიერმა **ივანე გიგინიშვილმა**. დისერტაციის თემა იყო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია. ერთ-ერთი ოფიციალური ოპონენტი იყო აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა. საუბრობდა პოემის ტექსტის ცვლილებაზე; კერძოდ, გადამწერთა შეცდომებზე. რა სახის ცვლილება შეიძლება მოხდეს და როგორ, ამის „თვალსაწინო მაგალითად“ ბატონმა არნოლდმა ასეთი ფაქტი მოიყვანა:

– ოციან წლებში უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა ყმანვილი, სახე-

ლად კიტა; ერთ საქმის მწარმოებელს შეეშალა და დოკუმენტში შეცდომით ჩაწერა კატა; მეორე საქმისმწარმოებელმა იფიქრა, აქ შეცდომაა, კატა კი არა კატო იქნება ალბათო და „გაასწორა“; მესამე საქმისმწარმოებელმა იფიქრა, კატოს ალბათ შინაურები ეძახიან, ოფიციალურად ეკატერინე ერქმევაო და კატო ეკატერინედ გადააკეთა... უნივერსიტეტში შემოვიდა კიტა და დაამთავრა ეკატერინემ; ასე შეიძლება შეიცვალოს ტექსტიო, – ბრძანა ბატონმა არნოლდმა.

მტკიცე არბუმენტი

1979 წელს გამოიცა აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას წიგნი „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“. ბატონმა არნოლდმა წიგნი მისახსოვრა („უმცრ. მეცნ. თანამშრომელს გიორგი გოგოლაშვილს კეთილი სურვილებით ავტორი 8.X.1979“). პროფესორმა ბიძინა ფოჩხუამ თავისთან მიიხიზო და მითხრა, ამ წიგნზე რეცენზია უნდა დაწერო. პასუხისთვის არც მოუცდია, ისე გამშორდა. დავალება დიდად მემძიმა: ლეგენდადქცეულ არნოლდ ჩიქობავას წიგნზე რეცენზია უნდა დამეწერა მე, ასე ვთქვათ, დამწყებ ენათმეცნიერს, როცა ენათმეცნიერების კლასიკოსები – ქეთევან ლომთათიძე, გიორგი როგავა, თინათინ შარაძენიძე, ივანე გიგინეიშვილი, ტოგო გუდავა, თვითონ ბიძინა ფოჩხუა და სხვები, ღვთის მაღლით, არსებობდნენ... მეორე დღეს მივადექი ბიძინა ფოჩხუას და უარი შევბედე. ისიც ვთქვათ, ბატონი ბიძინა ძალიან მკაცრი პიროვნება იყო და არ იყო იოლი მისთვის უარის თქმა, მაგრამ გავბედე და... რატომ ვერ დანერო, მკითხა. მე ვცაადე ჩემი უარის დასაბუთება ზემომოყვანილი არგუმენტით... ბატონმა ბიძინამ შემანწყვეტინა საუბარი, ჯოხი იატაკს დაჰკრა და მკაცრად მითხრა:

– ულამაზესი ქალი იყო ნუგეშა მაცაშვილი; ვერავინ გაუბედა, ცოლად გამომყევით და კი დარჩა გაუთხოვარი!.. თქვენ დანერო რეცენზიას...

(ცნობისათვის: ნუგეშა მაცაშვილი

არის კოტე მაცაშვილის ასული, მარო მაცაშვილის და).

...ჩემი რეცენზია („შორეულ წარსულში დანახული ერთიანობა“) გამოქვეყნდა ჟურნალში „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ (1, 1980 წ.).

მაძმს იდეა...

(მიხეილ ალავიძის ნაამბობი)

ფოლკლორისტმა და ენათმეცნიერმა, ქართული მწერლობის დიდმა მოამაგემ, დოცენტმა მიხეილ ალავიძემ გადაწყვიტა შეედგინა კრებული „ქართველი პოეტები ქუთაისს“. ეს იდეა გააცნო კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორს და დახმარება სთხოვა იდეის განხორციელებაში.

ინსტრუქტორი მივიდა ქალაქომის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგესთან: – მაქვს იდეა, გამოიცეს კრებული „ქართველი პოეტები ქუთაისს“... – და თანადგომა სთხოვა.

აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე მივიდა ქალაქომის მესამე მდივანთან: – მაქვს იდეა, გამოიცეს კრებული „ქართველი პოეტები ქუთაისს“... – და თანადგომა სთხოვა.

ქალაქომის მესამე მდივანი მივიდა მეორე მდივანთან: – მაქვს იდეა, გამოიცეს კრებული „ქართველი პოეტები ქუთაისს“... – და თანადგომა სთხოვა.

ქალაქომის მეორე მდივანი მივიდა პირველ მდივანთან: – მაქვს იდეა, გამოიცეს კრებული „ქართველი პოეტები ქუთაისს“... – და თანადგომა სთხოვა.

ქალაქომის პირველმა მდივანმა საკითხი გაიტანა ქალაქომის ბიუროზე:

– მაქვს იდეა, გამოიცეს კრებული „ქართველი პოეტები ქუთაისს“...

ბიურომ დაადგინა: – მოწონებულ იქნეს ქალაქომის პირველი მდივნის იდეა კრებულის „ქართველი პოეტები ქუთაისს“ გამოცემის შესახებ. კრებულის შედგენა დაევალოს მიხეილ ალავიძეს...

კრებული გამოიცა...



ბიძინა ფოჩხუა



მიხეილ ალავიძე



ქეთევან ლომთათიძე

ზნეობამ არ მიმატოვა

პროფესორი **გურამ რამიშვილი** ჰყვებოდა: სიცოცხლის ბოლო დღეებში **იმანუილ კანტი** ძლიერ ავადმყოფობდა. სავარძლიდან წამოდგომის ნებას არ აძლევდნენ. ერთხელ ექიმი მოუყვანეს და კანტმა უცხო პიროვნება რომ დაინახა, მექანიკურად ფეხზე წამოდგა. მიცვივდნენ შინაურები და ჩასვეს სავარძელში. კანტმა ჩაილაპარაკა: როგორც ჩანს, ზნეობას ჯერ კიდევ არ მიუფუტოვებია...

და ბატონმა გურამ რამიშვილმა ამას მოაყოლა ღიმილიანი კომენტარი: – ჩვენში კი ასე ხდება: ზნეობა რომ მიატოვებს კაცს, მერე იწყება მისი აღმასვლა...

ალზევეჯის საწყისი

ქეთევან ლომთათიძე ჰყვებოდა: ერთმა ცნობილმა პიროვნებამ თავისი კარიერის გარიჟრაჟზე უკადრებელი იკადრაო. ჩვენ შემფოთებულები ვიყავით კოლეგის საქციელით. ბატონმა არნოლდ ჩიქობავამ ჩვეული სიმშვიდით თქვა:

- კაცს ასეთი რამ რომ შერჩება, მერე იწყება მისი აღზევებაო...
- ასე აგიხდეთ ყოველი კარგიო, – დაამატა ქალბატონმა ქეთევანმა.

არ ღირს უარის თქმაო

ოთხმოციანი წლების დასაწყისში ენათმეცნიერების ინსტიტუტის სწავლული მდივანი ვიყავი. ინსტიტუტის საგამომცემლო საქმე მე მეზარა. მოგეხსენებათ, გამოსაცემი წიგნების ფორმათა რაოდენობა ღიმიტირებუ-



გრიგოლ იმნაიშვილი

ლი იყო: ზედმეტს არავინ გამოგვიცემდა, გამომცემლობა არც მიიღებდა. ქართული დიალექტების ცნობილი მკვლევრის **გრიგოლ იმნაიშვილის** „ქართული დიალექტოლოგიის ბიბლიოგრაფიის“ მეორე წიგნი იყო შეტანილი გეგმაში, 10 საავტორო ფორმა; ბატონმა გრიგოლმა 25 ფორმიანი ხელნაწერი მოიტანა. ყოვლად შეუძლებელი იყო ამ წიგნის გამომცემლობაში წაღება; მე ვცადე ახსნა; ვრცლად ვისაუბრე. დავამთავრე ჩემი „ახსნა-განმარტებანი“ და...

ბატონმა გრიგოლმა ისევ თავისი თქვა, წიგნს ვერ შევამცირებ, ასე უნდა დაიბეჭდოსო... ვიფიქრე კარგად ვერ ავუხსენი-მეთქი და დავინწყე თავიდან ახსნა-განმარტება; ბატონმა გრიგოლმა ბოლომდე მოისმინა და მერე ბოდიშის მოხდით ისევ თავისი თქვა – წიგნი ასე უნდა დაიბეჭდოსო... რამდენჯერმე რომ გამეორდა ვითარება, „გამოსავალი მოვნახე“, ვუთხარი, დირექტორს მოვახსენებ-მეთქი და დავშორდი. ჩემი გაჭირვება შევჩივლე ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძეს; ქალბატონმა ქეთევანმა მომისმინა, გაიღიმა და მითხრა:

– ჯვებემ იცის თქმაო (ჯვებეს ქალბატონი ქეთევანი ეძახდა თავის მეუღლეს, პროფესორ გიორგი როგავას), გრიშა იმნაიშვილმა ცოლი რომ გთხოვოს, უარი არ უნდა უთხრა, სულერთია, მაინც არ მოგეშვებაო...

...გ. იმნაიშვილს 5 ფორმა დავათმობინეთ, ათფორმიანი სხვა წიგნი გავაჩერეთ და გამოვიდა „დიალექტოლოგიის ბიბლიოგრაფიის“ მეორე წიგნი...

იოსებ ჭუმბურიძე
ლიტერატურულ-კუბლიცისტური პარალელი

ბაჭრინა

„მე რომ გაფრენა არ შემიძლია,
ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას“ –

ნერდა ტერენტი გრანელი.

„გაფრენა არის ისე ადვილი,
თუკი გაბედავ და გაშლი მკლავებს“ –

ნერდა კოლაუ ნადირაძე.

მკლავების გაშლა მხოლოდ **გალაკტიონმა** გაბედა და ამით დაამტკიცა ის, რასაც თვითონვე ნერდა:

„არავინ არის ჩემი ტოლი
და ჩემი მსგავსი,
ერთადერთი ვარ,
მაღალი ვარ,
ვარ უკვდავესი“.

საერთოდ, გაფრენა თვითმკვლევლობად არ უნდა ითვლებოდეს.

შურისძიება

„...ამიტომაცაა რთული და მღელვარე სტილიცა მისი, ხასიათებიცა, სიუჟეტიცა, რთულიცა და მომხიბლავიც, მღელვარიცა და წარმტაციცა“, – ნერდა **ოთარ ჩხეიძე ვასილ ბარნოვზე**.

არაერთმა მკვლევარმა სცადა იმის ახსნა, თუ რატომ არის თვითონ **ოთარ ჩხეიძის** სტილიცა და მომხიბლავიც, მღელვარიცა და წარმტაციცა“.

ბევრი საყურადღებო მოსაზრებაც გამოითქვა. საუკეთესო ახსნა კი **ნატო ჩხეიძის** წიგნშია („ის ოთხი წელიწადი“). წინათქმამი ვკითხულობთ:

„ერთხელაც იყო და მამაჩემს ვკითხვე: – რომ არ გეწერა ისე, როგორც ნერდი და რასაც ნერდი, რა იქნებოდა-მეთქი, და:

– არც არაფერი. ასე კი სამაგიერო გადავუხადე მამა-ბიძებისთვისა“.
(ცნობილია, რომ მწერლის მამა-ბი-

ძები ბოლშევიკურ რეჟიმს შეეწირნენ). აი, რა რთული და საინტერესო ფენომენია სტილი – შურისძიებაც კი შეუძლია!

შეხსენება

ჰერმან ჰესეს რომანის („ტრამალის მგელი“) პერსონაჟი აღტაცებულია **ნოვალისის** ამ გამონათქვამით: „კაცი უნდა ამაყობდეს ტკივილით. ყოველგვარი ტკივილი ჩვენი მაღალი დანიშნულების შესხენებაა მხოლოდ“.

ანა კალანდაძის ლექსში იგივე აზრი პოეტურად ასეა გადმოცემული:

„უმნიფარ სიტყვას
გამიზნულად მოგახლის ერთი –
იმ დროს, როდესაც
გულის სიმნი...
მალისთვის კვნესენ!
ბატონო ჩემო,
ღვთის წყალობად ჩათვალთ ესეც:
დროდადრო ჩვენს გზას
შეგვახსენებს, ეკლიანს, ღმერთი!“

ამიტომაც კიდევ ერთხელ ვიტყვი: ანა რომ ფრანგი, ინგლისელი ან სამხრეთამერიკელი ყოფილიყო, ნობელის პრემიას აუცილებლად მიანიჭებდნენ.

სიმეჩხრა

„ტყის სიმეჩხრე ციდან უკეთესად მოჩანს“, – ნერს **ოთარ ჭილაძე**.


ამან **მურმან ლებანიძის** ეს სტრიქონები გამახსენა:

„მჯერა ანას ჭადრების,
არც შენს ძელქვებს ვწუხვარო,
ჩემს ტყეებზე რას იტყვი,
ნათლიმამავ მუხრანო?“

საინტერესოა, როგორ მოჩანს ციდან ქართული პოეზიის ტყე დღეს, როცა ოთხივე ეს პოეტი ცაშია...



გალაკტიონ ტაბიძე
(ბორის ჯიმშარაულის ნახატი)



მამა დავითის ეკლესია.
მთანმინდის პანთეონის ხედი

მთანმინდა

„მთანმინდისკენ გაუშტერდა თვალი საქართველოს პოეტების მეფეს“ – ამბობს მურმან ლებანიძე გალაკტიონზე. დარწმუნებული ვარ, თვითონაც არაერთხელ გაქცევია თვალი ქართული პარნასისაკენ. უნდა გაქცეოდა კიდევ. უნდა ვალიართ, რომ მურმანი უსამართლოდ დაიჩაგრა. მისი ადგილი, რა თქმა უნდა, იქაა, სადაც ანა და მუხრანი არიან.

სხვათა შორის, ერთმა კოლეგამ სიცოცხლეშივე უწოდა მთანმინდელი.

ურწმუნოება

მთის ხეობაში მანქანა გადაიჩეხა. მცირენლოვანი ბავშვები დაილუპნენ. ზოგიერთმა ეს ფაქტიც კი სარწმუნოების თემაზე საქილიკოდ გამოიყენა.

ზაზა ბურჭულაძისთვის საამისოდ საკმარისი საბაბი აღმოჩნდა ის, რომ მანქანა ნაკურთხი იყო, რასაც მასზე მიკრული ჯვარი მოწმობდა (?!)...

ბურჭულაძისგან არ მიკვირს, **ნინია კაკაბაძემ** კი გამაოცა. ჟურნალ „ლიბერალში“ გამოქვეყნებულ სტატიას („ტელევიანანა – რეკეტი უფლის სახელით“), სადაც ეკლესიაზე, ჯვრებზე, სასულიერო პირებზე ირონიულ-სარკასტულად მსჯელობს, ასეთი მინანური (P.S.) დაურთო (სტილი, შეცდომებიანად, დაცულია): „ფონდი „იანანას“ საქველმოქმედო კონცერტს, ჩანანერის სახით ინტერნეტში, ინტერნეტ გვერდზე „myvideo.ge“-ზე ვუყურე. მაშინ, როდესაც ქართულმა სიყალბემ და ფარისევლობამ კულმინაციას მიაღწია, ეს დაახლოებით 2 საათში მოხდა, „myvideo.ge“-ს სენსორი თავისით გადაახტა დროს და „Sex and the City“-ზე დაჯდა. მაშინ დავიჯერე, რომ ღმერთი მართლაც არსებობს!“

ვითომ დაიჯერა?!
ასე ხომ ბურჭულაძესაც სჯერა...

თაფლი

„ამიღებთ, წამიღებთ, დამფლავთ, არაფრის თან არ ვარ წამღები. თქვენ გრჩებათ – შეგერგოთ თაფლად, თაფლად თქვენ წუთისოფლის ბაღები“ – წერს მურმან ლებანიძე ერთ-ერთ ბოლო ლექსში.

ასე მგონია, ამ ლექსს (ზოგიერთებისათვის) აუცილებლად ექნებოდა მეორე ვარიანტი, სადაც, თაფლის ნაცვლად სხვა სიტყვა ეწერებოდა, – ვეუბნები როსტომს, ნახევრად ხუმრობით.

როსტომი იცინის და მთელი სერიოზულობით მეთანხმება.

ვფიქრობ, იმ (შემცვლელ) სიტყვას მკითხველი ისევე ადვილად გამოიცნობს, როგორც როსტომის გვარს.

უკვდავი სახელები

ნოდარ ტაბიძე

მას არც წარსულის, არც მომავლის არ ეშინია

გალაკტიონის ლირიკა უღრმესი და უფაქიზესია. ყოველი ეპოქა რამდენადმე თავისებურად წაიკითხავს „ეფემერების“ ციკლს; შეიძლება საგულისხმო ნიუანსები აღმოაჩინეს „დომინოსა“ და მის მსგავს ლექსებში; სავარაუდოა ახალი ფერები დალანდოს „ატმის ყვავილებს“ სადარ თხზულებებში...

გენიოსის გამოსხივება უზარმაზარია. მაგრამ ეს მაინც არ უნდა ინვევდეს „დაბრმავებას“, ეგრეთ ნოდებული „წვრილმანების“ უგულუბელყოფას. ასახსნელ-გასაანალიზებელი კვლავაც ბევრია. უპირველეს ყოვლისა, მოსაძიებელი და ფარზე ასატანი მგოსნის უცნობი თუ დაკარგული სტროფები, თვით ლექსებიც კი.

ამჯერად ყურადღებას ვამახვილებთ საქმიან მიმონერაზე, რომლის გააზრება აუცილებელია გალაკტიონის ცხოვრება-მოღვაწეობის სრულად შეცნობისათვის. მათზე დაყრდნობით ეპოქის თავისებურებებზე მინიშნებასაც შევეცდებით.

ვიფარგლებით ოციანი წლებით. ეს ურთულესი ხანაა – გარდამავალი ეპოქისათვის ნიშანდობლივი დაპირისპირება-გაყუჩებებით. ამ პერიოდში გალაკტიონი ზღაპრულ ენერგიას ავლენს. იგი მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი ბირთვის – ხუთეულის – წევრია და ბევრსაც იღვწის მშობლიური ლიტერატურის გაძლიერება-ამაღლებისათვის. მას ანდობენ ჟურნალის დაარსება-ხელმძღვანელობას, საგამომცემლო სექტორის საქმიანობის წარმართვას, ლიტერატურული საღამოების ორგანიზებას, ლექციების პროსპექტის შედგენას და ა. შ.

მაგალითად, 1922 წლის 7 აპრილის ოქმში ვკითხულობთ: „პოეზიის დღე გაიმართოს სახელმწიფო ოპერის შენობაში. პრეზიდენტს დაევალოს ამთავითვე დაიკავოს თეატრი 7 მაისისათვის. გაზეთ „პოეზიის დღის“ გამოცემა და მასალების შეგროვება მიენდოს გ. ტაბიძეს“¹.

გადაწყდა ზაქარია ჭიჭინაძის იუბილეს ჩატარება. დადგენილება ასეთია: „მიენდოს გეგმის შემუშავება გალაკტიონ ტაბიძეს და ლეო ქიაჩელს“².

ცხადია, საზოგადოებრივი საქმიანობა სულაც არ გულისხმობს პოეტური ცეცხლის ჩაქრობას.

1922 წლის 31 იანვარს გალაკტიონი განცხადებით მიმართავს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს.

„დამზადებული მაქვს გამოსაცემად ჩემი ლექსების მესამე ტომი. გთხოვთ დამეხმაროთ მის გამოცემაში. გამოცემისათვის საჭირო ქალაქისა და სხვა გასავლის ხარჯებში თქვენ დაიტოვებთ იმდენს ეგზემპლარს ნიგნისას, რამდენიც გაანაღდებს განუულ ხარჯებს და აგრეთვე მოგცემთ განსაზღვრულ მოგებასაც. ნიგნისთვის საჭირო 25 ფუთი ქალაქი, 15 მილიონი ასანყობად და დასაბეჭდად, აგრეთვე ყდა. ხელმძღვანელობას გამოცემისას გაესწვე თვითონ მე“³.


გალაკტიონმა კარგად იცის, თუ რა სიძნელებებთან არის დაკავშირებული ნიგნის დაბეჭდვა. ისიც უწყის, რომ მწერალთა კავშირის ფინანსურად ძლიერ უჭირს. ამიტომაც სთავაზობს ამგვარ გარიგებას.

განცხადებაში საუბარია ნიგნზე, რომელშიაც მხოლოდ ახალი ნაწარმოებები შევა. მაშასადამე, „არტიტული ყვავილების“ შემდეგ მგოსანს დაუღალავად უმუშავნია და არაერთი ლექსი შეუთხზავს. ეს არსებითად 1919-1920 წლებში ხდება.


უპირველესი პრობლემა ქალაქის მოძიებაა. მარაგი ამოიწურა. რუსეთს თავად უჭირს და, ცხადია, პერიფერიებს ვერ შევლის.

საჭიროა გაბმული გარჯა და გალაკტიონიც 1922 წლის ნოემბერში ითხოვს, სესხად მისცენ ხუთი ფუთი ქალაქი.

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის დადგენილება ასეთია: „მიეცეს სესხად ქალაქის ის რაოდენობა, რომელიც



გალაკტიონ ტაბიძე



**ერთი ფოტოს ისტორია
გურნის სკოლის რელიკვია**

ტყიბულის რაიონის სოფელ გურნის საშუალო სკოლაში 1980-1981 წლებში პიონერ-ხელმძღვანელად მუშაობდა **ლია გვენცაძე-გიორგაძე**. საქართველოს მთავარი რადიოს საბავშვო რედაქციამ მას სკოლის ისტორიის მომზადება სთხოვა. მასალების მოძიების დროს სკოლის იმდროინდელმა დირექტორმა **ბეგლარ გაბადაძემ** ქალბატონ ლიას გადასცა უნიკალური ფოტო, რომელზეც გამოსახული იყო **გალაკტიონ ტაბიძე** პედაგოგ **დომენტი თომაშვილი-ოყროშიძესთან** ერთად.

დომენტი თომაშვილი-ოყროშიძე 1917-1919 წლებში სოფელ გურნის ერთკლასიანი სკოლის მასწავლებელი იყო. პარალელურად წერდა, სხვადასხვა დროს ცხოვრობდა თბილისსა და ტყიბულის რაიონში. სწორედ თბილისში ყოფნისას, მწერალთა მე-4 ყრილობაზე გალაკტიონთან გადაიღო ფოტო, რომელიც შემდგომში გურნის სკოლის რელიკვიად იქცა.

აღმოჩნდება ცეკავშირის სტამბაში, არის ჟურნალ „ლომისის“ მონარჩენი⁴. სამწუხაროდ, ეს წყაროც დაშრეტილი აღმოჩნდა.

ბედს ვერ შეურიგდება. აუცილებელია უფრო ენერგიული მოქმედება. ვინ იცის, იქნებ...

მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა დადებითად არის განწყობილი. 31 იანვარს პრეზიდენტმა იმსჯელა ხსენებულ საკითხზე და დაადგინა: „ალიძრას შუამდგომლობა საბჭოს წინაშე, პირველ რიგში იქნეს გამოცემული“⁵.

ამგვარი გადაწყვეტილება გალაკტიონის ალაფრთოვანებს, მაგრამ იმასაც კარგად გრძნობს, რომ მიზნის მიღწევამდე შორი მანძილია.

1923 წლის 18 თებერვალს საგამომცემლო კომისია ასეთ დასკვნას აკეთებს: „...პირველ სერიაში უნდა გამოიცეს ოთხი ავტორი. პირველად ჭოლა ლომთათიძე, ნოე ჩხიკვაძე, კ. მაცაშვილი და გ. ტაბიძე... სასურველია გამოიცეს ოთხივე წიგნი პარალელურად“⁶.

ეს დადგენილება საქმეს ვერ შევლის. მატერიალური რესურსები ამოწურულია. ასე რომ, ობიექტური მიზეზების გამო „მესამე ტომი“ ვერ დაიბეჭდა.

საკითხავია, ექნებოდა კი მას ისეთი რეზონანსი, როგორც 1927 წელს დასტამბულ „ლექსებს“ ჰქონდა? ამ 544 გვერდიან წიგნში ფაქტობრივად გალაკტიონის თითქმის ყველა ლირიკული შედევრია შესული. კრებულმა ფართო საზოგადოების აღტაცება გამოიწვია.

უპირველეს ყოვლისა, სწორედ მან მისცა საფუძველი ია ეკალაძეს, განეცხადებინა: „გალაკტიონის პოეზია წმინდა წყლის ზმანებაა, მიმოფრენა წინათგრძნობათა და ოცნების სამყაროში თანადროულობას სამოსელში გამოხვეული, იგი იმ ოცნებათა ჭიდილით, საუკუნოებით რომ დასდევს ხოლმე ჭირნახულსა და კულტუროსანს ქვეყანას და ამ ქვეყნის მესაიდუმლეთ. იგი ცრემლისა, სისხლისა და სიყვარულისაგან შეზავებული მსხვერპლია, საუკუნოების წიაღში გადასროლილი სამშობლოსა და კაცობრიობის საკურთხეველზე შესანირავად...“

გალაკტიონ ტაბიძის პოეზია – პოეზიაა ყოველი დროისა“⁷.

საფიქრებელია, ასეთი გამოხმაურება ვერ მოჰყვებოდა „მესამე ტომს“. ის ხომ მხოლოდ 3-4 წლის ნაღვანეს შეიცავდა. მაგრამ წიგნი გალაკტიონის სიდიადის პერმანენტულ აღქმას განაპირობებდა, მკითხველის უწყვეტ, თანმიმდევრულ ესთეტიკურ აღზრდას შეუწყობდა ხელს.

გალაკტიონს რამდენიმე განხრით უწევს ბრძოლა. მთავარი მანაც ორია: ლიტერატურული შედეგების შექმნა-პუბლიკაცია და საარსებო გროშების მოპოვება.

1922 წლის 22 მაისს საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო წერილობით მიმართავს აღმასრულებელ კომიტეტს, რომ დაეხმარონ „წიგნით-ერად ხელმოკლე პოეტს“⁸.

კიდევ ერთი უცნობი დოკუმენტი.

„სრ. საქ. მწერალთა ფედერაციის პრეზიდენტს

მსურს გავმართო სალიტერატურო სალამოები 22, 23, 24 ივნისს. გთხოვთ დამითმოდ ამ დღეებისათვის ხელ. სასახლის დარბაზი.

გალაკტიონ ტაბიძე

ეს თხოვნა 1918 წლის 9 ივნისით არის დათარიღებული. დაწერილია მწერალთა კავშირის მდივნის ბლანკზე.

ამ განცხადებას ნუ მივიჩნევთ მხოლოდ ფორმალური მხარის დაკმაყოფილების მოთხოვნად. არცთუ იშვიათად მსგავს „არზას“ უარყოფითი პასუხი მოსდევდა.

ასე რომ, გალაკტიონს თვალსაჩინო გარჯა, ზოგჯერ მწვევე შეხლა-შემოხლაც კი უხდებოდა მიზნის მისაღწევად.

გალაკტიონი ყოფითი მოვლენებისადმი, თუ ისინი სიცოცხლეს არ ემუქრებოდა, ხშირად გულგრილი იყო. რაც შეეხება ლიტერატურას, ამ სფეროში დიდ პრინციპულობას და შეუპოვრობას იჩენდა; ზოგჯერ გამაოგნებელ სიჯიუტესაც კი. ეს იმით აიხსნება, რომ მწერლობა მისთვის ყველაფრის განმსაზღვრელი და დამფარავი ფენომენი იყო.

არქივმა შემოგვინახა გალაკტიონის წერილები, რომლებიც ბინის მის დაკმაყოფილებას და მატერიალურ მხარდაჭერას ეხება.

მგოსანი ერთხანს ხელოვნების სასახლეში არის შეხიზნული. 1922 წლის დასაწყისში იქიდანაც გამოასახლეს

და ღამის გასათევი ადგილიც კი არ აქვს. იწყება კარდაკარ ხეტიალი.

1923 წელს გალაკტიონი წერს განცხადებას: „რადგანაც ამ ჟამად უბინოდ ვიმყოფები, ვთხოვ უძრავი ქონების სამმართველოს მომცეს საცხოვრებელი ერთი ოთახი ქალაქის ცენტრში“⁹. ამ თხოვნას შედეგი არ მოჰყოლია.

გალაკტიონმა საქმეში ჩართო მწერალთა კავშირის საბჭო, რომელიც იმავე წლის 13 მარტს ასე მიმართავს ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმს:

„სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო შუამდგომლობს თქვენს წინაშე, რათა უფასოდ დაეთმოს ცნობილ პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს ჟურნალის რედაქციის ბინა. პოეტის გარშემო თავმოყრილია მთელი რიგი ახალგაზრდა მწერლების, რომლებიც ენერგიულად მუშაობენ და ხელს უწყობენ ქართული პოეზიის აღორძინებას. იმედია, აღმასკომის პრეზიდიუმი დააკმაყოფილებს ჩვენს შუამდგომლობას და ამით შეაძლებინებს ახალგაზრდა მწერლებს განაგრძონ კულტურული საქმიანობა“¹⁰.

ეს გაბრძოლებაც უშედეგო აღმოჩნდა.

საბინაო პრობლემა ბევრს აწუხებს. ფრთხილად თუ არ იქნები, შეიძლება ისიც კი დაკარგო, რაც გაქვს, არათუ ახალი ფართი მოიპოვო:

მრავლისმთქმელია მწერალთა კავშირის საბჭოს მიმართვა თბილისის საბინაო განყოფილებისადმი.

„პოეტი ქალი საფო მგელაძე ცხოვრობდა სასახლის ქუჩაზე 5. ვინაიდან მას მომვლელი არავინ ჰყავდა, ავადმყოფობის გამო იძულებული იყო ორი კვირით დაწოლილიყო ამხანაგის ბინაზე. (მის ავადმყოფობას დაამტკიცებს ექიმის მოწმობა). ამ ხნის განმავლობაში კი საბინაო განყოფილებას მის ოთახში ჩაუსახლება უცხო პირი და ამ რიგად იგი დარჩენილია უბინოდ. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო მიაქცევს რა თქვენს ყურადღებას ზემოთ აღნიშნულს, ვთხოვთ მოახდინოთ განკარგულება, რათა დაუბრუნდეს საფო მგელაძეს თავისი ოთახი“¹¹.

როგორც ჩანს, თუ კარს რამდენიმე დღით გამოხურავ, შეიძლება სამუდამოდ დაემშვიდობო ბინას.

ერთი სიტყვით, გალაკტიონი უმ-

ძიმეს პირობებშია, მაგრამ სულით არ ეცემა. პოეზია აცოცხლებს. ლექსი უკვდავების ელექსირია.

და მაინც, პური არსობისა ხომ აუცილებელია.

1921 წლის 9 აგვისტოს გალაკტიონი და გიორგი ქუჩიშვილი ფულად დახმარებას სთხოვენ მწერალთა კავშირს. ამჯერად გაუმართლათ.

საერთო ვითარება კარგად ჩანს გიორგი ქუჩიშვილის მეუღლის ქალბატონ ვასასის განცხადებაში:

„ჩემი ქმარი, გიორგი ქუჩიშვილი, როგორც მოგეხსენებათ, ავად არის ეს ერთი თვეა ფილტვების სისუსტით და ტროპიკული ციებ-ცხელებით. ექიმების თქმით, მას ესაჭიროება გაძლიერებული კვება, რათა არ გადაიქცეს ჭლექათ. მე კი უსახსრობის გამო ვასაზრდობ მხოლოდ და მხოლოდ ჩაით და ლობიოთი. თუ რაიმე ღირებული გაგვანჩნდა გაყვიდე. ერთად-ერთი იმედი იყო აკადემიური ულუფა. ვერ წარმომედგინა, რომ დაივინებდნენ გიორგის ხსენებული ულუფის განაწილების დროს. მე მივინდა თქვენი ყურადღება მივაქციო ამ უსამართლობას. გავჩუმდებოდი, მაგრამ არავითარი იმედი, რომ გამოვკვებო ავადმყოფი ქმარი და მცირეწლოვანი ბავშვები, აღარ არის. ამის გარდა, სასოწარკვეთილებაში მაგდებს ის გარემოება, რომ ზამთარი უკვე დაიწყო და ჩვენ კი ერთი ლერი შეშაც არ გაგვანჩნია“¹².

ეს განცხადება გალაკტიონის აქტიური ჩარევით არის გასრულებული „არზაზე“ დაყრდნობით და მწერალთა კავშირის საბჭოს სახელით გალაკტიონი მიმართავს სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატს.

„პოეტი გ. ქუჩიშვილი ავად არის ფილტვების სისუსტით და ტროპიკული ციებ-ცხელებით. ექიმების რჩევით მას ესაჭიროება გაძლიერებული კვება. მას კი უსახსრობის გამო არავითარი საშუალება არ აქვს, შეასრულოს ექიმების რჩევა, რის გამო ავადმყოფობა საშინელ ხასიათს მიიღებს და შესაძლოა სიცოცხლესაც გამოასალმოს. იღებს რა ყოველივე ამას მხედველობაში, საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო მოგმართავს თხოვნით, აღმოუჩინოთ პოეტ გ. ქუჩიშვილს შესაფერისი დახმარება“¹³.

აქვე დავსძენ, რომ გალაკტიონის ხელით არის დანერილი დარია ახვლედიანის თხოვნის საფუძველზე აღძ-



გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ქუჩიშვილი

დამოწმებული წყაროები:

¹ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 8, აღწერა 1, საქმე 38, ფურცელი 1.
² იქვე, საქმე 11, ფურცელი 8.
³ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 8, აღწერა 1, საქმე 38, ფურცელი 1.
⁴ იქვე, საქმე 29, ფურცელი 38.
⁵ იქვე, საქმე 11, ფურცელი 9.
⁶ იქვე, საქმე 29, ფურცელი 8.
⁷ ერთჯერადი გამოცემა „გალაკტიონი – 1927 – ტფილისი“.
⁸ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 8, აღწერა 1, საქმე 3, ფ. 1.



იოსებ გრიშაშვილი

რული შუამდგომლობა. ასევე აშკარაა ნარ-კანის გვერდით დგომა.

ხსენებული ფაქტები ცხადი დადასტურებაა იმისა, რომ გალაკტიონი გულისყურიანია მახლობლების მიმართ; გვერდით უდგას ღვანლმოსილ პირებს და ცდილობს გაუადვილოს მათ ცხოვრება-მოღვაწეობა.

სავალალო ეკონომიკური მდგომარეობა ფსიქიკასაც აზიანებს. ინდივიდი უკიდურესად ღიზიანდება და ზოგჯერ ანგარიშს ვერ უწევს თავის ქმედებას. ეს რომ ზოგად განცხადებად არ მოეჩვენოს მკითხველს, ერთ მეტყველ ფაქტს დავესესხები.

1923 წლის 13 მაისს მწერალთა საბჭომ იმსჯელა სარედაქციო კოლეგიასა და ბაბილინას შორის მომხდარი ინციდენტზე. დადგენილება ასეთია:

„მიღებულ იქნას ერთხმად შემდეგი რეზოლუცია: მოისმინა რა საბჭომ მოხსენება სარედაქციო კოლეგიისა და ბაბილინას შორის მომხდარი ინციდენტის შესახებ და გამოარკვია რა, რომ ბაბილინამ ხელით შეურაცხყოფა მოინადინა კოლეგიის წევრის გრიშაშვილის, მისი ლექსის რამდენიმე სტრიქონის გასწორებულად დაბეჭდვის გამო, გამოთქვამს თავის აღშფოთებას კავშირის წევრის ბაბილინას მიმართ და გმობს მის საქციელს, როგორც უკულტურო ფორმას პროტესტის გამოსაცხადებლად.

პ. საყვარელიძე მოითხოვს, ოქმში შეტანილ იქნას, რომ საბჭო არ ბეჭდავს პრესაში ამ რეზოლუციას, ვინაიდან არ სურს თავისი ოჯახური, შინაური საქმეები გამოიტანოს საზოგადოების წინაშე“¹⁴.

სხვათა შორის, გალაკტიონი მომხრეა დაბეჭდვისა. რატომ? პუბლიკაცია გარკვეული თვალსაზრისით ნამდვილად გამოინვევდა ი. გრიშაშვილის დისკრედიტაციას ფართო წრეებში (ქალი მამაკაცზე საცემრად მიიწვეს). ხომ არ იგრძნობა ამ ფაქტში ი. გრიშაშვილსა და გალაკტიონს შორის დაძაბული ურთიერთობის ანარეკლი? დამაფიქრებელი ნიუანსია.

უჭირს არა მხოლოდ ცალკეულ პირებს, არამედ მწერალთა კავშირსაც. საგულისხმოა, რომ „არტო“

ბაღში ლიტერატორებმა სეირნობა-ზეიმი გამართეს საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლად. შემოსავალი მცირეა და ისიც იბეგრება. ამიტომაც სთხოვენ დამშეულთა კომიტეტის თავმჯდომარეს ფილიპე მახარაძეს, გაანთავისუფლონ გადასახადისაგან, „რაც ხელს შეუწყობს ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის გამომცემლობის საქმესო“¹⁵.

დღეს ალბათ ღიმილს გამოიწვევს ის ფაქტი, რომ მწერლებს მხოლოდ ორ ბოთლ ღვინოს ურიგებენ და დაჯილდოებულთა სიის შესადგენად სპეციალურ სხდომას იწვევენ.

ზემო მოტანილ და სხვა ანალოგიურ ფაქტებს თუ ღრმად გავიაზრებთ, უნდა ითქვას, რომ გალაკტიონი რკინის კაცია, ჯანმრთელზე ჯანმრთელი, შეუდრეკელი და პრინციპული. ამასთანავე იმის აღნიშვნაც გვმართებს, რომ ურთულესსა და გაუსაძლისს პირობებს შეუძლებელია უარყოფითად არ ემოქმედა, რამაც მოგვიანებით, მართლაც, სხვადასხვა ფორმით იჩინა თავი.

კონკრეტული მაგალითების განზოგადების საფუძველზე ნამდვილად შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველმა მწერლებმა ურთულესსა და უმძიმეს გამოცდას გაუძლეს.

ჩვენს ნარკვევში ციტატების სიუხვე ნამდვილად იგრძნობა. ეს ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ უცნობი მასალების თავმოყრა-გამომზეურების ტენდენციამ იმძლავრა. სამეცნიერო მიმოქცევაში მათი შემოტანა არა თუ სასურველია, არამედ აუცილებელიც. ეჭვი არ გვეპარება, რომ ისინი და სხვა მათი მსგავსი „ეპისტოლენი“ გალაკტიონის თხზულებათა ახალ აკადემიურ გამოცემაში უთუოდ ჰპოვებენ ასახვას.

უპრიანი იქნება ეს წერილი გალაკტიონისავე სიტყვებით დავამთავროთ: „გენიალურ პიროვნებას ადვილად ვერ დააქანებ შეთანხმებისაკენ. იგი ორიგინალური, ძლიერი პიროვნებაა. იგი არავის ემორჩილება, არც შეგუებას ცდილობს, მაგრამ მოითხოვს მიიღოს ისეთი, როგორც არის“¹⁶.

⁹ იქვე, საქმე 53, ფ: 9.

¹⁰ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 8, აღწერა 1, საქმე 59, ფურცელი 6.

¹¹ იქვე, ფურცელი 2.

¹² ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 8, აღწერა 1, საქმე 20, ფურცელი 18.

¹³ იქვე, ფ: 21.

¹⁴ იქვე, საქმე 46, ფურცელი 5.

¹⁵ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 8, აღწერა 1, საქმე 31, ფურცელი 10.

¹⁶ გ. ტაბიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. XII, 1975, გვ. 25.

ენა

გიზო ზარნაძე

ზინც ამ წერილს არ წაიკითხავს...

...იმას მშობლიური ენის ბედი არ ედარდება!..

იქნებ, მეტიც ითქვას: არც ქვეყნის ბედი! რადგან ქვეყანასა და მის ერს, თუ იგი თავმოყვარე და თავმოჭირისუფლე ქვეყანა და ერია, უპირველეს საზრუნავად, სწორედაც რომ მშობლიური ქართულის ჭირ-ვარამი უნდა მიაჩნდეს, ასე რომ მომრავლდა ამ ბოლოყამ.

უსასველოდ ნაგვიანდება ქართული სალიტერატურო ენა თავისთავად მდარე მხატვრული ღირებულების მქონე უცხოური ტელესერიალების ტექსტების ასევე მდარე ქართული თარგმანებით, ნაირ-ნაირი სლენგებით, ბარბარიზმებით, ინგლისურის ექსპანსიით, ტელერადიოგადაცემების, უმთავრესად, მწირი და ერთფეროვანი ტექსტებით, ჟარგონებით, ხელისუფლების მხრივ ყოვლად გაუგებარი ნაბიჯით – ქართული ენის სახელმწიფო პალატის გაუქმებით...

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, გაკეთდა ჩინებული საქმე: ენათმეცნიერების ინსტიტუტმა ბატონ **ავთანდილ არაბულის** თაოსნობით მოამზადა და გამოსცა **ქეგლ**-ის (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის) შევსებული და ახლად რედაქტირებული პირველი ტომი. როგორც გაირკვა, გამოსაცემად, ფაქტობრივად, მზადაა მეორე ტომიც.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ უშეცდომოდ და უხარვეზოდ ლექსიკონი ჯერ არავის შეუდგენია და გამოუცია! რასაკვირველია, არც ეს ახალი გამოცემა იქნება, ამ მხრივ, დაზღვეული, მაგრამ თვალის ერთი გადავლებითაც შეინიშნება, რომ ახალი რედაქციით დასტამბული ლექსიკონი მნიშვნელოვნად (თანაც, სასიკეთოდ) განსხვავდება ადრინდელისაგან.

ჩვენ როდი გვაქვს დასახული მიზნად პირველი ტომის ავკარგიანობის მეცნიერული შეფასება! ეს, ალბათ, უფრო კომპენტეტური რეცენზენტის, ყოველ შემთხვევაში, სწავლული ენათმეცნიერის საქმე უფროა, ვიდრე

– ლიტერატორის.

მოსალოდნელია მკითხველის რეპლიკა: ჰოდა, მაშ, რა გრჯიდა, კალამს რომ ხელში იღებდიო!

ის მრჯიდა, რომ ანი გამოსაცემ ტომებში (შაბლონურ ფრაზებს იოლად ვერ გაექცევი!) მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი სხვადასხვაგვარი უზუსტობანი, მაქსიმალურად განიმარტოს ან დაზუსტდეს ამა თუ იმ სიტყვის არამარტო მნიშვნელობა, არამედ – მისი ეტიმოლოც.

ეს, ასე ვთქვათ, წერილის შესავლად, ანუ, კვლავ უცხო ტერმინი რომ მოვიშველიოთ, პროლოგად ჩაგვეთვალოს.

* * *

ერთი შეხედვით, უცნაური რამ მჭირს: სათქმელს ხან იგავითა თუ არაკით, ხანაც – ანეკდოტით ვინცებ ხოლმე.

ერთ-ერთ, ქართულ, ჩვეულებრივ, სტუმართმოყვარულ ოჯახში, ძეობასთან დაკავშირებული სუფრაა გაშლილი: ილხენენ, ალავერდებს გადადიან, განსხვავებულებით სვამენ, ყანწებს ცერათითზე ინურავენ... გახურებული ცეკვა-თამაშია, მღერიან ხმის ჩახლეჩამდე...

სამზარეულოდან დიასახლისი გამოვიდა, ცხელ-ცხელი ხაჭაპურები ჩამოარიგა სუფრაზე და მორიდებულად იკითხა – გიტარა იცით ვინმემ?

სიჩუმე ჩამოვარდა. ერთმანეთს გადახედეს. ბოლოს, ერთმა, წარმოშობით ოსმა სტუმარმა მიუგო, მე ვიცო.

გახარებულმა დიასახლისმა უმაღვე გამოიტანა გიტარა. ოსმა დაუდასტურა – ჰო, ეგაა გიტარაო!

ლამის ჭერი ჩამოინგრა, ისეთი ხარხარი ატყდა!

ამას წინათ, იმერული ჭყინტი ყველი ვიყიდე. დამინუნა მეუღლემ, რაღაც-ნაირი, უჩვეულო გემო დაჰკრავსო.

ვეუბნები: ეგ იმიტომ, რომ თავს აღარ ინუხებენ **მაჭიკის** დაყენებით, პეპსინით ამოჰყავთ ყველი-მეთქი.

მაჭიკი რა არისო, – მკითხა.



დედაენის ძეგლი (მირიან კილაძის ფოტო)



– ეგერაა განმარტებითი ლექსიკონი, გადმოვიღეთ და ნახე-მეთქი.

გადმოვიღეთ, გადავშალეთ მე-5 ტომი, გვ. 113.

კაცი რომ დაიმედებული ხარ, მოგეშველება ლექსიკონი და ცოლს სამი-დღემჩიოდ ეცოდინება, რაცაა მაჭიკი-მეთქი, პირკატა არ მეცა!

„მაჭიკი“ (მაჭიკისა) = დვრიტა, კვეთი. „ზენახეზე ბევრი რამ ეკიდა, საქვების გარდა: მაჭიკი, საკიდელი, თხის ძვლები“ (გ. წერეთელი).

აქ, თითქოს, ყველაფერი რიგზეა, მაგრამ... მაგრამ ისა, რომ ყოვლად აუცილებელი იყო, ორიოდ ფრაზით მიენიშნებინათ მკითხველისათვის – თუ რას წარმოადგენს, რა არის, რისგან ან როგორ მზადდება თავად მაჭიკი!

თორემ, რა გამოდის! ვეძებთ, რა არის მაჭიკი და მოშველიებულ ლიტერატურულ წყაროში ვკითხულობთ, ზენახეზე, საქვების გარდა, მაჭიკიც ეკიდაო!

კი, ბატონო, იქვე წერია, რომ მაჭიკი იგივე დვრიტაა, იგივე კვეთიო.

დიდი შეღავათია, არა?

ახლა ხომ მკითხველმა ცალკე დვრიტას ან ცალკე კვეთის მნიშვნელობა უნდა დაადგინოს, და, ეგებ, ამის შემდეგ მიხვდეს – რა არის, ბოლოს და ბოლოს, მაჭიკი!..

თანდათან ვრწმუნდები, რომ ერთი ანეკდოტი საქმეს ვერ შველის. გავიხსენებ მეორესაც.

კომუნისტების შავბნელი ხანაა. ქუთაისში „მენამლე“ ისრაელა „აიყვანეს“.

ეკითხებიან მილიციის განყოფილებაში, სად ცხოვრობთო.

ჩემი სიძის პირდაპირ ვცხოვრობო! – არხეინად მიუგებს ისრაელა.

ერთმანეთს გადახედეს მილიციის მუშაკებმა: შენი სიძე სად ცხოვრობსო.

ჩემ პირდაპირ ცხოვრობსო, – იხტიბარს არ იტყვს სპეკულანტი.

მოადეს და მოადეს, ჩააგდეს „კუტუზკაში“. მეორე დღით ეკითხებიან, გაიხსენე, სად ცხოვრობო?

რაა გასახსენებელი, ნინოშვილის ჩვიდმეტში ვცხოვრობო!

წუხელის რომ ვერ გაიხსენეო!

წუხანდელი არაფერი მახსოვს, გალენილი მთვრალი ვიყავიო!

სინამდვილეში, ღამით იმდენი მოახერხა, რომ მისი ბინიდან მთელი წამ-

ლეულობა საიმედო ადგილას გაზიდეს ოჯახის წევრებმა!

მაჭიკი რა არის და დვრიტა არისო!

დვრიტა ანუ იგივე კვეთიო.

ახლა დვრიტას მოძებნი და მაჭიკიაო!

„ვსიო გავარიტ, გასპადინ სუდია, ვსიო გავარიტ, ა ნა სჩოტ სვინი, ნიჩევო ნი გავარიტ!“

დალოცვილო, თუკი იქვე, 112-ე გვერდზე **„მანონი“** ასეა განმარტებული: **„მჟავად შედედებული ადუღებული რძე“**, „მაჭიკმა“ რაღა დაგიშავათ? იმისთვისაც მიგენერათ, რომ კი არის დვრიტა ანუ კვეთი, მაგრამ ასე მზადდებათქო: ღორის კუჭს ჩადებენ თიხის ან მინის ქილაში, გაავსებენ ძმრით, დაუმატებენ მარილს და რამდენიმე კვირაში მიიღებენ კვეთს (იმერეთში „სამკვეთლოსაც“ ეძახიან) ადუღებული რძის შესადედებლად, რომლისგანაც მერე ყველს ამოიყვანენ.

მორჩა და გათავდა!

ახლა იმის თაობაზე თუ რაოდენ სავეალალო შედეგი შეიძლება მივიღოთ, როდესაც გაუმართლებელი „ილეთით“ ვაგვარებთ მოუგვარებელს.

ნამეტანი მოარებით რომ არ ვისაუბროთ და, ამის გამო, რეზუსივით ძნელად გასაშიფრი არ მოგეჩვენოთ სათქმელი, მარტივად ვთქვათ: ქართულ ენაში ზმნა ყველაზე რთული და ყველაზე ძლიერი მოვლენაა. მასთან მიმართებაში ყოველთვის სიფრთხილე გვმართებს. იგი იმდენად მოქნილი და სახეცვალებადია, იმდენად მრავალნაზნაგოვანი, რომ იოლად ვერ მოთოკავ და მოიშინაურებ, შენს ნებაზე ვერ გაიყოლიებ.

მაგალითად, ქველ-ში ზმნები: **„ინვის“** და **„ინვება“** პარალელური მნიშვნელობითაა განმარტებული. აქაოდა, გინდა ერთს გამოიყენებ, გინდა – მეორეს, არაფერი დაშავდებაო!.. ეს იგივეა, ვთქვათ, რაც „გაძლომა“ და „დანაყრებაო“, რაც „ხაპი“ და „ორშიმო“, ან – „კოპე“-ო.

ნება მიბოძეთ, ჩავიხველოთ, ბატონებო, ვისაც ავრე მიგაჩნიათ!

ყოველთვის მჭრიდა ყურს, როდესაც გახმაურებულ („შლიაგერს“ რომ ეძახიან სხვათა ენაზე) საესტრადო სიმღერას ვისმენდი: **„ცოცხალი ვარ, ცოცხალი, შენი ეშხით ვინვები“**.

სულ მიკვირდა – როგორ შეიძლება ვინმეს ეშხით ინვებოდე?! აბა, „ცოდ-

ვით“ შევცვალოთ „ეშხი“! „შენი ცოდ-
ვით ვინვები“-ო თუ „შენი ცოდვით
ვინვი“-ო, როგორ იტყოდა მეტ-ნაკ-
ლებად ქართულის მცოდნე კაცი? რა-
საკვირველია, **შენი ცოდვით ვინვიო!**

აქ, რა თქმა უნდა, საუბარია სწორ
ლიტერატურულ ნორმაზე და არა –
კუთხურზე!

ინვის შეშა, სანთელი, ქვანახშირი,
ბოლოს და ბოლოს, (მტრისას!) სახლი,
მაგრამ ინვება მწვადი, გოჭი და სხვ.

სხვადასხვა სახელზმნებია „წვა“ და
„შენვა“.

სახლი ინვის – სახლი დაინვა.

გოჭი ინვება – გოჭი შეინვა.

ხატოვნად (ანუ, ფიგურალურად)
შეიძლება ასეთი ფრაზა შეადგი-
ნოს მწერალმა: „რამდენ ხანს გინდა
პლაჟზე კოტრიალი, სანამ გოჭივით
არ შეინვები“?! მაგრამ, თავის დღეში
არ მოუვა აზრად იმავე მწერალს, ასე
ჩამოაყალიბოს იგივე წინადადება:
**...სანამ სანთელივით (ხესავით, სახ-
ლივით) არ დაინვები!.. („შენვა“ სხ-
ვაა, „დაწვა“ სხვაა, რალა თქმა უნდა!).**

მეტად საგულისხმოა ერთი მომენ-
ტი, რაც, თავისთავად ადასტურებს
ჩვენს მოსაზრებას: განმარტებით
ლექსიკონში იმის დასამონებლად,
უკეთ, – იმის საილუსტრაციოდ, რომ
„ინვის“ და **„ინვება“** პარალელური
ფორმებია, მოხმობილია არაერთი ცი-
ტატა ლიტერატურული ნაწარმოებები-
დან, მაგრამ (ამას ხაზგასმით ვამბობთ!)
ვერცერთი ნაწარმოები ვერ მოუძევიათ

ქართველ მწერალთა ტომეულებიდან,
სადაც **„ინვის“** მაგიერ, **„ინვება“** იქნე-
ბოდა გამოყენებული!

ჩაზედოთ ლექსიკონს.

ინვება-ა, ინვი-ს.

„შეშა წელ-წელა შიშინით ინვოდა“
(ე. ნინოშ.).

**„ჩვენი სახლი ინვის... ჩვენი...! –
იკვილა კესომ (რ. გვეტ.).**

**„გვასრჩობდნენ, არ ვიხრჩო-
ბოდით, მშობლის ერთგულნი ვრჩე-
ბოდით, გვწვავდნენ და ჩვენ არ ვი-
წვოდით, ჩვენ მტრის დახვედრა ვი-
ცოდით“ (ან. კალანდ.).**

**„[ტორფის ბრიკეტების თავისე-
ბურება ისაა, რომ ინვის უალოდ“**
(„კომუნისტი“).

**„...ინვოდა გული! – დავლიე მთელი
ის წელი კვენსითა“ (ვაჟა).**

**„ყმანვილი კაცები... ვარდიკოს ეშ-
ხით ინვოდნენ“ (ე. ნინოშ.).**

**„მსურს შენი ტრფობის ცეცხლით
ვინვოდე!“ (კ. ბობოხ.).**

„მთელი დღეა ვმკი, სიცხით ვინვი“
(ზღაპ.).

**„ცხელოდა, ცხელოდა... ინვოდა
იქაურობა! (ი. მაჭავ. – თარგმ. ქეგ-
ლი, ტ. 4. გვ. 952).**

ყოვლად აუცილებელია ამ ზმნების
დიფერენცირება, რადგან სხვადასხ-
ვას ნიშნავს!..

ალბათ, ღირს ამ და ამდაგვარი
უზუსტობების გათვალისწინება ქარ-
თული ენის განმარტებითი ლექსიკო-
ნის ხელახალი გამოცემის დროს.



Traduttore traditore!


რას წარმოადგენს თარგმანი
და რაში მდგომარეობს თარგმნის
პროცესის არსი? ამ კითხვაზე პა-
სუხის გასაცემად სახეზე გვაქვს
ერთი მხრივ, საკმაოდ სოლიდური
თეორიული კორპუსი, სადაც ენათ-
მეცნიერების ისეთი კორიფეები,
როგორებიც არიან კადე, ნაიდა,
კეტფორდი, იაკობსონი, მუნენი,
ფიორსი, ბაუმი და სხვები, თარგ-
მანის, როგორც ლინგვისტური
მოვლენის, შესწავლას ცდილობენ
და მეორე მხრივ, გამონათქვამები
სხვადასხვა „პრაქტიკოსი მთარგმ-
ნელებისა“, თარგმანის განსაზ-
ღვრისას სრულიად განსხვავებულ
ფორმულირებებს რომ გვთავაზო-
ბენ. რომელი ერთი ჩამოეთ-
ვალოთ? ის, რომ „თარგმანის თეო-
რია განიხილავს გარკვეული ტიპის
ურთიერთობას ენათა შორის და
შესაბამისად, ის კომპარატივის-
ტული ლინგვისტიკის ერთ-ერთ
სფეროდ გვევლინება“ თუ ის, რომ
„თარგმნისას მთავარია მეტი იყოს
აზრი და ნაკლები გრამატიკა“; ის,
რომ „ლინგვისტურ პლანში თარგ-
მანი შეიძლება განისაზღვროს
როგორც ენათა თანაფარდი ფუნ-
ქციონირების განსაკუთრებული
სახეობა“ თუ ის, რომ „თარგმანმა
ორიგინალის „სული და მანერა“
უნდა გადმოსცეს“.

ამ გამონათქვამებში შეიძლება
მართლა დაიკარგო. თუმცა, შეს-
აძლებელია არ გქონდეს განსა-
კუთრებული თეორიული ცოდნა,
მაგრამ მაინც გამოგივიდეს თარგ-
მანი. ეს ქვეცნობიერი, ყველა დიდი
ლინგვისტისთვის უხილავი და და-
ფარული პროცესი ხშირად თვითონ
მთარგმნელისთვისაც კი გაუგე-
ბარი რჩება. ამიტომაც, რომ ჩვენ,
მთარგმნელები, განსაკუთრებით
კი ისინი, ვინც მხატვრული თარგ-
მანითაა დაკავებული, ხშირად ვხ-
მარობთ ხოლმე ფრაზას – „არ გა-
მოივიდა“ ან „ეს კარგად გამოიმი-
ვიდა“, მაგრამ რატომ არ გამოვიდა
ან რატომ გამოვიდა, არ ვიცით.

¹ ტრადუტორე ტრადიტორე – ტრა-
დიციული იტალიური გამოთქმა „მთარ-
გმნელი მოღალატეა“, რომელსაც სხვა
ენაზე თარგმნისას მთელი პარანომას-
ტული ღირებულება აკლდება.

დასასრული 57-ე გვერდზე

„ინტელექტი“ ბთავაზობთ



ბაჩანა ბრეგვაძე

„ბოლო წლების ჩანაწერები“


მრავალმხრივ საყურადღებო წიგნი, რომელიც
ჩაგვახედებს თვალსაჩინო მთარგმნელისა და მოაზ-
როვნის, **ბაჩანა ბრეგვაძის** შემოქმედებით სამყარო-
ში, სიღრმისეულად განგვაცდევინებს აზრსა და
სიტყვას, წარუშლელ შთაბეჭდილებებს, რომელიც
მსოფლიო ლიტერატურის შედევრების ქართულად
ამეტყველების დროს იბადება.

„XVII საუკუნის ფრანგი მწერალი **ჟან დე ლაბრი-
უიერი** თავისი წიგნის („ხასიათები“) დასასრულს
წერდა: „გამიკვირდება თუ მკითხველს არ მოეწონა
„ხასიათები“ და თუ მოეწონა, ესეც გამიკვირდება“.

მე კი ამ სიტყვის პერიფრაზირებით ვიტყო-
დი: გამიკვირდება თუ მკითხველს მოეწონა ჩემი
„ჩანაწერები“ და თუ არ მოეწონა, ეს უკვე მისი
საქმეა“ – ნათქვამია ავტორის წინასიტყვაობაში.

კრიტიკა

ბონდო არველაძე
ტაიპილიანი ნიშნი



მერაბ ბერიძე

ვაჰაგანიანის
მესხების
ფუძვლები და
დღევანდელი

მესხნი, კაცნი და ქალნი არიან მზგავსნი ქართულთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენატკბილად მოუბარნი, ტანახოვანნი, მხნენი, შემართულნი, შუენიერნი, ცოდნა-ხელოვნების მოყვარენი... მთავარნი და წარჩინებულნი არიან მაჰმადიანნი, და გლენი ქრისტიანნი, ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული!

ვახუშტი

გამოვიდა პროფ. მერაბ ბერიძის შრომათა კრებული – „მაჰმადიანი მესხების ფესვები და დღევანდელი“. სანამ მასში შესულ შრომებს განვიხილავ, მანამ მსურს ორიოდ სიტყვა ვთქვა ამ კრებულის გამოცემის მიზეზსა და შესაბამისად საჭიროებაზე. მიზეზი მისი გამოცემისა არის 1944 წელს გასახლებული მესხთა ისტორია და მათი ქართველობა, რომელიც მეზობელი ქვეყნის ზოგიერთმა მეცნიერმა საეჭვოდ გახადა და დავის საგნად აქცია. ეს მაშინ, როცა დეპორტირებულ მესხთა წარსული განუყოფელია მესხეთის და მესხთა ისტორიიდან, ე. ი. განუყოფელია საქართველოს, ქართველთა ისტორიიდან.

მავანთა გასაგონად: მესხთა ისტორია იწყება ძველი წელთაღრიცხვის XII საუკუნიდან – „აქედან მოყოლებული უწყვეტია ხაზი, გენი, ეთნიკური ყოფა. ეპოქები იცვლება, ისტორიისთვის რამდენიმე საუკუნე არაფერს ნიშნავს, ამიტომ თუნდაც ნებისმიერი ძალის შედეგად რამდენიმე თაობის გაჭირვება ან ძირითადი ეროვნული ხაზიდან გადახვევა არ უნდა ცვლიდეს რადიკალურ ხაზს“ – მართებულად აღნიშნავს მერაბ ბერიძე...

მაგრამ მესხთა ძალით გამუსულმანება გამოიყენეს ჩვენმა არაკეთილმოსურნეებმა და უწოდეს – კავკასიელი თურქები, ახალციხელი თურქები, მესხი თურქები, უბრალოდ თათრები და ა. შ. მესხთა ეროვნების ასე შეგნებულად გაბუნდოვანების და დამახინჯების გამო ქართველი მეცნიერები იძულებული გახდნენ ემტკიცებინათ მუსლიმი მესხების ტომით ქართველობა, რასაც ადასტურებს ქართული წყაროების გარდა, ანტიკური და რომაული საისტორიო მონაცემები. ამასვე ამონებებს ბოლო საუკუნეებში თურქული და რუსული აღწერის დავთრები. ესენი კი სანდო დოკუმენტები არიან, რადგან დგებოდა სახელმწიფო საჭიროების გამო. უეჭველად ანგარიშგასანევი ფაქტია ისიც, რომ მუსლიმი მესხები რომ

არ აღრეულიყვნენ და გამორჩეული ყოფილიყვნენ ქურთებისა და თარაქამებისაგან, XIX საუკუნის მეორე ნახევარში მათი შემოიღეს სპეციალური ტერმინი – „იერლი“, რაც ნიშნავდა ადგილობრივს, მკვიდრს. იგი ხსენებული ხელოვნური ტერმინის განსხვავებით, ეთნოსოციალურ ნიადაგზე იყო აღმოცენებული. „იერლი“ ე. ი. მუსლიმი მესხი თარაქამას, ქურთს ან სხვა ტომის წარმომადგენელს ქალს არც გაატანდა და არც მოიყვანდა. ამით ის ინარჩუნებდა თავისთავადობას, მიუხედავად იმისა, რომ პროზელიტი იყო. ეს მაშინ, როცა „იერლსა“ და ქართველ ქრისტიანებს შორის მესხეთში იყო და არის დღესაც ქორწინების მასიური შემთხვევები დაბრუნების შემდეგაც.

ეს მოკლე ნიაღვრეა დამჭირდა იმი-სათვის, რომ ვაჩვენო, ქართველთა სხვა სარწმუნოებაზე გადასვლას როგორი ტრაგიკული შედეგი მოსდევდა. ქართველთა გამუსულმანებას განაპირობებდა მათ მიმართ გატარებული ეკონომიური შედეგები. თუმცა იყო, არც თუ იშვიათად, ძალდატანებით, მუქარით გამუსულმანების შემთხვევები. მაგრამ ეს საქმის არსს არ ცვლიდა – შედეგი ერთნაირი იყო – საკუთარი ჯიშისა და ჯილაგის მოწყვეტა და გაუცხოება. რაც მთავარია, ასეთი ქართველი საქართველოს მტრად ცხადდებოდა. ეს კი მიუტევებელი შეცდომა იყო. ამის გამო ისტორიამ ბევრჯერ მწარედ გვანანა, რადგან დაგვჭირდა ქართველის ქართველობის მტკიცება. რაღა შორს ნავიდეთ, ავერ XIX საუკუნეში იმის დამტკიცებას, რომ არსებობენ ქართველი კათალიკები – „ორი დიდი ადამიანის, მიხეილ თამარაშვილის და ივანე გვარამაძის შემოქმედებითი ენერგია და ძალისხმევა დასჭირდა. იყო ადამიანი და სწირავდა სიცოცხლეს. იყო კაცები და გასწირეს თავი, რისთვის? იმისათვის, რომ ქართველებისთვის მათივე ქართველობა დაემტკიცებინათ. მერედა რამდენია ასეთი, განა ერთი

და ორი. გავმაჰმადიანებულვართ, გავკათოლიკებულვართ, გავგრიგორიანებულვართ და უცებ... ყველაფერი თავდაყირა დამდგარა. ეჭვის ქვეშ მოქცეულა ჩვენივე ეროვნება და ეს ხდება არა სადმე ცხრა მთას იქით, არამედ აგერ, შიგან-შიგან საკუთარ ქვეყანაში, სამშობლოში“ – გულისტკივილით წერს მერაბ ბერიძე.

მაგალითად, მოაქვს სოფელი ველის (თურქეთი) მცხოვრებ ქართველთა ბედი. ველელი კათოლიკე ქართველები XIX ს-ში გადაგვარებას გამოექცნენ და დასახლდნენ ახალქალაქის გარშემო მდებარე სოფლებში: ბავრა, ხულგუმო, კარტიკაში. მაგრამ მათ სომხური ტიპიკონი დაუკანონეს. დღეს ისინი თავს სომხებად თვლიან. ასე დაკარგეს სამშობლოში დაბრუნებულმა ქართველებმა ეროვნება, სარწმუნოება და რაც მთავარია საქართველომ დაკარგა თავისივე მიწაზე ქართული მოსახლეობა.

მერაბ ბერიძე მართებულად სვამს კითხვას – ბოლოს და ბოლოს ვინ არიან მესხები და თვითონვე პასუხობს – მესხები და მესხობის საკითხი არ არის ლოკალური ვინრო ეთნიკური საკითხი. ეს არის საკითხი ქართველებისა და ქართველობისა. დიას, მესხები და გაგვახსენდება ათონელები, ოპიზრები, ჩახრუხაძეები, რუსთაველები. ისიც საცნაურია, რომ მესხეთის სინონიმებია – ზემო ქართლი, შავშეთი, ტაოკლარჯეთი, სამცხე-საათაბაგო. მოხდა ისტორიული ბედ-უკუღმართობა და XVI ს-ში მესხეთი დაიპყრო ოსმალეთის იმპერიამ და ეს მხარე მოწყვიტა დედასაქართველოს. ამას კი მოყვა ძალით თუ ნებით მესხთა გეოგრაფიული დასახლება. მესხეთის მიერ 1893 წელს ჩატარებულ აღწერაში ცალ-ცალკეა წარმოდგენილი სომეხი კათოლიკენი და გრიგორიანები, მაჰმადიანები, სუნიტები და ა. შ. ქართველად მარტო მართმადიდებლები არიან აღრიცხულნი. სარწმუნოების და ეროვნების დაპირისპირებამ გამოიწვია ქართველებში წინააღმდეგობა. პროზელიტი – ე. ი. მაჰმადიანი ქართველი დაუპირისპირდა, სამწუხაროდ მართმადიდებელ ქართველს. თუმცა მაჰმადიანი მესხი ადვილად არ ელევა დაკარგულ რწმენას, არ ითქვიფება

დანარჩენ ერთმორწმუნე, მაგრამ სხვის თესლში, არ მისცემს ქალს და თვითონაც არ მოიყვანს. ერთად ყოფნა და ერთად ცხოვრება ისევ თანამოდმესთან ურჩევნია. ამის სანიშნუშო მაგალითად მერაბ ბერიძეს მოაქვს სოფელ უდეს ტაძრის წარწერა – „1903 წელს აშენებული ეს ტაძარი მაშინდელი მესხეთის, მაჰმადიანი და კათოლიკე მესხების, შინაგანი ძახილისა, სულის ზეობის ნაღდი ძეგლია. ძეგლის ძეგლი ტაძრის ორი წარწერაა – სამხრეთის და ჩრდილოეთის კედლებზე. აი, ისიც, სამხრეთის წარწერა: „უდეს არის კათოლიკენი 2120 სული მაშენებელი ამა საყდრისა. მაჰმადიანები – 520, ტომით ქართველნი“. ჩრდილოეთის წარწერა: „1901 წ. აღშენდა 1909 წ. სამცხე-საათაბაგოს მესხ-ქართველებმა, 272 მოსახ. კათოლიკემა“.

ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია.

კრებულის ერთ-ერთი განსაკუთრებით საინტერესო თავია – „კავკასიელი თურქები“. ეს არის პასუხი ჩინგიზ აიტმატოვის მიერ გაზ. „იზვესტიაში“ (1988, 4, V) გამოქვეყნებულ სტატიასზე – „Подрываются ли основы“ ყირგიზი მწერალი წერს სტალინის მიერ გადასახლებულ ხალხების შესახებ და ჩამოთვლის – ჩეჩნები, ინგუშები, კალიმიკები, ქურთები და მათ შორის დასახლებულია კავკასიელი თურქები. კაცმა რომ თქვას, გადასახლებით ქართველებს ვერაფერს გააკვირვებს. ისტორიის მანძილზე არაერთგზის გადაუსახლებიათ ქართველები მშობლიურ მიწიდან და მათ ადგილზე სხვა ტომის ხალხი ჩაუსახლებიათ. ამიტომ, აიტმატოვი ვიდრე „კავკასიელი თურქებს“ გამოესარჩლებოდა, სჯობდა გაერკვია ის, რომ თურქები თურქეთის მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენს და ისინი არიან რელიგიური ისლამის, სუნიტების მიმდევრები. მათ არავითარი ეთნიკური კავშირი არ აქვს მაჰმადიან მესხებთან, აიტმატოვი კავკასიელი თურქს რომ უწოდებს. ამ ელემენტარული სიმართლის მტკიცება უხდება მერაბ ბერიძეს აღნიშნულ თავში. მას მოაქვს უამრავი დოკუმენტური მასალა მუსლიმი მესხების ქართველობის შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1893 წელს რუსულად გა-



თარგმანის პროცესი იწყება სათარგმნი მასალის „სხვანაირი“, სიღრმისეული წაკითხვით, მისი სწორი ინტერპრეტაციით, ნაგულისხმევისა და უთქმელის გაგებით, ავტორისა თუ პერსონაჟის ტყავში შეძრომით, მერე კი... მერე რა ხდება, ძნელი გადმოსაცემია. თარგმანმა გლობალიზაციისა და მსოფლიოს უკიდურესი დავიწროების ფონზე განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა. იმაზე წერას, თუ რა დიდი მნიშვნელობის მქონეა ზოგადად თარგმანი და კერძოდ მხატვრული თარგმანი კულტურათაშორისი დიალოგისთვის, აქ აღარ მოგვყვები. უბრალოდ აღვნიშნავ, რომ მთარგმნელობა უმნიშვნელოვანესი საქმიანობა იყო, არის და იქნება, ხოლო კარგი მთარგმნელი — განათლებული, არა მარტო უცხო ენაში განსწავლული, არამედ სხვა ერის კულტურაში გათვითცნობიერებული, მაღალი პიროვნული თვისებებით დაჯილდოვებული, ხშირ შემთხვევაში უჩინარი ადამიანი. ნუთუ მთარგმნელი მართლა მოღალატეა? ის, უბრალოდ, ზოგჯერ იძულებულია, დაშორდეს ორიგინალს, რათა უფრო მძაფრად შეგვარძნობინოს ნაწარმოები. კარგ მთარგმნელს თავისი საქმის იშვიათი სიყვარული, განსაკუთრებული ერთგულება, კეთილსინდისიერება და ზნეობა მოეთხოვება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვმოდღვრავდა ბატონი ვახუშტი კოტეტიშვილი, რომელსაც, როგორც შესანიშნავ მთარგმნელს, ჩვენთვის არა თეორიული, არამედ სწორედ პრაქტიკული ცოდნის გაზიარება დაესახა მიზნად. ბატონი ვახუშტისთვის თარგმნის პროცესი „სასიამოვნო ტანჯვა“ იყო. ჩვენ კი გვასწავლა, რომ თარგმანს დიდად სარფიან საქმიანობად არ ითვლება, თუმცა შრომას მით უფრო მეტი ფასი აქვს, როცა საფასურს ვერ იღებ; კიდევ გვასწავლა, რომ „თარგმანს დიდი ხათაბალაა“ და რომ „ცუდი თარგმანი დანაშაულია“...

ენიო დოლიძე



მერაბ ბერიძე

მოცემული ამიერკავკასიის მოსახლეობის აღწერის სტატისტიკური დავთარი. აქ ცალ-ცალკე გრაფაშია აღწერილი ქალები და მამაკაცები, აღნიშნულია ეროვნება და სარწმუნოება. ნათლად ჩანს, რომ XIX ს-ის 80-90-იან წლებში ჯერ კიდევ არ არის სარწმუნოება გადამწყვეტი ფაქტორი და მუსლიმ ქართველთა უდიდესი ნაწილი ქართველად იწერება. მერაბ ბერიძეს შემდეგ მოაქვს ადიგენის, ახალციხის, ასპინძის რაიონებში მცხოვრებთ არასრული სია, რომლებიც 1944 წელს გაასახლეს, როგორც – „თათრები“. აღნიშნულ 1893 წლის აღწერის დავთარში კი ისინი აღრიცხულნი არიან ქართველებად. ეს წყარო კიდევ იმით არის საყურადღებო, რომ მასში თურქის ხსენებაც არ არის. რა თქმა უნდა რუსის მოხელეებმა მშვენივრად იცოდნენ და ერთმანეთში არ ურევდნენ თურქებს და თათრებს – „ეს იმას ნიშნავს, რომ მესხეთში თურქები არ ცხოვრობდნენ. ყოველგვარი ადმინისტრაციული მმართველობა ადგილობრივ გამაჰმადიანებულ ქართველებზე იყო დამყარებული, აი, ეს მაჰმადიანი ქართველები და მათთან ერთად რამდენიმე ქურთი და თარაქამა თურქობენ დღეს“ – აღნიშნავს ავტორი.

შეუძლებელია, მშვიდად წაიკითხო გვერდები, რომლებიც დროის უსამართლობით გულნატკეპნი მერაბ ბერიძე წერს – მართალია, დღეს სტალინის შეცდომები სწორდება და მისასალმებელია, გასახლებულები რომ ბრუნდებიან, მაგრამ ვინ ფიქრობს გაასწოროს მეფის რუსეთის „შეცდომა“, როცა 1830-იან წლებში გენერალმა პასკევიჩმა სამხრეთ საქართველოში მკვიდრი ქართველები – მესხები აყარა, იძულებული გახდა შიდა თურქეთში გადასახლებულიყვნენ და მათ ადგილზე შემოასახლა ერზრუმელი სომხები – 40 ათასი ოჯახი. ამ ძალადობამ გამოიწვია მესხეთ-ჯავახეთის მიზანმიმართული ეთნიკური სიჭრელე. უფრო ზუსტად ეთნიკური ბალანსი სომხების სასარგებლოდ გადაიხარა. მანამდე ამ მხარეში 90 პროცენტი ქართველები ცხოვრობდნენ. ან კიდევ, რატომ არავინ აიტყვა თავი სპარსეთისა და ოსმალეთის „შეცდომების“ გასწორებაზე. როცა ქვემო ქართლის დაღუპული თუ

გასახლებული ქართველების ადგილას უცხო ტომი ჩამოასახლეს? ისინი ახლა ყალბ ისტორიას თხზავენ და ლამის ნარმართობის დროიდან მოსულად გამოაცხადონ თავი, თუ აბორიგენად არა. არაერთი ასეთი ტრაგიკული კითხვა დღემდე პასუხგაუცემელია და ამ დროს ჩინგიზ აიტმატომი და არამარტო ის, არარსებული კავკასიელ თურქებზე განგაშს ტყის.

რასაკვირველია, ქართულ მიწას და პურს არავის ვამადლით, მაგრამ სიკეთეს დანახვა უნდა და მასპინძლის ამაგს დაფასება სჭირდება.

მერაბ ბერიძეს მოტანილი აქვს, სათანადო საბუთების დამონებით, მაჰმადიანი მესხთა ქართული გვარები. სასურველია, სასურველი კი არა, აუცილებელია ამ მხრივ განაგრძოს კვლევა-ძიება და რაც შეიძლება მეტ მუსლიმ მესხს დაუბრუნოს დავიწყებული ქართული გვარი, რაშიც ხელისუფლების მხარდაჭერა და ხელისშეწყობა უსათუოდ სჭირდება.

ჩინგიზ აიტმატოვზე არანაკლებ ფანტაზიური აღმოჩნდა თურქი მეცნიერი, ვინმე იუნუს ზეირეკი, რომელიც მის წარმოსახვაში არსებულ „ახალციხელ თურქებს“ გულშემატკივრობს. უვიცობას რომ ამჟღავნებს მესხეთის და მესხების ისტორიის საკითხებში, ეს ერთია, მაგრამ არის მეორეც – იგი ცილს წამებს ქართველ მეცნიერებს და დასცინის კიდევ – „ყველაზე საშინელი ტყუილია ის, რომ თითქოს მათში (იგულისხმება მუსლიმი მესხები – ბ. ა.) დაცულია ქართული ენა. ბერიძეებმა (ე. ი. ქართველმა მეცნიერებმა – ბ. ა.) უნდა იცოდნენ, რომ ამგვარი ტყუილებით მხოლოდ თავისიანებს, ქრისტიანული ფანატიზმით (ბედის ირონიაა, რომ მაჰმადიანი ზეირეკი ქრისტიანებს ფანატიზმს სწამებს – ბ. ა.) გონებადაბინდულ ზოგიერთ დასავლელ ავტორს თუ მოატუებენ, საჭიროა საღი აზროვნება – ჭკუას გვარიგებს ზეირეკი და განაგრძობს – თუმცა თვითონაც კარგად იციან, რომ ახალციხეში არასდროს საუბრობდნენ ქართულად, არც იყო ამის საჭიროება... ეს პროპაგანდისტები, რომელთაც მეცნიერების არაფერი გაეგებათ და რომლებიც გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული მათი

სურათების მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, მედოლეებს და მეზურნეებს სგან შედგებიან, თავიანთი მტკიცებით – „ეს სახელები ქართულია, ეს ძველი ქართულია და საკითხში გაურკვეველ ხალხს გონებას ურევინ“ (ამონარინი მომაქეს მერაბ ბერიძის შრომებიდან).

არააკადემიურ ტონს რომ თავი დავანებოთ, თურქ მეცნიერს წარმოდგენა არ აქვს ან არ უნდა იცოდეს ამ უძველესი ქართული მხარის ისტორია. ამიტომ, მერაბ ბერიძე იძულებულია მესხეთის ისტორიის გაკვეთილების ელემენტარული კურსი ჩაუტაროს და ცდილობს გააგებინოს სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ ცნობილი თვალსაზრისი შესახებ იმისა, რომ ბიბლიური მოსის-ბეშბი (მოშბი ნოეს სამ ვაჟთაგან ერთ-ერთის, იაფეტის შთამომავალი იყო) იდენტურია ქართული მოსხურ-მესხებისა (პროფ. ნანა ხაზარაძე – „ბიბლია და მესხეთის ძველი ისტორია, მესხეთი, 2000). ამას არ სჯერდება ქართველი მკვლევარი და ზეირექს მიუთითებს უცხოურ წყაროებზე – ჰეროდოტე ძვ. წ. აღ. I და ახ. წ. აღ. II ს. და სხვ.

მაგრამ რა, ზეირექი ყოველგვარ წყაროს იგნორირებას ახდენს და ხელალებით, ჰაიპარად წერს – ახალციხე „დედქორქორთში“ ნახსენები – აკ-რიკა, აკ-ყალვეაო. ამას კი ამბობს, მაგრამ არ იძლევა მის ლოკალიზაციას, ახალციხე სამ დასახლებულ პუნქტს ჰქვია საქართველოში. ისე კი, რომ იცოდეს ზეირექმა, ახალციხე შედარებით ახალი სახელია – XI-XII ს.ს. ჩნდება, მანამდე მას ლომსია ერქვა. ახალციხე რომ პირველადია და მისგან არის მიღებული თურქული ფორმები – ახსხკა//ახისკაახისრა – ეს დიდებულად აქვს გარკვეული აკად. ს. ჯიქიას (გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, 1941) და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ისე კი ვიტყვით – ახალციხე მართალია ახალი სახელია, მაგრამ ახალი საქართველოსთვისაა, თორემ იმ დროს (XI-XII ს.ს.) სტამბოლსაც და ბაქოსაც სხვა სახელები ერქვათ, ქვეყანაც სხვა იყო ამ ტერიტორიაზე, სადაც დღეს თურქეთი და აზერბაიჯანია.

როგორც აღვნიშნეთ, ზეირექმა ქართველ მეცნიერებს შეურაცხყოფა

მიაყენა, თვით ბერიძეების ცნობილი გვარი უდიერად მოიხსენია, მაგრამ მერაბ ბერიძემ დიდსულოვნად მიუტევა. მე კი დიდი შოთა რუსთაველი გამახსენდა, ზეირექის მსგავსებზე რომ თქვა – „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების“.

ცნობილია, ყალბი მეცნიერული აზრი სარეველასავით სწრაფად იზრდება და ვრცელდება. ამიტომ, საჭიროა დროზე გაცეცხვას პასუხი, რათა ფესვი არ გაიდგას და არ გადავიდეს. ამ მხრივ მერაბ ბერიძეს არც თუ იშვიათად უწევს პასუხის გაცემა, თანაც იძულებულია დღესავით ნათელი სიმართლე განუმატროს ოპონენტს. ავიღოთ თუნდაც ვინმე არიფ იუნუსოვი და მისი შრომა – „Ахалцихские (Месхетинские) турки» (ж. «Центральная Азия и Кавказ», № 1, 1999 г.). უდავოა, ტოპონიმს შეიძლება ერქვას ძირითადი სახელი, რომელიც იმ ხალხმა შეარქვა, ვინც იქ ცხოვრობდა და ცხოვრობს. აგრეთვე ის სახელი, რომელსაც მეზობელი უწოდებს, საკუთარი ფონეტიკური ბაზისის გათვალისწინებით. არიფ იუნუსოვს ქართული ტოპონიმის პირველადი სახელი – თბილისი – ტიფლისიდან მიღებული ჰგონია, რადგან თურქები მათი საარტიკულაციო საშუალებების გამო თბილისს – ტიფლისს ეძახიან, ეს კი ბუნებრივია, მაგრამ იმის მტკიცება, რომ ტიფლისიდან თბილისია მიღებული, როგორც არიფ იუნუსოვი ფიქრობს, უვიცობაა. ხელოვნურია აგრეთვე არიფ იუნუსოვის, ჩინგიზ აიტმატოვისა და სხვათა მიერ ნახმარი ტერმინი – ახალციხელი თურქები, მესხეთელი თურქები, მესხი თურქები, კავკასიელი თურქები და ა. შ. ეს მოგონილია მხოლოდ ერთი მიზნით, დამალონ, დაფარონ იქ ხალხთა ეთნოგენეზისი, რომელთა ეთნოტერმინიც ისევე ქართულია, როგორც ისტორიული ტოპონიმური, ეთნოლოგიური გარემო, ოღონდ შემოტრიალებულია მათ საწინააღმდეგოდ.

არიფ იუნუსოვი არ სჯერდება ტოპონიმ ახალციხის გათურქებას და უფრო შორს მიდის – ქართლის ტოპონიმია ლამის მთლიანად თურქულად გამოაცხადოს. სინიშუმოდ დავასახელებ რამდენიმეს, რომლის ქართულობაში



როგორ თარგმნის საჯარო მოხელე

ვთარგმნი ცოტას და იშვიათად. ტექნიკაზე და მეთოდებზე ვერაფერს მოვყვები – არც ლიტერატორი ვარ პროფესიით, არც თარგმანმცოდნე. რომელიმე ენის სპეციალისტიც კი არა ვარ. თარგმნა ჩემთვის ისეთივე ემოციაა, როგორც წერა. უბრალოდ, თარგმნისას სხვის ემოციას ვირგებ. არასოდეს მითარგმნია იმის გამო, რომ რომელიმე პოეტი ნობელიანტია, ან ბევრი მკითხველი ჰყავს, ან გამომცემლებს აინტერესებთ. ვთარგმნი მხოლოდ იმ პოეტების ლექსებს, ვინც მე მიყვარს, ვისი ცხოვრებაც მაინტერესებს. დაახ, მათი ცხოვრება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც მათ შემოქმედებამდე მისასვლელი გზა. სანამ რომელიმე ავტორის თარგმნას დავიწყებ, ვკითხულობ ძალიან ბევრს მის შესახებ. თუ შესაძლებელია, ვისმენ მათი ხმების ჩანაწერებს, როგორ კითხულობენ თავიანთ ლექსებს, სად აკეთებენ აზრობრივ მახვილს კითხვისას. უმიზეზოდ არაფერი იწერება, ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნის მიზეზის ან ისტორიის, ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე ავტორის სულიერი მდგომარეობის ცოდნა ყველაზე მეტად მეხმარება იმაში, რომ თარგმნისას სწორი ემოცია დავიჭირო. ამიტომაც ჩემს ბიბლიოთეკაში ბევრი ბიოგრაფიული წიგნია, ჩემს ლუბტოპში კი – ბევრი აუდიო ჩანაწერი.

თარგმანს თითქმის არასოდეს ვამუშავებ, არასოდეს ვუბრუნდები. თუ ლექსის თარგმნა რაიმე მიზეზის გამო შევწყვიტე, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ლექსის ჩემი უფრო თარგმანი ვერასოდეს იარსებებს. იყო შემთხვევა, როცა ლექსი თხუთმეტ წუთში ვთარგმნე. კიდევ უფრო მეტი შემთხვევა იყო, როცა ერთ სტრიქონს ვერაფერი მოვუხერხე რამდენიმე საათის განმავლობაში. როცა ბოლო სტრიქონთან წერტილს ვსვამ, აქ მთავრდება

დასასრული მე-60 კვერდზე



ჩემი ურთიერთობა კონკრეტულ ლექსთან. მიუხედავად იმისა, რომ სხვისი ლექსის თარგმნა გაცილებით დიდი პასუხისმგებლობაა, ვიდრე საკუთარის დაწერა, მე თარგმნილ ლექსებს საკუთარივით ვექცევი – ნერტილს ვსვამ და ვივიწყებ.

ყოველთვის ვთარგმნი გვიან ღამით. თუ ვინმე ამაში რაიმე პოეტურის მოძებნას შეეცდება, იმედი უნდა გავუცხოო. უბრალოდ, ეს ერთადერთი დროა, როცა ჩემი მობილური დუმს, როცა ჩემს ხელშეკრულებებს, მოხსენებით ბარათებს, პრესრელიზებს, კონვენციებს და კვლევებს სძინავთ და სულ ცოტა დრო მაქვს ჩემი საყვარელი ლიტერატურისთვის.

ძირითადად, ქალ ავტორებს ვთარგმნი. მათი უფრო მესმის და ალბათ, ამიტომ. ბოლო ერთი თვეა, ჩემს მაგიდაზე მუდმივად დევს ორი წიგნი – ვირჯინია ვულფის ბიოგრაფია და მისივე ნაწარმოებების კრებული. ვულფი იქნება ჩემი პირველი მცდელობა პროზაში. სულ ცოტა ხნის წინ ბრიუსელში, წიგნის უზარმაზარ მალაზიაში, სრულიად შემთხვევით ნავაწყდი ფინჯანს წარწერით: „Virginia Woolf – The Room of One's Own“. ახლა ეს ფინჯანი ჩემი საკუთრებაა. მე მჯერა ნიშნების.

სალომე ბაინიძე

ეჭვის შეტანა მკრეხელობაა, მაგრამ ეს არ აკრთობს იუნუსოვს, რომელაც წარმოდგენაც არ აქვს ქართულ ენაზე. მას მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებს – „ქართლის ცხოვრებაში“ შორეულ ხანში მოხსენიებული ბუნ-თურქების მემკვიდრეებად აქციოს XVIII ს-ში ძალათ გამუსულმანებული მესხები. ამიტომ, შეგნებულად თუ შეუგნებლად ქართულ საისტორიო წყაროებს კითხულობს ისე, როგორც მას აწყობს. ქართული ტოპონიმები – სარკინე, აწყური და სხვა თურქულ ტოპონიმებად გამოაცხადა. შევჩერდები აწყურზე. ამ ტოპონიმს სომეხი მეცნიერები თავისკენ ეწვეიან, თურქები თავისკენ, მისი ნალდი ქართულობა ყველას ავიწყდება ან ივიწყებენ.

ვინმე ვაჰე სარქისიანი ნემსის ყუნწი ძვრება და თავგადაკლული ცდილობს დაამტკიცოს ტოპონიმ აწყურის სომხურობა (ვ. სარქისიანი – „ჯავახქ“, 1988-2000 წწ.“ (2009, გვ. 302). მოაქვს ა. სანოსიანის მიერ ამ ტოპონიმის ერთობ საეჭვო ეტიმოლოგია. მან კი ეს სახელი ასე დამარცვლა – ან-კურ. ან – აის ჰრ. აჭარიანის სომხური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით – ამ ზმნის მეხუთე მნიშვნელობა არის – შენება. ამრიგად, ა. სანოსიანი და მასზე დაყრდნობით ვ. სარქისიანი დაასკვნის, რომ ან-კურ ფაქტიურად ნიშნავს – „აშენებულობა მტკვრის ახლოს“ (იგულისხმება ციხე-სიმაგრე და ამაყად უმატებს – „ეს არის უეჭველი სომხური ტოპონიმი“. ამ დილექტანტურ ეტიმოლოგიას არაფერი აქვს საერთო მეცნიერულ კვლევასთან და, აქედან გამომდინარე, მეცნიერულ ჭეშმარიტებასთან. (დანვრილებით იხ. ჩვენი სტატია – „ეგრე არ არის თაყაო, შენ რომ ყანები დაყაო“, უ. „ჩვენი მწერლობა“, 2010, ივლის-აგვისტო).

ა. იუნუსოვს კი მიაჩნია, რომ აზგურ არის თურქული ტოპონიმი, რომელიც ვითომ მუსლიმ წინაპართა ტომს – გურებს უწოდებიათ მისთვის. ეს „მტკიცება“ მერაბ ბერიძემ წყაროების მოშველიებით დამაჯერებლად უარყო და მართებული დასკვნა შემოგვთავაზა – „აწყური ბევრად უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე აზ-გურები შემოვიდოდნენ მესხეთში. პირველი საუკუნიდან და მანამდე, ვიდრე ანდრია პირველნოდებ-

ული მოვიდოდა აწყურს, აქ ქართველები ცხოვრობდნენ“.

სამწუხაროდ, მერაბ ბერიძეს ოპონენტებისთვის იმის მტკიცებაც კი უხდება, რომ მესხი ისეთივე სახელია, როგორც იმერელი, ქართლელი, კახელი, რაჭველი, მეგრელი, ხევსური, აჭარელი და ა. შ.

მერაბ ბერიძე საარქივო და სავლელ მუშაობის დროს შეკრებილი მასალების ანალიზის საფუძველზე, თვალნათლივ აჩვენებს, როგორ ხდებოდა მესხთა „გათათრება“. აქ არ შეიძლება შევჩერდეთ რუსეთის როლზე მესხთა გამუსულმანების საქმეში. საქმე ის არის, რომ 1828 წელს, მართალია რუსეთმა შეიერთა მესხეთი და ფორმალურად ქრისტიანობის დამცველად გამოდიოდა, მაგრამ ოსმალეთი ასე იოლად არ თმობდა თავის გავლენას, რაც ენობრივ-სარწმუნოებრივ აქტიურობაში გამოიხატებოდა. გამუსულმანება კიდევ უფრო გაძლიერდა XIX საუკუნეში. ერთმანეთში აღრეული ეროვნება და სარწმუნოება კიდევ უფრო გაბუნდოვანებისკენ წავიდა, რადგან რუსეთმა არ გაატარა რადიკალური რელიგიური პოლიტიკა, არ დაუბრუნა ქრისტიანებს ჯერ კიდევ გაუმაჰმადიანებელი მოსახლეობა – „ეს კი რუსეთის ეროვნული ინტერესებში არ შედიოდა, რადგან ასეთ შემთხვევაში მთელი მესხეთი (ტაო-კლარჯეთი) ქრისტიანობის დაბრუნებისთანავე ქართველობას უბრუნდებოდა. მათი რელიგიური ცნობიერება ეროვნულ ცნობიერებას გაუტოლდებოდა. საქართველოს დამლა გრძელდებოდა. იყო მეორე მიზეზიც – რუსეთის იმპერიაში ბევრი მუსულმანი ცხოვრობდა. ასეთი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში მაჰმადიანთა უკმაყოფილება არ აძლევდა ხელს რუსეთის ცარიზმს“ – სწორად შენიშნავს მერაბ ბერიძე.

დასასრულ, მერაბ ბერიძის შრომათა კრებული – „მაჰმადიანი მესხების ფესვები და დღევანდელი“ სულისშემძვრელი, ტკივილით დაწერილი წიგნია და ყველამ უნდა წაიკითხოს, რათა კიდევ უფრო შეიგრძნოს თავისი სისხლისა და ხორცის, თვისტომის – მაჰმადიან მესხთა თავსმოხვეული ტრაგედია.

ბარბარე ბიძინაშვილი
„ბამბაზიის სამოთხე“ –
„ოცნება, რომელიც არასოდეს არ უნდა
დაემსაგავსოს სინამდვილეს“

„ბამბაზიის სამოთხე“ ახალგაზდა მწერლის პირველი კრებულია. მასში თოთხმეტი მოთხრობაა შესული. კრებული სახელწოდებაც ერთ-ერთი მოთხრობის სათაურის მიხედვითაა შერჩეული. ფიქრობს, რომ ამ სათაურში კარგად ლაგდება ყველა მისი მოთხრობა და გარკვეულწილად, თითოეულ მათგანს მოიცავს.

თითოეული მკითხველი, გადამლის რა ამ კრებულს და რამდენიმე გვერდს წაიკითხავს, თავადაც აღმოჩნდება ბამბაზიის პატარა სამოთხეში, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ სამოთხეა, მაინც იპოვით ტკივილს, იმედგაცრუებას, მუხლმოუხრელ შრომას, გაჭირვებას და ა. შ. იმიტომ რომ ეს სამოთხე მაინც ამქვეყნიურია და დედამიწა კი არ არსებობს ყოველივე ზემოთჩამოთვლილის გარეშე. მთავარია, ყოველგვარი ცუდისა და უარყოფითის მიღმა, ადამიანებმა თავად აღმოაჩინონ საკუთარი სამოთხე.

„ბამბაზია უბრალო ნაჭერია, ერთგვარად მშობლიური კერის და სიმყუდროვის განწყობას ქმნის“ – ამბობს ავტორი და მართლაც, ამ წიგნში თითოეული მკითხველი მშობლიურ გარემოში იგრძნობს თავს.

წინოს გმირებს „ახალგაამოტანილი ცვრიანკაკლისფერი თვალები“ აქვთ, რომელსაც „ქვეყნიერების გულ-მკერდზე დააგოგმანებენ“, მათი კრამიტით გადახურული სახლები „ჭიამაიას ზურგს“ მოგაგონებთ, ღრუბლებიც „სქელი ზამბახებივით ეკვრიან ზეცას, როგორც მიტოვებულ სასაფლაოს“, სიჩუმეც კი განსხვავებული იცის ამ სამყაროში, „ახალგაველილი ტკივილის შეგრძნებასავით მომთენთავი...“ აქ მზესაც განსაკუთრებულად ეტრფიან, რომლის „ბრიალა სხივები კანქვეშ გაჩენილ სიცარიელეს ავსებს“ და „სევდისმომგვრელად ლამაზია ცრემლზე შეყენებული მისი ბრწყინვალეობა“.

„ბამბაზიის სამოთხეში“ შეხვედებით ახალგაზრდებს, რომელთა „უნაპირო ბავშვობასაც“ უკვე „პანანინა ნაპირები“ გაუჩენია, პატარა, სულებელ, მეოცნებე გოგოს, „რომელიც თავის თავს ათას წიგნში და ფილმში აღმოაჩენდა, ბედ-

ნიერებისგან შეიშმუშნებოდა და გული რალაცას უკარნახებდა“.

აქ შეგიძლიათ თვალი შეავლოთ მოხუცებულების ცხოვრებასაც. მოხუცებს, რომლებიც ერთმანეთის გასვენებებში დადიან და ჯერ კიდევ ცოცხლად დარჩენილებს უხარიათ, რომ „ესენი დარჩნენ ჯერჯერობით, ამათ კარს არ მოადგასიკვდილი“, მოხუცებს, რომლებიც ათინათს ეძებენ ერთმანეთში, „აი, თვალებს რომ დახუჭავ და მაინც რომ ხედავ“, იმას.

ზოგი პერსონაჟი სიზმარში ცხოვრობს, ზოგი ხეებზე, ხეებზე, რომელთაც „ყველაფერი ესმით და იციან, მაგრამ არ ამხელენ, რადგან მერე ისინიც ისევე არ აითვალისწინოს ღმერთმა, როგორც ადამიანები“.


სინამდვილეში კი ეს გმირები ერთ სახლში ცხოვრობენ, რომელსაც საგიჟეთი ჰქვია, თუმცა ერთხელ ბავშვებმა ჩამოსხნეს შესასვლელთან მიმაგრებული აბრა ამ სათაურით და პირიქით, ეზოდან გასასვლელში დაკიდეს, „ასე რომ ყველა, ვინც აქედან გავა, თვითონ აღმოჩნდება საგიჟეთში“.

წინოს პოეტური სამყარო არის რეალურიც და არარეალურიც, ეს არის შეხვედრა ნორმალურ და არანორმალურ ადამიანებთან (თუმცა, ძალზე ძნელია მათი გარჩევა), ეს არის გასეირნება დედამიწაზე, ადამიანების სულებში, სიზმარეთში, საგიჟეთში და, ბოლოს და ბოლოს, „ბამბაზიის სამოთხეში“.

ამ წიგნის ყველა გმირს ერთი რამ აერთიანებს, არ აქვს მნიშვნელობა საკუთარ სახლში არიან, სოფელში, საზღვარგარეთ, თუ საგიჟეთში, ყველა მათგანს აქვს თავისი დაფარული თუ დაუფარავი, აუხდენელი ოცნება. მაგრამ როგორც ავტორი შენიშნავს, „ოცნებებს იმიტომ ჰქვიათ ოცნებები, რომ არასოდეს დაემსგავსონ სინამდვილეს“.

ავტორი წიგნის მეორე გვერდზე მიძღვნას აკეთებს: „ვუძღვნი მეგობრებს – რომლებიც იყვნენ, რომლებიც იქნებიან. ანწყო – მარადისობა“.

როგორც თავად ამბობს, თითოეული მოთხრობაში მისი მეგობრების ანარეკლი ჩანს, ამიტომაც შეუძლებელიც კი იყო, რომ მათთვის არ მიეძღვნა ეს კრებული.



არ ახსოვს როდის და როგორ დაიწყო წერა, ყველაფერი რალაცნარად ბუნებრივად მოხდა. დაზუსტებით იმის თქმა შეუძლია, რომ თავიდან მხოლოდ ლექსებს წერდა, შემდეგ პროზაზეც გადავიდა.

წინო სადლობელაშვილმა სამჯერ მიიღო Pen-მარათონში მონაწილეობა და ორჯერ ათეულში მოხვდა, იყო „საბას“ ნომინანტი მოთხრობების კრებულით „ბამბაზიის სამოთხე“, რომელიც გამომცემლობა „ინტელექტმა“ გამოსცა. აღნიშნული წიგნის შემდეგ გამომცემლობა „ინტელექტში“ წინოს ლექსების კრებულებიც გამოიცა, „შუალამის იავანა“, შემდეგ კი გამომცემლობა „პეგასმა“ მკითხველს მისი რომანი „ორსული“ აჩუქა.



ხან ზედმეტად ხმაურიანი ვარ, ხან უჩვეულოდ ჩუმი. ვერიდები უცხო ხალხს, ახალ ნაცნობებს, ჭარბ სიტყვას, სიტუაციას მოყოლილ ადამიანებს.

მეგობრის წიგნის პრეზენტაციაზე გავიცანი. აღარ მახსოვს რა, მაგრამ რალაც ვკითხე და მიპასუხა, რომ ლიტერატურისგან ძალიან შორს იდგა. მერე საერთო გარემო დაგვაკავშირა და გამიკვირდა, რომ ამ სივრცეს მაინცდამაინც ლიტერატურა ერქვა. ერთი შეხედვით ჩუმი, სიტყვაძუნწი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. დღეს გიორგი კეკელიძე მყავს სტუმრად, „ოდები“-ს ავტორი და წარმატებული პოეტი. მის სტუმრობამდე რამდენჯერმე გავიფიქრე, რამდენად ხდება მისი პიროვნული და პოეტური „მეს“-ს თანხვედრა, არის თუ არა ის ერთი მთლიანობა?! ამას, საკუთარ თავშიც ხშირად ვეძებ, როცა გარკვეული დროის გასვლის შემდეგ საკუთარ ლექსს ვუბრუნდები და უცხოობის შეგრძნება მეუფლება.

აი, უკვე მოზომილი კაკუნის ხმა ისმის და დროა ჩემს სტუმარს კარი გაუვლო.

„ჩვენ ფრაგმენტული თაობა ვართ“

კატო ჯავახიშვილს ესაუბრება გიორგი კეკელიძე

მოყვე, როგორ ხარ?

ნელ-ნელა, ტრადიციულად.

ზამთარი, ახალი წელი, თოვლის ბაბუა, დღესასწაულების სიმრავლე. ამ ბოლო დროს მივხვდი, რომ მძულს დღესასწაულები, ქუჩებში ვითომ უდარდელად მოსეირნე ადამიანებთან და ფსევდო-გალანტურ საღამოებთან რომ ასოცირდება. საგულდაგულოდ ნაყიდ „ბამბანერკები“, სადღეგრძელოები სამშობლოზე და მომავალ თაობაზე. სულ უფრო ვიჯერებ, რომ ეს პოზაა.

დღესასწაულები არც მე მიყვარს – არა მხოლოდ ზამთრის. შეიძლება იმიტომაც, რომ ბავშვობაში არასდროს აღმინიშნავს ნორმალურად – მძიმე წლები იყო და ის სიმსუბუქე, რაც ამ ამბებს თან უნდა ახლდეს, კი ჩნდებოდა, მაგრამ ხელოვნური მეჩვენებოდა. განსაკუთრებით ახალ წელს ვგულისხმობ. შესაბამისად, როცა თორმეტი დგება და ზარბაზნები ჭექენ, მე ყურებზე ხელს ვიფარებ.

ჩაი? ყავა? თოვლის ბაბუის მჯეროდა სულ. დიდობამდე. მერე ერთხელაც, ჩემს მეზობელს საგულდაგულოდ მიწებებული წვერ-ულვაში რომ ჩამოუვარდა, მივხვდი, სისულელე იყო. ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ ამ სამყაროში. თუნდაც ჩვენი წარმოდგენები ბოროტებასა და სიკეთეზე.

ჩაი, ჩაი სჯობს. ბავშვობა ჩემში იმდენი დარჩა, რამდენიც დავიტოვე. დანარჩენი ცხოვრება ბავშვობის იმ ნაწილის ნაშლაა (ანდა – მცდელობა), რომელსაც მერე, დიდები ვერ განვახორციელებთ... ისე, ოცნება კი, როგორც მაშინ შემეძლო, ახლა აღარ შემიძლია.

საერთოდ აღარ ვოცნებობ. ვფიქრობ, ვანალიზებ, ვგეგმავ, თუმცა ოცნებით – ვერ. ჩემი ოცნებები იქ დარჩნენ, „კერასინკაზე“ მოთუხთუხებულ სადილებში და ნაცრისფერი სახლების ღრიჭობში. თუმცა რალაცებიც მახსოვს, მკვეთრად, ფერადად.

მეც ვერ ვოცნებობ, არადა ადამიანისთვის საუკეთესო გასართობია, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ. სამი რამ მახსოვს მძაფრად ბავშვობიდან: თუ როგორ დაინვა მეზობლის სახლი,

ირისის კანფეტი და ჭიყვლების სუნი. როცა ქვებს ვაბრუნებდი და ამომყავდა, მიწის და ზეთის სუნი ჰქონდათ. ყველაზე მეტად ეს სუნი მომენატრა. მერე ირისის კანფეტი.

მე ნუგა მიყვარდა. ახლაც ხომ იყიდება, ოღონდ ისეთი აღარ არის, არც ჩვენ ვართ ისეთები. ყოველთვის მეშინოდა და დღემდე მეშინია მწერების. მახსოვს, პირველად ციცი-ნათელა რომ ვნახე, როგორ დამწყდა გული, უბრალო ხოჭო ყოფილა-მეთქი. ხვლიკები მიყვარდა რატომღაც, არადა, ყველას ეშინოდა მათი. ახლა მესმის რატომაც. ახლა ნანგრევებში თავად ვდგავარ და იმიტომ.

მე პირიქით – მიყვარდა მწერები და დღემდე მიყვარს. ციცი-ნათელებს ჩემს მოგონებებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რადგან ორივე სოფელში, ზღვისპირაშიც და მთაშიც, ზაფხულის ღამეების უცვლელი ატრიბუტი იყო. საოცრებაა, რომ ნელ-ნელა ციცი-ნათელეები გაქრნენ, ბუნებამ თვითონ ნაშალა, სანამ მე დავიწყებდი ამას. სოფლები ღამეების ღრუბლიან ცას დაემსგავსნენ, უვარსკვლაოვ ცას.

ჩემს ხალიჩაზე ხან ზედმეტად კონტურებია, ხანაც ისეთი ბაცი, ერთმანეთშიც კი იდლაბნებიან ხოლმე. ამით ვერთობი: ვშლი, ვანყო. გვერდებს ვუსწორებ.

და ხალიჩა ცვდება...
რა თქმა უნდა, ზოგჯერ შემოსასვლელ კართან მიგდებული ტალახიანი ფეხსაცმელების შესანმენდი „ტილო“-ც ხდება.

და ლექსების წერას ხომ სწორედ მაშინ ვიწყებთ, როცა ხალიჩა ტილოდ იქცევა.

ან გვეჩვენება პირიქით...
ასეა, ხშირად კი ტილო გვეჩვენება ხალიჩად და სწორედ ეგ გვლუპავს პოეტებს.

ჩვენ კი ამასობაში ვიკერები სხვადასხვა ფორმის, ზომის, ფერის თარგების მიხედვით. ამიტომაც გადავეჩვიეთ ალბათ ოცნებას, თავად ოცნებამ ნაგვშალა ჩვენ. იმ ჩვევებმაც ნაგვშალეს, საიდანაც მივიდიოდით. დაგვანაწვერეს დროშიც და ერთმანეთშიც.

არა მხოლოდ ერთმანეთში, საკუთარ თავებშიც. მაგრამ მცირე კორექტირებას გარემო ახდენს, როგორც წესი. გარემო კარგია თერძია – გვჭრის და გვკერავს. ამ თაობის ხიბლიც ეგ არის. ჩვენ ფრაგმენტული თაობა ვართ. მე და შენ ერთი მთავართ ვგავართ ერთმანეთს – წერა გვიყვარს. ეს ცოტაა არაა, ცხოვრების წესია, საშინელი წესი, კატორღული, მაგრამ მომხიბვლელი, მიმზიდველი. შებასამისად ორიენი მიმზიდველები ვართ.

მეც და შენც, ორივემ ხომ მშვენივრად ვიცით, რა ფასი აქვს ამ ყველაფერს, რას ვიხდით საზღაურად. რას ვწირავთ. მე საკრალური სიმბოლოების მჯერა და ამიტომ მგონია, რომ ყოველი ტექსტი ჩემი მომდევნო დღის განაჩენია.

მე არა. საშინლად დესაკრალიზირებული ვარ. მომბეზრდა, უკვე იმდენად დესაკრალიზირებული. წერის პროცესში ყველაზე მეტად და პირიქით – საკრალური ლექსები იწერება.

მესმის. თუმცა საკრალურ სიმბოლოებში შინაგანი განწყობის მახასიათებლები არ მიგულისხმია, გარემოში არსებულ და მუდმივად ცვლად სიმბოლოებზე მიგანიშნე, რომლებსაც სშირად ვამჩნევთ და არ ვხედავთ.

მეც მესმის, რასაც გულისხმობ. უბრალოდ, ეტყობა, მე ეგეც ნამეშალა.

ხილვასავით არის. საკუთარ ტექსტში ვპოულობ მერე მას, უკვე მომხდარს. ამიტომ ვენდობი.

მეც თვალდახუჭული ვენდობი ჩემს ტექსტებს, ისინი ჩემზე ბევრად უკეთესები არიან. მე ხილვები არ მაქვს, თუმცა სიამოვნებით მექნებოდა. ეს ძალიან საინტერესოა. პოეზია, ლექსი, ჩემთვის არმომხდარი ხილვაა.

ცხოვრება რა არის, მომხდარი ხილვა?

შეიძლება. სიკვდილის მერე მივხვდებით, ეს „მერე“ თუ დადგა.

არიან მზის ადამიანები, მთვარი-საც. მე ღამე მიყვარს. მარტო ხეტიალი. ფიქრი. ხან მოსმენა და დუმილი. ხანაც პირიქით.

მეც მთვარის ვარ. უფრო ფარდის. მაგრამ იმისთვის, რომ მის უკან თავი მშვიდად იგრძნო, მზეც უნდა ისწავლო.

მთვარის ადამიანები შიშზე განსაკუთრებულად მძაფრად რეაგირებენო, – ამასწინათ ვკითხულობდი. მე ტკივილის მეშინია, კიდევ სიკვდილის, სხვების სიკვდილის. მე რომ მეხებიან, ისეთების.

ყველაზე მეტად ავადმოყოფობის მეშინია, ავადმოყოფობებიდან კი გაცოფების. ერთი-ორჯერ მეგონა კიდევ, რომ ვცოფდებოდი. ძალღმა ერთხელ დამეპინა, ერთხელ გამკანრა. სიკვდილზე უფრო ტკივილის მეშინია. სხვების სიკვდილს შევეჩვიე.

ცოფზე არ მიფიქრია, ეტყობა ძალღმა არ დავუტყუებინვარ. შეეჩვიე?! ძალიან ახლოს რომ მოდის, მხოლოდ მაშინ ხვდები შიშს როგორი სუნი აქვს.

შეიძლება, მაგრამ გავუხეშდი, მაგ სუნს ვეღარ ვგრძნობ. მე მიყვარს შოუ, რომელიც დადგმულია. ცხოვრებაც შოუა, რომელსაც გეგმავ და ხელს გიშლიან.

რომლის მთავარი გმირები ჩვენ ვართ. თუმცა, ინგრევა ადამიანი სპექტაკლსა და სპექტაკლს შორის. ინგრევა და ისევ ემზადება შენებისათვის.

დაინგრეს. ადამიანი დანგრევისთვის გამოიძერწა. უნდა ღირდეს, ეგ არის. ბოლოს ხომ მაინც ეს უკანასკნელი იქნება.

ბუნებრივი მდგომარეობაა ჩემთვის.

კრატერის თავზე დავდივარ მთელი ცხოვრება. ხან გარემო მანგრევეს, ხან მე – საკუთარ თავს. ეგ არის, რომ ამ ნანგრევებში რაღაცები იმარხება. მიდინ ადამიანები, გრძნობები, წლები. ჩვენ ვრჩებით, მომავალ წასვლამდე.

მაგიტომაც ვთქვი, რომ ეს ბუნებრივი მდგომარეობაა, ადამიანი ხშირად სხვასაც ანგრევეს, ოღონდ იმის შიშით, რომ თავად არ მოუვიდეს რაღაც. შემოვლითი გზები მხოლოდ გადაავადებს ამას, სხვა არაფერი, ვერ შეცვლის მაინც. ეწირებიან, ვენირებით.

საუკეთესო თვისებებსაც ამ დროს ვაყოლებთ, ვუხეშდებით.

კი. ერთადერთი თვისება, რაც ცუდად მიიჩნევა და ნამდვილად არ მაქვს – ეს შური. ხან მეგონა რომ მქონდა, მაგრამ დაკვირვებამ დამიდასტურა საწინააღმდეგო. შესაბამისად, იოლად ვეხმარები ყველას – კოლეგებს, მეგობრებს, ან ვისაც სჭირდება.

და მაინც – ზამთარი, ახალი წელი, თოვლის ბაბუა, დღესასწაულების სიმრავლე. გვინდა თუ არა, მაინც მოდის ფსევდო-გალანტური საღამოებით და ქუჩაში ვითომ უდარდელად მოსეირნე ადამიანებით. რა მივწეროთ თოვლის ბაბუას, რომელიც არ არსებობს?!

ურწმუნო ადამიანის ლოცვას ემგავსება, ამიტომ ჯერ სხვას მივწეროთ, რომ თოვლის ბაბუა გააჩინოს.

დაგვიბრუნეთ თოვლის ბაბუა, ჩვენი წაშლილი ბავშვობიდან.



მარადიულ ლექსებს რა ვუყოთ?

მე მგონია, პასუხს კითხვაზე, თუ რატომ გვიჩნდება ლიტერატურული ნაწარმოების, ლექსისა თუ პროზაული ტექსტის ავტორისეული ენიდან თარგმნის სურვილი, შეიცავს ნიკოლაი გუმბოლიოვის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „მე-ექვსე გრძნობა“, რომელიც ჩემმა კარგმა მეგობარმა და არაჩვეულებრივმა მთარგმნელმა, ვასილ გულეურმა გადმოაქართულა.

მეექვსე გრძნობა

მშვენიერია მათრობელა,
კამკამა ღვინო
და პური, ჩვენთვის ლუმელში
რომ ნებივრად ცხვება,
ქალიც, რომ ძალუძს, თუნდაც
ჭირი აქციოს ღვინოდ,
ჯერ რომ გვანავლებს, მერე
ტკბება და ჩვენი ხდება.

მაგრამ რა ვუყოთ ვარდისფერად
ანთებულ აიხს,
სიცივისაგან მიმკრთალ ზეცას
ცეცხლს რომ გაუყოფს,
სადაც სიჩუმე, ზეციური
სიმშვიდე არის,
ან უკვდავ ლექსებს, მარადიულ
ლექსებს რა ვუყოთ?

არ ვჭამოთ, არ ვსვათ, არ ვაკოცოთ,
ვით ადრე, ისე.
ვერ მოიხელთებ გაელვებას,
გამწყალი ბედზე
ხელებს ვიფშენეთ და სულ ამაოდ,
ისევ და ისევ
განწირული ვართ, გაფუაროთ სულ
ახლოს, გვერდზე.

როგორც ბიჭუნა, თამაშს თავი
რომ მიანება
და ინტერესით, მობანავე
გოგონას უმზერს,
თუმც სიყვარულის არაფერი
უნყის ამჯერად,
რალაც ფარული, უცხო გრძნობა
ანება გულზე;

როგორც ოდესღაც, სადაც იყო
გაზრდილი შვიტა,

დასასრული 65-ე გვერდზე

ქართველები შინ და გარეთ

რუსუდან დაუშვილი

პავლე კვარაცხელია – ამერიკაში ქართული სათვისტომოს დამაარსებელი



ეს არის ფრანგენტი რუსუდან დაუშვილის გამოუქვეყნებელი წიგნიდან „ქართული ემიგრაცია ამერიკაში“. წიგნის პირველ ნაწილში გადმოცემულია ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ისტორია XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე, აგრეთვე ქართული ემიგრაციის ისტორია 1921 წლიდან 1980-იან წლებამდე. მეორე ნაწილში შეტანილია ამერიკაში მოღვაწე 30 ქართველი ემიგრანტის ბიოგრაფიული პორტრეტი.



თამარ კვარაცხელია

ამერიკაში ქართული დიასპორის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და მისი პირველი თავმჯდომარე, ითაკის კორნელის უნივერსიტეტის პროფესორი აგროკულტურისა და მცენარეთა დაცვის დარგში **პავლე კვარაცხელია** დაიბადა 1883 წლის 20 ივლისს აფხაზეთში, მდინარე კოდორის ნაპირზე გაშენებულ მეგრულ სოფელში. სოფელში გატარებული წლები ღრმად ჩარჩა მის მეხსიერებაში და ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ ამერიკაში დაფუძნებულმა, სწორედ მისი სახელის მიხედვით, შეარჩია ფსევდონიმი – „ნაური“. ამ ფსევდონიმით იბეჭდებოდა საინტერესო წერილები და კორესპონდენციები ამერიკასა და ამერიკაში მცხოვრებ ქართველებზე პარიზში არსებულ პარტიათა გაერთიანების ჟურნალ „დამოუკიდებელ საქართველოში“.

დიმიტრი კვარაცხელიას და **მატრონა ჯოლოსხვას** 4 შვილიდან პავლე უფროსი იყო. მასწავლებლობა სურდა და ამიტომ მშობლებმა 1900 წელს გორის საოსტატო სემინარიაში მიაბარეს. ყმანვილ პავლეზე უდიდესი გავლენა მოახდინა ცნობილმა მწერალმა და პედაგოგმა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა **ნიკო ლომოურმა**, რომლის მადლიერი იყო მისი შეგირდი მთელი სიცოცხლის მანძილზე. მასწავლებელმა „ზურგზე სულ ბოლი აადინა“ და კარგად შეასწავლა ქართული ენა მეგრულ ყმანვილს. 1904 წელს პავლემ სემინარია დაამთავრა და მისივე სურვილით 6 წელი ოჩამჩირის სკოლაში ქართული ენის პედაგოგად იმუშავა.

1913 წელს პავლე კვარაცხელიამ სწავლა განაგრძო პეტერბურგის ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრება ვერ მოახერხა 1914 წელს დაწყებული პირველი მსოფლიო ომის გამო. თბილისში დაბრუნებულმა კი აგროკულტურის შესწავლას მიჰყო ხელი. საქართველოს

დამოუკიდებლობის დროს განათლების სამინისტროში მუშაობდა, 1918 წელს კი 2000 კანდიდატიდან შერჩეულ 84 ახალგაზრდასთან ერთად ეროვნულმა მთავრობამ საზღვარგარეთ გაგზავნა ცოდნის გასაღრმავებლად. 1920 წლის იანვარში ლონდონიდან ამერიკაში გაემგზავრა და ჩაირიცხა ქალაქ ითაკის კორნელის უნივერსიტეტში. ოკუპაციის შემდეგ პავლე ერთადერთი იყო 84 სტუდენტთაგან, რომელმაც უარი უთხრა ბოლშევიკებს მისთვის სტიპენდიის გაგრძელებაზე. ვინც დათანხმდა ოკუპანტთა სტიპენდიას, ბევრი აღარ დაბრუნდა სამშობლოში და ემიგრაციაში დარჩა. სამშობლოს დაკარგვა მისთვის დიდი დარტყმა იყო, როგორც სულიერი, ისე მატერიალური მხრივ, მაგრამ გაჭირვებამ ვერ შეაშინა. მძიმე ფიზიკური და ინტელექტუალური შრომით წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტი. 1923 წელს მიენიჭა ბაკალავრის ხარისხი აგროკულტურისა და მცენარეთა დაცვის დარგში და დატოვეს ტომპსონის სახელობის მცენარეთა კვლევის ინსტიტუტში, სადაც 30 წელი იმსახურა. იქ მიიღო ჯერ მაგისტრისა და შემდეგ დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, იყო ამ დარგში მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც. მისი აღზრდილია მცენარეთა კვლევის მრავალი სპეციალისტი.

იმ პერიოდში კორნელის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა ქართველი მანდილოსანი, ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის – **ჯაჯუ ჯირჯიკიას** ბიძაშვილი **თამარ ჯორჯიკია**. თამარი მშობლებთან ერთად ხარბინში ცხოვრობდა, მერე ამერიკაში, სან-ფრანცისკოში გადასახლდნენ, შემდეგ კი – ნიუ-იორკში. 1923 წელს შეყვარებული თამარი და პავლე დაქორწინდნენ, 1924 წელს შეეძინათ გოგონა – **ნინო**, 1926 წელს – **ელისაბედი (ბეტი)**,

ამიტომ თამარმა სამედიცინოს დამთავრება ვეღარ შეძლო. ნიუ-იორკთან ახლოს, ქალაქ იანკერსში, სადაც ინსტიტუტი მდებარეობდა, კვარაცხელიებმა სახლი შეიძინეს და მალე ეს სახლი იქცა სალონად და ქართველთა ნავსაყუდელად. ბევრი იანკერსში სწორედ იმიტომ სახლდებოდა, რომ კვარაცხელიების ამ მშვენიერ ქართულ, ტრადიციულ და გულგრილ ოჯახთან ახლოს ყოფილიყო. სწორედ ეს ოჯახი იქცა ქართველებისათვის მხსნელად და გამაერთიანებლად 1929-33 წლების დიდი ეკონომიკური კრიზისის დროს.

30-იანი წლების დასაწყისში ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ქართველთა რიცხვი იმდენად თვალსაჩინო გახდა, რომ სათვისტომოს დაარსების იდეა გაჩნდა. თამარ ჯორჯიკიას ოჯახი ხარბინიდან იყო ამერიკაში გადასახლებული, ასევე ხარბინიდან იყვნენ **ასლან ყრუაშვილი, კოსტა ხუნწარია** და სხვები. მათ კარგად იცოდნენ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სათვისტომოს ახალ მინაზე ლტოლვილების დასამკვიდრებლად. მათთან ერთად სათვისტომოს დაარსების ინიციატორები იყვნენ **ვანო კობახიძე, ვასო ღუმბაძე** და **გიორგი მაჩაბელი**. 1931 წლის 28 ნოემბერს გამგეობის პირველი კრება ჩატარდა ნიუ-იორკში, რესტორან „სარჯველაძის სარდაფში“. ვანო კობახიძემ, რომელიც წესდების შემდეგ კომისიაში შედიოდა, დახატა ქართული ლერძი, რომელიც დიდხანს ამშვენებდა ქართული საზოგადოების ბლანკებსა და საბუთებს. 1 დეკემბერს კი ქართული სათვისტომო დაარსდა. სამი თვის შემდეგ, 1932 წლის 31 იანვარს, ნიუ-იორკის მახლობლად, იანკერსში, კვარაცხელიების სახლში სათვისტომო საზეიმოდ აკურთხეს. მიიწვიეს 54 სტუმარი. ქართული დროებით იყო მორთული არა მარტო კვარაცხელიების ქუჩა, არამედ მთელი გზა ნიუ-იორკიდან იანკერსამდე. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ ვასო ღუმბაძე – საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი ამერიკაში, **აკაკი შანიძის** უფროსი ძმა **მოსე შანიძე**, რომლის ლობჯინობით გუნდმა „დიდება“ და რამდენიმე ქართული სიმღერა შეასრულა, ხოლო პიანისტ

ერეკლე ორბელიანის აკომპანიმენტით – **დავით ალავექემ** სოლო სიმღერა...

ბევრს ადგა თვალზე ბედნიერების ცრემლი, განსაკუთრებით ბედნიერი იყო ზემის მონაწილე 6 ბავშვი. ნადიმი 12 საათს გაგრძელდა – დღის 3 საათიდან ღამის სამამდე. თამადობდა **უჩა დადიანი**, თანაშემწეები კი **პავლე ჭავჭავაძე** და **გიორგი მაჩაბელი** იყვნენ. როგორც პავლე კვარაცხელია შენიშნავდა, მისი მეზობელი ამერიკელები მოიხიბლნენ ქართული ლხინით, ბევრმა ამერიკელმა კი სწორედ დროშების წყალობით გაიგო საქართველოს არსებობა. მეორე დღეს დაინტერესებულ პირთათვის იანკერსის გაზეთში გამოქვეყნდა ცნობა სათვისტომოს დაარსების ზეიმთან დაკავშირებით და ინფორმაცია საქართველოს შესახებ.

1932 წლის აპრილში სათვისტომომ მიიღო ოფიციალური ქარტია და ლეგალურად განაგრძო არსებობა, 24 აპრილს კი პირველი კრება გამართა, რომელზეც აირჩიეს გამგეობა და მისი წევრები. თავმჯდომარედ პავლე კვარაცხელია დაასახელეს. ყველა საქმეში მას მხარში ედგნენ მეგობრები, პირველ რიგში კი მეუღლე თამარ ჯორჯიკია.

როგორც მისი ბიოგრაფი **გივი კობახიძე** წერდა: „ბატონ პავლეს უშრეტ ენერჯიას, მგზნებარე პატრიოტიზმს და ორგანიზატორულ ნიჭს უნდა ვუმაღლოდეთ ქართული სათვისტომოს დაარსებას, ათეულ წელთა მანძილზე მისთვის ზრუნვას და იმასაც, რომ სათვისტომო ახლაც განაგრძობს არსებობას, – იმდენად ფუძემდებელი იყო ქვაკუთხედი, დადებული მესაძირკვლე პავლე კვარაცხელიას მიერ“.

პავლე კვარაცხელია აქტიურ ქართულ საქმიანობას ეწეოდა, წერდა სტატიებსა და კორესპონდენციებს ემიგრანტულ პრესაში, მონაწილეობდა ქართული სათვისტომოს საქმიანობაში და ყველა ქართულ ღონისძიებაში. მეუღლესთან ერთად მას მხარი აუბეს ჯერ კიდევ ნორჩმა ქალიშვილებმა და ყველა შეკრების სული და გული გახდნენ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ამერიკაში გააქტიურდა ანტისაბჭოთა ტენდენციები, პავლე კვარაცხელია აქტიურად ჩაება პოლი-



რალაც სლიპინა ქმნილებას რომ ლორწო მოსცლოდა, უძღურებისგან ღრიალებდა, ვერ იყო მშვიდად, და გრძობდა მხრებზე ფრთებს, ჯერაც რომ არ ამოსვლოდა;

ასე გრძელდება ოდიტგანვე – უფალო, მალე? – ბუნებისა და ხელოვნების სკალპული ადევს, სული ყვირის და უძღურებით სხეული წვალობს, რადგან მეექვსე გრძობისათვის ორგანოს ბადებს.

როდესაც ლიტერატურული ქმნილება გვიტაცებს, გვწუსხავს ისე, რომ დროის გარკვეული პერიოდის მანძილზე მისით და მასში ვცოცხლობთ და სხვა, რეალური ცხოვრება მის გვერდით უღიმღამოდ და უაზროდ გვეჩვენება; არადა, ჩვენი ფიზიკური ხუთი შეგრძნებით მას ვერ დავუფლებით: ვერ შევსვამთ, ვერ მოვეაღერებთ, დიდი-დიდი, კიდევ ერთხელ – და უკვე მერამდენედ! – გადავიკითხოთ; როდესაც გვსურს, ჩვენც სულ მცირე წვლილი შევიტანოთ ამ მხატვრულ სრულყოფილებაში და შესაქმის თანამონაწილენი გავხდეთ, აი, მაშინ, სხვას რომ ვერაფერს გავაწყობთ, ხელში კალამს ვიღებთ და მშობლიური ენის ნიაღში იმავე გზის გაკვლევას ვცდილობთ, რაც ოდესღაც ავტორმა გამოიარა, იმავე ფათერაკებსა და აღმოჩენებს ვაწყვებით, რასაც ის წაანყდა, მასავით გვიყვარს, გვიჭირს, ვკვდებით და, ბოლოს, ვალმობდილნი, ცოტათი მაინც ვმშვიდდებით...

თამარ კოტრიპაძე



ამერიკელი ქართველები
ნიუ-იორკში (1947 წელი)

ტიკურ საქმიანობაში, იყო 1950 წელს ნიუ-იორკში დაარსებული „ქართველ-ამერიკელთა ლიგის“ ვიცე-თავმჯდომარე, ლიგის ოფიციალური ორგანოების, ჟურნალების – „ცნობის ფურცელი“, „ჩვენი გზა“ სარედაქციო კოლექციის წევრი.

1950-იანი წლების დასაწყისში, როგორც თვითონ ამბობდა, პავლე კვარაცხელიას „გულმა უმტყუნა“ და პენსიაზე გასვლა გადაწყვიტა. დიდი პატივისცემითა და ჯილდოებით გააცილეს. ამის შემდეგ ფლორიდის სამხრეთში, ოკეანის სანაპიროზე, საკურორტო ქალაქ ფორტ ლაუ-

დერდელში გადასახლდა, რომელიც პალმბითა და ზღვის სურნელით აფხაზეთს აგონებდა. აიშენა მშვენიერი სახლი, რომლის ფართო ეზოს ციტრუსები ამშვენებდა. ეს სახლიც ისეთივე სტუმრიანი იყო, როგორც იანკერსის. მას სტუმრობდნენ ქართველები ამერიკის შორეული შტატებიდანაც კი. ალბათ ამ სამოთხემ გაუხანგრძლივა სიცოცხლე – გარდაიცვალა 90 წლისა 1972 წლის 12 ნოემბერს.


პავლე კვარაცხელიას გარდაცვალებას თითქმის ყველა ემიგრანტული ჟურნალ-გაზეთი გამოეხმაურა, რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ ქართულმა რედაქციამ კი მას გადაცემა უძღვნა.

„პავლე იყო ხალასი ქართველი კაცი, ქართველი გულით, ზნეჩვეულებით, სტუმართმოყვარეობით და ეროვნული ტკივილებით“, – წერდა ისიდორე გაჟონია გაზეთ „ქართულ აზრში“. პავლე კვარაცხელიას ანდერძიც სამშობლოს მონატრული ქართველი ემიგრანტის ეროვნული ტკივილის გამომხატველი აღმოჩნდა – კრემაციის შემდეგ მისი ფერფლი ოკეანის თავზე გაფანტეს, რათა ერთ ფთილას მაინც მიეღწია მისი სათაყვანებელი საქართველოს ნაპირებისათვის...

„ინტელექტი“ გთავაზობთ

ტარიელ ჭანტურია

„დინოზავრიდან დიზაინამდე“



გამორჩეული პოეტის – ტარიელ ჭანტურიას ჩანაწერები, ორიგინალური სახელწოდებით – „დინოზავრიდან დიზაინამდე“, ისევე ახლობელი და მნიშვნელოვანია მკითხველისთვის, როგორც მისი პოეზია. თითქმის მთელ შემოქმედებით ცხოვრებას გასდევს ეს დაკვირვებანი, შთაბეჭდილებები წარსულისა და თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებზე – მკაცრი, ზოგჯერ სადაო და საკამათო, მაგრამ ყოველთვის ცოცხალი.

„მკითხველის წიგნი“ – ასე უწოდებს ავტორი წინასიტყვაობაში პირად ჩანაწერებს, და საკუთარ თავს კარგ მკითხველად, მუსიკის ერთგულ მსმენელად, თეატრისა და კინოს ერთგულ მაყურებლად, გამოფენების მოუღლეულ მადვერად, მეცნიერებისათვის თვალმიდევნებულ დილექტანტად, საკუთარი ქვეყნისა და კაცობრიობის ბედზე მოფიქრალ მოქალაქედ წარმოგვიდგენს.

ტარიელ ჭანტურიას „დინოზავრიდან დიზაინამდე“ სერია „ჩანაწერების“ მესამე წიგნია.

ახალი თარგმანები

პითაგორას ოქროს ლექსები¹

მომზადება

უნინარესად, უკვდავ ღმერთებს მიაგე კუთვნილი კრძალვა;
თაყვანი ეცი ალთქმას,²
კეთილსახსენებელ გმირებს, ნახევარღმერთ სულებს;
აღასრულე სჯულით განწესებული.


კათარსისი

პატივი ეცი მშობლებს და ახლო ნათესავებს,
დანარჩენთაგან მეგობრად გაიხადე
სათნობით სხვებზე აღმატებული,
მიბაძე მას მშვიდ სიტყვებში, ქველ საქმეებში,
ნუ განუდგები, ვიდრემდე ძალგისს,
მცირე რამ შეცდომისა გამო:
ძალა უმტკიცესი ჯაჭვით გადაბმულა აუცილებლობაზე.
შეიგნე ესე ყოველი. თანდათანობით დაიურვე
ჯერ შენი მუცელი, შემდეგ ძილი, ბოლოს –
ავხორცობა და ვნებები.
ნუ მოიქცევი სამარცხვინოდ ნურც ვინმესთან ერთად,
ნურც მარტოდ მყოფი.
თავს პატივი მიაგე, უბინოდ იცხოვრე საქმით თუ სიტყვით,
უგუნურად ნუ მოეპყრობი ნურც საკუთარ თავს, ნურც სხვას:
ყველას სიკვდილი უწერია, გახსოვდეს.
სიმიდრე კი ხან დაგროვდება, ხან გაცამტყვრდება.
მოკვდავთ მრავალი ტანჯვა ატყდებათ დემონებისგან:
ნუ გაგამწარებს, რაც ბედად გერგება, დინჯად აიტანე
და ისწავლე, როგორ შეარბილო შეძლებისამებრ.
ამ სატანჯველთაგან არაერთს
ბედი არ დაატეხს ქველ ადამიანს.
საკადრისად მიიღე ადამიანთა სიტყვები
– ღირსეული თუ მდაბალი:
უღირსს ნუ ემსხვერპლები, სიცრუესაც მსუბუქად შეხვდი.
მრავალგ ზის აგიხდება ჩემი ნათქვამი.
ნუ იტყვი, ნურც მოიმოქმედებ შენთვის უსარგებლოს;
იფიქრე, ვიდრე ნაბიჯს გადადგამდე, სიბრყველს ნუ ჩაიდენ;
ბრყველს სჩვევიათ დაუფიქრებელი თქმა და კეთება.
ის აღასრულე, რაც შემდეგ არ დაგტანჯავს.
ნურაფერს გააკეთებ უცოდინრად.
ისწავლე, როგორ იკმარო რამდენიც საჭიროა, –
საამურს ასე მოიპოვებ ცხოვრებას.
იზრუნე სხეულის სიმრთელეზეც:
ზომიერად სვი და იკვებე, ვარჯიშებიც არ დაივიწყო.
ზომა იცოდე, გეუბნები, შეურყვენელად იცხოვრე,
შემდგომში ცუდად რომ არ მოგიბრუნდეს.



¹ „მოოქროვილი“ ანუ „ოქროსი“ ძველმა ბერძნებმა უწოდეს ლექსებს, რომლებშიც გადმოიცა პითაგორას მოძღვრების საკრალური არსი. „ოქროს ლექსებს“ იმთავითვე მიაწერდნენ პითაგორას არა იმიტომ, რომ საკუთრივ მის დაწერილად მიაჩნდათ. მათ იცოდნენ, რომ „ოქროს ლექსების“ ჩამწერმა – პითაგორას მოწაფე ლისისმა – ზედმინევენი სიზუსტით გადმოსცა მათში მასწავლებლის მოძღვრება და რომ ეს ჩანანერი უშუალოდ პითაგორას ბავით გამოთქმულ მაქსიმებს ეყრდნობოდა. „ოქროს ლექსები“ პითაგორასეული სიბრძნის კვინტესენციაა, ანუ, არსებითად, ერთადერთი ავთენტური დოკუმენტი, რომელიც ანტიკური ხანის ამ ერთ-ერთი უდიდესი ადამიანისგან მოგვწვდა. პითაგორელები ამ ლექსებს სავალდებულო პროფეტული შელოცვებით იმეორებდნენ ყოველ დილა-სალამოს. ციცერონის, პორაციუსისა და სენეკას ნაწერებიდან ჩანს, რომ ეს წესი პუნქტუალურად სრულდებოდა მათ ეპოქაშიც, ანუ 5-6 საუკუნის შემდეგ.

² იგულისხმება პითაგორელთა ფიც-ალთქმა – მათი საკრალური მოძღვრების ღერძი და გულისგული.



მოერიდე იმის კეთებას, რაც სხვებში შურს აღძრავს.
ნურც მფლანგველი იქნები, ნურც ნუნურაქი,
ზომიერებას მიჰყევი ყველაფერში.
დაფიქრებით იმოქმედე, თავს ზიანი არ მოუტანო.

სრულქმნა

ნუ მიეცემი ძილს დამშვიდებული თვალებით,
ვიდრე თავს სამგზის არ ჰკითხავ ჩავლილი დღის მოქმედებებზე:
რა გავაკეთე? რა გამომრჩა? რისი გაკეთება შემეძლო კიდევ?
თუ ცუდი გიქმნია, თავს უსაყვედურე,
თუ კარგი – საკადრისად შეირგე.
ეს შეითვისე გულმოდგინედ, ამას ესწრაფვოდე,
ეს შეგაყენებს ღვთიური სათნოების გზაზე.
ვფიცავ, ჭეშმარიტად, ჩვენს სულში გამონასკვულ ტეტრაქტისს³
– წყაროს მარადიული ბუნებისა!
მაშ, მოდი, საქმე ღმერთებისადმი ლოცვით განასრულე,
ამით შეიცნობ არსს უკვდავ ღმერთთა
და მოკვდავ ადამიანთა,
შეიცნობ, რა არის წარმავალი, რა – უქრობელი,
რა არის ღვთიური ნება და კანონი,
შეიცნობ: ბუნება ერთიანია ყველასთვის.
და აღარ ინატრებ აღუსრულებელს,
არაფერი იქნება შენთვის დაფარული.
გაიგებ: ადამიანები თავადვე იტეხავენ უბედურებას,
სიკეთე გვერდით აქვთ, ბედკრულთ,
და ვერ ხედავენ, არც ესმით.
მცირედმა თუ უწყის, როგორ დაუსხლტეს ბოროტებას,
სხვებს კი, მუდმივ ვაებაში მყოფთ,
აქეთ-იქით ახეთქებს ქარბორბალა,
მათ ყველას თანშეზრდიათ ჩუმი, დამანგრეველი შუღლი:
დაუშვებელია მათთან ყოფნა, შენი ნებით უნდა განშორდე.

ზევსო, მამაო!
ბოროტება ააცილე ადამიანებს,
ან დაანახე მაინც, რა დემონს ემონებიან.

შენ კი გამხნევი:
მოდგმით ღვთაებრივ ადამიანებს
წმინდა ბუნება ყოველივეს უმჟღავნებს.
თუ მათ რიგს ეკუთვნი, მაშ, ძალა მოიკრიბე,
თავი გაწრთვენი და სულს სატანჯველისგან იხსნი.
იღვანე – სულის ხსნის მცოდნემ –
ცოცხალთა განწმენდისთვის;
გონება დაისახე მეეტლედ და უბადლო მეგზურად,
რათა, მანათობელ ეთერში აღზევებული,
უკვდავთა სავანეში შესული,
თავადვე იქვე უკვდავ ღვთაებად!

ძველბერძნული და ფრანგული
პარალელური ტექსტებიდან თარგმნა
დათო აკრიანმა

³ საკრალური პითაგორული რიცხვი-სიმბოლო. პითაგორელთა მოძღვრებაში საგანგებო როლს ასრულებდნენ რიცხვები 1, 2, 3, 4, რომლებიც ქმნიდნენ „ტეტრაქტისს“ ანუ ოთხეულს. პითაგორელთა ფიცი ასეთი იყო:

„ვფიცავ ჩვენი სულებისთვის წარმოგზავნილ ტეტრაქტისის სახელს. მასშია მარად მოღალანე ბუნების წყარო და ფესვი“.

კლოდ სიმონი
ფლანდრიის გზა


(ნაწყვეტი რომანიდან)

მეგონა, სიცოცხლეს ვსწავლობდი, მაგრამ ბოლოს ხელთ სიკვდილი შემრჩა.

ლეონარდო და ვინჩი

მას ხელში წერილი ეჭირა, მზერა აღმართა შემომხედა მერე ისევ წერილს შეხედა მერე ისევ მე, მის ზურგს უკან ვხედავდი როგორ დადიოდნენ როგორ მიმოდიოდნენ წითელი მოყავისფრო-წითელი ჟანგმინისფერი ლაქები ცხენებისა რომელიც სარწყულბელზე მიჰყავდათ, ტალახი ისეთი ღრმა იყო რომ კოჭებამდე ვეფლობოდით შიგ მაგრამ მახსოვს ღამით უეცრად მოყინა და როცა ვაკი შემოვიდა ოთახში თან ყავა მოჰქონდა თქვა ძაღლებმა ტალახს დაუნყეს ჭამაო, ასეთი რამ მანამდე არასდროს მსმენოდა, თითქოს დავინახე კიდეც ძაღლები, ერთ-გვარი მითიური ჯოჯოხეთური ქმნილებები ვარდისფრად შემორკალული მათი ხახები მგლების ცივი და თეთრი ეშვები როგორ ღეჭავდნენ შავ ტალახს ღამის სიბნელეში, ალბათ რამე მოგონება თუ იყო, მსანსლავი ძაღლები როგორ ხარბად წმენდდნენ ასუფთავებდნენ იქაურობას: ახლა ტალახი ნაცრისფერი იყო და ჩვენ ფეხები გველრიცებოდა ხოლმე როცა მივრბოდით, დაგვიანებით როგორც ყოველთვის დილით სიის ამოკითხვისთვის რომ მიგვესწრო, ღამის კოჭები გველრძო ღრმა ნაფეხურებში ფლოქვებს რომ დაეტოვებინა და ქვასავით რომ გამაგრებულიყო, და გარკვეული ხნის მერე ის ამბობს დედათქვენმა მომწერა. ამგვარად ჩემი აკრძალვის მიუხედავად მან მაინც თავისი ქნა, ვიგრძენი როგორ ვნითლდებოდი, ის გაჩერდა და სცადა რაღაც ლიმისმაგვარი გამოესახა სახეზე მაგრამ მისთვის უთუოდ შეუძლებელი იყო, შეუძლებელი არა ის რომ თავაზიანი ყოფილიყო (მას რასაკვირველია უნდოდა თავაზიანი ყოფილიყო) არამედ ამ მანძილის გაქრობა იყო შეუძლებელი: ამან მხოლოდ ოდნავ განელა მისი პატარა ხეშე-ში ჭაღარაშერეული უღვაში, მზემოკი-

დებული სახის კანი ჰქონდა როგორც იმ ხალხს ვინც სულ მუდამ ღია ცის ქვეშ ცხოვრობს და მქრქალი, მასში რაღაც იყო არაბისა, უდავოდ ნაშთი იმისა ვისი მოკვლაც ოდესღაც შარლ მარტელს გადაავიწყდა, ჰოდა შეიძლება აცხადებდა კიდეც რომ არა მხოლოდ თავისი შორეული ბიძაშვილის ქალწულ მარიამის ჩამომავალი იყო როგორც მისი ტარნელი ვითომ დიდგვაროვანი მეზობლები არამედ უდავოდ მუჰამედისაც ამას დამატებული, ჰოდა ის ამბობს მგონი ჩვენ შორეული ბიძაშვილები გამოვდივართ, მაგრამ ასე მგონია მის გონებაში ამ სიტყვას ჩემთან მიმართებით რაღაც უფრო ისეთი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა როგორც მწერს ქინქლასა თუ ბუზს, და ისევ ვიგრძენი სიბრაზისგან როგორ გავნითლდი როგორც მაშინ მის ხელში ეს წერილი რომ დავინახე, ქაღალდი რომ მეცნო. მე არ მიპასუხია, მან ალბათ იგრძნო დაინახა რომ აღრენილი ვიყავი, მე მას კი არა წერილს ვუყურებდი, რომ შემძლებოდა სიამოვნებით გამოვგლეჯდი ხელიდან და დავხვევდი, მან ოდნავ ააქნია ხელი რომლითაც გაშლილი წერილი ეჭირა, კუთხეები ფრთებივით შექანდა ცივ ჰაერში, მის შავ თვალებში არ იყო მტრობა არც უპატივცემულობა, სითბოც კი დავინახე მაგრამ ამ თვალებშიც ჩანდა ჩვენ შორის არსებული მანძილი: იქნებ ის სულაც ჩემსავით იყო გაღიზიანებული, იქნებ მემადლიერებოდა კიდეც რომ გავღიზიანდი მაშინ როდესაც გაყინულ ტალახში მდგარნი ჩვენ ისევ განვაგრძობდით ამ პატარა მონდენურ ცერემონიას, რადგან პატივი ვეცით წესებს ტრადიციებს ორივემ იმ ქალის გამო რომელიც საუბედუროდ დედაჩემი იყო, და ბოლოს ის უდავოდ ყველაფერს მიხვდა რადგან მისი პატარა უღვაში ისევ შეინძრა მაშინ როდესაც ამბობდა ნუ უბრაზდებით სავესებით ნორმალურია რომ დედამ ის ძალიან კარგად მოიქცა მე პირადად ძალზე კმაყოფილი ვარ რომ მე-




კლოდ სიმონი დაიბადა 1913 წლის 10 ოქტომბერს კუნძულ მადაგასკარზე. მამამისი სამხედრო პირი იყო და კოლონიურ არმიამი მსახურობდა. ეს უკანასკნელი 1914 წელს, პირველ მსოფლიო ომში, ვერდენთან დაიღუპა. სიმონი საფრანგეთის სამხრეთში, პერპინიანში გაზარდა დედამ, რომელიც მალევე, 1924 წელს გარდაიცვალა. სიმონის აღზრდა ითავეს ბებია, რომელიც მე-18 საუკუნეში მცხოვრები გენერლის, **ჟან-პიერ ლაკომბ-სენ-მიშელის** შთამომავალი გახლდათ, და ერთერთმა ბიძამ. საშუალო განათლება მიიღო პერპინიანში, ფრანსუა არაგოს ლიცეუმში.

1931 წელს სიმონი ფერწერითა და ფოტოგრაფიით ინტერესდებოდა. 1934-1935 წლებში მსახურობს ლუნევილში, დრაგუნთა 31-ე პოლკში. მალე სიმონი წერას იწყებს და მოგზაურობს გერმანიაში, პოლონეთსა და საბჭოთა კავშირში. წერს პირველ რომანს „თაღლითი“, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1946 წელს გამოდის.

1939 წელს სიმონი მობილიზებულია. 1940 წლის ივნისში გერმანელთა ტყვეობაში მოხვდება, საიდანაც გაქცევას მოახერხებს და პერპინიანში ჩადის. მონაწილეობს წინააღმდეგობის მოძრაობაში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კლოდ სიმონი მეღვინეობას მიჰყოფს ხელს რუსეთში და იმავდროულად წერს რომანებს, რომელიც იბეჭდება გამომცემლობა „მინუში“. 1957 წლიდან სიმონი წერის ახალ სტილს შეიმუშავებს, რომელიც მას „ახალ რომანისტიკთან“ (ნატალი საროტი, ალენ რობ-გრეი, მიშელ ბიუტო-



რი, რობერ პენე აახლოებს ბევრი კრიტიკოსი მას ფრანგული „ახალი რომანის“ მიმდინარეობას (კრიტიკოს **როჟე-მიშელ ალმანის** ტერმინი) აკუთვნებს.

1960 წელს გამოდის რომანი „ფლანდრიის გზა“, რომელიც ჟურნალ „ექსპრესის“ პრემიას მიიღებს. „ფლანდრიის გზა“ გამორჩეულია კლოდ სიმონის შემოქმედებაში. ამ რომანში ავტორი განაგრძობს ადრე ნამოწმებულ („ბალახი“, 1958 წ.) ენობრივ-სტილისტურ ექსპერიმენტს და, ხშირად, ის უკიდურესობამდე მიჰყავს. შეიძლება ითქვას, რომ მთელი რომანი მთავარი გმირის, ჟორჟის ცნობიერებაში მიმდინარე პროცესია და ამ უზარმაზარ ვერბალურ მაგამაში არ ჩანს ტრადიციული ლიტერატურული დისკურსისათვის აუცილებელი ორიენტირები. რომანში გვხვდება როგორც მონოლოგი, ისე დიალოგი, აღწერა, პირდაპირი და ირიბი ნათქვამი და ა. შ., რაც თავის მხრივ იწვევს ყველანაირი სინტაქსური ნორმის დარღვევას. სასვენი ნიშნები ტექსტში მხოლოდ აქა-იქაა გაბნეული ან სულაც ამოღებულია, წინადადება კი დეფორმირებული და დამსხვრეულია. მწერალი ტექსტში ხშირად იყენებს ფრჩხილებსაც. დროის უძრაობის შეგრძნება რომ გადმოსცეს, სიმონი ანმყო დროის მიმღეობას ამჯობინებს. შეიძლება ითქვას, რომ ამ ტექსტის ცენტრალური ფიგურა თავად დროა, ჟორჟის თვალთ დანახული, მის ცნობიერებაში გარდატეხილი დრო, რომელსაც მთხრობელმა ნათელი უნდა მოჰფინოს, რათა ყველაფერში გაერკვეს.

დასასრული 72-ე გვერდზე

ძლევა შესაძლებლობა თუკი ოდესმე დაგჭირდით და თუკი, ხოლო მე ვეუბნები გმადლობთ კაპიტანო, ის კი თუ რამე პრობლემა შეგექმნათ უყოყმანოდ მოდით და, ხოლო მე დიას კაპიტანო, მან კიდევ ერთხელ შეაქნია წერილი, ვგონებ დაახლოებით მინუს შვიდი თუ მინუს ათი გრადუსი უნდა ყოფილიყო იმ სისხამ დილით მაგრამ თითქოს ამას არც ამჩნევდა. მას მერე რაც წყურვილი მოიკლეს ცხენები უკან ბრუნდებოდნენ ჩორით, წყვილ-წყვილად, ჯარისკაცები მათ შუა მორბოდნენ გინებითა და შეძახილებით და თავს იმით იტყვევდნენ რომ აღვირზე ეკიდებოდნენ, ისმოდა გაყინულ ტალახზე ფლოკების ცემის ხმა, ის კვლავ თავისას იმეორებდა თუ რამე პრობლემა შეგექმნათ ბედნიერი ვიქნები თუკი, შემდეგ დაკეცა წერილი ჩაიღო ჯიბეში ისევ მაღირსა რაღაც ისეთი რაც მისი აზრით კიდევ ერთი ღიმილი უნდა ყოფილიყო და რამაც უბრალოდ კიდევ ერთხელ განელა მისი ჭალარამერეული უღვაში რის შემდეგაც იქაურობა სასწრაფოდ დატოვა. ამის შემდეგ მე იმით დავკმაყოფილდი რომ საქმეს უწინდელზე ნაკლები გულმოდგინებით ვაკეთებდი, უბრალოდ ყველაფერი უკიდურესობამდე გავამარტივე, ცხენიდან ჩამოსვლისას გავხსნიდი უზანგის თასმებს, მოვუშვებდი ყბისქვეშა თასმას რომლის დროსაც ცხენს ერთი-ორჯერ მოვუჭრიდი წყალს და მხოლოდ ამის მერე ნავუყრიდი აღვირს ხელის ერთი მოქნევით, თან ყველაფერს სარწყულებელში ამოვავლებდი ხოლმე მაშინ როცა ცხენი წყალს დალევდა, მერე ის მარტო ბრუნდებოდა თავლაში, მე გვერდით მივაბიჯებდი და მზად ვიყავი საჭიროების შემთხვევაში მისთვის ყურში ხელი მეტაცა, ამის შემდეგ ისლა მრჩებოდა რომ ფოლადზე ჩვარი გადამესვა ხოლმე და დროდადრო ზუმფარის ტილოც ოდნავ გამესვა აქა-იქ როდესაც რკინა მართლა ძალიან იყო დაჟანგებული, მაგრამ ასეა თუ ისე ეს ბევრს არაფერს ცვლიდა რადგან ამასთან დაკავშირებით ჩემი რეპუტაცია უკვე დიდი ხნის დამკვიდრებული იყო და გულსაც არავინ მიწყალებდა ამასთან რაც შეეხება პირადად მას მე მგონი ეს ყველაფერი საერთოდ ფეხებზე ეკიდა და თავის ისე მოჩვენება თითქოს ვერ მხედავდა ოცეულის შემონების დროს იყო დედაჩემის მიმართ გამოჩენილი თავაზიანობა ზედ-

მეტი ძალისხმევის გარეშე, თუკი ისე არ იყო საქმე რომ რკინის გაპრიალება სხვა ყველაფერთან ერთად მისთვის იყო ნაწილი ამ უსარგებლო და შეუცვლელი წესებისა, ამ რეფლექსებისა და ტრადიციებისა ძველებურად შენარჩუნებული-სა სომიურში თანაც ისე რომ ენა ვერ იტყვის და შემდგომში განმტკიცებულისა, თუმცა იმას თუ დავუჯერებთ რასაც ჰყვებოდნენ მან (ანუ ცოლმა ანუ ბავშვმა რომელიც შეირთო ან უფრო სწორად რომელმაც აიძულა ცოლად მოეყვანა) თავად იკისრა ქორწინების სულ რაღაც ოთხი წლის მანძილზე მისთვის დაევიწყებინა ან ყოველ შემთხვევაში მეორეხარისხოვანი გაეხადა გარკვეული რიცხვი ამ ტრადიციული ტრადიციებისა, მიუხედავად იმისა მოსწონდა კაცს ეს თუ არა, მაგრამ რომც დავუშვათ რომ მას (და შეიძლება არა იმდენად სიყვარულის რამდენადაც საკუთარი ძალის ან თუ გნებავთ სიყვარულის ძალის პირისპირ დარჩენილს ან თუ გნებავთ სიყვარულით ნაიძულეს) უარი ეთქვა ტრადიციითა გარკვეულ რიცხვზე არის რაღაც რომელსაც მათი სრული მიტოვების სრული უარყოფის შემთხვევაშიც კი ვერ დაივიწყებს კაცი მიუხედავად იმისა რომ მას ეს მართლა უნდა საერთოდ კი ესაა ყველაზე აბსურდული აზრისგან დაცლილი ის ტრადიციები რომელსაც ვერც წესიერად გაიაზრებ და ვერც მოახვევ საკუთარ თავს, როგორც მაგალითად მისი რეფლექსი რომელიც გამოავლინა ხმლის შიშვლებისას როდესაც ტყვიის წვიმა მას პირდაპირ თავზე დააცხრა ღობის უკნიდან: მე მას ერთხანს ვხედავდი მკლავანული თავის უსარგებლო და სასაცილო იარაღს რომ იქნედა მხედრის ქანდაკების მემკვიდრეობითი შესტით რომელიც ალბათ უბადლო მოხმლეთა თაობებისგან ერგო, ბუნდოვანი სილუეტი რომელსაც სინათლე სახეში სცემდა რომელიც მას ფერს უკარგავდა თითქოს ის და მისი ცხენი ერთად ჩამოუსხამთო ერთი ნაჭრისგან ერთი და იგივე მასალისგან, ნაცრისფერი ლითონისგან, მზე წამით აციაგდა ხმლის შიშველ პირზე შემდეგ ეს ყველაფერი – კაცი ცხენი და ხმალი – მთლიანად გვერდზე ჩამოიქცა იმ ტყვიის მხედარივით რომელიც დნობას ფეხებიდან იწყებს და ჯერ ნელ-ნელა მერე სულ უფრო და უფრო სწრაფად გადაიხარა გვერდზე, გაუჩინარდა კვლავაც

ხმალამონვედილი დამწვარი იქვე ჩამომზღვეული სატვირთო მანქანის კარკასის უკან, ურცხვად რომ განოლილიყო რომელიც ცხოველივით მაკე ძუკნასავით მუცელს მიწაზე რომ დაათრევს ხოლმე, გამსკდარი საბურავები ნელ-ნელა იწვოდა ირგვლივ ყველაფერს დამწვარი რეზინის სიმყრალით ავსებდა გაზაფხულის იმ კაშკაშა ნაშუადღევს ჰაერში გაყინული ომის გულისამრევი სიმყრალით, რომელიც სადღაც დაფარფატებდა ან უფრორე უმოძრაოდ გაჩერებულიყო ნებოვანი და გამჭვირვალე მაგრამ კაცი იტყოდა თვალისთვის ხილულიყო როგორც აშმორებული წყალი რომელშიც თითქოს ჩამხობილიყო ნითელაგურიანი სახლები ხეხილის ბაღები ღობეები: მზის დამაბრმავებელი ანარეკლი, თითქოს ნამის მეთადით დაეჭიროს თავისკენ მიეზიდოს მთელი სინათლე მთელი დიდება, ერთი წამით შეყოვნდა ან უფრორე შესქელდა ქალწულებრივ ფოლადზე... ოღონდ, ქალწულს რაც შეეხება, უკვე რა ხანია ის ქალი აღარ იყო ქალწული, მაგრამ ვგონებ ამას არც ითხოვდა ის მისგან ამას არც ესწრაფვოდა იმ დღეს როდესაც მისი ცოლად მოყვანა გადაწყვიტა, იცოდა რა უდავოდ შესანიშნავად იმ მომენტიდანვე ის რაც ელოდა, რამეთუ წინასწარ მიიღო თავის თავზე აიღო წინასწარ გადახარშა თუ შეიძლება ასე ითქვას მომავალი ვნება, იმ განსხვავებით რომ ვნების ალაგი ცენტრი საკურთხეველი იყო არა მოტივებული ბორცვი, არამედ საამო და ნაზი თავბრუდამხვევი და გაბარდნული საიდუმლო ხვეული სხეულისა... ჰოო: ჯვარცმული, აგონიაში მყოფი დამხობილი საკურთხეველზე მორევში მღვიმეში... მაგრამ ბოლოს და ბოლოს განა იქაც არ იყო კახა, თუკი ვიფიქრებთ რომ კახები ამგვარი ამბების აუცილებელი ატრიბუტია, ატირებული ქალები ხელებს რომ იგრეხენ და მონანიე კახები, თუ დაუშვებთ რომ მან ოდესღაც მართლა მოსთხოვა ქალს მოენანიებინა ან ყველაზე მცირე ელოდა იმედოვნებდა რომ ქალი ამას იზამდა რომ ის შეიცვლებოდა სხვა ქალად იქცეოდა იმის საპირისპიროდ რა რეპუტაციაც ჰქონდა მამასადამე იგი ამ ქორწინებიდან ელოდა უფრო სხვა რამეს ვიდრე იმას რაც ამგვარ ქორწინებას ლოგიკურად უნდა მოჰყოლოდა, შესაძლოა განჭვრიტა კიდეც ან ყველაზე მცირე შესაძლოა მხედველობა-

ში იქონია იმ ბოლო შედეგამდე ან უფრო სწორად დასასრულამდე, ეს თვითმკვლელობა ჩანაფიქრი რომლის სისრულეში მოყვანის შესაძლებლობასაც ომი აძლევდა თანაც შეეძლო ეს ელევანტურად გაეკეთებინა ანუ არა მელოდრამატულად ბინძურად და საქვეყნოდ როგორც ამას მოახლეები აკეთებენ მეტროში რომ ჩაუხტებიან ხოლმე მატარებელს ან ბანკირები რომელნიც სანერ მაგიდას მთლიანად სისხლით რწყავენ არამედ ისე რომ უბედურ შემთხვევად შეენიღბა თუკი საერთოდ უბედურ შემთხვევად შეიძლება მივიჩნიოთ ის რომ კაცი ომში მოკლან, გარკვეულწილად შეუმჩნევლად და დროულად ისარგებლა რა იმ შესაძლებლობით რომელიც ეძლეოდა რათა ერთხელ და სამუდამოდ დაემთავრებინა ის რაც არანაირად არ უნდა დაწყებულიყო ოთხი წლის წინ...

მე ამას მივხვდი, მე მივხვდი რომ ის რასაც იგი ეძებდა რისი იმედიც ჰქონდა გარკვეული ხნიდან თავის სასიკვდილოდ განირვა იყო და არა მხოლოდ მაშინ მივხვდი როდესაც დავინახე თუ როგორ დარჩა იგი იქ ცხენზე გაჭიმული გაშეშებული თითქოს საკუთარი თავი საგანგებოდ გამოუფენიაო პირდაპირ გზის შუაგულში თანაც ისე რომ არც კი გაისარჯა ან თავს აჩვენებდა რომ ირჯებოდა საიმისოდ რომ ცხენი ვაშლის ხის ქვეშ შეეგდო, ხოლო იმ ბრიყვს იმ ჩია უმცროს ლეიტენანტს რომელმაც თავი ვალდებულად ჩათვალა მასავით მოქცეულიყო, ალბათ წარმოედგინა რომ კავალერიის ოფიცრისთვის ეს იყო ელევანტურობის ლაზათისა და კარგი ტონის nec plus ultra¹ ბოლო შტრიხი ისე რომ წამითაც არ უეჭვია წამდვილ მიზეზებზე რომელიც კაპიტანს ამგვარი ნაბიჯისკენ უბიძგებდა ანუ არ უეჭვია რომ აქ საქმე არ ეხებოდა არც ღირსებას არც გამბედაობას და მით უმეტეს არც ელევანტურობას არამედ მხოლოდ და მხოლოდ პირად საქმეს და საქმეს არა მასა და ქალს შორის არამედ მასა და საკუთარ თავს შორის. მე შემეძლო ეს მეთქვა უმცროსი ლეიტენანტისთვის, იგლესიას შეეძლო ეს ჩემზე ბევრად უკეთ ეთქვა მისთვის. მაგრამ არ ღირდა. მე ვფიქრობ იგი დარწმუნებული უნდა ყოფილიყო რომ ამით რაღაც აბსოლუტურად სენსაციურ რამეს სჩადიოდა და თანაც რა-

¹ უმაღლესი საფეხური (ლათ.).



ახალი მიწების სათმისეხლად

ახალგაზრდა ქართველი მთარგმნელი მართლა შეიძლება „დაიკარგოს თარგმანში“, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით (არ დავახანებ და ვიტყვი, რომ ამგვარი დაკარგვა, ყველაფრის მიუხედავად, მხოლოდ და მხოლოდ სასიამოვნოა). მთავარი მიზეზი ისაა, რომ ჩვენთან თავად ნათარგმნი ლიტერატურის ძალიან დიდი დეფიციტია. მართალია, მთარგმნელობითი საქმიანობა საქართველოში ასე თუ ისე გამოცოცხლდა, თუმცა მას ჯერ არ შეუძენია კომპლექსური, მასშტაბური და მიზანმიმართული ხასიათი (რამდენიმე გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით). ამას ემატება ისიც, რომ სახელმწიფო არაა დაინტერესებული ამ სფეროში ინვესტირებით.

ჩვენთან, როგორც წესი, ვერნახავთ რომელიმე საზღვარგარეთელი მწერლის ნაწარმოებთა სრულ გამოცემას. უფრო მეტიც, ჩვენ, როგორც წესი, ამა თუ იმ უცხოელი ავტორის მხოლოდ ერთ ან ორ ნიგნს გამოვცემთ ხოლმე და ამით ყველაფერი ამოიწურება. მაგალითად, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის წლევანდელი ლაურეატის, მარინო ვარგას ლიოსას რომანების (მის ესეისტიკაზე აღარაფერს ვამბობ) ქართული თარგმანები რომ დავტყუვით, პრაქტიკულად ღირებულს ვერაფერს ვიპოვით.

სამწუხაროდ, ყველაფერს ალბათ ეკონომიკური ფაქტორი და პატარა ბაზარი განაპირობებს.

ამ რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთი ფრანგი კრიტიკოსის ნაშრომი ვთარგმნე, რომელიც რომანის ჟანრულ სპეციფიკასა და პრობლემებს ეხება. გარდა რომანის ჟანრობრივი ანალიზისა, ნაშრომში უხვადაა პასაჟები თუ ციტირებები სხვა დიდი ფრანგი მწერლების შემოქმედებიდან თუ კრიტიკოსთა შრომებიდან. მათგან უმეტესობა ქართულად ჯერ თარგმნილი არაა, ამიტომ ამ პასაჟების თარგმნა თავად მომიხდა. ეს იყო აბსოლუტურად სხვადასხვა სტილის ტექსტები, რომელნიც ხშირად რამდენიმე გვერდს მოიცავდა, მათ

დასასრული 73-ე გვერდზე



1967 წელს კლოდ სიმონი მედიჩის პრემიას მიიღებს თავისი ერთ-ერთი ცნობილი რომანისთვის „ისტორია“. ამ რომანით სიმონი ანგარიშგასანევი ლიტერატურული ფიგურა ხდება. ამას მოსდევს რომანები „ბალახი“ (1958), „ფარსალის ბრძოლა“ (1969), „გეორგიკები“ (1981), „აკაცია“ (1989), ავტობიოგრაფიული ნაწარმოები „ტრამვაი“ (2001) და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ სიმონის ლიტერატურული ბიოგრაფია არაა მდიდარი პრემიებითა და ჯილდოებით. მის შემოქმედებას საფრანგეთში დიდხანს არ აფასებდნენ, ეჭვითა და სკეპტიციზმით უყურებდნენ, მწერლის „ჰერმეტიზმის“, მისი „ხელოვნურობის“ (ყან-ჰიერ დამური) გამო.

1985 წელს სიმონი ნობელის პრემიას მიიღებს, ვინაიდან იგი, „ადამიანური ყოფის პირობის წარმოჩენისას, საკუთარ რომანებში ერთმანეთს უხამებს პოეტისა და მხატვრის კრეატიულობას და თავისი ეპოქის ღრმა გააზრებას“ (შვედეთის აკადემიის ფორმულირება).

მწერალი ცხოვრობდა სამხრეთ საფრანგეთში, სალს-ლე-შატოში, და დროდადრო პარიზში. 1978 წელს იქორწინა რეა კარავასზე.

კლოდ სიმონი გარდაიცვალა პარიზში 2005 წლის 6 ივლისს, 91 წლის ასაკში. დაკრძალულია პარიზშივე, მონმარტრის სასაფლაოზე.

ტომ უნდა გამოგვეყვანა იგი ცდომილებიდან ვინაიდან ასე ხომ იგი კმაყოფილი კვდებოდა ნეტარებით აღსავსეც კი იყო, რაკი ელირსა მომკვდარიყო დე რეიშაკის გვერდით და მომკვდარიყო როგორც ერთ-ერთი დე რეიშაკთაგანი, მაშასადამე ჯობდა მას ეს დაეჯერებინა მაშასადამე ჯობდა იგი ბოლომდე იდიოტად დარჩენილიყო საკუთარი თავისთვის არ ეკითხა თუ რა იმალებოდა ამ ოდნავ განწყენებული ოდნავ მოუთმენელი მომლოდინე სახის უკან რომელიც მიდიოდა დათმობაზე ჩვენ წინაშე ან უფრორე სამხედრო-სავიწვევ ნესდებისა და იმ ზომების წინაშე რომელიც უნდა მიგველო საპაერო თავდასხმის შემთხვევაში იმ შემთხვევაში როცა მტრის თვითმფრინავის მცელავი ფრენისას ტყვიამფრქვევიდან ცეცხლს გვიხსნიდნენ და იცდიდა მანამ სანამ ისინი გაგვეცლებოდნენ და სანამ ჩვენ ამოვიდოდით სანგრებიდან, უნაგირზე ოდნავ მოტრიალებული ცოტათი მოთმინებადაკარგული მაგრამ თავს ერეოდა გვიჩვენებდა რა ამ მუდამ გაქვავებულ უმეტყველო სახეს ელოდებოდა უბრალოდ იმას რომ ჩვენ ისევ ცხენებზე შევმსხდარიყავით მაშინ როდესაც თვითმფრინავები ახლა უკვე პატარა ნერტილებად რომ ქცეულიყვნენ ნელ-ნელა ქრებოდნენ ჰორიზონტის თავზე, შემდეგ როგორც კი ჩვენ ცხენებს მოვახტებოდით იგი ისევ განაგრძობდა გზას ცხენს შეუმჩნეველად უბიძგებდა ფეხებით და წინ გაიგდებდა, ცხენი თითქოს თავისით ისევ დაიდრებოდა ადგილიდან და ისევ ნაბიჯით განაგრძობდა გზას ბუნებრივია აუჩქარებლად არც ძალიან ნელა თუმცა არც ზანტად: უბრალოდ ნაბიჯით. მე ვფიქრობ ის ჩოროთით არანაირ შემთხვევაში არ გაუშვებდა ცხენს მაშინაც კი მთელი სამყაროს ოქრო რომ მიეცათ, არ ჰკრავდა ცხენს დეზს არასდიდებით არ დათმობდა თავის ადგილს ზარბაზნის ყუმბარაც რომ დასცემოდა თავზე ჰო სწორედ ასე სიტყვამ მოიტანა და არსებობს გამოთქმები რომელიც ძალზე ზუსტად გამოხატავს სათქმელს: ნაბიჯით მაშასადამე, ეს კი ასევე შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო იმისა რაც მან ოთხი წლით ადრე დაიწყო და გადანყვებილი ჰქონდა დაემთავრებინა, ის-ის იყო ამთავრებდა ან უფრორე ცდილობდა ბოლომდე მიეყვანა წინ მიიწევდა რა

მშვიდად, უშფოთველად (ისევე როგორც, იგლესიას სიტყვებით, იქცეოდა კიდეც როდესაც მუდამ თავს აჩვენებდა თითქოს ვერაფერს ამჩნევდა, და არც არასოდეს გამოუვლენია უმცირესი გრძობაც კი არც ეჭვიანობა არც ბრაზი) ამ გზაზე რომელიც რაღაც ხაფანგისმაგვარი რამ იყო, ანუ არა ომის წინა ხაზი არამედ ავაზაკთა თავშეყრის ადგილი ზედგამოჭრილი ცივისსხლიანი მკვლელობისთვის, ადგილი სადაც კაცს ისე მოკლავდნენ ამოკენსასაც ვერ მოასწრებდა, ტიპები მშვიდად მოთავსებულნიყვნენ როგორც ბაზრობების ტირზე ხოლმე ლობის ან ბუჩქნარის უკან და აუჩქარებლად ნება-ნება გიმიზნებდნენ, მოკლედ ნამდვილი სასაკლაო იყო და ერთ მომენტში მე საკუთარ თავს ვკითხე ხომ არ ჰქონდა მას იმის იმედი რომ იგლესიაც ერთ დღეს კისერს მოიტებდა დაილუპებოდა, ხომ არ ფიქრობდა საკუთარი თავისთვის ანგარიშის გასწორებისას იმავდროულად დიდი ხნის ნანატრ შურისძიებაზეც-მეთქი, მაგრამ ეს ფიქრი უკუვაგდე მას შემდეგ რაც ყველაფერი კარგად აენონ-დავწონე არა მგონია ასე ყოფილიყო ვფიქრობ იმ მომენტში მისთვის უკვე ყველაფერი სულ ერთი იყო თუკი ბოლოს და ბოლოს მაინც დაფუშვებთ იმას რომ იგი ოდესმე მაინც ყოფილა დაბოლმილი იგლესიაზე ვინაიდან საბოლოო ჯამში კაპიტანმა იგი სამსახურში დატოვა და რადგანაც ახლა მას ისევე ან უფრო სწორად ისევე ნაკლებად ადარდებდა იგლესია როგორც მე ან ეგ ბრიყვი უმცროსი ლეიტენანტი, უკვე უდავო იყო რომ არ გრძობდა თავს მიჯაჭვულად არანაირი მოვალეობისადმი ვგონებ გულგრილი იყო როგორც პირადად ჩვენდამი ისე თავისი როლისადმი ოფიცრის ფუნქციისადმი, ფიქრობდა რა ალბათ რომ იმას რაც შეეძლო გაეკეთებინა ან არ გაეკეთებინა ამ თვალსაზრისით უკვე არ ჰქონდა სრულებით არანაირი მნიშვნელობა იმ მდგომარეობაში რა მდგომარეობამდეც ჩვენ მივედით: მან მაშასადამე თავი დააღწია თავი აარიდა ხელი ჰკრა ასე ვთქვათ თავის სამხედრო მოვალეობებს იმ მომენტთან მოყოლებული როდესაც მისი ესკადრონის პირადი შემადგენლობიდან ჩვენ ოთხნილა დაფრჩით (ხოლო თავად მისი ესკადრონი იყო დაახლოებით ის რაც ბოლოს დარჩა მთლიანი

პოლიტიკიდან რამდენიმე სხვა კავალერ-ისტს თუ არ ჩავთვლით ჩამოქვეითებულ აქა-იქ მიმოფანტულ ველ-მინდვრებსა თუ ტყე-ღრეებში გაბნეულ კავალერ-ისტს) რაც მას ხელს არ უშლიდა იმაში რომ ისევე გამართული და გაშეშებული მჯდარიყო უნაგირზე ისეთი გამართული და გაშეშებული თითქოს საზეიმოდ უნდა ჩაიაროსო თოთხმეტი ივლისის აღ-ლუმზე თითქოს ის რაც გამოვიარეთ უკან დახვევა ან უფრო სწორად სასტიკი მარცხი ან უფრო სწორად ნამდვილი კატასტროფა არ ყოფილიყოს იმგვარი საყოველთაო დაშლა-დანაწევრებისა და ნგრევის შუაგულში რომ კაცს ეგონებოდა მარტო არმია კი არა მთლიანად სამყარო და არა მხოლოდ თავის ფიზიკურ რეალობაში არამედ წარმოდგენაშიც რომელსაც მასზე ვიქმნით გონებაში (მაგრამ ალბათ ეს ძილის ნაკლებობის ბრალიც იყო, იმის ბრალიც რომ მეათე დღე იყო რაც ჩვენ პრაქტიკულად არ გვეძინა, უნაგირზე თვლემას თუ არ ჩავთვლით) ეს-ესაა კანს იცვლის ნაწილებად იშლება ქუცმაცდება სადღაც დინებას მიჰყვება არარად იქცევაო, და მერე ორჯერ თუ სამჯერ მას ვილაცამ დაუყვირა რომ შეჩერებულიყო (არ ვიცი საიდან დაუყვირეს, არც ის ვიცი თუ ვინ იყვნენ: ვგონებ, დაჭრილები უნდა ყოფილიყვნენ, ან ისინი ვინც სახლებში ან თხრილში იმალებოდნენ, ან შესაძლოა სამოქალაქო პირები რომელნიც სრულებით გაუგებარი ადამიანისთვის წარმოუდგენელი სიჯიუტით განაგრძობდნენ ხეტიალს და თან დაათრევდნენ ძირგავარდნილ ჩემოდანს ან წინ მიაგორებდნენ პატარა ურიკებს რომელიც გაურკვეველი სახის ბარგით დაეტივრთათ (ბარგიც კი არ ეთქმოდა: რაღაც ნივთები იყო, და შესაძლოა გამოუსადეგარიც: უდავოდ მხოლოდ იმიტომ რომ ხელცარიელებს არ ეხეტიალათ, რომ ჰქონოდათ შთაბეჭდილება ილუზია იმისა რომ თან მიჰქონდათ რაღაც, ფლობდნენ რაღაცას სულ ერთია რას ოლონდაც ის – იქნებოდა ეს გამოფატრული ბალიში ქოლგა თუ ბაბუისა და ბებუის ფერადი ფოტოსურათი – ფასეულობის, განძის არამყარი ცნებით ყოფილიყო გამყარებული) თითქოს ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო რომ შეუწყვეტლად ევლოთ, სულ ერთია რომელი მიმართულებით: მაგრამ მე ისინი

მართლა არ დამინახავს, ის რისი დანახვაც შემეძლო, რისი ცნობის უნარიც ჯერ კიდევ მქონდა, თითქოს ერთგვარი სამიზნე, ორიენტირი ყოფილიყოს, მისი ზურგი იყო ძვალმაგარი გამხდარი გაშეშებული და ძალიან სწორი ზურგი უნაგირზე რომ აღმართულიყო, და სარყის მუნდირი ოდნავ უფრო რომ ელვარებდა სიმეტრიულად გამოზნექილ ბეჭებზე, და თანაც დიდი ხანი იყო რაც უკვე აღარ მაინტერესებდა ის – უბრალოდ აღარ შემეძლო ინტერესი გამომეჩინა იმისადმი – რაც შეიძლებოდა მომხდარიყო გზის ნაპირზე; ხმები გაისმა მამსადადამე, ირეალური და მკვნესავი რომელნიც რაღაცას ყვიროდნენ (გაფრთხილებას, რჩევას) და რომელნიც ჩემამდე აღწევდნენ გაზაფხულის დღის თვალისმომჭრელ და გაუძვევრვალე სინათლეში (თითქოს თავად სინათლე იყო ჭუჭყიანი, თითქოს უხილავ ჰაერში გაჩერებულაო, როგორც ეს დაბინძურებულ ამღვრეულ წყალში იცის, მთელი მტვრიანი და მყარალი ჭუჭყი ომისა), და მან (ყოველ ჯერზე შემეძლო დამენახა თუ როგორ მოძრაობდა მისი თავი და ჩაჩქნის ქვეშ როგორ ჩნდებოდა და იკარგებოდა მაშინვე მისი სახის კიდე, შუბლის ცივი მტკიცე კონტური, წარბის ხვეული და მის ქვეშ თვალის ბუდე შემდეგ მტკიცე ცივი უდრეკი ხაზი, რომელიც სულ სწორად ჩამოდიოდა ყვრიმალისა და ნიკაპამდე) მან მათკენ გაიხედა, მისი ცივი გულგრილი მზერა ერთი წამით შეჩერდა (მაგრამ ალბათ ისე რომ ვერ ხედავდა) იმ ვილაცაზე ვინც მას დაუძახა (ან ალბათ იმაზეც არა: მხოლოდ იმ ადგილზე იმ წერტილზე საიდანაც ხმა მოდიოდა), და ამ დროს მის მზერაში არ ჩანდა გაკიცხვა სიმკაცრე ან აღშფოთება, წარბებიც კი არ შეუჭმუხნია: უბრალოდ გონებით სხვაგან იყო, სახეზე არ დასტყობია არც რაიმე გრძნობა არც ინტერესი – დიდი-დიდი ალბათ გაოცდა: ალბათ ოდნავ შემფოთდა, მოუთმენლობამ შეიპყრო, თითქოს სალონში ვილაც მოულოდნელად გამოლაპარაკებოდეს ისე რომ ეს უკანასკნელი მისთვის არ წარედგინოთ ან თითქოს ვილაცას მისთვის სიტყვა შეენწყვეტინოს რაიმე უადგილო შენიშვნით (მაგალითად თითქოს ვილაცას მისთვის მიენიშნოს რომ მისი სიგარიდან ის-ის იყო ფერფლი ძირს უნდა დაყრილიყო ანდა ცოტაც და ყავა გაუცივდებოდა) რის შემდეგაც აღ-



შორის ბალზაკის, პრუსტის, ჟენეტის, გოდარის და სხვათა ტექსტები. ამ სახელების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეს ტექსტები, წესით, უკვე დიდი ხნის ნათარგმნი უნდა ყოფილიყო და მზა სახით უნდა არსებულიყო.

ამ ერთმა მაგალითმა ნათლად დამანახა ახალგაზრდა მთარგმნელის წინაშე არსებული სიძნელეები და, გარკვეული თვალსაზრისით, აბსურდული მდგომარეობა.

იგივე პრობლემებს წავაწყდი ქსავიე დარკოსის „ფრანგული ლიტერატურის ისტორიის“ თარგმნის პროცესშიც, რასაც დაერთო სპეციფიკური ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინოლოგიის გაუმართაობა და ხშირად არარსებობა ქართულ ენაში.

მთარგმნელისთვის არ არსებობს „კარგი“ და „ცუდი“ ტექსტები. სრულებით უცნობი ავტორის თარგმნა ხომ ახალ გამოწვევას, ახალი მიზნის ათვისებას ნიშნავს. ასეთი აუთვისებელი მიწა კი რამდენია ქართველი მთარგმნელებისათვის!


მარგერიტ იურსენარისა და ჟორჟ სანდის, ან ხორხე ლუის ბორხესისა და ემილ ზოლას თარგმნა განსხვავებულ მიდგომებს, თუმცა თანაბარ პროფესიონალიზმს საჭიროებს. პროფესიონალი მთარგმნელის შემოქმედებით ლაბორატორიაში ერთნაირ პროცესს გადის ნებისმიერი სირთულისა და მოცულობის სათარგმნი ტექსტი.

საფრანგეთსა და შვეიცარიაში (და კიდევ ევროპის რიგ ქვეყნებში) არსებობს ე. წ. მთარგმნელთა სახლები, სადაც მთარგმნელებს საშუალება ეძლევათ, რამდენიმე თვის მანძილზე იდეალურ პირობებში, სრულ სიმშვიდესა და იზოლაციაში იმუშაონ. ამ ქვეყნებში კარგად იციან მთარგმნელის შრომის ფასი, სახელმწიფო მას ეხმარება და იდეალურ სამუშაო პირობებს უქმნის. ჩვენი თანამგვარი პერსპექტივა ჯერ მხოლოდ ფანტასტიკის სფეროში მოიაზრება.

მანამ, სანამ არ გვაქვს რაბლეს, მარკოზ დე სადისა და პრუსტის ნაწარმოებთა სრული გამოცემა ქართულად, ვერ ვიტყვი, რომ წინ წავინეით.

მამ, გავწიოთ წინ, ახალი მიწების ასათვისებლად!

ილია გასპიანი



ბათ შეეცდებოდა, ძალისხმევას არ დაიშურებდა, რომ მოთმინებით აღჭურვილიყო და გამოეჩინა კეთილი ნება თავაზიანობა იმისა რომ ცდილობს გაიგოს მიზეზი ან სარგებლობა ამ შენიშვნისა ან ალბათ იფიქრებდა ხომ არ უკავშირდებოდა რამენაირად ეს უკანასკნელი იმას რასაც იგი ის-ის იყო ყვებოდა, შემდეგ ალბათ უარს იტყოდა იმაზე რომ რაიმეში გარკვეულიყო შეეგუებოდა შექმნილ მდგომარეობას მხრებსაც კი არ აიჩივდა ალბათ გაიფიქრებდა რომ ყოველთვის ყველგან და ნებისმიერ ვითარებაში – სალონი იქნება ეს თუ ომი – გადაეყრები სულელ და უზრდელ ხალხს, და ალბათ მაშინვე – ანუ როგორც კი ამას შეახსენებდა საკუთარ თავს – დაივიწყებდა იმ ადამიანს რომელმაც სიტყვა გაანწყვეტინა, საერთოდ წაშლიდა მას თვალთახედვის არიდან შეწყვეტდა მისკენ ყურებას თანაც მანამდე სანამ თავს მიატრიალებდა, ჰოდა მაშინაც ერთხელ და სამუდამოდ შეწყვიტა იმ ადგილისკენ ყურება, სადაც არაფერი იყო, თავი მალლა ასწია და განაგრძო მშვიდი საუბარი იმ ჩია უმცროს ლეიტენანტთან ერთ-ერთი იმ სახის საუბარი რომელიც შეიძლება გამართოს ორმა გვერდიგვერდ მიმავალმა მხედარმა (ვთქვათ მანეჟზე ან იპოდრომზე) და ამ საუბრისას საქმე ალბათ უნდა შეხებოდა ცხენებს, სამხედრო სასწავლებლის ამხანაგებს, ნადირობას ან დოღს. და მე მეჩვენებოდა რომ გონებით იქ ვიყავი, რომ ამ ყველაფერს ვხედავდი: ხეების ჩრდილიან ხასხასა მწვანე ფოთლულს და ქალებს დაჩითული აბრეშუმის კაბებში, ფეხზე მდგომთ ან დამსხდართ ბალის რკინის სავარძლებში, და კაცებს ღია ფერის მოკლე შარვლებსა და ჩექმებში რომელნიც ქალებს ებაასებინ, მათკენ ოდნავ დახრილნი, თან მსუბუქად რიტმულად ირტყამენ ჩექმაზე ლერწმის მათრახს, ცხენების შეფერილობა ისევე როგორც კაბების ფერი, და ჩექმების მონითალო ტყავი ხასხასა (მოყავისფრო-წითელ, იასამნისფერ, ვარდისფერ, ყვითელ) ლაქებად აღიბეჭდება ხშირი მწვანე ფოთლულის ფონზე, და ვხედავდი ქალებსაც იმ გან-

საკუთრებული კატეგორიისას რომელსაც არა უბრალოდ მიეკუთვნებიან არამედ რომელსაც სწორედ რომ შეადგენენ ყველა სხვათა გამოკლებით პოლკოვნიკთა ასულები თუ დიდგვაროვანთა ოჯახებიდან გამოსული ქალები: ოდნავ უსიცოცხლონი, ოდნავ უღიმღამონი და მყიფენი, რომელნიც გვიანობამდე (გათხოვილნიც კი, მეორე ან მესამე ბავშვის გაჩენის შემდეგაც კი) ინარჩუნებენ ქალიშვილურ იერს, თავიანთი ნაზი და შიშველი გრძელი მკლავებით, პანსიონერ გოგონათა განუყრელი მოკლე თეთრი ხელთათმანებით, ასევე პანსიონერი გოგონების კაბებით (მანამ სანამ ისინი შემდეგ – სადაღაც ოცდათხუთმეტი-ოცდათექვსმეტი წლის ასაკში – უეცრად გარდაიქმნებოდნენ და მათში ოდნავ მამაკაცური, ოდნავ ცხენისმაგვარი რამ გაჩნდებოდა (არა, არა ფაშატისებური: სწორედ რომ ცხენისმაგვარი) რის შემდეგაც ისინი მოწვევას იწყებენ და უკვე კაცებვით ლაპარაკობენ ნადირობასა თუ დოღზე), და თითქოს მესმოდა მსუბუქი ზუზუნი ხმებისა ნაბლის ხეების მიძიმე ფოთლულის ქვეშ რომ შეგუბებულებიყო, ხმებისა (ქალებისა თუ კაცებისა) რომელთაც შეეძლოთ შეენარჩუნებინათ წესიერება და თანაბარი რიტმი და იმავდროულად გადმოეცათ სრული უშინაარსობა ყველაზე უხეშ ან თვით ჯარისკაცურ გამოთქმებშიც, კამათობდნენ რა შეწყვილებაზე (ცხოველებისა და ადამიანებისა), ფულსა თუ პირველ ზიარებაზე ამავე უადგილო გალანტური და დახვეწილი სითამამით, ჰოდა ეს ხმები რომელიც ერწყმოდა ჩექმებისა და მალალი ქუსლების უწყვეტ და სუსტ ბაკუნს ხრემზე, გუბდებოდა ჰაერში, მოელვარე და მოუხელთებელი ღრუბელი ოქროსფერი მტვრისა მშვიდი და მწვანე ნაშუადღევის სინათლეში გაყინულიყო ნაშუადღევისა რომელიც გაჯერებულიყო ყვავილთა სურნელით, ცხენის ჩონჩორიკის სუნითა და ქალის სუნამოებით, და ვხედავდი მასაც...

ფრანგულიდან თარგმნა
ილია გასვიანმა

პრეზენტაციები

გვანცა ჯობავა

„ცისკარი“ ბრძელდება

პირველი ქართული ჟურნალი „ცისკარი“ 1852 წელს გიორგი ერისთავის მიერ განეული განსაკუთრებული ღვაწლის შედეგად გამოიცა, რისი უფლებაც პეტერბურგიდან გაცემულა. მიხეილ ვორონცოვსა და გიორგი ერისთავს ერთმანეთი მანანა ორბელიანის სალონში გაუცვინათ. სწორედ იქ ჩაეყარა საფუძველი ჟურნალის გამოცემასაც, რომელმაც მხოლოდ ორიოდე წელიწადს იარსება. 1854 წელს გიორგი ერისთავმა ჟურნალის გამოცემაზე უფლებები ივანე კერესელიძეს გადასცა, რომელმაც 1857 წელს მოახერხა ჟურნალის განახლება. იგი თავად იყო არა მხოლოდ ჟურნალის რედაქტორი და გამომცემელი, არამედ კორექტორი, ასოთმწყოები, ამკინძავი და დამტარებელიც კი. თურმე საკუთარი ქონებაც არ დაუზოგავს „ცისკარს“ გადასარჩენად. სწორედ მისი დიდი დამსახურებით ჟურნალმა ნელ-ნელა ძალები მოიკრიბა და მის ფურცლებზე გამოჩნდა დანიელ ჭონაძის „სურამის ციხე“, ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, ასევე აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, რაფიელ ერისთავის, ანტონ ფურცელაძისა და სხვათა ნაწარმოებები.

„ცისკარის“ ფურცლებზე გაიშალა თაობათა პაექრობა. სწორედ „ცისკარმა“ მოამზადა ნიადაგი 1863 წელს სამოციანელთა ახალი გამოცემის – „საქართველოს მოამბის“ გამოსაცემად. 1875 წელს კი „ცისკარმა“ არსებობა შეწყვიტა და მრავალი წლის შემდეგ ვახტანგ ჭელიძისა და ახალი სამოციანელების დამსახურებით 1957 წელს აღდგა. მის ფურცლებზე კვლავ გაჩნდნენ დიდი ქართველი მწერლებისა და პოეტების სახელები: ჭაბუა ამირეჯიბი, გურამ რჩეულიშვილი, ნოდარ დუმბაძე, რევაზ ინანიშვილი, ანა კალანდაძე, მურმან ლებანიძე, მუხრან მაჭავარიანი, ოთარ და თამაზ ჭილაძეები და სხვანი და სხვანი. თუმცა საუკუნის ბოლოს ისევ გაუჭირდა ჟურნალს. არსებობა არ შეუნყვეტია, მაგრამ ბოლო ათი-თორმეტი წელი „ცისკარისთვის“ უმძიმესი იყო, მხოლოდ შიგადაშიგ, პერიოდულობის გარეშე გამოდიოდა.

წელს კი, 2011 წლის 30 ნოემბერს საჯარო ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზმა ზაურ კალანდიას რედაქტორობით განახლებული „ცისკარის“ საიუბილეო ნომრის წარდგინებას უმასპინძლა.

„ცისკარს“ გეზი არასოდეს შეუცვლია, ის თავიდანვე ქართულ სიტყვას, ქართულ მწერლობას ედგა მხარში, ემსახურებოდა და დღესაც ასე იქნება – ამ სიტყვებით მიესალმა რედაქტორი საჯარო ბიბლიოთეკაში შეკრებილ უამრავ მწერალსა თუ პოეტს, ლიტერატურათმცოდნესა თუ ლიტერატურის მოყვარულს, საჯარო თუ სამოქალაქო პირს, ჟურნალისტებს. ბატონმა ზაურ კალანდიამ მადლობა გადაუხადა საპატრიარქოს, რომელიც ძნელბედობის ფაშასაც გვერდში ედგა ჟურნალს და იღვწოდა საიმისოდ, რომ „ცისკარს“ არსებობა არ შეეწყვიტა, მადლობა გადაუხადა თბილისის მერიას, რომლის მხარდაჭერითაც გამოიცა საიუბილეო ნომერი, მაგრამ განსაკუთრებული მადლობა, როგორც რედაქტორის შესავალ წერილში ვკითხულობთ, ეკუთვნის „პიროვნებას, ვისაც გაცნობიერებული აქვს „ენა, მამული, სარწმუნოების“ ფასი და მნიშვნელობა... ამ კაცის სახელი და გვარი ისედაც მთელმა საქართველომ იცის – „ცისკარის“ აღორძინება-განახლება კი ის საშვილიშვილო საქმე და ღვაწლია, რომელიც კიდევ უფრო მეტ ქართველს „აიძულებს“, სიყვარულით და პატივისცემით წარმოთქვას მისი სახელი – სერგი კაკალაშვილი. დღეს ყველა ცისკრელი მისი მადლიერია, ხვალ კი, დარწმუნებული ვართ, მთელი საქართველო დააფასებს ბატონ სერგის განუულ უანგარო ღვაწლს“.

ჟურნალის წარდგინებაზე უამრავმა ადამიანმა გამოთქვა სურვილი, მიელოცა როგორც „ცისკრელებისთვის“, ისე მთლიანად ქართველობისთვის ჟურნალის ხელახლა დაბადება. მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მაყვალა გონაშვილის თქმით, „ცისკარი“ ჰგავს ადამიანისათვის, პოეტისათვის პირველ სიყვარულს. ყველაზე უფრო ემოციურია, უფრო მეტად დასამახსოვრებელია, როცა პირველი შენი ნაწარმოებები იბეჭდება „ცისკარში“. ის, რომ ეს ჟურნალი გვაჩუქა უფალმა, არის არა მხოლოდ „ცისკარის“, არამედ მთლიანად ქართული მწერლობის განახლებული სიცოცხლე“. პოეტი და მთარგმნელი გიორგი ლობჟანიძე: „ცისკარის“ როლი განსაკუთრებული უნდა იყოს ქართული სალიტერატურო პროცესების წარმატებაში, თანამედროვე ქართული სალიტერატურო პროცესების ფორმირებაში; პოლიტიკოსი გია როინიშვილი: „ჟურნალი „ცისკარი“ ძალიან დიდ ისტორიას ითვ-



ლის და იტევს. მე ბედნიერი ვარ, რომ ამ ჟურნალმა დაიწყო ახალი ათეული“; პოეტი **გენო კალანდია**: „თავის დროზე გიორგი ლეონიძემ ბრძანა, „სიჭაბუკე და ლექსი ერთი“ „ცისკარი“ ჩვენი სიჭაბუკე, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი აღმავრენა იყო. მე ვფიქრობ, რომ დღეს უზარმაზარი საქმე გაკეთდა – ქართველ მკითხველს ისევე ეძლევა იმ ჟურნალის მოფერების სამუშაოება, სადაც დიდი ლიტერატურა იბეჭდებოდა“; ახალგაზრდა მწერალი **ზვიად კვარაცხელია**: „აღსანიშნავია და მისასალმებელი, რომ გრძელდება უწყვეტი ტრადიცია, რაც კარგ სალიტერატურო გამოცემას უნდა ახასიათებდეს... ვფიქრობ, ის სარედაქციო ჯგუფი, რომელიც ამ ჟურნალზე მუშაობს, შეინარჩუნებს ამ ტრადიციის უწყვეტობას, კარგ ავტორებსაც მოიზიდავს და მრავალფეროვანი იქნება. დღეს კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ ცისკარი გრძელდება“.

„ცისკარის“ განახლება საზოგადოებას ასევე მიულოცეს ნოდარ დუმბაძის სახელობის საბავშვო თეატრის დირექტორმა, მწერ-

ალმა **მიხეილ ანთაძემ**, ვაჟა გიგაშვილმა, **ნუგზარ ერგემიძემ**, რადიო „ჰერეთის“ დამფუძნებელმა **რამაზ სამხარაძემ**, რომელმაც ჟურნალ „ცისკარს“ საჩუქრად ერთ-ერთიანი სარეკლამო კამპანია შესთავაზა, თბილისის მერიის წარმომადგენელმა **ნანა გიორგაძემ**, და ბოლოს, ჟურნალის გამომცემელმა **სერგი კაკალაშვილმა**, რომელმაც განაცხადა: „მე არ მივცემ უფლებას შთამომავლობას, თქვას, რომ ჩვენი მამების თაობამ ცისკარი დაასამარაო“.

დასასრულ კი კვლავ გთავაზობთ ამონარიდს რედაქტორის შესავალი წერილიდან: „სწორედ „ცისკარი“ გვესახება იმ სამწერლობო გამოცემად, რომელიც, როგორც აქამდეც არაერთხელ მომხდარა, კვლავ გაერთიანებს ყველა თაობისა თუ მიმდინარეობის შემოქმედს, და არამარტო შემოქმედთ, თავის გარშემო შემოიკრებს გემოვნებიან მკითხველს და ხელმომწერს, ვისაც პური არსობისად მიაჩნია ის, რაც უპირველესად იყო – სიტყვა, ჭეშმარიტი მწერლის ნათქვამი ქართული სიტყვა..“

ზაზა ბიბილაშვილის „სასთუმლის ლექსები“

30 ნოემბერს **ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების**, იგივე ჟურნალ „**ჩვენი მწერლობის**“ თავყრილობამ ამჯერად პოეტ **ზაზა ბიბილაშვილს** უმასპინძლა და მისი პოეტური კრებული – „ჩემი მდოგვის მარცვალი“ – განხილვა მოაწყო. წიგნი გამომცემლობა „**ინტელექტი**“ დაიბეჭდა და 2010 წელს წლის საუკეთესო პოეტური კრებულისთვის „**საბას**“ ერთ-ერთი ნომინანტიც გახდა.

როსტომ ჩხეიძის შეფასებით, ეს წიგნი „სავესებით იმსახურებს, რომ ცოტა უფრო ღრმად დავუკვირდეთ, გავიაზროთ, რადგან ეს არის არაორდინალური კრებული, წარმატებული წიგნი, რომლის მსგავსიც მანცდამანც ბევრი არ არის ჩვენს თვალწინ. თავისებური იმ მხრივაც, რომ ემოციაზეა ამოზრდილი. დღეს ისე გადაიხარა ყველაფერი განსჯისაკენ, რიტორიკისაკენ, რომ პოეზია იქცა რიტორიკად და ამიტომ გასახარია, როცა ასე ოაზისივით ხედავ საღ და წარმატებულ მარცვლებს ემოციისა“.

„ჩემი მდოგვის მარცვალი“ ზაზა ბიბილაშვილის მეორე პოეტური კრებულია. პირველი დაახლოებით ათი წლის წინ გამოიცა და მიზეზთა გამო ძნელად მივიდა მკითხველამდე. ამიტომ ჩათვალა ავტორმა საჭიროდ, რომ მეორე კრებულში ლექსების ნაწილი ძველი წიგნიდანაც შესულიყო. ახალ კრებულში ლექსებთან ერთად ლირიკული პოემაცაა შეტანილი. თუმცა ბატონი როსტომ ჩხეიძის აზრით, პოემა შეიძლება დარქმეოდა სხვა ლექსად – „წელიწადი,

როგორც ერთი დღე“, რომელიც დღიურის პრინციპზეა აგებული: „დღიურის სტრუქტურა არის არა მარტო გარეგნული იერი ამ ლექსისა თუ ზაზა ბიბილაშვილის სხვა ლექსებისა, არამედ, შეიძლება ითქვას, რომ ამაზე არის ამოზრდილი მთელი მისი პოეზია. მკითხველს ამ პოეტის მთლიანი კრებული ხიბლავს, მაშინ, როცა ხშირად ვართ მოწმენი, როგორი არათანაბარია ხოლმე გამოცემები – რამდენიმე ლექსი მოგვწონს, მერე ჩავარდნაა, მერე ისევ კარგი გვხვდება... ზაზა ბიბილაშვილის წიგნი კი ბოლომდე კარგად გააზრებული, ერთიანი წიგნია და ამიტომ ვუნდა წარმატებულიცა და არაორდინალურიც“.

საღამოზე დამსწრეთაგან ბევრმა ისურვა სიტყვით გამოსულიყო და საკუთარი შეხედულება გაეცნო საზოგადოებისათვის წიგნთან დაკავშირებით. სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორმა **სალომე კაპანაძემ** ზაზა ბიბილაშვილის კრებული განიხილა და აღნიშნა, რომ ლექსები „ერთი ამოსუნთქვით იკითხება, თუმცა ხშირად სუნთქვა გეკვრის... თუ სადმე შეიძლება მდოგვის მარცვლის გახარება, უპირველეს ყოვლისა მწერლობაში, ხელოვნებაში და, რა თქმა უნდა, სულიერების იმ ტაძარში, რომელსაც რწმენა ჰქვია“. **დალილა ბედიანიძე**: „ზაზა ბიბილაშვილს უკვე აქვს თავისი ხელწერა, რომლითაც გამოიცნობა, თუნდაც მის ლექსს ავტორი არ ეწეროს. მის ლექსებს ნამდვილად ატყვია ოსტატის ხელი, იგი არა მხოლოდ რითმებს, სახეებსა და განწყობილებებს ფლობს, არამედ



განსწავლული ავტორიცაა ამასთანავე“. **ნანა კუციამ** ზაზას ლექსებს „სასთუმლის ლექსები“ უწოდა, **რენე კალანდიამ** კი მათგან გამოარჩია ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ დაბეჭდილი **რიუნოსკე აკუტაგავას** „ძურინო კიტისკეს“ თემაზე დაწერილი ლექსი და ავტორისადმი საქებარი სიტყვები არ დაიშურა. კრებულის განხილვას ესწრებოდნენ ზაზას პოეზიის მოყვარულები და განსაკუთრებული აღტაცებით ხვდებოდნენ პოეტის მიერ ნაკითხულ თითოეულ ლექსს. მათ შორის იყო ბატონი **გიორგი კილაძეც**, რომელმაც „ქართული მწერლობისათვის“ საკუთარი შეხედულება საღამოს მსვლელობისას მცირე ჩანაწერის სახით გადმოგვცა: „უსმენ ზაზას რიტმინ ლექსებს და ფიქრობ, როგორ დამთავრებს... უსასრულოდ გაგრძელდეს გინდა... ნაკითხვამდე ლექსს დახედავ და გული გწყდება, სულ ორი სტროფი რომაა... არადა რამდენს იტევს დალოცვილი... არადა როგორ ამთავრებს: მოსწყვეტს და დაამთავრებს... ბატონმა **ზაზა შათირიშვილმა** თქვა ერთგან: „ჩემთვის საყვარელი პოეტი ის არის, რომლის ლექსებიც ზეპირად მამახსოვრდება... ლოცვას შეადარა. ცოტას დავაზუსტებ: დაზეპირების სურვილს რომ გაგიჩენს, უკვე საკმარისია...“

საღამოს მთავარმა გამირმა ერთგვარი

შეფასება გაუკეთა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქციაში გამართულ რეგულარულ თავყრილობებს და განაცხადა: „ძალიან საინტერესო საღამოებია. ეს არის ყოველკვირეული ნაბიჯი ლიტერატურის დახვეწისკენ მაინც, სრულყოფისკენ თუ არა. ეს საღამოები კრიტიკული სიტყვის სტიმულატორია, კრიტიკული სიტყვა კი, თავისთავად, დანარჩენი ლიტერატურის სტიმულატორი“. დასასრულ, მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისთვის და გამოსვლა კრებულის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსით დაასრულა:

„ირგვლივ ბარხანებია,
ხორშაკი და ხანძარი.

ხელიკებს რა ჰყვარებიათ –
ხრიოკებში ხვანცალი!

წყლისა არც ღარებია,
არც ჭები და...
არც წყალი.

– როგორ მეხარებინა
ჩემი მდოგვის მარცვალი?!“

როსტომ ჩხეიძემ კი მადლობა გადაუხადა გამომცემლობა „ინტელექტს“, რომელიც „დიდ ყურადღებას აქცევს ახალი თაობის პოეტებს. ცდილობს, რომ თვითონ აღმოაჩინოს ნამდვილი პოეტები, ყური არ დაუგდოს ზანზალაკების ჟღარუნს და სრულიად განერიდოს სნობურ გარემოს“.

ემხვარ კახაძე
პოეტური პერფორმანსი „სიზმრების (გ)ახსნა“

21 ნოემბერს, 19 საათზე აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში ხუთი ახალგაზრდა პოეტის – **ქეთი ჩხარტიშვილის, ნინო ნადირაძის, გვანცა ჯობავას, მარიენ ბაჯელიძისა და მია კილაძის** მოწვევით მოვხვდით.

იყო ანონსი: ჩვენ – ვინც დოგმებს ავამტყრიეთ წარწერა – „დიახ“.

მია კილაძე: „იდეა ზაფხულიდან არსებობდა და მაინც რეალურად ყველაფრის ორგანიზება ოთხი დღით ადრე დავიწყეთ. ნაწერების მიმდევრობის დალაგება, საჭირო რეკვიზიტების თუ მუსიკის მოძიება, რეპეტიციები“.

სცენაზე ყველაფერი ხუთი იყო: თოკზე ჩამოკიდებული ტანსაცმლის საკიდები, ნათურებიც, ჩვეულებრივზე ქვემოთ დანულეები, მღვიძარები, ცარიელი ჩარჩოები... სარკეები, რომლებსაც სპექტაკლის მიწურულს პოეტები სიზმარში გადასვლისას ცხადში დატოვებენ... საღებავები (ხუთი და სხვადასხვაფერის) და ხუთფერიანი ცისარტყელა: ყვითელი, წითელი, წარინჯისფერი, ცისფერი და იასამნისფერი... და ერთადერთი მოლბერტი... რაც

მთავარია ქალღმერთის ნავი.
ისმის მუსიკა... სცენაზე ხუთივე ერთად გამოდიან და სპექტაკლის ბოლომდე რჩებიან... აპლოდისმენტებიც ბევრი იქნება და აღტაცების შეძახილებიც...
ეს მერე... ჯერჯერობით კი სცენაზე ერთად შემოდიან.

სცენა პერფორმანსიდან „სიზმრების (გ)ახსნა“



მაია კილაძე: „ყველაფერი პირადი წერ-
ილებით დაინო. მე და ქეთი ჩხარტიშვილი
ვწერდით წერილებს ერთმანეთს ჩვენს
ყველაზე ნამდვილ განცდებზე. განცდე-
ბზე, რომლებსაც ვერავინ ხედავდა. მუდ-
მივი შეგრძნება – აქ არაა ჩემი ადგილი და
გრძნობა, რომ თითქოს მთელი სამყარო
სარკის მიღმაა. რომ არსებობს ჩვენ და
ისინი და შუაში გაბმულია ჰორიზონტი...
და ვწერდით. და მერე წარმოვიდგინეთ
ჩვენი შეგრძნებების გადმოცემა მოძრაო-
ბით, მუსიკით, განათებით, სიმბოლური
დეკორაციით... და ვთქვით, რატომაც არა.
მოვანყოთ ამბოხი, დაე, ყველამ დაინახოს
ჩვენი ნამდვილი სახე. დავუძახეთ გო-
გოებს, ჩვენწაირ შეშლილებს და ვკითხეთ,
მზად ხართ, რომ ავჯანყდეთ? მზად ხართ,
ჩამოვიშოროთ სახიდან ხელები და დაგვი-
ნახოს ყველამ? მზად ხართ, გავხსნათ
სიზმრები? გავხსნათ, როგორც ფილტვები
პირველი ყვირილისას? და ვიცოდით, რომ
არ შეიძლებოდა არც ერთი ყალბი მოძრაო-
ბა, არც ერთი ყალბი ბგერა. ჩვენ არ ვართ
მსახიობები და ვერ ვითამაშებდით. ჩვენ
სცენაზე ვიდევით ყველაზე ნამდვილი სახ-
ით, ყველაზე ნამდვილი ემოციებით, უმაკი-
აყოფ, მოდური ტანსაცმლის და დახვეწილი
მოძრაობების მიღმა, უკან შეკრული ღილე-
ბით და ამობრუნებული საკიდებით ვიდ-
ევით სცენაზე“.

ჟღერს მუსიკა...

ნინო ნადირაძე: „მუსიკა ირთვება,
რომელზეც ხუთივე უნდა გავიდეთ, მაშ-
ინვე ვგრძნობ ჩემს თავს გაღმა ნაპირზე
და მინდა ამ ნაპირიდან ხმა მივანდინო
დანარჩენებს... მინდა ვუთხრა, რომ ამდენი
ხნის განმავლობაში სულ ვყვიროდი მეც
და ხუთივეც, სულ ვყვიროდი და თითქოს
ყურები გქონდათ ამოკერილი... და ახლა, ამ
სცენაზე, ამ დარბაზში, ამოკერილ ყურებში
ამ ადამიანებს უნდა ჩავყვიროთ, თითქოს
სძინავთ და მძინარეებს ჩავძახოთ ბოლო

სცენა პერფორმანსიდან
„სიზმრების (გ)ახსნა“



ხმით, რომ ჩვენი სიზმრები ნამდვილია,
იყო და იქნება, რომ დედამიწაზე ვართ
მიბმული დაუკითხავად, რომ დავიღალეთ
კარის გაღებით, რომლის უკანაც მუდამ სი-
ცარიელე გვხდება, რომ სითბონაკლები
ვართ, რომ მოსიარულე გვამებად იქცე-
ნენ ყველანი, რომ დღეს დადგა დრო, ჩვენ
ტკივილებს გუდასავით მოვხსნათ თავი და
ამოვუშვათ, რომ ვიღრიალოთ ჩვენი სევდა
უკანასკნელ ხმაზე, რომ ჩრდილები, რაც
თან დაგვყვება, ხანდახან გვიკრება, რომ
გაიგონოთ, რომ დაგვინახოთ, რომ მოგვის-
მინოთ“.

და დაიწყო:

დარჩა კი რამე ამ ცარიელი ქუჩების გარდა?
უნწყოდ გამხმარი ხეები მყვანან
ფანჯრის რაფაზე,
ღამესავით რომ ჩაშავებია თვალები – მინა
და რომლის მიღმაც ვხედავ ფარვანებს.
(ხეებს ფესვებით, როგორც პეშვებით
უჭირავთ თავის სამყოფი მინა).

(მაია კილაძე)

ნაიკითხეს ლექსები 5 სხვადასხვა ფერის
ფურცლიდან... პოეტები ჯერ ისევ ცხადში
არიან და თითოეული სიტყვა და მოქმედე-
ბა (იმგვარი, პროფესიონალ მსახიობებს,
რომ შეშურდებთ) სიზმრისკენ სვლათ...

მარიენ ბაჯელიძე: „ვდგავართ ხუთნი,
ჯამში და ცალ-ცალკე... მაგრამ არასდროს
და არსად მიგრძენია მსგავსი. თითოეუ-
ლის სხეულის ნაწილებით აგებულია –
ერთი, მთლიანი და დაურღვეველი... ჩვენ
კი ჩრდილები ვართ მხოლოდ... სცენაზე
დაცემული ხუთი ჩრდილი...“

იკითხება ლექსები და ეს სულაც არაა
ლექსების უბრალო წაკითხვა, უფრო
ამოთქმია, ყვირილში რომ იზრდება და
მანც მკაფიოდ და გასაგებად ისმის. ასე
იწყებს ზევსის დაქალი და ყველა ლექსი
ასევე იკითხება იკითხება ლექსები, ფერა-
დი ფურცლებით იფარება ადგილი სცენასა
და მაყურებელს შორის.

გვანცა ჯობავა: „სცენარიც იმ წუთიდან
ინერებოდა, როცა ჩვენ-ჩვენ სიზმრებში
მოკალათებულები ირგვლივ მიმოფანტულ
ფურცლის ნაგლეჯებზე თითო-თითო ფრა-
ზას ვწერდით, მერე ერთმანეთზე ვანებებ-
დით ფურცლებს, ლექსადქვეულ ფრაზებს
ვკეცავდით ქალღმრთის თვითმფრინავებად
და ჩვენი სიზმრებიდან გაურკვეველი
მიმართულებით ვუშვებდით“.

უკვე კულმინაციის დროა.

მსახიობები (არ შემშლია) ხელში საღე-
ბავებს იღებენ, სცენის შუაგულისკენ მიე-
მართებიან, ერთმანეთის პირისპირ წრეში
ჯდებიან და ხელებს იხატავენ. ეს უკვე
რიტუალია შესაბამისი ტექსტით: „ჩვენ არ
ვიგონებთ სიზმრებს, ჩვენ ვამხელთ სა-
კუთარ თავს. ვიხატავთ ხელებს, რომ გვიც-
ნონ, ჩვენ ღილები უკუღმა გვაქვს შეკრუ-
ლი. აქ არ არის ჩვენი ადგილი!“...

გვანცა ჯობავა: „ეს იყო სწორედ ის 5 ფრაზა, რომელმაც ხუთი პოეტური სულის გოგონა სცენაზე და სცენის მიღმაც გაგვავართიანა, ფრაზები, რომელიც ხუთივეს საერთო გვქონდა, რომელსაც სცენიდან ერთ ხმაში ვყვიროდით, რათა ჩვენს ხმებს ერთი საათით მაინც გამოერღვია ჩვენივე სიზმრების ჩაკეტილი გისოსები და ექოსავით მაინც მიეღვნა დარბაზში შეკრებილ მაცურებლამდე...“

და იბადება კითხვა: მაინც სად არის მათი ადგილი?

ხელებმობათული პოეტები მაცურებლიდან ზურგშეცევივით, სარკეებისკენ (ჩარჩოებისკენ) მიემართებიან, სინათლე ქრება და ირგვლივ (და ყველგან) სიჩუმე ისადგურებს. ალბათ ბევრმა მაცურებელმა გაიფიქრა: მორჩა, ყველაფერი დამთავრდა... და ეს „მორჩა, ყველაფერი დამთავრდა“ სულაც არ იყო მხოლოდ სპექტაკლის დამთავრება...

რამდენიმე წამი და განახლდა მუსიკა, „master of puppets-ი“ ზუსტად შეესაბამება ჩარჩოების თუ სარკეების ნგრევისა თუ მსხვერვის სცენას... იქნებ რეალობიდან გაღწევის წარმატებულ სურვილს.

მწვანე შუქი აინთო... პოეტები ცისარტყელას შლიან, ფერებს ინანილებენ და სპექტაკლი უკვე სიზმარში გრძელდება...

ზემოთ ვთქვი, სპექტაკლში ერთი მოღბერტიც „მონანილეობს“-მეთქი. მისი ამოქმედების დროც დადგა. ცისარტყელას-

ფერმობვეული პოეტები მოღბერტთან რიგრიგობით მიდიან და ხატავენ (ერთი სული მქონდა მენახა, რას ხატავდნენ). დასრულებული (არც დაუსრულებელი) ნახატი არც მე და არც მაცურებელს არ გვინახავს... მე და ალბათ, სპექტაკლზე მისულმა მრავალრიცხოვანმა მაცურებელმა, იმ დღეს საკუთარი ნახატი „დახატა“.

ახლა ქალაქის ნავის დროა... სინათლე ქრება... „ხელოვანი“ (ქეთი ჩხარტიშვილი) ქალაქის ნავს ხელში იღებს და როიალისკენ მიაქვს... ძირს დებს, როიალთან ჯდება და დაკვრას იწყებს... მუსიკა – შოპენია! შესრულება – უბადლო!...

მუსიკა მთავრდება... მღვიძარები ერთდროულად რეკავენ... პოეტებს ადვიძებენ და მაცურებელს კიდევ მეტი ფიქრისკენ უბიძგებენ...

მაია კილაძე: „...ვიყავით ერთი ცისარტყელის სხვადასხვა ფერები. ინდივიდუალური, სხვადასხვანაირი, თითოეული საკუთარი ხმით, საკუთარი მელოდიით და ერთი განცდით, განცდით პროტესტის, აქედან გაქცევის სურვილით.“

და შევძელით. გავხსენით ის, რაც ცოტა ხნის წინ მხოლოდ პირადი წერილების საკუთრება იყო, გავამხილეთ.

და არაფერი იყო გათვლილი მაცურებელზე. ეს არ ყოფილა არც პოეზიის საღამო, არც პერფორმანსი, არც სპექტაკლი. ეს იყო ემოციური განტივრთვა, რის გამეორებასაც ვეღარ შევძლებთ“.

„მერანის“ წლივანდელი ლაშქარატაზი

გასულ წელს საქართველოს მწერალთა კავშირისა და თბილისის მერიის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ახალ ლიტერატურულ კონკურსს „მერანი“, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პრემიებს გასცემს. ამა წლის 10 დეკემბერს უკვე მეორედ გამოვლინდნენ კონკურსის გამარჯვებულები. დაჯილდოების ცერემონია მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში გაიმართა. საღამოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაცვალა გონაშვილი უძღვებოდა. იქვე წარადგინეს კონკურსში შესული ნაწარმოებებიდან შერჩეული საუკეთესო ლექსებით შედგენილი კრებული „მერანი“. როგორც კონკურსის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, კონკურსში მონაწილეობის სურვილი ორასამდე ავტორმა გამოთქვა, მათ შორის არჩევანი კი ჟიურის შემდგემა შემადგენლობამ გააკეთა: **ჯანსუღ ჩარკვიანი** (ჟიურის თავმჯდომარე), **მაცვალა გონაშვილი**, **დავით ტაკიძე** და **მარიამ ნიკოლაური**.

როგორც მაცვალა გონაშვილმა განაცხადა, შარშანდელთან შედარებით, წელს ბევრად უფრო ძლიერი ავტორები იღებდნენ კონკურსში მონაწილეობას, რის გამოც ძალიან გაუჭირდათ არჩევანის გაკეთება, საბ-

ოლოდ კი გადაწყვიტეს თითოეული ადგილი ორ-ორი პოეტისთვის გაენაწილებინათ.

პირველი საპატიო პრემია მიიღეს **ლელა სამნიაშვილმა** და **ჰენრი დოლიძემ**. ჰენრი დოლიძეს პრემია „მერანის“ შარშანდელმა გამარჯვებულმა **როინ აბუსელიძემ** გადასცა. მეორე პრემია – **რეზო გეთიაშვილმა** და **ნიკა ჩერქეზიშვილმა**, მესამე პრემია კი – **ნინო სადღობელაშვილმა** და **ნუკრი ბერუთელმა** გაინაწილეს.

გარდა ამისა, გაიცა წამახალისებელი პრემიები. ნომინაციაში „ინოვაცია“ პრემია გადაეცა **დავით ქაშიაშვილს**, „ჟიურის სიმპათია“ **ეკა ბაქრაძემ** გახდა, „საუკეთესო ლექსისთვის“ დაჯილდოვდა **გიორგი შალამბერიძე**, ნომინაციაში „დიალოგი“ – **ბექა ახალაია**, წამახალისებელი პრემია მიიღო **ნათია ჯანაშიამაც**.

საპატიო დიპლომები და საჩუქრები გადაეცათ კონკურსის საუკეთესო 14 ავტორს: **თეა თოფურიას**, **გიორგი ლაცაბიძეს**, **კატო ჯავახიშვილს**, **ეკა ქევანიშვილს**, **თეა თაბაგარს**, **ნინო ნეკერიშვილს**, **მინდია ცეცხლაძეს**, **თამთა დოლიძეს**, **ნინო ნადირაძეს**, **გვანცა ჯობავას**, **ეკა ქაჯაიას**, **ნიკა ქვრივიშვილის**, **ლექსო დორეულსა** და **ლევან ზარიძეს**.



„ქართული მწერლობა“ – 2010

ნლის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალების სრული სია

პოეზია

ანზორ აბუანდაძე. ლექსები, №7;
 დათო აკრიანი. ხმელეთზე და ზღვაში, №9;
 თამუნა არდიშვილი. ლექსები, №3;
 დალილა ბედიანიძე. ლექსები, №4;
 ზაზა ბიბილაშვილი. ლექსები, №10;
 ზაურ გერგედავა. „არ წამიკითხო, თუ შეიძლება“, №6;
 ნუციკო დეკანოზიშვილი. ლექსები, №7;
 ნატა ვარადა. ჯვრის დასაწერებელთა კანონი, №5;
 გიორგი ზანგური. ლექსები, №6;
 ეთერ თათარაიძე. ლექსები, №9;
 გენო კალანდია. ლექსები, №8;
 რენე კალანდია. ლექსები, №11;
 დალი კახიანი. ლექსები, №8;
 გიორგი კეკელიძე. პოემა ცრუ თავლაზე, №8;
 სოსო მეშველიანი. ლექსები, №12;
 პაატა ნაცვლიშვილი. 44 პოსტმოდერნისტული 4-თანხმოვ(ა)ნება ახალი (ძველი) კოლექციიდან. №1;
 ქეთი სეფიაშვილი. ლექსები, №5;
 არჩილ ფირცხალავა. ლექსები, №7;
 გიორგი შალამბერიძე. შენ დაბრუნდები, №11;
 გივი შეყილაძე. საადდგომო ოდა, №4;

ოლესია თავაძე. გადამცდარნი. №1,2;
 ირაკლი ლომოური. შოკორთველოს ბორჯღალადი (პარალელური საქართველოს მხატვრული ქრონიკებიდან), №10;
 გურამ მეგრელიშვილი. მღვდელი, №8;
 ჯემალ მეხრიშვილი. წამიერი შური, №12;
 ნინო სადღობელაშვილი. ორი ნოველა, №6;
 ეკა ფხალაძე. ნოველები, №5;
 თათია ქობალია. უჟამო მზის პოენისათვის, №3;
 ცირა ყურაშვილი. მინიატურები, №2;
 ირაკლი შამათავა. კაენი და სახარება, №5;
 გიორგი შერვაშიძე. ვერ-ვარ-ძია, №4;

დრამატურგია

ირაკლი სოლომანაშვილი. მარილი (ეპიზოდი იგივენის ცხოვრებიდან), №12.

დებიუტი



ბექა აროშიძე. რვა, №6;
 თამარ თოლორაია. კაპელა, №1;
 ბექა კოკია. ნაამაყარი, №4;
 ნიკა ლაშხია. ლექსები, №2;
 გიორგი სისაური. ჩემი სოფელი, №9.

ესეისტიკა / დოკუმენტური პროზა

ლალი ავალიანი. გადარჩენის რწმენითა და იმედით (მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის გამო), №7;
 მანანა ამირეჯიბი. ორი ეტიუდი (აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ და „სულიკო“), №7;
 ბაჩანა ბრეგვაძე. მარადისობის მოციქული, №7;
 გიორგი გოგოლაშვილი. ფიქრები

მხატვრული პროზა

რუსა ამირეჯიბი. ნოველები, №12;
 ზაირა არსენიშვილი. „ერთსა კაცსა ბლისკინელსა“ (ფრაგმენტი მოთხრობიდან), №7, 9;
 ქრისტინე ბებია. შარფი, №4;
 დალილა ბედიანიძე. შამპანური, №11;



მუხრან მაჭავარიანზე, ანუ მასალები ბიოგრაფიული ნარკვევისათვის, №6; მინირეცენზიები, №8; ჩანაწერები (რაც თვალს უნახავს ან სმენას სხვისაგან გაუგონია), №12;

ლულუ დადიანი. რილკეს კვალდაკვალ, №4;

ნინო დარბაისელი. „მივარდნილი აივანის“ გამო (გალაკტიონ ტაბიძის „არტიტული ყვავილები“), №5;

ნატა ვარადა. პოეზიის კუნძულის სამი ქალთევზის მემკვიდრეობა (მარიჯანი, ნინო თარიშვილი, ესმა ონიანი), №9;

გიზო ზარნაძე. ვინც ამ წერილს არ ნაიკითხავს..., №12;

ემზარ კვიციანიშვილი. ცენზურა და უცენზურობა, №2; ორი მუზის მსახური (ელგუჯა ბერძენიშვილის პორტრეტი), №6;

პაატა ნაცვლიშვილი. ზმანი და აზმანი ოიამასი, №5;

ნიკო ნიკოლაძე. რუსეთის დამხოზა და საქართველოს ბედი (ზაზა აბზიანის პუბლიკაცია), №1;

ოლიკო ჟღენტი. 20-იანი წლების ამერიკული ჯაზი, კინო და ქართული რომანი (გრიგოლ რობაქიძის „ფალესტრას“ თანამედროვე ნაკითხვისთვის), №5; „მრისხანების მტევნები“ 70 წლის შემდეგ, №8;

ნინო სადღობელაშვილი. „მარიამული დღესასწაული“, №4;

ლია სტურუა. მიშგუ ლადელ სი (სვანური ჩანაწერები), №11;

დალი ფანჯიკიძე. გერმანულენოვანი პოეზიის რეცეფცია საქართველოში, №5;

ნანა ფიფია. სასახლის სახსოვარი (აკაკი წერეთლის მოგზაურობა სამეგრელოში), №6;

ნესტან ფიფია. მხატვრული რეალობა პოლიტიკური კონტექსტით (ოთარ ჩხეიძის სიმართლე), №11;

ცირა ყურაშვილი. რას ფიქრობთ მაიაკოვსკიზე?, №8;

ნინო ჩხიკვიშვილი. უფალმა უსმინა შევარდენს (პაოლო იაშვილის უკანასკნელი ღამე), №4;

ზურაბ ცხონდია. რაც უნდა დუმელოთ მეთქვა, №1,9;

ფრიდონ ხალვაში. რატომ დავტოვეთ კრემლის დარბაზი, №4; გადაღმეთელ (თურქეთელ) ჩვენებურებში გურამ ფანჯიკიძესთან ერთად, №7, 8;

ნინო ხოფერია. არისტოკრატიული საგა, №7,8;

სოფიო ჯაფარიძე. ჩემი საყვარელი დევები (მარიამ ნიკლაურის საყვარელი ნიგნის – „ბრანდი-ბრუნდის“ შთაბეჭდილებით), №9;

როსტომ ჩხეიძე. რეკვიემი სინანულისა (ირაკლი წერეთლის ბედისწერა), №10,11,12;

იოსებ ჭუმბურიძე. ლიტერატურულ-პუბლიცისტური პარალელები, №12.

კრიტიკა

ბონდო არველაძე. ტკივილიანი ნიგნი, №12;

ბარბარე ბიძინაშვილი. „ბამბაზიის სამოთხე“ – „ოცნება, რომელიც არასოდეს არ უნდა დაემსაგავსოს სინამდვილეს“, №12;

ნინო ვახანია. ლაშა გახარიას მართალი პოეზია, №7;

ნანა კუცია. „ხის ჯვარედინი“ (როსტომ ჩხეიძის „წერილები იტრიის წისქვილიდან“), №9;

ჯემალ მეხრიშვილი. ჯადოსნური ბილიკები (გამოხმაურება ინა არჩუაშვილის ნოველაზე), №6;

ნიკა სერგია. უკომპლექსობის ბიკინიში გახვეული კომპლექსის ჩადრი, №2;

არჩილ ფირცხალავა. ორი წერილი, №8;

ნესტან ფიფია. „დუნე ცხოვრებაზე“ ამადლეული პერსონაჟები ოთარ ჩხეიძის „ამადლეებაში“, №3;

მიხეილ ქავთარია. მინდია: ახალი ხედვა (მერაბ გველესიანი. მინდია ანუ ურჩხული და გოგონა), №10;

თეიმურაზ ქურდოვანიძე. მარინა ცვეტაევას ლირიკის ბუნებისათვის, №3;

გვანცა ჯობავა. აზრი გამოთქმული ალმანახ „თაობების“ თაობაზე წამოწყებული დისკუსიის შესახებ, №4.

ახალი თარგმანები

მარიო ბენედეტი. ნოველები (ესპანურიდან თარგმნა მაკა გოგოლაშვილმა), №11;

ნიკოლაი ბერდიაევი. ასტრალური რომანი (ფიქრები ანდრეი ბელის რომან „პეტერბურგზე“), რუსულიდან თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა, №7;

გეორგ ბიუნენერი. ლენცი (გერმანუ-

3'2010
მარტი

მართული მფარლობა

ბ. პ. პრიდმორი
მუხრან მაჭავარიანის
მოკვლევა

ოთარ ჩხეიძის
პერსონაჟების
სამყაროში

მარინა
მაცხარაძის
ღრმის
საზოი

რედაქცია

4'2010
აპრილი

მართული მფარლობა


ბალასიონ
ტაშვილის
უცნობი ფიქსიონის
ისტორია

ფრიდონ
ხალვაშის
ცხოვრების
ნოველები


მარიო ბენედი
ტი
რომანის
კვლევა

რედაქცია


1929-2010




შალვა გოგოლაძე



ზურაბ აბაშიძე



ზვიად გამბურია



შოთა რუსთაველი

ქართული მემორიალი
5'2010
მაისი
08.05.2010

ლიდან თარგმნა **ზურაბ აბაშიძემ**, №6,7;

ხორხე ლუის ბორხესი. უკვდავი (ესპანურიდან თარგმნა **ბაჩანა ბრეგვაძემ**), №5;

იოჰან ვოლფგანგ გოეთე. ნოველა (გერმანულიდან თარგმნა **ნანა გოგოლაშვილმა**), №8;

ფრიდრიჰ დიურენმატი. გვიანი შემოდგომის სალამოს (გერმანულიდან თარგმნა **ნანა გოგოლაშვილმა**), №3;

ტომას ვულფი. ვეფხვიც და ბავშვიც (ინგლისურიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო **მედეა ზაალიშვილმა**), №10;

ჯონათან ლინი, ენტონი ჯეი. დიახ, ბატონო მინისტრო (ინგლისურიდან თარგმნა **ვახტანგ ბახტაძემ**), №9;

ჯეკ ლონდონი. საეჭვოობის სასარგებლოდ (ინგლისურიდან თარგმნა **ზურაბ ცერცვაძემ**), №10;

ანტონიო მაჩადო ი რუისი. ხუან დე მაირენა (ესპანურიდან თარგმნა **მერი ტიტვინიძემ**), №8;

მორის მეტერლინი. დროის საზომი (ფრანგულიდან თარგმნა **დათო აკრიანმა**), №3;

ო' ჰენრი. დაკარგული რეცეპტი (ინგლისურიდან თარგმნა **მაია ცერცვაძემ**), №7;

პითაგორას ოქროს ლექსები (ძველბერძნული და ფრანგული პარალელური ტექსტებიდან თარგმნა **დათო აკრიანმა**), №12;

რაინერ მარია რილკე. ჰიოლდერლინისადმი (გერმანულიდან თარგმნა **ლულუ დადიანმა**), №10;

გუსტავ რუ. რექვიემი (ფრანგულიდან თარგმნა **კონსტანტინე ზ. გამსახურდიამ**), №4;

ენ სექსტონი. ლექსები (ინგლისურიდან თარგმნა **ანი კოპალიანმა**), №2;

კლოდ სიმონი. ფლანდრიის გზა. /ნაწყვეტი რომანიდან/ (ფრანგულიდან თარგმნა **ილია გასვიანმა**), №12;

ანატოლ ფრანსი. ლეტა აცილია (ფრანგულიდან თარგმნა **გიორგი ანთელავამ**), №9;

ბერნჰარდ შლინი. შაქრის მუხუდო (გერმანულიდან თარგმნა **ბელა სურგულაძემ**), №1,2.

მწერლის არქივიდან

ივანე მაჩაბლისა და მაკო საფაროვას მიმონერა (იოსებ გრიშაშვი-

ლის არქივიდან), №8,9,10;

ნიკოლო მინიშვილი. ჩანანერები, №2;

ესმა ონიანი. გამოუქვეყნებელი ჩანანერები, №3;

ოთარ ჭილაძე. გამოუქვეყნებელი ჩანანერები, №1.

ნოპელიანტი

ანატოლ ფრანსი. სიტყვა, წარმოთქმული სტოკჰოლმში, ნობელის პრემიის გადაცემასთან დაკავშირებით გამართულ ბანკეტზე (ფრანგულიდან თარგმნა **ილია გასვიანმა**), №5;

როჟე მარტენ დიუ გარი. სიტყვა, წარმოთქმული სტოკჰოლმის რატუშაში, 1937 წლის 10 დეკემბერს, ნობელის პრემიის გადაცემასთან დაკავშირებით გამართულ ბანკეტზე (ფრანგულიდან თარგმნა **ილია გასვიანმა**), №6;

ანრი ბერგსონი. სანობელო სიტყვა (თარგმნა **ილია გასვიანმა**), №8;

ანდრე ჟიდი. სანობელო სიტყვა (თარგმნა **ილია გასვიანმა**), №9.

ქართვებელი შინ და გარეთ

რუსუდან დაუშვილი. პავლე კვარაცხელია – ამერიკაში ქართული სათვისტომოს დამაარსებელი, №12;

რუსუდან ენუქიძე. ორი შეხვედრა (ქართველი მოცეკვავის შეხვედრა **გრიგოლ რობაქიძესა და კიტა ჩხენკელთან**), №3;

როსტომ თიგეშვილი. ტურისტები საბჭოთა საქართველოდან, №3;

ფარნა-ბექა ჩილაშვილი. დამსხვრეული შუშის დღე (თურქულიდან თარგმნა **ციცო კაიკაციშვილმა**), №4;

ქეთი ორჯონიკიძე-ქეისი. ჩაძირულები, №11.

ღიალოგი; ორი ფინჯანი

მუხრან მაჭავარიანი. ჩემი ყველა ლექსი ექსპრომტია! (ესაუბრა **ნუციკო დეკანოზიშვილი**), №8;


„ჩემი ყოველი დღე გზაგასაყარითაა“ (კატო **ჯავახიშვილს** ესაუბრება **ბესო ხვედელიძე**), №9;

„მკითხველი ხიდა“... (კატო **ჯავახიშვილს** ესაუბრება **გივი ალხაზიშვილი**), №11;


„ჩვენ ფრაგმენტული თაობა ვართ“ (კატო **ჯავახიშვილს** ესაუბრება **გიორგი კეკელიძე**), №12.

6'2010
ივნისი


ქართული მემორიალი



გიორგი შახნაზაროვი



ნინო სალუკვაძე




გიორგი ახმატოვა


ქართული მემორიალი
6'2010
ივნისი
08.06.2010

7'2010
ივლისი


ქართული მემორიალი



შოთა რუსთაველი



ნინო სალუკვაძე



გიორგი ახმატოვა

ქართული მემორიალი
7'2010
ივლისი
08.07.2010

თეატრი

ნათელა არველაძე. ცრემლზე მწარე სიცილი („ბიდერმანი და ცეცხლისწამ-კიდებელნი“ რუსთაველის თეატრის სცენაზე), №4; ლილი + მიშა! (რუსუდან ბოლქვაძის პორტრეტი), №11;

თამარ კიკნაველიძე. გორდონ კრეგისული ზღაპარი, №2; რეზა სერვატის „მაკბეტი“ საქართველოში, №6,7;

დიმიტრი ლობჯანიძე. პატარა მოგონება დიდ მსახიობზე (იპოლიტე ხვიჩია), №5;

თემურ ჩხეიძე. სცენაზე იმის გაკეთება, რაც მოგესურვება, იმპროვიზაციას არ ნიშნავს (ესაუბრა ნინო ჩხიკვიშვილი), №9;

იოსებ ჭუმბურიძე. ქარიშხალი სიმშვიდეში, №4.

შტრიხები პორტრეტისათვის

მედეა ზაალიშვილი. ეძღვნება გივი გეგეჭორის ხსოვნას, №9;

რენე კალანდია. ღვინისფერი პოეტის სევდა (ზურაბ გორგილაძე), №1;

დიტო კიკვაძე. უჩვეულოდ მომხიბლავი (ირაკლი აბაშიძის გახსენება), №6;

გივი შეყილაძე. მსახურება ჟამსა უმძიმესსა (როინ მეტრეველი), №2;

ნოდარ ცერცვაძე. ნანი ბრეგვაძის კულისებსმიღმა ცხოვრებიდან, №11;

მაკა ჯოხაძე. ესმა ონიანის ენდროსფერი სამყარო, №8.

უკვდავი სახელები

ნოდარ ტაბიძე. მას არც წარსულის, არც მომავლის არ ეშინია, №12;

ნმიდა ალექსი შუშანია. საზომი სულიერი თავისუფლებისა (ნერილი იონა მეუნარგიასადმი), №1;

ზაქარია ჭიჭინაძე. იონა მიხეილის ძე მეუნარგია (მოამზადა ლია გუხევაძემ), №2;

თამაზ ჯოლოგუა. შეთქმული ქალები (მანანა ორბელიანი, თეკლა ბატონიშვილი, თამარ ბატონიშვილი), №6,7,8.

ბამოსათხოვარი

ივანე ამირხანაშვილი. „ომრი გრძელდება“ (ფრიდონ ხალვაშის მოსაგონარი), №7,8;

მუხრან მაჭავარიანი. კვლავაც მრავალგზის (პოეტის ბოლო სიტყვა

რუსთაველის თეატრში, რომლის დასრულებაც ვერ შეძლო), №5;

გრივერ ფარულავა. ფესვეული კაცის განშორება (თამაზ ჩხენკელის გამოსათხოვარი), №12.

ბრიგოლ რობაქიძე-130

ნანა თედორაია. უმოქმედო კეთილის ბოროტება (გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“. სამი პერსონაჟი), №10;

თენგიზ ჩხაიძე. ქართული კულტურის რენესანსის მედროშე, №10.

კადნიერი ტანჯული

ოთარ ჭილაძე. ხალხი ივინყებს, ადამიანი – არა /ესაუბრა ავსტრიული გაზეთის – „დი პრესეს“ კორესპონდენტი ედუარდ შტაინერი/, (გერმანულიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა), №10

ემზარ კვიციანიშვილი. რა შეუძლია ქალის კაბას!..., №10;

გენო კალანდია. ბებრები, №10; „ცა ხომ ვრცელია, მაგრამ ამ ცაზეც ეჯახებიან ღრუბლებს ღრუბლები“... (საუბრობენ კატო ჯავახიშვილი, გურამ მეგრელიშვილი, ნინო სადღობელაშვილი და დიანა ანფიმიადი), №10

ერთი ფოტოს ისტორია

თამილა წონორია. საოცარი დღის მადლით (გალაკტიონ ტაბიძის უცნობი ფოტო), №4;

გურნის სკოლის რელიკვია, №12.

ერთი ლექსის ისტორია

ზურაბ გორგილაძე. რა მემველება, №5;

იზა ორჯონიკიძე. მაისი, ქართლი..., №2;

ნინო სადღობელაშვილი. გურამ რჩეულიშვილს, №8;

ცირა ყურაშვილი. გადალოცვა, №9.

პრეზენტაციები, ახალი ნიშნები

ემხვარ კახაძე. პოეტური პერფორმანსი „სიზმრების (გ)ახსნა“, №12;

ესმა მანია. „ვეფხისტყაოსნით“ შემდგარი ერი და ეპოქა, №7;

გვანცა ჯობავა. ასტრიდ ლინდგრენის სამშობლოში, №6; ხვარამზეობა

8'2010
ავგოსტო

მართული მფერლობა

ვაზირ კალანდია
ლექსები

თამარ ჩხიკვიშვილი
საქართველოში

ნინო ჩხიკვიშვილი
„ზაქ ფე შარვა“

მამულაძე

9'2010
სექტემბერი

მართული მფერლობა

ზვიად გოგოლაშვილი
ლექსები

გენო კალანდია
მატერკლასი

კატო ჯავახიშვილი
ორი ფუნჯანი

მამულაძე

ოიან კალაძე
1933-2009



ირაკლი ლორთქიპანიძე
წიგნები

რუსლან ჩხიკვიშვილი
ირაკლი წერეთლის მემორუალზე

გიორგი ვაშაძე
„ვეფხისტყაოსნის“ ბავშვები

მართული მფერლობა
10'2010
ოქტომბერი

მამულაძე



– „სულში ლექსის გადარჩენის დღესას-
ნაული“, №11; ტარიელ ხარხელაური
– „აბელური სულის ადამიანი“, №11;
„ცისკარი“ გრძელდება, №12; ზაზა ბიბი-
ლაშვილის „სასთუმლის ლექსები“, №12;
მაკა ჯოხაძე. უკეთესი საქარ-
თველოსთვის, №2;

ლიტერატურული ალილობა არტ-
კაფე „ქარავანში“, №1;

პასტერნაკის ლექსები ქართულად,
№1;

გამომცემლობების – „ინტელექტი-
სა“ და „არტანუჯის“ ახალი წიგნები,
№1-12;

თბილისში გაცოცხლებული ძველი
თუშეთი, №2;

ღვთის ძიების გზაზე, №2;
ორი ახალი საბავშვო წიგნი, №2;

ლიბ.გე-სა და „როკ კლუბის“ არტ
სალამოები, №3;

ცაში აფრენილი ლექსები (ნინო ნა-
დირაძის „ფრანწალბული“), №7;

გალაკტიონოლოგია V, №7;
საერთაშორისო პრემიის ქართველი
ნომინანტები, №10;

კორტასარის „კლასობანა“ ქართუ-
ლად, №10;

„მერანის“ წლევანდელი ლაურეატე-
ბი, №12.

ჭადრაკის ისტორიიდან

დავით გურგენიძე. პროფესიული
ჭადრაკის სათავეებთან, №9.

**ნომრის თემა – ჩემი პერსონაჟი
(№10)**

ნუკრი ბერეთელი. დომენიკო;
ნინო ნადირაძე. ჩვენ, ისინი და სხ-
ვები;

ნინო ნეკერიძე. „ცრემლები შე-
მინირია იმ შენის მეგობრისადა“;

ნინო სადღობლაშვილი. მზია –
ბათარეკას ასული;

თათია ჯგუშია. მათე;
გვანცა ჯობავა. „ადამიანები, რომ-
ლებმაც განიდარცვეს...“.

ნომრის თემა – ომი (№11)

ზაზა ბიბილაშვილი. გამოსავალი;
ლაშა გვასალია. ღმერთსაც ესვრ-
იან...;

ვასილ გულეური. ომობანას თამაში;
გიორგი კეკელიძე. ომი, რომელიც
ვერ რჩება;

თამარი ფხაკაძე. ჩემი ომი;
ნინო ქოქოსაძე. აგვისტო, 2008;

თამარ შაიშველაშვილი. ქრისტესი-
სხლას შვილები;

პაატა შამუგია. ჩემი ომი;
ბელა ჩეკურიძე. ბალახისმჭა-
მელებზე და მტაცებლებზე;

მარიამ ნიკლაური. ყველა ომის ვეტ-
ერანი.

**ნომრის თემა – თარგმანში
დაპარბულნი (№12)**

სალომე ბენიძე. როგორ თარგმ-
ნის საჯარო მოხელე;

ილია გასვიანი. ახალი მიწების ასა-
თვისებლად;

ნანა გასვიანი. ერთი რომანის
თარგმანის გამო;

ნინო დოლიძე. Traduttore traditore;
ანი კოპალიანი. თარგმანში ნაპოვ-
ნი;

თამარ კოტრიკაძე. მარადიულ ლექ-
სებს რა ვუყოთ?

ირმა ტაველიძე. სურათის აღწერა;
ოქტაი ქაზუმოვი. სანამ დულილი
არ გაივლიდეს;

ქარდა ქარდუხი. თარგმნა – თავშე-
საფარი შემოქმედებითი კრიზისისას.